

ქალთა როლი

იუნესკოს მიერ აღიარებულ
ევროპულ ტრადიციულ
სასიმღერო პრაქტიკებში

WOMEN'S ROLE IN UNESCO-RECOGNIZED EUROPEAN TRADITIONAL SINGING PRACTICES



unesco

Georgian

National Commission

საქართველოს იუნესკოს

საქმეთა ეროვნული

კომისია

**ქალთა როლი
იუნესკოს მიერ აღიარებულ
ევროპულ ტრადიციულ
სასიმღერო პრაქტიკებში**

**WOMEN'S ROLE
IN UNESCO-RECOGNIZED
EUROPEAN TRADITIONAL
SINGING PRACTICES**

თბილისი
TBILISI
2022

ISBN 978-9941-9538-5-9

კრებული გამოიცა UNESCO-ს 2020-2021 წლების „მონაწილეობის პროგრამის“ ფარგლებში. პროექტის თანადამფინანსებელია ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

The collection was published within the framework of the UNESCO "Participation Programme" (2020-2021). The project is co-financed by V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire.

პროექტის ხელმძღვანელი და კრებულის შემდგენელი: **თეონა ლომსაძე**
პროექტის კოორდინატორი: **ნინო რაზმაძე**

რედაქტორი: **რუსუდან ნურნუშია**
ინგლისურენოვანი ტექსტების კორექტურაზე მუშაობდნენ: **ლორენ ნინოშვილი, ბრაიან ფეარლი**

მთარგმნელები: **მარინა დეკრისტოფორო, მარიკა ნადარეიშვილი, ბაია ჟუჟუნაძე, ნანა მჟავანაძე**

დიზაინერი: **სანდრო ჩხაიძე**
ხმის ინჟინერი: **გიორგი ჯოლბორდი**

Project Manager and Compiler: **Teona Lomsadze**
Project Coordinator: **Nino Razmadze**

Editor: **Rusudan Tsurtsumia**
Working on proofreading English texts: **Lauren Ninoshvili, Brian Fairley**

Translated by **Marina Decristoforo, Marika Nadareishvili, Baia Zhuzhunadze, Nana Mzhavanadze**

Designer: **Sandro Chkhaidze**
Sound Engineer: **George Jolbordi**



© თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი / The International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire, 2022

სარჩევი

ავტორთა ჩამონათვალი	6
რედაქტორისგან	10
ბულგარული პოლიფონიური სიმღერა – ფოლკლორული სიმღერის ქალთა ჯგუფები ბულგარეთიდან გალინა ლუკანოვა	17
შიდა და ინტერ-კულტურული, ისტორიული და თანამედროვე: სეტო <i>ლელოს</i> გენდერული პრაქტიკა დროის დინებაში იანიკა ორასი, სავანა-რიკა პაუელი	31
ქალის როლი ლიეტუვის პოლიფონიური <i>სუტარტინეს</i> სასიმღერო ტრადიციაში უძველესი დროიდან დღემდე დაივა რაჩინაიტე-ვიჩინინე	52
ქალები, <i>ფადოსა</i> და <i>კანტეს</i> მემკვიდრეობა: პორტუგალიის სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის გაძლიერება მარია ესპირიტო სანტო, მარია დე სან ხოსე კორტე-რეალი	78
ქართველ ქალთა ტრადიციული სიმღერები: ღირებულება და ადგილი ქართულ სამუსიკო ფოლკლორში ნატალია ზუმბაძე	100
ქალი და მისი როლი სვანების მუსიკალურ ყოფაში ნანა მჟავანაძე, მადონა ჩამგელიანი	124
ქართველი ქალები და ქართული საეკლესიო გალობა თამარ ჩხეიძე	151
ქალი ავტორ-შემსრულებლები ქართულ ქალაქურ მუსიკალურ ფოლკლორში ბაია ჟუჟუნაძე	169
გენდერის საკითხი ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკაში ნინო რაზმაძე	187
თანამედროვე ქალი ავტორ-შემსრულებლები ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების კონტექსტში თეონა ლომსაძე	198
ნიმუშები კრებულში წარმოდგენილი კულტურების სასიმღერო პრაქტიკიდან	408



სუტარტინეს ცეკვა დობილელის (პატარა სამყურა). ასრულებენ სუტარტინეს მომღერლები. სოფელი სმილგიაი, კუპიშკის ოლქი. ფოტო: ბალის ბურაჩასი, 1936. *Sutartinės dance Dobilėlis (The Little Clover) performed by sutartinės chanters of Smilgiai Village, Kupiškis parish. Photo by Balys Buračas, 1936.*

CONTENTS

List of Contributors	8
From the Editor	222
Bulgarian Polyphonic Singing – Women’s Groups for Folklore Singing from Bulgaria Galina Lukanova	227
Intra- and Inter-Cultural, Historical and Modern: Gendered Practices of Seto <i>Leelo</i> Across Time Janika Oras, Savannah-Rivka Powell	240
The Role of Women in the Lithuanian Polyphonic <i>Sutartinės</i> Singing Tradition, from Antiquity to the Present Daiva Račiūnaitė-Vyčiniene	259
Women, <i>Fado</i> and <i>Cante</i> Heritage: Strengthening Resilience in Portuguese Civil Society Maria Espírito Santo, Maria de São José Côrte-Real	288
Traditional Songs of Georgian Women: Their Significance and Place in Georgian Musical Folklore Natalia Zumbadze	301
The Role of Women in the Musical Life of the Svan People Nana Mzhavanadze, Madona Chamgeliani	324
Georgian Women and Georgian Liturgical Chant Tamar Chkheidze	346
Female Singer-Songwriters in Georgian Urban Folk Music Baia Zhuzhunadze	362
The Issue of Gender in Georgian Instrumental Music Nino Razmadze	378
Contemporary Female Singer-Songwriters in the Context of the Georgian Folk Music Revival Teona Lomsadze	388
Audio Collection of the Singing Practices Referenced in the Volume	418

აკორთა ჩამონათვალი:

1. **გალინა ლუკანოვა** – ფოლკლორის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ეთნომუსიკოლოგიისა და ეთნოქორეოლოგიის დეპარტამენტის მდივანი. ეთნოგრაფიული მუზეუმის ეთნოლოგიისა და ფოლკლორის კვლევის ინსტიტუტი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია.
2. **იანიკა ორასი** – ესტონეთის ლიტერატურული მუზეუმის ესტონური ფოლკლორის არქივის უფროსი მკვლევარი. ტარტუ, ესტონეთი.
3. **სავანა-რიკვა პაუელი** – ტარტუს უნივერსიტეტის ლიტერატურისა და კულტურის კვლევების დოქტორანტი.
4. **დაივა რაჩინაიტე-ვიჩინიენე** – მუსიკოლოგიის დოქტორი, ლიეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემიის ეთნომუსიკოლოგიის კათედრის გამგე და პროფესორი. კვლევითი ცენტრის ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების უფროსი მკვლევარი (ლიეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემია).
5. **მარია ესპირიტო სანტო** – ეთნომუსიკოლოგიის პროგრამის დოქტორანტი. ეთნომუსიკოლოგიის ინსტიტუტი – მუსიკისა და ცეკვის კვლევის ცენტრი, ლისაბონის ნოვა უნივერსიტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტი.
6. **მარია დე სან ხოსე კორტე-რეალი** – ეთნომუსიკოლოგიის პროფესორი. ეთნომუსიკოლოგიის ინსტიტუტი – მუსიკისა და ცეკვის კვლევის ცენტრი, ლისაბონის ნოვა უნივერსიტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტი.
7. **ნატალია ზუმბაძე** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი.

8. **ნანა მჟავანაძე** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ა. ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი.
9. **მადონა ჩამგელიანი** – ეთნოლოგიის მაგისტრი.
10. **ბაია ჟუჟუნაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების პროგრამის დოქტორანტი, მუსიკოლოგიის მაგისტრი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტი.
11. **ნინო რაზმაძე** – ეთნომუსიკოლოგიის პროგრამის დოქტორანტი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორის მოადგილე.
12. **თამარ ჩხეიძე** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი და საეკლესიო მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი.
13. **თეონა ლომსაძე** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტი, ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოში საქართველოს რეგიონული წარმომადგენელი.

LIST OF CONTRIBUTORS:

1. **Galina Lukanova** – PhD in Folklore, Assistant Professor, Secretary of the Department Ethnomusicology and Ethnochoreology, Institute of Ethnology and Folklore Studies with Ethnographic Museum, Bulgarian Academy of Sciences.
2. **Janika Oras** – Senior researcher at the Estonian Folklore Archives of the Estonian Literary Museum. Tartu, Estonia.
3. **Savannah-Rivka Powell** – PhD Student of Literature and Cultural Research at the University of Tartu.
4. **Daiva Račiūnaitė-Vyčinienė** – PhD in musicology, Professor and Head of the Department of Ethnomusicology at Lithuanian Academy of Music and Theatre, Chief Researcher of the Ethnomusicology division of Science Center (at Lithuanian Academy of Music and Theater).
5. **Maria Espírito Santo** – PhD student of Ethnomusicology. Institute of Ethnomusicology – Centre of Studies in Music and Dance (Inet-md), faculty of Social Sciences and Humanities, Nova University Lisbon.
6. **Maria de São José Côrte-Real** – Professor of Ethnomusicology. Institute of Ethnomusicology – Centre of Studies in Music and Dance (Inet-md), faculty of Social Sciences and Humanities, Nova University Lisbon.

7. **Natalia Zumbadze** – Doctor of Arts, professor, Head of Georgian Folk Music Department of Tbilisi State Conservatoire.
8. **Nana Mzhavanadze** – Doctor of Arts, Head of International department of A. Erkomaishvili Folklore State Centre of Georgia.
9. **Madona Chamgeliani** – MA in ethnology.
10. **Baia Zhzhunadze** – Ph.D student of cultural studies at Tbilisi State University. MA in musicology. Specialist at the International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire.
11. **Nino Razmadze** – Ph.D student in ethnomusicology, deputy director at the International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire.
12. **Tamar Chkheidze** – Doctor of Arts, associate professor, Head of the Sacred Music Department of Tbilisi State Conservatoire.
13. **Teona Lomsadze** – Doctor of Arts, Specialist at the International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire. Liaison officer of Georgia at ICTM (International Council for Traditional Music).

რედაქტორისაგან

რუსუდან ნურნუშია

დიდა იუნესკოს როლი მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებაში. მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ გააცნობიერა ქვეყნებს შორის მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობაში გლობალიზაციის პროგრესული როლი, მაშინვე გაჩნდა საჭიროება საერთაშორისო საზოგადოებას ეზრუნა ადამიანური კულტურული მემკვიდრეობის ყველაზე მონყვლადი, დაუცველი სფეროს – არამატერიალური, ანუ სულიერი კულტურის გადარჩენაზე. იუნესკო აღმოჩნდა ორგანიზაცია, რომელმაც თავის თავზე აიღო ეს მისია და რომელმაც, აგერ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, არა ერთი უნიკალური ტრადიცია გადაარჩინა დაკარგვას. ამაში უდიდესი როლი შეასრულა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის 2003 წლის კონვენციამ, რომელშიც არა მარტო სხვადასხვა ხალხის სულიერი კულტურის წარუვალი ღირებულებაა დადასტურებული, ან მათი მომავალი თაობისათვის შენარჩუნების აუცილებლობაა დეკლარირებული, არამედ ამისათვის საჭირო კონკრეტული მექანიზმებიცაა ჩადებული საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე, მათ შორის, ფინანსური დახმარებაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიას, რომელიც ზოგჯერ აძლიერებს მასში შეტანილი ძეგლების ცნობადობას, მაგრამ უფრო ხშირად, სრულიად უცნობ საოცარ სამყაროს უშლის თვალწინ მსოფლიოს. ეს პროცესი ჯერ კიდევ კონვენციამდე, ასეთი ნუსხის გაჩენამდე დაიწყო, როცა 2001 წელს იუნესკომ „კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრების“ პირველი ნუსხა გამოაქვეყნა, მასში სხვა 19 ნიმუშთან ერთად ქართული პოლიფონიაც მოხვდა¹. 2008 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციას, ქართულმა პოლიფონიამ იუნესკოს წარმომადგენლობით ნუსხაში გადაინაცვლა. ამჟამად ამ ნუსხაში მრავალი ქვეყნის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია შეტანილი, მათ შორის, ტრადიციული სასიმღერო პოლიფონიის არაერთი ნიმუში.

წინამდებარე ორენოვანი კრებული ზოგიერთი მათგანის შესახებ მოგვითხრობს. იგი შეიქმნა იუნესკოს „მონაწილეობის პროგრამით“ (2020-2021), თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის² მიერ შესრულებული პროექტის ფარგლებში. იდეა ეკუთვნის თეონა ლომსაძეს, რომელიც ფოლკლორის განახლების პრობლემას იკვლევს თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში. მისი ჩანაფიქრით, პროექტს უნდა წარმოედგინა ევროპის მასშტაბით იუნესკოს მიერ აღიარებული სასიმღერო პრაქტიკები და მათ მაგალითზე ეჩვენებინა, რა როლს ასრულებდნენ ისინი ქალთა ლიბერალიზაციის თანამედროვე პროცესებში. მათგან შეირჩა ის პრაქტიკები, რომლებშიც ქალთა რეპერტუარს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს – ბულგარული, ესტონური, ლიეტუვური და პორტუგალიური. რაც შეეხება ქართულ პოლიფონიას, იგი მსოფლიოში საკმაოდ ფართოდაა ცნობილი, ძირითადად, როგორც მამაკაცთა მრავალხმიანობა, რადგან მამაკაცთა სასიმღერო რეპერტუარი მეტად განვითარებულია და რთული მუსიკალური სტრუქტურითაც გამოირჩევა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქალთა რეპერტუარს საქართველოში ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა ხალხის ყოფასა და სულიერ ცხოვრებაში. მეოცე საუკუნის ბოლომდე მისი სასცენო შემსრულებლობის შემთხვევები ქვეყანაში ძალიან მწირი იყო. დღეს ქალთა სასიმღერო ანსამბლები წარმატებით გამოდიან არა მარტო ქართველი და უცხოელი მსმენელების წინაშე და ასრულებენ ე.წ. მამაკაცთა რეპერტუარის ნუმუშებსაც, არამედ აქტიურად ეწევიან საექსპედიციო და საგანმანათლებლო საქმიანობას, ატარებენ ვორქშოფებს როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამ პროექტმა შესაძლებლობა მოგვცა, გვეჩვენებინა, როგორ გაიზარდა თანამედროვე ქართულ ლიბერალურ საზოგადოებაში ქალების როლი მიმდინარე ფოლკლორულ პროცესებში, თუმცა, ამ თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

კრებულში წარმოდგენილი სასიმღერო პრაქტიკებიდან პოლიფონიური ქალთა სიმღერები ბულგარეთის სხვადასხვა რეგიონიდან ორჯერ იქნა შეტანილი იუნესკოს წარმომადგენლობით სიაში – „ბისტრიცელი ბებიები – არქაული პოლიფონია, ცეკვები და რიტუალები“ 2005 წელს იქნა აღიარებული, როგორც „კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედეგრი. 2008 წელს, მან, ქართული პოლიფონიის მსგავსად, წარმომადგენლობით სიაში გადაინაცვლა. მეორედ იუნესკომ 2021 წელს აღიარა ბულგარული „ე.წ. „ვისოკო“

– მრავალხმიანი ხალხური სიმღერა სოფლებიდან დოღენი და სატოვჩა“; ესტონური „სეტო ლეელო, სეტოს პოლიფონიური სიმღერის ტრადიცია“ 2009 წელს შევიდა იუნესკოს წარმომადგენლობით სიაში, ლიეტუვური „სუტარტინები, ლიეტუვური მრავალხმიანი სიმღერა“ – 2010 წელს, ხოლო პორტუგალიური „ქალაქ ლისაბონის ფადო – დედაქალაქისა და ქვეყნის სიმბოლო“ – 2011 წელს.

კრებულში „ქალთა როლი იუნესკოს მიერ აღიარებულ ევროპულ ტრადიციულ სასიმღერო პრაქტიკებში“ შესულია, ძირითადად, გენდერის საკითხებით დაინტერესებულ ქალ-ეთნომუსიკოლოგთა სტატიები, რომლებიც ირეკლავენ ტრადიციულ მუსიკალურ კულტურებში ქალთა როლისა და ფუნქციის ზრდის საყოველთაო პროცესს თანამედროვე ეპოქაში. განსხვავებული ხასიათის ნარკვევებში მოცემულია მსჯელობა ქალთა სასიმღერო შემოქმედების ისტორიულ და თანამედროვე ასპექტებზე.

ბულგარელი ავტორის, გალინა ლუკანოვას ნარკვევში ბულგარული პოლიფონიური სიმღერა – *ფოლკლორული სიმღერის ქალთა ჯგუფები ბულგარეთიდან* თავიდან მიმოხილულია ტრადიციული სიმღერის მდგომარეობა ქვეყნის პოლიტიკურ კონტექსტში ოსმალურიდან საბჭოთა ოკუპაციის ჩათვლით, შემდეგ კი ახსნილია ტრადიციულ სიმღერაში მიმდინარე ცვლილებების მიზეზები და განხილულია ქალთა სასიმღერო ჯგუფების მოღვაწეობა.

სტატიაში ესტონური სეტო ლეელოს შესახებ – *შიდა და ინტერ-კულტურული, ისტორიული და თანამედროვე: სეტო ლეელოს გენდერული პრაქტიკა დროის დინებაში* ავტორები: იანიკა ორასი და სავანა-რიკვა პაუელი განხილავენ სეტოს რეგიონის ისტორიისა და იდენტობის საკითხებს, მის მდგომარეობას თანამედროვე საზოგადოებაში და ლეელოს, როგორც ქალთა ტრადიციის როლს.

ავტორი ლიეტუვადან დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე სტატიაში – *ქალის როლი ლიეტუვის პოლიფონიური სუტარტინეს სასიმღერო ტრადიციაში უძველესი დროიდან დღემდე* – განმარტავს ტერმინის მნიშვნელობას, ყურადღებას ამახვილებს გენდერულ განსხვავებებსა და ფუნქციებზე სუტარტინების ტრადიციაში, ქალთა როლზე აგრარულ რიტუალებსა და კალენდარულ წეს-ჩვეულებებში და სუტარტინებზე, როგორც ახალ სოციოკულტურულ ფენომენზე.

პორტუგალიელი ავტორები მარია ესპირიტო სანტო და მარია დე სან ხოზე კორტე-რეალი სტატიაში – *ქალები, ფადოსა და კანტეს მემკვიდრეობა: პორტუგალიის სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის გაძლიერება* – მსჯელობენ იუნესკოს მიერ აღიარებულ თუ აუღიარებელ არტეფაქტებზე, როგორც ხელისუფლების იდეოლოგიურ იარაღზე, განიხილავენ ამ ტრადიციების მნიშვნელობას ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ქალების როლს ამ პროცესში რამდენიმე თვალსაჩინო მომღერლის მაგალითზე.

უნდა ითქვას, რომ ავტორებს შორის პროექტის მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლები ჭარბობენ (ათი სტატიიდან ექვსის ავტორი ქართველია). ქართველ ავტორთა სტატიები ეძღვნება ქალთა სასიმღერო პრაქტიკებს ტრადიციული შემოქმედების სხვადასხვა სფეროში.

ნათალია ზუმბაძე სტატიაში – *ქართველ ქალთა ტრადიციული სიმღერები: ღირებულება და ადგილი ქართულ სამუსიკო ფოლკლორში* – ყურადღებას ამახვილებს გლეხურ ტრადიციაზე, ბაია ჟუჟუნაძე განიხილავს თემას – *ქალი ავტორ-შემსრულებლები ქართულ ქალაქურ მუსიკალურ ფოლკლორში*, ხოლო ნინო რაზმაძე – *გენდერის საკითხი ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკაში*. საქართველოს მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთი უძველესი შრის, სვანური სიმღერის ტრადიციაზე მოგვითხრობენ ნანა მჟავანაძე და მადონა ჩამგელიანი ნარკვევში – *ქალი და მისი როლი სვანების მუსიკალურ ყოფაში*. თეონა ლომსაძის სტატია – *თანამედროვე ქალი ავტორ-შემსრულებლები ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების კონტექსტში* – ეძღვნება ქალი-შემსრულებლების მონაწილეობას თანამედროვე მუსიკალურ პროცესებში, ხოლო თამარ ჩხეიძისა – *ქართველი ქალები და ქართული საეკლესიო გალობა* – ქალების მოღვაწეობას სასულიერო მუსიკის სფეროში, რომელშიც მათი ჩართულობა, ისტორიულად, ძირითადად, ქალთა მონასტრებში გალობით შემოიფარგლებოდა.

კრებულის ყველა სტატიაში ხაზგასმულია ქალთა ემანსიპაციის უკანასკნელ ათწლეულებში გამოკვეთილი ტენდენციების სასიკეთო გავლენა ქალი-შემსრულებლების აქტივობასა და მათ როლზე წარმოდგენილი ჟანრების განვითარებაში.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ კრებულში წარმოდგენილ ყველა ავტორს, განსაკუთრებით, ჩვენს უცხოელ კოლეგებს, რომელთაც თავიანთი მონაწილეობით შესაძლებელი გახადეს ამ საერთაშორისო პროექტის განხორციელება. კრებულს თან ახლავს აუდიოალბომი, რომელშიც წარმოდგენილია პროექტში მონაწილე ქვეყნების ქალთა რეპერტუარის საუკეთესო ნიმუშები.

იმედს ვიტოვებთ, რომ კრებული მნიშვნელოვნად გაზრდის საზოგადოებრივ ცნობადობას ტრადიციულ კულტურებში ქალთა ემანსიპაცია-ლიბერალიზაციის პროცესების მიმდინარეობის შესახებ.

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ იუნესკოს მიმართ, რომელიც მსოფლიოს ხალხთა ტრადიციული მემკვიდრეობის დაცვით ცდილობს ხიდი გასდოს წარსულსა და მომავალს შორის, რადგან, როგორც ილიას პერეფრაზით წერდა ლაიბნიცი, „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.

შენიშვნები:

1. ამ აღიარებას მოგვიანებით კრიტიკაც მოჰყვა (Tsitsishvili 2009: 3). ვეთანხმები ავტორის არა ერთ მოსაზრებას, მათ შორის, იმასაც, რომ ქართული ეთნომუსიკოლოგია უკანასკნელ დრომდე არ ასახავდა თანამედროვე ქართულ მუსიკალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს, თუმცა სადავოა მისი აზრი, რომ „იუნესკოს ამ კულტურული დისკურსით ხანგრძლივმა [ქართულმა რ.წ.] ნაციონალისტურმა კულტურულმა პოლიტიკამ, რომელიც მხარს უჭერს ქართული ტრადიციული პოლიფონიის უპირატესობას, ახალი იდეოლოგიური მხარდაჭერა ჰპოვა“. ქართული პოლიფონია მრავალი საუკუნის მანძილზე იყო ქართველთა იდენტობის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მნიშვნელოვანი ფაქტორი და წარმოადგენს არა მარტო ქართული ტრადიციული მემკვიდრეობის, არამედ მსოფლიო მრავალხმიანობის ერთ-ერთ გამორჩეულ მოვლენას, რომლის სტრუქტურულ თავისებურებებს დღეს არაერთი არაქართველი მეცნიერიც სწავლობს.
2. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის ცენტრი შეიქმნა 2003 წელს, იუნესკოს მხარდაჭერით. მისი ძირითადი საქმიანობა მიმართულია ორ წელიწადში ერთხელ მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმების ჩატარებასა (ტარდება 2002 წლიდან, მიმდინარე წელს დაგეგმილია მე-11 სიმპოზიუმი) და სხვადასხვა კვლევით და საგამომცემლო საქმიანობაზე. www.polyphony.ge; www.polyphony.symposium.ge.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Tsitsishvili, Nino. 2009. "National Ideologies in the Era of Global Fusions: Georgian Polyphonic Song as a UNESCO-Sanctioned Masterpiece of Intangible Heritage". კრებულში: *Music & Politics* 3, #1, გვ. 3. <https://quod.lib.umich.edu/m/mp/9460447.0003.104/-national-ideologies-in-the-era-of-global-fusions-georgian?rgn=main;view=fulltext> (ნანახია 02.08.2022).
- Leibniz, Gottfried (1714). *The Monadology*. Retrieved from <https://minimalistquotes.com/gottfried-wilhelm-leibniz-quote-143101/>



ლელოს გუნდ ჰელმინეს მომღერლები. სოფელი მიკიტამაე, სეტომაა. მარცხნიდან: ნატი ტარკუსი, ვერა ლუნდა, მინა ჰეინსუ. ფოტო: ვაიკე სარვი, 1995. ესტონეთის ლიტერატურული მუზეუმის ესტონური ფოლკლორის არქივი: ERA, VF 282.

Singers of the *leelo* choir *Helmine*, Mikitamäe village, Setomaa. From the left: Nati Tarkus, Veera Lunda, Minna Hainsoo. Photo by Vaike Sarv 1995. Estonian Folklore Archives of the Estonian Literary Museum: ERA, VF 282.

ბულგარული პოლიფონიური სიმღერა – ფოლკლორული სიმღერის ქალთა ჯგუფები ბულგარეთიდან

გალინა ლუკანოვა

2005 წლის 25 ნოემბერს ბულგარეთმა წარადგინა თავისი განაცხადი „ბისტრიშკიტე ბაბი (ბისტრიცელი ბებიები), არქაული მრავალხმიანობა, ცეკვები და რიტუალები შოპლუკას რეგიონიდან“ იუნესკოს ზეპირი და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედეგების ნუსხაში შესატანად. 2008 წელს ეს განაცხადი დაკმაყოფილდა და ბულგარულმა ქალთა პოლიფონიურმა სიმღერამ მსოფლიო აღიარება მოიპოვა¹.

ბულგარეთის ხალხურ სასიმღერო ტრადიციაში ქალები მღერიან სოლო ან კოლექტიურად ისეთ აქტივობებში, როგორცაა მოსავლის აღება, სედიანკა², ქორწილები და სხვა სხვადასხვა რიტუალი. ბულგარული სასიმღერო მემკვიდრეობა კარგად არის გამოკვლეული და დოკუმენტირებულია ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის აუდიო და ვიდეოარქივებში.

იმისათვის, რომ თვალი გავადევნოთ დროთა განმავლობაში ქალთა ტრადიციული გუნდური სიმღერისა და ქალის როლის ტრანსფორმაციას, ტრადიციის მატარებლებიდან მხატვრული პროდუქტის შემსრულებლამდე რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა აღინიშნოს.

როგორც ცოცხალმა ტრადიციამ, ბულგარეთში ხალხურმა სიმღერა ქრობა 1950-იან წლებში დაიწყო. ეს 1944 წელს მომხდარი პოლიტიკური ცვლილებებით (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბულგარეთი გახდა სოციალისტური ბლოკის ნაწილი), კერძოდ, კერძო საკუთრებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაციონალიზაციითა და მრავალი ყოფილი სოფლის ეტაპობრივი ურბანიზაციით იყო განპირობებული. სოფლური ცხოვრების წესის გადასხვაფერებამ და მასთან დაკავშირებულმა გარდაქმნებმა, ტრადიციები მკვეთრად შეცვალა.

ამასთანავე, მიმდინარეობდა ეროვნული მუსიკალური კულტურის შეგნებული ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც დაახლოებით 70 წლით ადრე დაიწყო. 1878 წელს ბულგარეთის ოსმალური მმართველობისგან გათავისუფლების

შემდეგ, ბულგარელმა მუსიკოსებმა მიზნად დაისახეს „ბულგარული მუსიკალური კულტურის ევროპეიზაცია“ და მისი დაშორება ოსმალეთის იმპერიის მუსიკალური პრაქტიკისგან. ამ ეპოქისთვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი ძალისხმევა პოლიფონიური გუნდების ჩამოყალიბებისთვის – ფენომენი, რომელიც ადრე უცხო იყო ჩვენი კულტურისთვის. ახლადგავრცელებული ევროპული მუსიკის გარდა, ამ ახლად შექმნილი გუნდების რეპერტუარის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო ბულგარული ხალხური მუსიკა აღმოჩნდა (Lukanova 2018: 104).

თავდაპირველად გუნდები მთლიანად მამაკაცებისგან შედგებოდა, მაგრამ 1893 წელს გამოჩნდა პირველი შერეული გუნდი – *დობრი ჩინტულოვი* ქალაქ სლივენში. ხალხური მუსიკის საგუნდო არანჟირებაში კომპოზიტორები, ძირითადად, იყენებდნენ მუსიკალური მასალის ფოლკლორულ ციტატებს, ჩვეულებრივ ათავსებდნენ მას ფუნქციონალური ტონალური ჰარმონიის ახალ კონტექსტში (Kuteva 1985: 75).

1944 წელს რეჟიმის ცვლილებამ ბულგარული მუსიკალური კულტურისადმი ახალი დამოკიდებულება დაბადა. წარსულის მუსიკის შესანარჩუნებლად 1948 წელს დაარსდა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის მუსიკის ინსტიტუტი; პარალელურად, დაიწყო ხალხური სიმღერების ჩანაწერების სისტემატური შეგროვების მცდელობა ქვეყნის ყველა კუთხიდან. მაგრამ იმის გამო, რომ ცოცხალი ტრადიცია უკვე შეუქცევადად შეიცვალა და აღარ ჰქონდა ხალხის ცხოვრების არსებითი ასპექტის თავდაპირველ მნიშვნელობა, მისი შენარჩუნება მოითხოვდა გადატანას მინდვრებიდან, ქორწილებიდან და სოფლის დღეობებიდან მუსიკალურ დარბაზებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, სახელწოდებით *ჩიტალიშტა* (*Chitalishta*)³.

სოციალისტური რეჟიმის თავისებურება ის იყო, რომ იგი მტკიცედ უჭერდა მხარს სამოყვარულო ხელოვნებას და ხელს უწყობდა ხალხური მუსიკის სასცენო შესრულებას კონცერტებსა და ფესტივალებზე, ამიტომ ტრადიციის შესანარჩუნებლად გუნდებს დაევალიათ მისი ხელახლა შექმნა სასცენო ვერსიის სახით. ამრიგად, გადაშენების პირას მყოფმა მუსიკალურმა ტრადიციამ სამოყვარულო ხელოვნების გზით ახალი სიცოცხლე შეიძინა (Peycheva 2008).

1950-იან წლებში ბულგარეთში განვითარების კიდევ ერთ საშუალებად –

ხალხური მუსიკის შესრულების შეცვლილი კურსი ე.წ. ფოლკლორული ანსამბლები იქცა. საბჭოთა გუნდებისა და ფოლკლორული ანსამბლების მაგალითზე შემსრულებლები ტრადიციულ სამოსში (თავიდან აუთენტიკური, მოგვიანებით სტილიზებული) გამოდიოდნენ სცენაზე. ეს ანსამბლები ასრულებდნენ ბულგარელი კომპოზიტორების მიერ პოლიფონიურ ფაქტურაში ჰარმონიზებულ ხალხურ მუსიკას. კომპოზიტორები ქვეყნის ხელმძღვანელობის ბრძანების თანახმად მოქმედებდნენ. მათი მიზანი იყო ეპოვით ახალი გზები ბულგარული ხალხური სიმღერის ახალ მუსიკალურ ნაწარმოებებში ინტეგრაციისთვის.

1951 წელს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაარსებამ გზა გაუხსნა მომდევნო წლებში მრავალი ფოლკლორული ჯგუფისა და გუნდის ჩამოყალიბებას მთელი ქვეყნის მასშტაბით (Kaufman 1998: 155). ბულგარელმა კომპოზიტორმა და ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის პირველმა დირექტორმა, ფილიპ კუტევმა სახელმწიფოს იმდროინდელი მიზნები გამოაცხადა: „სადაც ჯერ კიდევ ცოცხალია ხალხური სიმღერის სკოლა, უნდა შეიქმნას მცირე სოფლის, ჰომოგენური, ქალთა თუ შერეული გუნდები, რომ შეასრულონ ორივე, ადგილობრივი ხალხური და, ჰარმონიზებული და არანჟირებული სიმღერები“ (Kuteva 1953: 44-45). 1950-იან წლებში კუტევისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობით მოქმედ სხვა ხელოვანთა ძალისხმევით, სოფლებსა და ქალაქებში სამოყვარულო ხელოვნების სწრაფმა განვითარებამ და ურბანული გუნდებისა და ანსამბლების სისტემატურმა ჩამოყალიბებამ ბულგარეთი მისი მდიდარი სასიმღერო ფოლკლორის სრულ გაქრობისკენ წაიყვანა.

ამ ახლად ჩამოყალიბებულ ანსამბლებს ახასიათებდა განსაკუთრებული „ხალხური“ ჟღერადობა – „დაუმუშავებელი“ ტემბრი, უმეტესად მკერდისმიერი სასიმღერო ტექნიკით შესრულება, საკმაოდ განსხვავებული კლასიკური ვოკალური შესრულებისგან. მაგრამ მათ რეპერტუარში შედიოდა საავტორო სიმღერები, სრულიად განსხვავებული აუვთენტიკური ხალხური სიმღერისგან. როდესაც 1975 წელს შვეიცარიელმა პროდიუსერმა მარსელ სელიერმა გამოსცა ალბომი *The Mystery of the Bulgarian Voices*, ბულგარეთი მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა სწორედ ამ კონკრეტული ხმოვანებითა და ხალხური მუსიკის მრავალხმიანი საგუნდო არანჟირებით.

1989 წლისთვის, სოციალიზმის კოლაფსის შემდეგ მოხდა კიდევ ერთი პოლიტიკური ცვლილება. ასობით ე.წ. „ხალხური გუნდი“ ჩამოყალიბდა მთელი ქვეყნის მასშტაბით – როგორც სახელმწიფო, ასევე, სამოყვარულო გუნდები, რომლებიც, ძირითადად, ქალებისგან შედგებოდა. ორივე ტიპის გუნდები ფართო პოპულარიზაციას და მხარდაჭერას იღებდნენ სახელმწიფოს მხრიდან.

ამავე დროს, ბულგარეთის ზოგიერთ ჩიტალიშტაში ჯერ კიდევ იყო გუნდები, რომლებიც ასრულებდნენ აუთენტიკურ ორხმიან ხალხურ სიმღერებს – სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნამდვილ ტრადიციულ მრავალხმიან მუსიკას. ეს გუნდები ბულგარელი ფოლკლორისტების კვლევის საგანია და ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობობენ მთელს მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში. ისინი, ასევე, მრავალი პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდოს მფლობელები არიან. ამ მსოფლიო აღიარების გვირგვინად შეგვიძლია მივიჩნიოთ 2005 წელს ბისტრიშკიტე ბაბის იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედეგად აღიარება. ამრიგად, მრავალხმიანი მუსიკის მხრივ, ბულგარეთი ცნობილი გახდა ორი რადიკალურად განსხვავებული მუსიკალური მიღწევით: 1) დამუშავებული ხალხური მრავალხმიანობა, რომელიც ცნობილია როგორც „ბულგარული ხმების საიდუმლო“, ანუ კომპოზიტორების მიერ არანჟირებული ხალხური მელოდიები და 2) ტრადიციული ორხმიანი სიმღერები, რომელიც ნამდვილი ხალხური მემკვიდრეობაა.

როგორ იმოქმედა ხალხური სიმღერის ტრანსფორმაციის ამ პროცესმა ქალებზე? ისინი ხალხური ტრადიციის მატარებლებიდან მხატვრული პროდუქტის შემსრულებლებად იქცნენ. ამ ორი ტიპის ანსამბლში მონაწილეთა დამოკიდებულებაც, შესაბამისად, განსხვავებულია. ხალხური გუნდის წევრთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ, მათმა უმეტესობამ მიიღო ფორმალური მუსიკალური განათლება ბულგარეთის ხალხური ხელოვნების დაწყებით და საშუალო სკოლებში (პირველი სკოლა 1967 წელს დაარსდა). თითოეული არის შემსრულებელი, რომელიც დაეუფლა რეგიონალური ხალხური სიმღერის ერთ-ერთ სტილს, როგორც სოლისტი, მაგრამ, ასევე, კარგად არის განვრთნილი დასავლეთ ევროპის პოლიფონიაში, რადგან ბევრი საავტორო საგუნდო ნაწარმოები რთული შესასრულებელია და საჭიროებს განვითარებულ მუსიკალურ უნარებს. რთული ნაწარმოების შესრულებისას მათ, როგორც მალაკვალიფიციურ არტისტებს, თავდაჯერება ახასიათებდათ.

ტრადიციული სიმღერის ანსამბლებში დამოკიდებულება განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლები რეგულარულად მონაწილეობენ კონცერტებსა და ფესტივალებში, წევრები გამოხატავენ დედებისა და ბებიებისგან მემკვიდრეობით მიღებული სიმღერებისადმი მეურვეობის გრძნობას და ზრუნავენ, რათა თავიანთი რეპერტუარი თანამედროვე გავლენისგან დაიცვან.

ამ სიმღერების შესრულების მანერა წლების განმავლობაში მაინც იცვლებოდა. მაგალითად, ცნობილი ვოკალური ანსამბლის *ბისტრიშკიტე ბაბი* სახელი, ახალგაზრდა ქალთა ანსამბლმა *ბისტრიცელი შვილიშვილები-თ* ჩაანაცვლა. ეს ანსამბლი ბებიების ტრადიციული სიმღერების შესრულებისა და შენარჩუნების მიზნით ჩამოყალიბდა. როდესაც ათი წლის წინ ეს ორი ანსამბლი პირდაპირ ერთში მოვისმინე, მაშინვე შევნიშნე განსხვავება სიმღერის მანერაში უფროს ქალებსა და უმცროსებს შორის. ხმის ტემბრები განსხვავებულია, მელოდიებიც ევროპულ ტემპერირებულ სისტემასთანაა მიახლოებული (ახალგაზრდა ანსამბლის წყობა უფრო ტემპერირებულია, შემსრულებლები ნაკლებად მიმართავენ მკერდისმიერ ხმოვანებას, მათი შესრულება უფრო ახლოსაა ევროპულ კლასიკურ ჟღერადობასთან). სამწუხაროდ, დღეს სიმღერის ტრადიციული ფორმა თითქმის გაქრა, თაობები წავიდნენ და ახლანდელი „ბებიები“ 60-70-იან წლისები არიან, რაც ნიშნავს, რომ ისინი სულ სხვა დროს იზრდებოდნენ. მიუხედავად ამისა, *ბისტრიშკიტე ბაბი* რჩება ბულგარეთის იმ მცირერიცხოვან ჯგუფებს შორის, რომლებიც წარმატებით წარმოადგენენ და ინახავენ ტრადიციულ სიმღერებს შოპლუკას რეგიონიდან.

არსებითად, ქალთა სიმღერა ბულგარულ ხალხურ ტრადიციაში არის მონო-ფონიური (სოლისტი ან ჯგუფის მიერ შესრულებული), პოლიფონიური (შედგება ორი ერთდროულად შესრულებული მელოდიისგან ან ანტიფონიური (ორხმიანი, ორ გუნდს შორის გადაფარვით). *ბისტრიშკიტე ბაბის* მიერ წარმოადგენილი შოპლუკას რეგიონის ორხმიანი სიმღერებისთვის დამახასიათებელია ორგუნდოვანი ანტიფონიური შესრულება. პირველ (ზედა) ხმას თითოეულ გუნდში ასრულებს მომღერალი, რომელიც „ამაღლებს“, „მოხდახის“ ან „გადასცემს“ მელოდიას. მეორე (დაბალი) ხმა, რომელსაც რამდენიმე მომღერალი ასრულებს, მას „ზიდავს“ ან „მიჰყვება“. ეს ხმა ჰკავს ბურდონს ერთ შეკავებულ ბგერაზე, მაგრამ ხშირად მოძრაობს პირველ ხმასთან ახლოს, რითაც ქმნის დისონანსებს. შოპლუკას რეგიონის სიმღერების კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა

შეძახილები და ე.წ. რყევა (ბულგარულად *tresene* ან *natrisane*), წააგავს ტრემოლოს ან ფართო ამპლიტუდის ვიბრაციას. კრებულში თანდართულ აუდიოალბომში შესურლი ერთ-ერთი ბულგარული სიმღერა „ბისტრიშკიტე ბაბის“ 1985 წლის საველე ჩანაწერია, რომელიც დაარქივებულია IEFEM-BAS-ის⁴ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ ცენტრში. მიუხედავად იმისა, რომ მისი ტექნიკური ხარისხი სასურველზე დაბალია, ეს საარქივო ჩანაწერი ასახავს იმ ხმოვანებას რომელიც დღეს უკვე იშვიათად ისმის.

ე მა - ლო სე - ლო, მა = - ლო სე =

ა! ე მა - ლო სე - ლო რა - ნო ვე - ჩე -

რა = - ა - ლო, ა!

სანოტო მაგ. 1. პატარა სოფელი ადრე ვახშობდა (*Мало село рано вечеряло*):

„პატარა სოფელმა ადრე ივახშმა, ივახშა და ადრე დაიძინა.

მათ ადრე დახურეს ბზის კარიბჭე,

რადგან სოფელში თურქები გაივლიდნენ“ (Forsythe 1996: 370).

ბისტრიშკიტე ბაბის ნიმუშების მოსმენა შეგიძლიათ აქ: ვიდეომაგ. 1, 2, 3.

სხვა მუსიკალურად საინტერესო რეგიონში შედის სოფლები დოლენი და სატოვჩა, რომლებიც მდებარეობენ სამხრეთ-დასავლეთ ბულგარეთში, ორ ეთნოკულტურულ ზონას შორის, კერძოდ, პირინისა და როდოპის მთების საზღვარზე. აქ შემორჩენილია იდიოსინკრეტული, არქაული ჟღერადობა – ქალთა მრავალხმიანი სიმღერა „სიმაღლებე“. დღეს ამ ტრადიციის მთავარი მატარებლებია ქალთა ფოლკლორული ჯგუფი სოფელ დოლენიდან და მეორე სოფელ სატოვჩადან. სატოვჩას გუნდი 2010 წელს შეიყვანეს ბულგარეთის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ წარმომადგენ-

ლობით სიაში. ეს გუნდი, ასევე, არის მოყვარულთათვის ევროპის ხალხური ხელოვნების ჭილდოს მფლობელი, რომელსაც გასცემს ალფრედ ტოპფერის ფონდი (Alfred Töpfer Foundation) ევროპული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების, კულტურული ძეგლებისა და ფოლკლორის სფეროში (Peycheva 2012).

სიმღერა „სიმალღებე“ აერთიანებს ორხმიან ანტიფონურ სიმღერებს, რომლებიც წარმოიშვა პირინის მხარეში. მათთვის დამახასიათებელია ორხმიანი, განმეორებითი „ყვირილი“ ძირითად ბგერასთან ოქტავის კორდინაციით, რასაც მოჰყვება დაღმავალი გლისანდო და ტექსტის რეჩიტაცია. შემსრულებლების თქმით, ამ სიმღერების წარმოშობა ასეთია: ადრე, როცა ქალები ასრულებდნენ სამუშაოს მინდორში, სოფლისკენ მიმავალ გზაზე დგებოდნენ გზისპირა გორაზე და იწყებდნენ სიმღერას, რომ ენახათ, რომელი ჯგუფი იყო საუკეთესო. ერთ-ერთმა ჯგუფმა იმღერა და საპასუხოდ სხვებმა დაიწყეს შეძახილების ამალგება ერთგვარი დამცინავი მანერით. ეს უჩვეულო თამაში მომღერლებს მოეწონა და ტრადიციად დამკვიდრდა^{5 6}.

მკვლევართა აზრით, ბულგარეთის ამ გეოგრაფიულ რეგიონში ასეთი სიმღერების არსებობა გვიან ანტიკურ ხანაში მასობრივი მიგრაციის მტკიცებულებაა (Узунов 2012).

სიმღერებს „სიმალღებე“ ასრულებს მომღერლების სამი ჯგუფი. პირველი ჯგუფი მღერის მთავარ, ორხმიან ბურდონულ სიმღერას. ეს ჯგუფი, ჩვეულებრივ, შედგება სამი მომღერლისგან, ერთი მღერის ზედა მელოდიურ ხმას, ხოლო დანარჩენი ორი – ბანს, ანუ „მზიდავ“ ხმას. მეორე ჯგუფი მღერის სტროფებს, რომლებიც უკვე ანტიფონურად იმღერა პირველმა ჯგუფმა. მესამე ჯგუფი შედგება ორი მომღერლისგან, სახელწოდებით „რუკაჩკები“ (მოდახილები). ისინი ასრულებენ შეძახილებს. ეს კომბინაცია საკმაოდ არასტაბილურად ჟღერს, რომელიც შედგება მრავალი მოულოდნელი შეძახილისგან ოქტავის ინტერვალით.

2021 წლის 14 დეკემბერს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სამთავრობათაშორისო კომიტეტის მე-16 სესიაზე გადაწყდა დოლენისა

და სოტოგჩას მაღალი სიმღერა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეტანა. კრებულში თანდართულ აუდიოალბომში შესულია ერთ-ერთი სიმღერა ამ სასიმღერო პრაქტიკიდან, რომელიც, ასევე, წარმოდგენილია გუნდის დოკუმენტაციაში იუნესკოს პროგრამისთვის „ცოცხალი

სანოტო მაგ. 2. ნამმა მოიცვა ბალახი და ბალახი აყვავდება (Паун пасе, трева никне)

“ნამმა მოიცვა ბალახი,
და ბალახი ყვავის,
ჰეი, შენ, მწვანე ტყე.
ბალახი ყვავის
და ფარშევანგი ბალახობს,
ჰეი შენ, მწვანე ტყე.

ფარშევანგი ძოვს,
და მას ბუმბული ცვივა,
ჰეი შენ, მწვანე ტყე.
ქალწულები აგროვებენ მათ
და მათგან ბეჭდებს ქსოვენ,
ჰეი შენ, მწვანე ტყე.

ქალწულები ბუმბულებს ბეჭდებდად ქსოვენ,
ჰეი შენ, მწვანე ტყე.

ისინი ქსოვენ მათ რგოლებად

და ბეჭდებს ჩუქნიან ყმანვილებს,

ჰეი შენ, მწვანე ტყე“ (Selyashki 2012: 21).

ბისტრიშკიტე ბაბი და ქალთა ფოლკლორული ჯგუფი სოფელ სატოგჩადან ასახავს ბულგარელი ქალების მიერ ძველი ხალხური სიმღერების შესრულებას. სწრაფად განვითარებად სამყაროში და თანმიმდევრულად განსხვავებული ნყოფის სისტემაში, რომელშიც ჩვენ ახლა ვართ ჩაძირული, სულ უფრო რთულია



ბისტრიშკი ბაბი – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ცენტრი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიულ მუზეუმთან ერთად არსებული ეთნოლოგიისა და ფოლკლორის ინსტიტუტი. არქივის ნომერი: ФТАИФ 1656-10.

Bistrishki babi – National Center for Intangible Cultural Heritage, Institute of Ethnology and Folklore with the Ethnographic Museum at the Bulgarian Academy of Sciences. Archive number: ФТАИФ 1656-10.

ძველი ტრადიციის შენარჩუნება ან ხელახლა შექმნა. როგორც უკვე ხაზგასმით აღვნიშნე, ასეთ ჯგუფებში შემსრულებლებმა აშკარად იციან, რომ მათი მისიაა ამ სიმღერების თაობიდან თაობაზე გადაცემა და თანამედროვე გავლენისგან დაცვა. პასუხისმგებლობის ეს გრძნობა მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც ეროვნულ იდენტობასთან, ასევე, გენდერთან. საბედნიეროდ, ბულგარეთში არიან ადამიანები, რომლებიც პატივს სცემენ ტრადიციას და აფასებენ ამ ტიპის მუსიკას. მისასალმებელია, რომ სახელმწიფო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის არქივების მეშვეობით მხარს უჭერს ასეთი ჯგუფების ძალისხმევას. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს იუნესკოს მხარდაჭერას მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის.

რაც შეეხება ანსამბლებს, რომლებიც ბულგარეთში ხალხურ პოლიფონიურ გუნდებად იხსენიებიან და ასრულებენ ახლად შექმნილ ფოლკლორულ მუსიკას, მათ შორის ბევრი მსოფლიო მასშტაბითაა ცნობილი. ამ ტიპის გუნდებია ბულგარული ხმების საიდუმლო დორა ხრისტოვას ხელმძღვანელობით, ფილიპ კუტევის ეროვნული ანსამბლი (ხელ. გეორგი გენოვი), ვანია მონევა (ხელ. ვანია მონევა), ბულგარული ანგელოზების ხმები (ხელ. კატია ბარულოვა) და პლოვდივის მუსიკის, ცეკვისა და სახვითი ხელოვნების აკადემიის პროფ. ასენ დიამანდიევის ქალთა გუნდი (ხელ. კოსტადინ ბურაჯიევი). მათი ჩანაწერები ხელმისაწვდომია ინტერნეტში, მაგრამ მე შემოგთავაზებთ რამდენიმე მაგალითს, რათა გაჩვენოთ განსხვავება ტრადიციულ სიმღერასა და ჰარმონიზებულ ხალხურ მუსიკას შორის (ვიდეომაგ. 4, 5, 6, 7, 8).

ამ სტატიის მომზადებისას, ასევე, შევხვდი ანსამბლ ბისერას სოფიიდან. მის ხელმძღვანელს, მილენა სპასოვას ვკითხე, თუ რატომ აირჩია ჰარმონიზებული სიმღერები რეპერტუარისთვის. მისი თქმით, ბულგარული ხალხური სიმღერების არანჟირებები ისეთი კომპოზიტორების, როგორებიც არიან ფილიპ კუტევი, კრასიმირ კიურკჩიისკი, სტეფან მუტაფჩიევი, ნიკოლაი კაუფმანი, სტეფან კანევი, პეტარ ლეონდევი და სხვები, უფრო საინტერესოა, ვიდრე აუთენტიკური ორხმიანი სიმღერები. ეს არის „ფასდაუდებელი მარგალიტი“, რომელიც აუცილებლად უნდა იმღერო (აქედან მომდინარეობს მათი ჯგუფის სახელი, რაც ბულგარულად მარგალიტს ნიშნავს).

თავად მილენა სპასოვა განათლებით არის მუსიკის პედაგოგი. ანსამბლი სულ შვიდი ქალბატონისგან შედგება, წევრებს სხვადასხვა პროფესია აქვთ – მასწავლებლები, IT სპეციალისტი, ბანკირი და ჰიდრაავლიკური ინჟინერი.

მილენა სპასოვასთან ვისაუბრე ქალის, როგორც შემსრულებლის როლზე. მისი თქმით, მუსიკალური შემსრულებლობა ქალებისთვის სოციალურ აქტივობაში ჩართვის საშუალებაა. თითოეული წევრი უაღრესად ლოიალურია ჯგუფის მიმართ. თითოეული ცოლი და დედაა, მაგრამ რეგულარულად ესწრება რეპეტიციებს. ეს ქალები ერთმანეთთან ურთიერთობენ რეპეტიციებისა და კონცერტების მიღმაც. ზოგს აუთენტიკური ხალხური კოსტიუმი ოჯახური მემკვიდრეობიდან ერგო, ზოგმა ახალი შეიკერა, მაგრამ ყველა მათგანი დიდი სიამაყით ატარებს და ბრაზობენ კიდევ, თუ წარმოდგენის ადგილი მათგან სხვაგვარად ჩაცმულობას მოითხოვს.

2019-2020 წლებში პანდემიამ ისინი რეპეტიციებს ჩამოაშორა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი კვლავ გაერთიანდნენ, თვლიან, რომ დაუბრუნდნენ სხვა, უფრო სრულყოფილ, შინაარსიან და მდიდარ ცხოვრებას (ვიდეომაგ. 9).

ბულგარეთში ხალხური მუსიკის ტრანსფორმაციის შესახებ ჩემი მიმოხილვის ბოლოს აღვნიშნავ, რომ არსებობს კიდევ ერთი ტიპის ქალთა გუნდი, რომელიც ასრულებს ფოლკლორულ არანჟირებას. ეს არის ქალთა გუნდები, რომლებიც სპეციალიზირებული არიან ევროპულ კლასიკურ მუსიკაში, რომელთა რეპერტუარი ხალხური მუსიკის არანჟირებასაც მოიცავს. ისინი ხშირად ასრულებენ იგივე არანჟირებას, რასაც ხალხური გუნდები, მაგრამ განსხვავებული, უფრო კლასიკური ჟღერადობის ტემბრითა და უფრო მაღალ რეგისტრში (ხალხური გუნდების რეგისტრი ზოგადად უფრო დაბალია, ვიდრე კლასიკური გუნდებისა). გარდა ამისა, კლასიკური გუნდების შესრულებაში ნაკლებია ორნამენტაცია. ხშირად სიმღერების ტექსტებიც კი იცვლება, დიალექტური ლექსიკისა ან იდიომების ამოკლებით, რაც რთული გასაგებია თანამედროვე მსმენელებისთვის. მაგალითად, ავიღოთ კომპოზიტორ ფილიპ კუტევის მიერ არანჟირებული სიმღერა *ვახშამი, რადო*. პირველს *ფილიპ კუტევის* ეროვნული ანსამბლის სოლისტები ასრულებენ (ვიდეომაგ. 10). მეორე არის სოფიას სამხატვრო ეროვნული აკადემიის ქალთა და გოგონათა აკადემიური გუნდი *სვეტა პარასკევა*, რომელსაც მე ვდირიჟურობ (ვიდეომაგ. 11).

როდესაც როგორც შემსრულებელს გვეკითხებიან, რატომ ვასრულებთ ამ მუსიკას? ჩვენი პასუხია: იმიტომ, რომ ძალიან მოგვწონს და ესთეტიკურად სიამოვნებას გვანიჭებს. პარადოქსულია, რომ მუსიკის ეს ტიპი, ხალხური მუსიკის მსგავსად, მუდმივად ვითარდება, აუთენტიკური მონოფონიური მელოდიებიდან საკომპოზიტორო არანჟირებამდე, რომელიც ინარჩუნებს ტემბრულ თავისებურებებს, ტემბრის შედარებით ახალი იდეალების, ტექსტისა და შესრულების ესთეტიკის კონტექსტშიც. ხალხური მუსიკის ჩვენი უახლესი ადაპტაციები მოიცავს ისეთ კლასიკურ მუსიკალურ ინსტრუმენტებსაც კი, როგორცაა ფორტეპიანო. მათი შესრულება საჭიროებს შერეულ გუნდს, კლასიკური და ხალხური ვოკალის კომბინაციას. ამის მაგალითია სიმღერა *როდოპების სუნთქვა*, რომლის არანჟირების ავტორია ვალენტინა დობრევა. ჩანანერს ასრულებს აკადემიური გუნდი *სვეტა პარასკევა*, დირიჟორი: გალინა ლუკანოვა, სოლისტი: ვალენტინა დობრევა (ვიდეომაგ. 12).

ცხადია, ქალებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბულგარული სასიმღერო ფოლკლორის და ზოგადად მუსიკალური კულტურის განვითარების ყველა პერიოდში. თავდაპირველად ისინი იყვნენ ტრადიციის მატარებლები. დღეს-დღეობით ქალები არიან პროფესიონალი მომღერლები, კომპოზიტორები, დირიჟორები. სასიმღერო გუნდებში წევრობას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ქალისთვის, დაწყებული ტრადიციის შენარჩუნებისკენ სწრაფვით, გაგრძელებული შემოქმედებითი იმპულსით, სასცენო წარმოდგენაში მონაწილეობის სურვილითა თუ, უბრალოდ, სოციალიზაციის შესაძლებლობით.

თარგმნა ბაია ჟუჟუნაძემ

შენიშვნები:

1. 2008 წლიდან რამდენიმე ფოლკლორული ანსამბლი შეტანილია ბულგარეთის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ წარმომადგენლობით სიაში. დამატებითი დეტალებისთვის იხ: <https://bulgariaich.com/?act=content&rec=2> (ნანახია 21.07.2021).
2. ბულგარული ხალხური პრაქტიკა, რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ერთად შეკრება“, „გაბფესტი“ ან „ჩიტ-ჩატი“.
3. კრებითად შეტანილია იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრების სიაში სახელწოდებით „ეროვნული ჩიტალიშტე: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების პრაქტიკული გამოცდილება“.
4. ბულგარეთის მეცნიერებთა აკადემიის ეთნოგრაფიულ მუზეუმთან არსებული ეთნოლოგიისა და ფოლკლორის ინსტიტუტი.
5. ინტერვიუ სატოვჩას ქალთა ფოლკლორული ჯგუფის ხელმძღვანელ მარია ჩობანოვასთან: https://www.youtube.com/watch?v=kkSx8_V_eCo (ნანახია 24.07.2021).
6. დოლენის და სატოვჩას მაღალი სიმღერა: <https://www.youtube.com/watch?v=975ROm5PbK4&t=8s> (ნანახია 14.01.2022).

ვიდეომაგალითები:

1. *მეტრა მდინარეზე რეცხავს*. ასრულებს ბისტრიშკიტე ბაბი: <https://www.youtube.com/watch?v=5zvpkTU6cNs>
2. *იორდანო მომე*. ასრულებს ბისტრიშკიტე ბაბი: <https://www.youtube.com/watch?v=AYhimzh1wQ>

3. *გელ იანო*. ასრულებს ბისტრიშკიტე ბაბი:
<https://www.youtube.com/watch?v=Xh3kDUI3W4U&t=86s>
4. *ჩიტი გადაფრინდა*. ასრულებს ფილიპ კუტევის ეროვნული ანსამბლის გუნდი (დირიჟორი გიორგი გენოვი):
<https://www.youtube.com/watch?v=nRfUF3xiGiY>
5. ნიკოლაი კაუფანი – პატარა ბიჭს სძინავს. ასრულებს ვანია მონევას გუნდი (დირიჟორი ვანია მონევა):
<https://www.youtube.com/watch?v=xP-pzxcg784w>
6. *მზე ანათებდა* (არანჭირების ავტორი კოსტადინ ბურაჯიევი). ასრულებს პლოვდივის მუსიკის, ცეკვისა და სახვითი ხელოვნების აკადემიის პროფ. ასენ დიამანდიევის ქალთა გუნდი (დირიჟორი კოსტადინ ბურაჯიევი):
<https://www.youtube.com/watch?v=YsaZYnl3L5E>
7. პეტარ ლიონდევი – ერგენ დედა. ასრულებს ბულგარული ხმების საიდუმლო (დირიჟორი დორა ხრისტოვა):
<https://www.youtube.com/watch?v=Wn8yincEK-Q>
8. პეტარ ლიონდევი – კაფალ სვირი. ასრულებს ბულგარული ანგელოზების ხმები (დირიჟორი კატია ბარულოვა):
https://www.youtube.com/watch?v=levOES7XmEY&list=RDlevOES7XmEY&start_radio=1&rv=levOES7XmEY&t=30
9. გიორგი პეტკოვი – ნუხელ სედენკი გავაკეთეთ. ასრულებს ფოლკლორული ჯგუფი ბისერა (დირიჟორი მილენა სპასოვა):
<https://www.youtube.com/watch?v=Cy6Y3BvGXL4>
10. ფილიპ კუტევი – ვახშამი, რადო. ასრულებს ფილიპ კუტევის ეროვნული ანსამბლის გუნდის სოლისტები (დირიჟორი გიორგი გენოვი):
<https://www.youtube.com/watch?v=IXZbHnKCq7M>
11. ფილიპ კუტევი – ვახშამი, რადო. ასრულებს ეროვნული სამხატვრო აკადემიის სვეტა პარასკევას აკადემიური გუნდი (დირიჟორი გალინა ლუკანოვა):
https://www.youtube.com/watch?v=qz_M1J04_m8
12. ვალენტინა დობრევა – როდოპების სუნთქვა. ასრულებს ეროვნული სამხატვრო აკადემიის სვეტა პარასკევას აკადემიური გუნდი (დირიჟორი გალინა ლუკანოვა):
https://www.youtube.com/watch?v=UZrmy_q36PA

აუდიომაგალითები:

აუდიომაგ 1. *ბისტრიშკი ბაბი* (1985) – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ცენტრი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიულ მუზეუმთან ერთად არსებული ეთნოლოგიისა და ფოლკლორის ინსტიტუტი. არქივის ნომერი: ФНАИФ 2790.

აუდიომაგ 2. ქალთა ფოლკლორული ჯგუფი სოფელ სატოვჩადან (2008) – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ცენტრი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიულ მუზეუმთან ერთად არსებული ეთნოლოგიისა და ფოლკლორის ინსტიტუტი. არქივის ნომერი: ФНАИФ 2467.

გამოყენებული ლიტერატურა (იხ. გვ. 239).

შიდა და ინტერ-კულტურული, ისტორიული და თანამედროვე: სეთო ლეელოს გენდერული პრაქტიკა დროის დინებაში

იანიკა ორასი

სავანა-რიკა პაუელი

შესავალი

უნესკოს მიერ აღიარებულ ევროპის სასიმღერო პრაქტიკებში ქალის როლის შესწავლისას, სეტოს ხალხის ტრადიციებს გვერდს ვერ ავუვლით. ეს ნაშრომი წარმოადგენს შესავალს ქალის როლზე სეთო ლეელოს პრაქტიკაში და ამ როლის ისტორიული გავლენის ანალიზს სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში. ისტორიულად, სოფლის დღესასწაულები და რიტუალური დღეობები ქალებს სხვადასხვა შესაძლებლობას აძლევდა საკუთარ თემში თავის წარმომადგენლობისთვის; თუმცა, შედარებით თანამედროვე დროში ქალებმა შესრულების საზღვრები საჯარო სფერომდე გააფართოვეს. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ, თუ რა ფაქტორებმა შეიძლება მოახდინონ გავლენა ამ ტრადიციებზე და, ზოგიერთ შემთხვევაში, მისცენ ქალებს შესაძლებლობა, გასცდნენ ტრადიციული პატრიარქალური ოჯახის სტრუქტურების საზღვრებს. ეს კვლევა იწყება სეტოს ისტორიისა და იდენტობის მოკლე განმარტებით, რასაც მოჰყვება სეთო ლეელოს და მისი პოზიციის მიმოხილვა თანამედროვე საზოგადოებაში. ანალიზის ბოლოს განვიხილავთ ლეელოს, როგორც ქალთა ტრადიციის როლს.

სეთოს ისტორია და იდენტობა

სეთო არის ფინური წარმოშობის ეთნიკური უმცირესობა, რომელიც წარმოადგენს ბალტიის ზღვის რეგიონში მცხოვრებ ყველაზე დასავლურ ფინო-უგორულ ხალხებს. სეთომასს (სეტოს მინა) ისტორიული ტერიტორია მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ესტონეთში და რუსეთის ფსკოვის ოლქის პეჩორის რაიონში. სეთო ენა მჭიდრო კავშირშია მეზობელ ვორუ (Võru) დიალექტთან სამხრეთ-აღმოსავლეთ ესტონეთში. 2011 წლის ესტონეთის აღწერამ გამოავლინა დაახლოებით 12,800 სეთო ენაზე მოლაპარაკე. ესტონეთში მცხოვრები სეთო მოსახლედან 3500-ზე ნაკლები ცხოვრობს ისტორიულ სეთომაში. სეტოს

მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს ტარტუში, ტალინსა და სეტომას ფარგლებს გარეთ სხვა ადგილებში. სეტომას რუსულ მხარეს მხოლოდ 200-300 სეტოა დარჩენილი (Hagu 2014: 9).

მიუხედავად იმისა, რომ სეტო ენობრივად მიეკუთვნება ფინურ ხალხებს, რომლებიც დასახლდნენ ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ძვ. წ. II-I ათასწლეულის მიჯნაზე, მისი შემდგომი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთთან. მეორე ათასწლეულის დასაწყისში ქრისტიანიზაციისა და ესტონეთის ტერიტორიაზე დასავლელი და აღმოსავლელი დამპყრობლების შეჭრის პერიოდში, სეტოს რეგიონი დაიპყრო რუსეთმა და იგი მისი მმართველების კონტროლის ქვეშ მოექცა. ამ ისტორიული პროცესების შედეგად, სეტოს რელიგიური პრაქტიკა მართლმადიდებლურია, განსხვავებით დანარჩენი ესტონეთისგან, რომელიც კათოლიკურ და, მოგვიანებით, ლუთერანულ პრაქტიკას მისდევს. ერთი მხრივ, რელიგიასა და ადმინისტრაციულ კუთვნილებაში განსხვავებამ ენობრივად მსგავსს ესტონელებთან, ხოლო, მეორე მხრივ, სხვაობამ რუსებთან ენასა და ადრეულ კულტურულ ტრადიციებში, გამოიწვია კულტურული ბზარი.

ესტონელებს სეტოები უწოდებდნენ *mõtsigu*-ს (*ველური*) განსხვავებული რელიგიური მრწამსის გამო; მართლმადიდებელი რუსები სეტოებს „ნახევრად მორწმუნეებად“ მიიჩნევდნენ, რადგან მათ შეინარჩუნეს ზოგიერთი წინარექრისტიანული ტრადიცია და ლაპარაკობდნენ სხვა ენაზე (Kalkun 2014). რელიგიას ცენტრალური ადგილი ეკავა სეტოს თვითგამორკვევაში თანამედროვე პერიოდამდე. სიმბოლური სიახლოვე მარიამ ღვთისმშობელსა და სეტო ქალებს შორის განსაკუთრებით ხაზგასმული იყო სეტოს ტრადიციებში. ძირძველი რელიგიური პრაქტიკა, რომელშიც საკრალური ფემინურობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, „აშკარად ემსახურებოდა სეტოს ეთნიკური იდენტობის განმტკიცებას, რომელიც სეტო ხალხს გამოარჩევს, როგორც ღვთისმშობლის რჩეულს“ (Kalkun, Vuola 2017: 26)¹.

1920 წელს, ესტონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ტარტუს ხელშეკრულების თანახმად, სეტომას ისტორიული ტერიტორია შეუერთდა ესტონეთის პირველ დამოუკიდებელ რესპუბლიკას (1918–1940). ამ პერიოდის ესტონეთის სახელმწიფოს დამოკიდებულებაში სეტოს მიმართ შეინიშნება

კოლონიური განმანათლებლობის გარკვეული მახასიათებლები. იყო მცდელობა „ცივილიზებულიყო“ ის, რაც სეტომასს კულტურულ და ეკონომიკურ ჩამორჩენილობად აღიქმებოდა.

ესტონეთის საბჭოთა ეპოქა დაიწყო 1940 წელს და გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად საბჭოეთის მიერ აღმოსავლეთ გერმანიის ოკუპაციის შემდეგ. 1944 წელს საბჭოთა ცენტრალურმა ხელისუფლებამ სეტოს ტერიტორია გაანაწილა ესტონეთისა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. მზარდმა ურბანიზაციამ, განსაკუთრებით, 1960-იან წლებში და სეტომასს ორ საბჭოთა რესპუბლიკას შორის გაყოფამ, ბევრი სეტო იძულებული გახადა გადასახლებულიყო ესტონეთის ქალაქებსა და სოფლებში. განსაკუთრებით დიდი იყო მიგრაცია სეტომასს აღმოსავლეთი ნაწილიდან, რომელიც რუსეთის ტერიტორიაში შედიოდა. სეტოელები ეძებდნენ უკეთეს ეკონომიკურ პირობებსა და უფრო ახლობელ ენობრივ გარემოს.

1991 წელს ესტონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა ნიშნავდა, რომ საბჭოთა საზღვარი, რომელიც ყოფდა სეტომასს, ახლა უკვე სახელმწიფო საზღვარს აღნიშნავდა დამოუკიდებელ ესტონეთსა (2004 წლიდან ევროკავშირის წევრი) და რუსეთს შორის. სახელმწიფო საზღვარზე მოძრაობა მკაცრი კონტროლის ქვეშ მოექცა. ამ შეზღუდვებმა ხელი შეუშალა სეტოებს შეენარჩუნებინათ კონტაქტი მეორე მხარეს დარჩენილ მშობლიურ ადგილებთან და ნათესავებთან; მათ, ასევე, შეეზღუდათ წინაპრების საფლავების მონახულება და მათ პატივისცემად სეტო ტრადიციის შესრულება (Kuutma 2012).

ესტონეთში სეტოს თანამედროვე იდენტობა ორგანოზომილებიანია და, შესაბამისად, უფრო მულტიკულტურალიზმზეა ორიენტირებული (Valk, Särg 2014). ეს განპირობებულია უწყვეტი კონტაქტით უფრო დიდ მებობელ ესტონურ და რუსულ კულტურებთან, რამაც ჩამოაყალიბა სეტოს იდენტობა. 1990-იან წლებში სეტომ წამოიწყო ერთგვარი ეთნიკური ან ეროვნული გამოღვიძების მოძრაობა. სეტოს ეთნიკური თემის გააზრება თანდათან განვითარდა ლოკალური თემიდან ეროვნულის ჩარჩომდე, სადაც სეტოს ახლა უკვე შეედლო პრეტენზია ჰქონოდა საკუთარ მმართველ ორგანოზე, როგორცაა სეტოს კონგრესი (Valk, Särg 2014, იხილეთ, ასევე, Isaijw 1993). სეტოები ადრე ესტონურ სუბ-ეთნიკურ ჯგუფად ითვლებოდნენ, 2002 წელს სეტოს კონგრესმა ისინი ცალკე ეთნოსად ან ერად (rahvas) გამოაცხადა (Kuutma 2012: 61).

მიუხედავად ამისა, თემის ურთიერთობაში ნათესაური და მჭიდრო ოჯახური კავშირები დღესაც დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ადამიანები სულ უფრო მეტად ცდილობენ დაუკავშირდნენ თავიანთ სეტო ფესვებს და მიისწრაფვიან საკუთარი თავი სეტოდ წარმოაჩინონ. ანელა ლაანეოტსმა, სეტოს ახალგაზრდა აქტივისტმა, 2014 წელს განაცხადა: „სეტო არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ აღიდგინა დაჩაგრულმა ენამ და კულტურამ ღირსება ერთ თაობაში. სეტობა არ არის მხოლოდ სიამაყის საგანი, ის, ასევე, პოპულარულია“ (Breidaks 2018).

სეტო ლეელოს განსაზღვრება

სეტო ლეელო (ემიკური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ძველი სტილის სიმღერას, წარმოებული რეფრენიდან *ლეელო-ლეელო-ლეელო*) ეკუთვნის ფინური *რუნოს სიმღერების* (ან *კალევალა-მეტრის*) ტრადიციას, რომელიც, სავარაუდოდ, გაჩნდა დაახლოებით ორი ათასწლეულის წინ ჩრდილოეთ ესტონეთში და გავრცელდა დიდ ტერიტორიაზე, ფინეთის და კარელიის ჩრდილოეთი ნაწილიდან სამხრეთ ესტონეთამდე, სეტომაას (და, შესაძლოა, ლივონიის) ჩათვლით (Frog 2019, Sarv 2015). როგორც სეტოს ძირითადი სასიმღერო სტილი, *ლეელოს* პოეტური სისტემა მე-20 საუკუნის დასაწყისში იზიარებს სხვა ფინური ტერიტორიების *რუნოს სიმღერების* მახასიათებლებს, მაგრამ აქვს განსხვავებული მუსიკალური მახასიათებლებიც. *რუნოს სიმღერების* პოეტიკას ახასიათებს ალიტერაცია და დამაბოლოებელი რითმის არარსებობა. არ არსებობს სტროფები; სამაგიეროდ, სიმღერის ტაქები ორგანიზებულია არარეგულარული სინტაქსური და სემანტიკური პარალელიზმით. *რუნოს სიმღერების* ენა მდიდარია პოეტური ფორმულებით და შეიცავს არქაულ ფორმებსა და სიტყვებს, რომლებიც აღარ არიან თანამედროვე ენის ნაწილი.

სტილის მნიშვნელოვანი მახასიათებელია „ქმნადობა შესრულებისას“ (Foley 1995) – ეს არის სიმღერების ხელახლა შექმნა ყოველი შესრულებისთვის და ახალი ლექსების ფორმულური იმპროვიზაცია სხვადასხვა ცხოვრებისეულ გარემოებაზე მოსარგებად. მომღერლის ნიჭი ფასდება ლექსების ცოდნისა და იმპროვიზაციის უნარით. დახელოვნებული მომღერალი (ე.წ. *სონოლინე* [sõnoliine] – სიტყვების მთხრობელი ან ლაულუიმა [lauluima] – სიმღერის დედა)³ ძალიან ფასობს სეტოს საზოგადოებაში.

ლექსის ერთ-ერთი უნიკალური მუსიკალური მახასიათებელია მისი მრავალ-ხმიანობის არქაული ფორმა, რომელიც განსხვავდება დანარჩენი ფინური რუნოს სასიმღერო ტრადიციებისთვის⁴ დამახასიათებელი გაბატონებული ერთ-ხმიანობისგან. რუნოს სიმღერების უმეტესობის მსგავსად, სეტო სიმღერებს ასრულებს წამყვანი მომღერალი და გუნდი, რომელიც ზოგადად იმეორებს წამყვანის მიერ შესრულებულ ტაქსს. გუნდის მრავალხმიანი ფაქტურა შედგება ორი ფუნქციურად განსხვავებული ხმისაგან – ქვედა ძირითადი ხმა (*torrö* ხალხური ტერმინოლოგიით), რომელიც ჰეტეროფონიურად სრულდება და ზედა, დამხმარე ხმა (*killö*), რომელსაც სოლო ხმა ასრულებს.

კიდევ ერთი მკაფიო მუსიკალური მახასიათებელია კილოური სისტემა, რომელიც განსხვავდება ესტონური ან მეზობელი ხალხების სისტემებისგან. ამ კილოს აქვს სიმეტრიული სტრუქტურა და შედგება ექსკლუზიურად ტონი და სამ-ნახევართონიანი ინტერვალებისგან. კილოს ყველაზე გრძელი ფორმა შედგება ექვსი ბგერისგან და მისი ინტერვალური სტრუქტურა შეიძლება გამოიხატოს როგორც 1-3-1-3-1, რომელშიც რიცხვები აღნიშნავენ ინტერვალების ზომას ნახევართონებში. სანოტო ტრანსკრიფციაში ეს ბგერათრიგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად D-Eb-F#-G-A#-B (ეს სტრუქტურა მიახლოებითია, რადგან ბგერებს შორის რეალური ინტერვალები არ არის ზუსტად ტონი და სამი ნახევართონი (Pärtlas 2020). ეს კილო ასახავს მუსიკალური აზროვნების არქაულ ფორმას.

მას შემდეგ, რაც ბგერათრიგის ორგანიზების პარალელური სისტემები აღმოჩენილია სამხრეთ რუსეთში, იმ მხარეში, სადაც ადრე ფინო-უგორული ტომები ცხოვრობდნენ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კილოს ფესვები თარიღდება უძველესი დროით (Pärtlas 2005). ამ კილოს გარდა გამოიყენება (ანჰემიტონურ-) დიატონური კილოებიც. დროთა განმავლობაში, ლექსო სიმღერამ შეიძინა დასავლური ტონალური მუსიკის ზოგიერთი მახასიათებელი, მაგრამ უძველესი სიმღერები ტონი-სამი-ნახევართონიანი კილოთი შენარჩუნდა უწყვეტი ტრადიციით XX საუკუნის ბოლომდე. XXI საუკუნეში ზოგიერთი მომღერალი ცდილობდა აღედგინა გაქრობის პირას მყოფი მუსიკის ძველი სტილი საარქივო ჩანაწერებიდან, ეთნომუსიკოლოგების კვლევებიდან და სწავლებებიდან (Pärtlas, Oras 2014, Oras 2016, Pärtlas 2020: 23–32).

რუნოს სიმღერებს მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა ტომობრივი საზოგადოების სხვადასხვა რიტუალში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალი, რომელიც ტრადიციული ფორმით XX საუკუნის მეორე ნახევრამდე შენარჩუნდა, იყო ქორწილი. ფინურ ქორწილებს „სიმღერის ქორწილებს“ ეძახდნენ, გამოჩენილი ქალი მომღერლების მიერ შესრულებული რიტუალური სიმღერების გამო, რომლებიც თან ახლდა ქორწინებაში შესვლის ხანგრძლივი რიტუალის სხვადასხვა ეტაპს და, შესაბამისად, ნათესაობის ახალ ფორმებს. XXI საუკუნეში სეტომაას⁵ ზოგიერთ ქორწილში აღდგა ისტორიული რიტუალი ტრადიციული საქორწინო სიმღერებით. მნიშვნელოვანი ტრადიციული დღესასწაულია კირმასი ან კირმასკი (*kirmas* ან *kirmask*) – სოფლის წვეულება სიმღერითა და ცეკვით, რომელიც საეკლესიო დღესასწაულებთანაა დაკავშირებული. წვეულებებს წინ უძღოდა ღვთისმსახურება, ხატებით მსვლელობა და წინაპართა საფლავებზე შეკრება. რეგიონის თითქმის ყველა სოფელი აღნიშნავდა ამ სახის დღესასწაულებს კვირაობით, აღდგომასა და გვიან შემოდგომას შორის. ეს შეკრებები იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ახალგაზრდებისთვის ერთმანეთთან შესახვედრად, საზოგადოების უფროსი წევრებისთვის კი – სოციალიზაციის, გართობის, შვილებისთვის ქორწინების დაგეგმვისთვის, ინფორმაციის გაცვლისა და ერთმანეთთან ვაჭრობისთვის (Kalkun 2014: 62). კირმასის ტრადიცია თითქმის შეწყდა საბჭოთა პერიოდში, მაგრამ აღდგა 1990-იანი წლებიდან.

XX საუკუნის საზოგადოებაში მომხდარმა ცვლილებებმა თან მოიტანა ტრადიციის გარკვეული ტრანსფორმაცია. სასცენო შემსრულებლობამ მზარდი მნიშვნელობა შეიძინა. სპონტანური სიმღერა, რომელიც სრულდება წვეულებებისა და შეკრებების დროს (კირმასი, ახლა დაბადების დღეებისა და სხვა შემთხვევების ჩათვლით) გადარჩა, როგორც სიმღერის ძირითადი არასასცენო ფორმა. ქორწილებისა და სხვადასხვა კალენდარული რიტუალის დროს სიმღერა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში აღდგა. პირდაპირი ზეპირი გადაცემის გარდა, საარქივო წერილობითი და აუდიოჩანაწერების წყაროები და სპეციალიზებული პუბლიკაციები მზარდ მნიშვნელობას იძენენ. თანამედროვე ლეელო გუნდებს შორის მიღებული პრაქტიკაა ხმოვანი ჩანაწერების CD ფორმატში და სოციალურ მედიაში გავრცელება.

კულტურული ინსტიტუციები და ლეელოს სასიძღვრო ტრადიცია

ლეელო სეტომააში იქცა თანამედროვე კულტურული ცხოვრების ცენტრალურ კომპონენტად ესტონეთის პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შემდეგ. პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სეტო სიმღერის ზეიმი პეჩორიში (პეცერი)⁶ დაწყებული 1922 წლიდან, რომელიც მოიცავდა როგორც კლასიკურ საგუნდო მუსიკას, ასევე, ლეელო სიმღერას. სეტო ლეელოს ზოგიერთი გუნდი ესტონეთისა და ფინეთის სხვადასხვა კუთხეში ასრულებდნენ სეტოს ტრადიციას, როგორც საერთო ფინური სასიძღვრო მემკვიდრეობის განსაკუთრებულად კარგად შემონახულ ნიმუშს. კულტურულმა ელიტამ გამოავლინა ნიჭიერი წამყვანი მომღერლები და დაიწყო საზოგადოების შიდა წრეებში აღიარებული მომღერლების მანამდე არსებული „ბუნებრივი იერარქიის“ გაძლიერება, ოფიციალურად აღიარა ისინი წოდებით *სიმღერის დედა* (Arukask 2003, Kuutma 2006). საბჭოთა პერიოდში ადგილობრივ მომღერლებს ლეელო გუნდებში აერთიანებდნენ რეგიონული „კულტურის სახლები“, რომელთა საქმიანობა მკაცრად რეგულირდებოდა და კონტროლდებოდა სახელმწიფოს მიერ. ისინი მონაწილეობდნენ სხვადასხვა ოფიციალურ ფესტივალსა და დღესასწაულში, ასევე, ფოლკლორულ ხელოვანთა რეგიონულ და რესპუბლიკურ სამოყვარულო კონკურსებში.

1977 წელს მოეწყო პირველი სეტო ლეელოპაივ (*leelopäiv – სიმღერის დღე*, ანუ ტრადიციული სიმღერის ფესტივალი). ეს ფესტივალი, გარკვეული გაგებით, იყო სეტოს მეორე მსოფლიო ომის წინა სიმღერის ზეიმების გაგრძელება და ემსახურებოდა ლეელოს როლის განმტკიცებას თანამედროვე სეტოს იდენტობის კონტექსტში. სამ წელიწადში ერთხელ გამართული ღონისძიების ორგანიზება, რომელიც დღემდე გრძელდება, ჩამოყალიბდა საბჭოთა პერიოდში ლეელოს სიმღერის ზოგადი ინსტიტუციონალიზაციისა და ფოლკლორის აღორძინების მოძრაობის შედეგად. ეს მოძრაობა ბალტიისპირეთსა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში ანტისაბჭოთა იდეოლოგიით იყო გაჟღერებული (Šmidchens 2014).

სეტოს ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე ყოველწლიური შეკრება, სეტოს სამეფოს დღე 1994 წელს დაფუძნდა. ღონისძიება შთაგონებული იყო შვედეთისა და ნორვეგიის საზღვარზე მცხოვრები „ტყის ფინელების“ მიერ, რომლებიც ყოველწლიურ დღესასწაულს ატარებენ თავიანთი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პატივსაცემად. სადღესასწაულო დღეებში სეტომაა სიმბოლურად

სეტოს სამეფოდ ცხადდება, ერთიან ტერიტორიად, რომელიც გადაჭიმულია ესტონეთ-რუსეთის საზღვარზე. დღესასწაულის ფარგლებში მოქცეული წარმოსახვითი სამეფო სძლევს საზღვრით შექმნილ გაყოფის მტკივნეულ რეალობას, ამავედროულად, ახდენს მის ცენტრალიზებასაც (Annist 2013: 8).

სეტოს სამეფოს დღე არის ყოველწლიური უმნიშვნელოვანესი დღესასწაული, რომელიც ხელს უწყობს სეტოს ეროვნული და ნათესაური იდენტობის გამოხატვას და ტურიზმის გზით ამის უფრო ფართოდ გაცხადების საშუალებას იძლევა. ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი საკვების, ხელნაკეთი ნივთებისა და რიტუალური დემონსტრაციების პოპულარიზაციას, Sõnolise-ის (წამყვანი მომღერლების) კონკურსი ავლენს წლის საუკეთესო წამყვან მომღერალს, გამორჩეულს ლირიკული იმპროვიზაციის უნარით. სეტოს თემის ახალ ხელმძღვანელად და წარმომადგენლად მომავალი წლისთვის ირჩევენ *ülemsootska* ან *ülembsootska*-ს, ანუ *მთავარ მაცნეს* ან მითოლოგიური სეტოს მეფის შემცვლელს. აღსანიშნავია, რომ სეტოს ასეთი თხუთმეტი მეფიდან ხუთი ქალი იყო.

2009 წელს სეტო *ლუელო* შეიტანეს იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში (ICH)⁷. დღეს სეტოს უძველეს პოლიფონიურ სასიმღერო პრაქტიკას, ძირითადად, ინარჩუნებენ *ლუელო* გუნდები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ადგილობრივ თვითმყოფადობაში და, ხშირად, საზოგადოებრივი ცენტრების ფუნქციას ითავსებენ (UNESCO Seto *Leelo*). ამჟამად, დაახლოებით, ოცდაექვსი აქტიური *ლუელო* გუნდია, უმეტესობა შედგება მხოლოდ ქალებისგან, მათ შორის მხოლოდ ოთხია მამაკაცთა. მათი, დაახლოებით, ორი მესამედი ფუნქციონირებს სეტოს ტერიტორიის გარეთ, უმეტესობა – ესტონეთის ქალაქებსა და ციმბირის რამდენიმე სეტო სოფელში. ამჟამად ყველაზე ძველი მუდმივად მოქმედი გუნდი არის *სოსარო* (*Sõsarõ*), ტალინიდან (დაარსდა 1973 წელს). ბევრი ძველი გუნდი დაიშალა. *ლუელო* გუნდები აწყობენ კონცერტებს ან დღესასწაულებს, რომლებზეც ისინი იწვევენ სხვა *ლუელო* გუნდებს. მუზეუმები და სხვა ტურისტებზე ორიენტირებული დაწესებულებები სეტომააში, კულტურულ ღონისძიებებთან ერთად, უამრავ შესაძლებლობას იძლევა *ლუელო* გუნდების სასცენო წარმოდგენებისთვის.



სეტო ლეელოს გუნდები ლეელოს დღეების XV ფესტივალზე, 29.06.2019. ფოტო: ჰარი ა. სანდელი.

Seto leelo choirs in XV Leelo Day festival, Värskä, 29.06.2019. Photo by Harri A. Sundell.

2015 წელს დაარსდა ლეელოს სასიმღერო ბანაკი, რომელსაც ყოფილი ადგილობრივი წამყვანი მომღერლის პატივსაცემად დაერქვა ლუმო კატის სასიმღერო ბანაკი. ბანაკი ორგანიზებულია სეტო ლეელოს აქტივისტის მიილ ვალკის მიერ მის მშობლიურ სოფელ ნედსეჯაში (Nedsjäja). ის სამი დღე გრძელდება და მოიცავს სიმღერის გაკვეთილებს, რომლებსაც გამოცდილი ადგილობრივი ლეელო მომღერლები და ფოლკლორისტები-ეთნომუსიკოსები ასწავლიან. გარდა ამისა, იმართება სეტოს ტრადიციის მიხედვით კოსტიუმირებული სადამოს წვეულებები, ცეკვის სწავლებით, გამოცდილი ლეელო უხუცესი შემსრულებლების მიერ მოგონებების გაზიარებით; ასევე, ცალკე თამაშობები და მუსიკალური აქტივობები ბავშვებისთვის. ბანაკი ლეელოს შესახებ ცოდნის გავრცელების მთავარ კერად იქცა.

ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია ლეელოს ტრადიციების შენარჩუნებაზე, ცნობილი როგორც *Seto Leelotarko Kogo* (სეტო ლეელოს ექს-

პერტოა ასამბლეა) და შეიქმნა იუნესკოს აპლიკაციასთან დაკავშირებით. მას მართავს გამოჩენილი წამყვანი მომღერალი ოიე სარვ (Öie Sarv) და ღიაა სეტო ლეელო საზოგადოების ყველა წევრისთვის, რომელიც დაინტერესებულია ტრადიციის გაგრძელებით. ეროვნულ დონეზე, ლეელო ინსტიტუტების საქმიანობას მხარს უჭერს სეტომას კულტურული პროგრამა. ასევე, გარკვეული დამატებითი სახსრები გამოიყო ესტონეთის რეგიონული კულტურული განვითარების გასაძლიერებლად. 2017 წლიდან სეტომას ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ესტონეთის რესპუბლიკაში, კონსოლიდირებულია ადმინისტრაციულ ერთეულში, სახელწოდებით *სეტომა ვალდ (Setomaa Vald* – სეტომას სასოფლო მუნიციპალიტეტი). ცალკეული მუნიციპალიტეტების გაერთიანებამ ხელი შეუწყო სეტოს კულტურული პრაქტიკის შენარჩუნებას, მათ შორის ლეელოს ტრადიციას, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობით, როგორც ეროვნული კულტურის სიმბოლოს და ტურისტებისთვის საინტერესო წეს-ჩვეულებას. რუსეთის მთავრობამ სეტო დაასახელა, როგორც რუსეთის მკვიდრი მოსახლეობის 46-ე ჯგუფი, რითაც მათ სტატუსი მისცა სახელმწიფო დონის დამატებითი მხარდაჭერისა და სოციალური შეღავათებისთვის.

სეტო ლეელოს იუნესკოს სიაში შეყვანამ საერთაშორისო ყურადღება მოუტანა ეთნიკურ ტრადიციებს, გაზარდა ინფორმირებულობა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და სხვა ტრადიციულ კულტურებთან ურთიერთობის დამყარების საშუალება მისცა. 2014 წელს სეტომას სოფელი ობინიცა გამოცხადდა ფინო-უგორულ კულტურულ დედაქალაქად; ფინო-უგორ ხალხებს, განსაკუთრებით, უდმურტებსა და მორდვინებს შორის, გარდა გაცვლითი ვიზიტებისა და თანამშრომლობითი ღონისძიებებისა, ჩამოყალიბდა ძლიერი საკომუნიკაციო ქსელი; *კიჰნუს კულტურული სივრცე (Kihnu Cultural Space)* ესტონეთში და *სუიტის კულტურული სივრცე (Suiti Cultural Space)* ლატვიაში, რომლებიც, ასევე, აღიარებულია იუნესკოს მიერ, მუდმივად თანამშრომლობენ სეტოსთან კულტურულ პროექტებში.

ლეელო და იდენტობა სიძოს საზოგადოებაში

პრე-თანამედროვე ეპოქაში, გამორჩეული სასიმღერო უნარები ოჯახს ან ტომს ღირსების გამოხატვასა და შენარჩუნებაში უწყობდა ხელს. მაგალითად, ერთ-ერთი მთავარი გზა, რომლითაც მომღერლები თავიანთსაშემსრულებლო უნარებს

წარმოაჩენდნენ, იყო ტრადიციული ქორწილების დროს შესრულებული სიმღერა-შეჯიბრებები, რომელშიც წამყვანი მომღერალი, რომელიც წარმოადგენდა კონკრეტულ ოჯახს, იცავდა ოჯახის ღირსებას. როდესაც დღეს ვინმე თავის საშემსრულებლო უნარებს განიხილავს, როგორც წესი, აღნიშნავს წინა თაობის ოჯახის წევრების წვლილზე, რომლებიც საზოგადოების მიერ წამყვან (ან killწ) მომღერლებად იყვნენ აღიარებულები.

საზოგადოების მოდერნიზებამ მემკვიდრეობისთვის დამახასიათებელი პროცესები განაპირობა. სეთო *ლუელო* იქცა გაზრდილი ინტერესის საგნად. მისი აღიარება მოხდა უშუალო გეოგრაფიული მდებარეობის მიღმა, როგორც ესტონელი, ისე ფინელი ფოლკლორის შემგროვებლებისა და მკვლევრების მხრიდან, რამაც, თავის მხრივ, გაზარდა ცნობიერება *ლუელოს* მნიშვნელობის შესახებ ადგილობრივ საზოგადოებაში. მე-20 საუკუნის დასასრულს ესტონელთა ზოგადი დამოკიდებულება სეთოს მიმართ იყო ამპარტავანული და მეპატრონული. ფოლკლორისტებისა და ეთნოლოგების მიერ შემუშავებულმა დისკურსმა სეთოს კულტურის გამორჩეული ღირებულების ხაზგასმით, თვითშეფასების ამაღლებითა და, საბოლოოდ, სეთოს ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების მხარდაჭერით პოზიტიური საპირწონე შექმნა⁸. დღეს სეთო მომღერლები აღწერენ ძლიერ კავშირს *ლუელოსა* და სეთო სანათესაოს, ოჯახსა და რეგიონალურ იდენტობას, აგრეთვე საერთო ენასა და კულტურულ წარმოსახვას შორის (Kuutma 2009).

ფოლკლორული განახლების დასაწყისშივე, *ლუელო* მუსიკალური საზოგადოება მოიცავდა არა მხოლოდ ეთნიკურ სეთოს, არამედ ბევრ ეთნიკურად ესტონელს. შედეგად, სეთო *ლუელო* საზოგადოების იდენტობა მრავალმხრივი და რთულია. 1970-იანი წლებისთვის რამდენიმე ქალაქურმა ესტონურმა ფოლკლორულმა გუნდმა სეთოს წევრებთან ერთად დაიწყო სეთო *ლუელოს* ჩართვა საკუთარ რეპერტუარში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში თანდათან უფრო მეტი არა-სეთო და მხოლოდ შორეული სეთო ფესვების მქონე ადამიანი უერთდება სეთო *ლუელოს* გუნდებს. ბევრი მოხიბლულია მუსიკალური და პოეტური გამომხატველობით, რომელიც ასე განსხვავდება დასავლური მუსიკისგან და, რაც აღწერილია, როგორც უწყვეტი ტრადიციის „სიმძლავრე“, რომელიც მის მდიდარ კულტურულ კონტექსტში კონტრასტს ქმნის სასცენო შესრულებასთან. *ლუელოს* კულტურის კიდევ ერთი მიმზიდველი თვისება არის თემის სიახლოვის

შეგრძნება, გუნდური მღერისა და მუსიკის შექმნის კოლექტიური ძალა, რომელიც ბევრ არასეთო მომღერალს ბავშვობიდან ახსოვს ესტონეთის სხვა სოფლებში.

ბუნებრივად ითვლება, რომ *ლუელო* იმღერება ეთნიკური სეტო ხალხის მიერ (Kuutma, Kästik 2014), მაშინ როდესაც არა-სეტო მომღერლები მიიჩნევიან გამონაკლისად. მაგალითად, როდესაც *ლუელოს* გუნდის ლიდერები საუბრობენ თავიანთ გუნდზე სეტო *ლუელოს* ექსპერტთა ასამბლეის ყოველწლიურ კონფერენციაზე, ყოველთვის ასახელებენ არასეთო წევრებს. იდენტობის გათვალისწინებით, პრაქტიკული საკითხები შეიძლება წარმოიშვას არასეთო მომღერლებთან, როგორცაა ტექსტის გაუგებრობა ან არასწორი გამოთქმა, ან არასეთო ტემბრი. *ლუელო* გუნდებში არა-სეტო მომღერლების მიღების მოტივაცია არის ის, რომ მათ გააჩნიათ დიდი ენთუზიაზმი, ხშირად ფლობენ ისეთ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც სასარგებლოა გუნდის საქმიანობისთვის და გასაგებია, რომ მათი მონაწილეობა ხელს უწყობს ტრადიციის უწყვეტობის შენარჩუნებას.

მიუხედავად იმისა, რომ სეტოს საზოგადოება აღიარებს *ლუელოს* მნიშვნელობას და ხელს უწყობს მასში სეტო ახალგაზრდებისა და ბავშვების ჩართულობას, ეს შეიძლება არ იყოს საკმარისი ამ პრაქტიკის შესანარჩუნებლად. ახალგაზრდების, როგორც მომღერლების ჩართულობა შეზღუდულია, პირველ რიგში იმიტომ, რომ *ლუელო* მოითხოვს დიდ ვალდებულებასს და სწავლას. სიმღერებში გამოყენებული დიქცია განსხვავდება თანამედროვე სეტო სალაპარაკო ენისგან, რომლის მდგრადობაც, ასევე, სირთულეს ქმნის. ძველი სიმღერების შინაარსი, მათ შორის მათი პოეტური სახეობრიობა, ადვილად აღსაქმელი არ არის და ახალი ტექსტების შექმნა ძველი პოეტური სისტემის ჩარჩოების გამოყენებით, ასევე, დიდი ამოცანაა. მცირე სასიმღერო გამოცდილების მქონე ბევრ ადამიანს უჭირს მრავალხმიანი სიმღერების შესრულება. მეორეც, დღეს ახალგაზრდების უმეტესობას არ აქვს ისეთი პირადი ემოციური კავშირი *ლუელოსთან*, როგორც სეტო ახალგაზრდობას ჰქონდა წარსულში.

ლუელოს შესრულება არ არის ტრადიცია, რომელიც შენარჩუნებულია უმეტეს ოჯახებში – განსხვავებით, მაგალითად, სასაფლაოზე საეკლესიო დღესასწაულების დროს ოჯახური შეკრებებისგან, რომლებიც სეტოს უმრავლესობის იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია. თვალსაჩინო მაგალითია

ფერისცვალების დღესასწაული ობინიცაში 19 აგვისტოს, რომლის დროსაც ეკლესია და სასაფლაო მასპინძლობს დაახლოებით 3000 ადამიანს, ასევე, კირმას წვეულება იმავე საღამოს და კირმასი მომდევნო დღეს უახლოეს სოფელ ლეპაში, რომელსაც ოციდან ოცდაათ მომღერლამდე ესწრება.

ლელო, როგორც ქალთა ტრადიცია

სეტოს (და ესტონურ) გლეხთა საზოგადოებას აღწერენ, როგორც პატრიარქალურს, მაგრამ სიტუაცია ადგილზე უფრო რთულია. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ პატრილოკალური და პატრილინეალური ცნებები ესტონეთის ტერიტორიაზე XIII საუკუნეში დაინერგა, იმ პერიოდში, როდესაც ბალტიის ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო დაიპყრეს და იმპორტირებულმა სოციალურმა სისტემამ შეცვალა ადრინდელი მატრილინეალური, მატრილოკალური წესრიგი (Mägi 2013, Metsvahi 2016). შესაძლოა, მსგავსი პროცესი სეტომას ტერიტორიაზეც მომხდარიყო. საზოგადოებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც გავლენა მოახდინა გენდერულ როლებზე ამ დაპყრობის შემდეგ, იყო ბატონ-ყმობის გაჩენა, რომელიც სეტომაში მხოლოდ 1861-1866 წლებში დასრულდა, როდესაც გლეხებს მიენიჭათ საკუთრების უფლება. საუკუნეების განმავლობაში გლეხები ეკონომიკურად და პიროვნულად იყვნენ დამოკიდებულნი მიწის მესაკუთრეზე და არ გააჩნდათ როგორც პოლიტიკური უფლებები, ასევე, გადაადგილების თავისუფლება. შედეგად, როგორც კაცები, ასევე, ქალები იძულებულნი იყვნენ ეარსებათ სოფლის მეურნეობის ვიწრო სფეროში (Arukask 2003: 37-38).

XIX და XX საუკუნეების ფოლკლორული კრებულების მიხედვით, რომლებიც ასახავს არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ ადრინდელ ცნებებსა და პრაქტიკებსაც, იყო მკაფიო დაყოფა გლეხ კაცთა და ქალთა შრომას შორის; ამ დაყოფის თანახმად იკვეთება, რომ მამაკაცის შრომა უფრო ღირებულად მიიჩნეოდა. მიუხედავად ამისა, ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული სამუშაო აღიარებული იყო, როგორც ოჯახის გადარჩენის გზა (Kalkun 2010). იმ ფაქტმა, რომ გლეხ მამაკაცებს არ ჰქონდათ მიწა, საქონელი ან ფერმა, ან არ ჰქონდათ პოლიტიკური უფლებები, შესაძლოა ხელი შეუწყო გლეხ ქალთა და მამაკაცთა გარკვეულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანასწორობას თემის ცხოვრებაში (Põldsäär 2008).



ვერსკა ნასეს ლეელოს გუნდის ქალები სოფლის წვეულებაზე. ფოტო: აადო ლინტროპი, 2010. ესტონეთის ლიტერატურული მუზეუმის ესტონური ფოლკლორის არქივი: ERA, DF 8461.

Women of the *leelo* choir *Verska naase'* at the village party. Photo by Aado Lintrop 2010. Estonian Folklore Archives of the Estonian Literary Museum: ERA, DF 8461.

პრემოდერნულ კულტურაში ქალის თავისუფლება დამოკიდებული იყო მის ასაკსა და ოჯახურ მდგომარეობაზე. ახალგაზრდა, დასაქორწინებელ და ასაკიან ქალებს გადაადგილებისა და საზოგადოებაში ჩართვის მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ, ვიდრე მშობიარობის ასაკის დაქორწინებულ ქალებს. ცოლები შემოიფარგლებოდნენ სახლებში ბავშვების აღზრდითა და საკარმიდამო სამუშაოების შესრულებით, მაგალითად, ფერმაში საქონელის მოვლით. დაქორწინებული, განსაკუთრებით ორსული ან ახალი ნამშობიარები ქალების შინაური სივრცის გარეთ გადაადგილებასთან დაკავშირებულ ტაბუებს არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა (Kalkun 2010: 14, Stark-Arola 1998).

საპირისპიროდ, ახალგაზრდა, დასაქორწინებელი ქალები უნდა დასწრებოდნენ ისეთ სადღესასწაულო შეკრებებს, როგორცაა *კირმასი* და *ისტოლისო* (*istõlisõ*)

ან ისტიაცო (*istjatsõ*; გოგონების შეკრება ხელსაქმისა და გასართობი თავშეყრის მიზნით), რათა თავი წარმოეჩინათ პოტენციური ხელის მთხოვნელებისთვის. ახალგაზრდა ქალისთვის ღირსების დემონსტრირების ერთ-ერთი გზა იყო სიმღერითა და ცეკვით თავის გამოჩენა. დასაქორწინებელ ქალებს, ასევე, ჰქონდათ გარკვეული თავისუფლება სექსუალურ ქცევაში და, ჩვეულებისამებრ, ისინი ღამით მასპინძლობდნენ ახალგაზრდა მამაკაცებს. ხანდაზმული (პოსტმენოპაუზური, ხშირად დაქვრივებული) ქალები, რომლებსაც ჰქონდათ მეტი მობილობის თავისუფლება, თემში ხშირად ამბის მთხოვბელისა და ინფორმაციის მიმწოდებლის ფუნქციას ასრულებდნენ. ასაკი სარიტუალო მომღერლისთვის, უპირველეს ყოვლისა, საქორწილო მომღერლისთვის უპირატესობა იყო, რადგან გადაადგილებისა და მცირეწლოვან ბავშვებზე ზრუნვის პასუხისმგებლობისგან თავისუფლება ერწყმოდა მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვილ უნარებსა და გამოცდილებას.

ტრადიციულად, სეტო ქალების ზოგიერთმა რიტუალმა შესაძლოა თავი დააღწია პატრიარქალიზმის ზეწოლას. ეს რიტუალები აერთიანებდა თამაშ-გამონგვევას ტრადიციული გენდერული როლების მიმართ და, ზოგიერთ შემთხვევაში, სთავაზობდა შესაძლებლობას, გამოეხატა კოდირებული ემოციები, რომლებიც დაკავშირებული იყო გენდერულ დინამიკასთან და იმავდროულად, ინარჩუნებდა დამთრგუნველ ნორმებს. ქალთა დღესასწაული (*Paabapraasnik*) თავდაპირველად გათხოვილი ქალების ნაყოფიერების რიტუალი იყო, რომელშიც მამაკაცი არ იყო ნაგულისხმევი. აქ, ქალების აგრესიული ან ძალადობრივი ქცევა მამაკაცების მიმართ, რომლებიც ხელს უშლიდნენ მათ, ისევე, როგორც ქალთა თამაშები, ცეკვები და სიმღერები, იმიტირებდნენ ან სხვაგვარად ასახავდნენ იმას, რაც, როგორც წესი, მამრობითად კოდირებული ქცევის ნიმუშად იყო მიჩნეული (Loorits 1940).

ეს ტრადიცია შენარჩუნდა, როგორც უდარდელი საგაზაფხულო დღესასწაული, რომელიც ქმნის სივრცეს ქალებს შორის სოლიდარობის გამოსახატავად. გუნდის რეპეტიციები, სასიმღერო ბანაკები და ლეულო გუნდების საკონცერტო ტურები, ასევე, შეიცავს ქალთა რიტუალების გარკვეულ მახასიათებლებს: ქალები იკრიბებიან არა მხოლოდ სიმღერის მიზნით, არამედ თავიანთი ცხოვრების შესახებ ახალი ამბების გასაცვლელად, ხელნაკეთი ნივთების დასამზადებლად, სასმელის ან საკვების გასაზიარებლად. კონკრეტულად ქალური გამოცდილებას

მქონე თემების განხილვა და სახუმარო ამბების თხრობა, ქმნის თავისუფალ, მხიარულ განწყობას. ამ შეკრებებს ხუმრობით პააბაპრაასნიკს (*paabapraasnik*) უწოდებენ.

XX საუკუნის დასასრულის მოდერნიზაციის პერიოდში გლეხობის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, როგორც ჩანს, ნაწილობრივ ახლდა პატრიარქალიზმის გაძლიერება (Metsvahi 2016). სოფლის კომუნალური მინათმფლობელობა, რომელსაც *სულის ჰექტარი* ჰქვია, სეტომააში 1923–1927 წლებამდე, მიწის რეფორმის პერიოდამდე, შენარჩუნდა. რეფორმამდე მიწა მხოლოდ მამრობითი სქესის „სულისთვის“ იყო გამოყოფილი გარკვეული პერიოდით. ამრიგად, ოჯახებისთვის დიდი სტიმული იყო, ჰყოლოდათ ვაჟები და ადრე დაექორწინებინათ ქალიშვილები. მართახელა, დაქვრივებულ და გაუთხოვარ ქალებს ამ სისტემაში სტატუსი არ ჰქონდათ და, შესაბამისად, უფრო „პასივებად“ მიიჩნეოდნენ, ვიდრე „აქტივებად“.

ეს პატრილოკალური წეს-ჩვეულებები, რომლებიც დაკავშირებულია მინათ-სარგებლობასთან, პატრიარქალურ ოჯახურ სტრუქტურებთან ერთად, სეტო ოჯახებში მძიმე გარემოს ქმნიდა მრავალი ქალისთვის. სეტო ქალებს გარკვეული შესაძლებლობები მიეცათ XX საუკუნის შუა ხანებში. საბჭოთა პერიოდში სეტო ქალები ისევე მუშაობდნენ კოლმეურნეობაში, როგორც მამაკაცები. ამან ხელი შეუწყო იმ არსებული იერარქიის დაშლას, რომელიც დაფუძნებული იყო მიწის საკუთრების მამრობითი წევრების მიერ ფლობაზე. თუმცა, სოციალიზმის ადრეულ ათწლეულებში ეს ცვლილებები, ძირითადად, სიმბოლური იყო და რეალურად მცირე გავლენა იქონია ოჯახურ პრაქტიკაზე (Põldsaar 2008, Kalkun 2010).

სეტო ქალების სოციალური პოზიცია სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში აისახება მათ სასიმღერო პრაქტიკასა და სასიმღერო რეპერტუარებში. სიმღერის ტრადიციები ისტორიულად ქალებზე იყო ორიენტირებული სამხრეთ ფინეთის რუნოს სიმღერების გავრცელების არეალში, სეტომაას ჩათვლით. გაცილებით მეტი ქალის სიმღერაა, ვიდრე მამაკაცის და, ტრადიციულად ქალები ასრულებენ მთავარ როლს თემის სასიმღერო რიტუალებში (Siikala 2010). ამ დინამიკას სხვადასხვა ახსნა აქვს. მამაკაცთა რეპერტუარში შემავალი ტიპური ჟანრები, როგორიცაა გმირული ეპოსი, არ იყო დაკავშირებული გლეხების რეალობასთან,

რომლებსაც არ ჰქონდათ საკუთრება და პოლიტიკური უფლებები (Arukask 2003: 36-39, Oras 2017: 32). შორეულ წარსულში ქალების, სავარაუდოდ, უფრო მაღალმა სტატუსმა და ბატონ-ყმობის გვიანდელ კონტექსტში მათმა შედარებით თანასწორობამ მამაკაცებთან, შესაძლოა, შექმნა წინაპირობა ქალების, როგორც მნიშვნელოვანი რიტუალური მომღერლებისა და ნარატიული სასიმღერო ტრადიციის მატარებლების აღიარებისთვის.

ქალებზე ამ პრაქტიკის აშკარა ორიენტირება, ასევე, ტენდენციურია იმის გამო, რომ ნაკლებია მონაცემები მამაკაცთა *ლეელო* ტრადიციებზე (ისევე, როგორც მამაკაცთა *რუნოს სიმღერებზე* სხვა სამხრეთ რეგიონებში). ეს საზოგადოების თანდათანობითი მოდერნიზაციის შედეგია: ქალები რჩებოდნენ *რუნოს სიმღერების* ძირითად მცველებად, რადგან მათი მობილურობა უფრო შეზღუდული იყო, ვიდრე მამაკაცების, შესაბამისად, ისინი (ქალები) ნაკლებად ექვემდებარებოდნენ ინოვაციებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ურბანულ ცხოვრებასთან და სხვა კულტურების გავლენებთან, რაც თავის თავში მოიცავდა სხვა სასიმღერო სტილებს.

რამდენადაც სეტო *ლეელოს* პრაქტიკა მოდერნიზაციის ეპოქაში შეიცვალა პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების შედეგად, ქალ შემსრულებლებს მიეცათ ისეთი შესაძლებლობები, როგორიც ადრე მათთვის მიუწვდომელი იყო. თვითგამოხატვის შესაძლებლობების ასეთი გაფართოება მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სიმღერამ განავითაროს პატრიარქალური სოფლის შეზღუდვებისგან თავის დაღწევისა და მისი ქცევის ნორმების გადალახვის ფორმები. მომღერლების თვითშეფასება გაიზარდა კულტურული ელიტის წევრებთან ურთიერთობით, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ სეტოს ტრადიციებით, ასევე, საზოგადოების აღიარებითა და ფინანსური შემოსავლით. *ლეელო* სიმღერის სეტოს თემის კუნძულოვანი სოფლების მიღმა შესრულების შესაძლებლობამ ახალი განლაგება შექმნა და ხელი შეუწყო ტრადიციის ახალი პოლიტიკური განზომილებების განვითარებას (Kuutma 2006, Kalkun, Oras 2018).

საბჭოთა ეპოქამ თან მოიტანა პოლიტიკური მოთხოვნილება, შექმნილიყო თანამედროვე „საბჭოთა ფოლკლორი“, რომელიც განადიდებდა კომუნისტურ რეჟიმს და მის ლიდერებს. ესტონეთში სეტო ქალები ფოლკლორისტებისა და კულტურის ჩინოვნიკების ყურადღების ცენტრში მოექცნენ, რადგან მათ

შეინარჩუნეს ახალი ლექსების ტრადიციულ სტილში იმპროვიზების უნარი. საბჭოთა ეპოქის რეგიონული და რესპუბლიკური ფოლკლორული კონკურსები და სამოყვარულო ფესტივალები ბევრ სეტო მომღერალს მშობლიური თემის გარეთ მოგზაურობისა და გამოსვლის შესაძლებლობას აძლევდა. ვიზიტებს გეგმავდნენ და ფინანსურად უზრუნველყოფდნენ სახელმწიფო ინსტიტუტები, რადგან ფართო აუდიტორიისთვის ადგილობრივი სამოყვარულო აქტივობების წარმოჩენა პოლიტიკური დაკვეთა იყო (Kalkun, Oras 2018).

ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ ლეელო მომღერლებს ჰქონოდათ ურთიერთობა ფოლკლორის შემკრებთა ასოციაციასთან და მონაწილეობა მიეღოთ საკონცერტო ტურნეებში, გახლდათ ქმრის ნებართვა, რომლის თანახმად დაქორწინებულ ქალს ჰქონდა საკუთარი საქმიანობისა და შესაძლებლობების საშინაო სფეროს მიღმა წარმოჩენის უფლება. ზოგიერთ ქალს აკრძალული ჰქონდა გუნდში სიმღერა ოჯახის კონსერვატიულობისა და იმ გენდერული მოლოდინების გამო, რომელიც მიიჩნევდა, რომ ქალები საჯარო სივრცეში ჩუმად უნდა ყოფილიყვნენ (Kalkun, Oras 2018: 49). ტრადიციული პატრიარქალური წეს-ჩვეულებების თანახმად, ქალები პასუხისმგებელი იყვნენ საკარმიდამო სამუშაოებზე და მამაკაცებს, ქალების შინ არყოფნისას, ხშირად არ სურდათ შეესრულებინათ „ქალის სამუშაო“. როდესაც აღწერენ ქალების მონაწილეობას ლეელო საგუნდო აქტივობებში და მით უმეტეს, როდესაც საუბრობენ წინა თაობის მომღერლებზე, ხანდაზმული გუნდის წევრები ხშირად ახსენებენ მათი სახლში არ ყოფნის საკითხს – განსაკუთრებით, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ქალებისთვის საკმაოდ რთული იყო ოჯახში არ ყოფნის დროის ორგანიზება და ამის გამო ზოგიერთს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო მრავალდღიან მოგზაურობებში, მაშინაც კი, როცა ისინი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული.

XX საუკუნის მეორე ნახევარში მკაცრი პატრიარქალური დინამიკა გარკვეულწილად შემსუბუქდა, მაგრამ ცვლილება ეტაპობრივად მიმდინარეობდა და დამოკიდებული იყო ცალკეულ ოჯახურ ტრადიციებზე. მაგალითად, ახლახანს ჩაწერილ საუბარში, სამოცდაათი წლის ქალბატონმა დიდი პატივისცემა გამოხატა ქმრის მიმართ, რომელმაც არა მხოლოდ ნება დართო, სახლიდან შორს წასულიყო, არამედ წაახალისა, რომ მას ეს გაეკეთებინა გუნდის მხარდასაჭერად. მან, ასევე, აღნიშნა, რომ ყველა ქალს არ ჰყავდა ასეთი მხარდამჭერი

და წამხალისებელი მეუღლე (იხ., ასევე, Kalkun 2004). ამ ტიპის მოგონებები გვიჩვენებს არა მხოლოდ ოჯახების განსხვავებულ დამოკიდებულებას, არამედ იმასაც, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ქალებისთვის სხვა ადგილებში მოგზაურობა, საკუთარი თავის საჯაროდ გამოხატვა და მათი სიმღერების ფართო აუდიტორიისთვის გაზიარება.

XXI საუკუნეში ქალები არა მხოლოდ შეადგენენ *ლეელოს* შემსრულებელთა უმრავლესობას, არამედ ისინი, აქტიურები არიან საჯარო *ლეელო* დისკურსში და ტრადიციის შენარჩუნების გზების ძიებაში. გასული ორი ათწლეულის განმავლობაში სეტო მამაკაცთა სიმღერამ, ასევე, განიცადა ძლიერი აღორძინება. სეტო საზოგადოებაში მამაკაცის სიმღერის აღორძინება ითვლება მთავარ მიღწევად *ლეელო* ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში, რადგან ეს უნიკალური სტილი და რეპერტუარი საუკუნის დასასრულს განადგურების პირას იყო (Pärtlas 2011)⁹. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივ, თუ წვეულებაზე საკმარისი ქალი და მამაკაცია, ისინი, როგორც წესი, ცალ-ცალკე მღერიან და, ხშირ შემთხვევაში, მამაკაცთა შესრულება ენთუზიაზმით არის მიღებული. ეს პრეცედენტი ტრადიციული პრაქტიკიდან იღებს სათავეს, სადაც ქალები და მამაკაცები, ძირითადად, ცალ-ცალკე მღეროდნენ; უფრო მეტიც, ქალებს, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებულნი არიან *ლეელო* ტრადიციის მთავარ „მცველებად“, სურთ აღიარონ მამაკაცთა განახლების აქტივობა და დატკბნენ ტრადიციის იმ ასპექტით, რომელიც ბოლო დრომდე წარსულის საგანი იყო¹⁰.

დასკვნა

ლეელო არის კულტურული იდენტობის ცენტრალური ფენომენი სეტოს მრავალი ადამიანისთვის, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს *ლეელო* მომღერალ სეტო ქალებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ *ლეელოს* ტრადიციის ბუნება ისტორიის მანძილზე ყალიბდებოდა პოლიტიკური და სოციალური ფაქტორებით, ზოგიერთმა ისტორიულმა განვითარებამ *ლეელოს* მეშვეობით გააფართოვა ქალთა გამოხატვის შესაძლებლობები პატრიარქალური სეტო ოჯახის სტრუქტურის ფარგლებში. სეტოს პრაქტიკის მუდმივი ტრანსფორმაცია თანამედროვე პერიოდში, მათ შორის, *ლეელოს* ინსტიტუციონალიზაცია, მუდმივი *ლეელო* გუნდების დაარსება და ისტორიული პრაქტიკის აღორძინება და

ინტერპრეტაცია სთავაზობს ქალებს დამატებით შესაძლებლობებს, მოიპოვონ მხარდაჭერა და პოტენციური გაძლიერება მათი საერთო სეტო იდენტობის და ქალთა სოლიდარობის მეშვეობით.

ეს გენდერული კვლევა *ლეელოსთან* დაკავშირებულ პრაქტიკაში მხოლოდ სეტოს მდიდარ და ნიუანსირებულ ტრადიციებს ეხება; შევეცადეთ ნაშრომში წარმოგვედგინა კონკრეტული საკითხები, რითაც სეტო *ლეელო* ემსახურებოდა ქალების მხარდაჭერასა და გაძლიერებას და სთავაზობდა მათ ახალ შესაძლებლობებსა და სარგებელს. სეტოს სასიმღერო პრაქტიკაში გენდერის საკითხი საჭიროებს შემდგომ ანალიზს, რადგან ის აგრძელებს ტრანსფორმაციას. ეს სტატია ბევრად დიდი თემის მხოლოდ ერთ ასპექტს აშუქებს¹¹.

თარგმნა ბაია ჟუჟუნაძემ

შენიშვნები:

1. მარიამის მსგავსი პერსონაჟი გვხვდება სეტოს არქაულ ეპიკურ სიმღერებში, რომლებიც წინ უსწრებენ რეგიონის გაქრისტიანებას.
2. მაგ: <https://www.folklore.ee/pubte/eraamat/rahvamuusika/en/010-Kate-kaskimine>.
3. ეს სახელდება ხშირად გამოიყენებოდა XX საუკუნეში, მაგრამ გაურკვეველია, გამოიყენებოდა თუ არა ადრე.
4. ხმოვანი ჩანაწერების კრებული სანოტო ტრანსკრიფციით შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://www.folklore.ee/pubte/eraamat/rahvamuusika/en/Performer-Anne-Vabarna>; <https://www.folklore.ee/pubte/eraamat/siberilaulud/setu/index-en.php>.
5. იხ: *ხმოვანი ჩანაწერები 1987-1988 წწ.*, სეტოს მრავალხმიანი სიმღერის შესახებ დამატებითი ლიტერატურისთვის იხ., Pärtlas 2006, 2020 და Rüütel 1990. <https://arhiiv.err.ee/vaata/setod-3/same-series>.
6. ქალაქი პევერი სეტოს ისტორიული ცენტრია. იგი გაერთიანდა ესტონეთის პირველ დამოუკიდებელ რესპუბლიკაში ტარტუს ხელშეკრულების თანახმად.
7. იხ: <https://ich.unesco.org/en/RL/seto-leelo-seto-polyphonic-singing-tradition-00173>; <https://www.youtube.com/watch?v=mSxcYph-ODc>.
8. მიუხედავად ამისა, სეტოს ტრადიციის ზოგიერთ ესტონურ წარმოდგენას აქვს კულტურული მითვისების ელემენტი (Kalkun and Oras 2018).
9. სეტო მამაკაცთა სიმღერის მაგალითები: <https://www.youtube.com/watch?v=-sJYxPZXwOQ>;

[https://www.youtube.com/watch?v=Tu3XHEuzlc&t=128s;](https://www.youtube.com/watch?v=Tu3XHEuzlc&t=128s)

https://www.youtube.com/watch?v=fr6SbLXrTwg&list=PLqWu0-r5Wxo_8APtHdM7b466i6QCltZkl&index=8;

https://www.youtube.com/watch?v=3QKJzxQdHzs&list=PLqWu0-r5Wxo_8APtHdM7b466i6QCltZkl&index=1.

10. ამ განახლების ერთ-ერთი ნაწილი იყო კონტაქტების დამყარება ქართულ და მორდოველ მამაკაცთა სასიმღერო ტრადიციების ცნობილ წარმომადგენლებთან. ეს მოხერხდა 2019 წლის მამაკაცთა სიმღერის ფესტივალზე (<https://miihilaul.seto.ee/>). მომღერლების მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე, სეტოს აქტივისტები და პოლიტიკოსები არიან, რაც მათ შესრულებას გარკვეულ პოლიტიკურ განზომილებას მატებს.
11. კვლევა განხორციელდა ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში (PRG1288 – A Corpus-based Approach to Folkloric Variation: Regional Styles, Thematic Networks, and Communicative Modes in *Runosong* Tradition and by the European Regional Development Fund (Centre of Excellence in Estonian Studies, TK145). ავტორი სასარგებლო შენიშვნებისთვის მადლობას უხდის ანდრეას კალკუნს.

გამოყენებული ლიტერატურა (იხ. გვ. 255).

ქალის როლი ლიეტუვის პოლიფონიური სუტარტინეს სასიძლერო ტრადიციაში უძველესი დროიდან დღემდე

დაივა რაჩინაიტე-ვიჩინიენე

შესავალი

ლიეტუვიური პოლიფონიური სიმღერები – სუტარტინები (*sutartinės*) წარმოადგენს ლიეტუვიური ტრადიციული მუსიკის უნიკალურ გამოვლინებას. სიტყვა *sutartinės* მომდინარეობს ზმნიდან *sutarti* (სხვა ადამიანთან „შეთანხმება“ ან „შენწყობა“). დღესდღეობით სუტარტინე ლიეტუვიური კულტურული იდენტობის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სიმბოლოა, „ქვეყნის ბრენდინგის“ ერთგვარი ნაირსახობა. მრავალ ტერმინთა შორის, რომლებსაც ადგილობრივები იყენებენ პოლიფონიური სიმღერების აღსანიშნად – *kapotinės* („დაკეპილი“)¹, *apskritos* („მომრგვალებული“ ან „წრიული“)², *sektinės* („მიმღევრები“ ან „მიმბაძველები“)³ და სხვები – მეცნიერები უპირატესობას ანიჭებენ ტერმინს *სუტარტინები (sutartinės)*.

სუტარტინები ოდესღაც ძალიან განვითარდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ეთნიკურ რეგიონში, აუშტაიტიაში (*Aukštaitija*). აღმოსავლეთ ბალტიური მითოლოგიის თანახმად, სუტარტინებს მღეროდა არა ყველა, არამედ ლაუმების (*laumės*) (ქალღმერთები, ჯადოქრები, გრძნეულები ან ნათელმხილველები) გარკვეული ჯგუფი. ეს დისკურსი მიუთითებს როგორც სუტარტინესადმი ღრმა პატივისცემაზე, ასევე, მათი შემსრულებლებისთვის მინიჭებულ განსაკუთრებულ სტატუსზე. ამ სიმღერების შესრულება, ასევე, ცნობილია, როგორც ჰიმნების სიმღერა, ხოლო საკუთრივ სუტარტინები – როგორც ჰიმნები, ან რიტუალური სიმღერები.

სუტარტინების ფორმალური მახასიათებლები (პოლიფონია სეკუნდის ინტერვალებით, ჰეტეროფონია, კომპლემენტარული რიტმები და სინკოპები, ბგერა-მიმბაძვითი შედახილების სიუხვე და ა.შ.) მნიშვნელოვნად განსხვავდება ლიეტუვიური მუსიკალური ფოლკლორის სხვა გამოვლინებებისგან. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ სუტარტინების მუსიკა სხვადასხვა ემოციურ გამოდახილს იწვევს. XVI საუკუნიდან მოყოლებული, ამ მუსიკას დოკუმენტირების პირველივე დღეებიდან წინააღმდეგობრივი გამოხმაურებები მოჰყვა. მაგალითად,

ფოლკლორისტებმა მარჩი სტრიკოვსკიმ, თეოდორ ლეჰნერმა და სხვებმა სიმღერის ძველი სტილი „მგლების ყმუილს“ შეადარეს. მუსიკა დაახასიათეს, როგორც „დისონანსური“ და „ყურისთვის უსიამოვნო“. თუმცა, ადამიანები, რომლებიც რეალურად მღეროდნენ *სუტარტინებს*, მიიჩნევდნენ, რომ სიმღერები იყო „საშინლად ლამაზი“ – ისეთი, როგორცაა „გედების ყვირილი“, „წეროების ყვირილი“ ან „ზარების რეკვა“. XX საუკუნის დასაწყისში მუსიკალური ესთეტიკის ტრანსფორმაციამ (ნატივი, დამამშვიდებელი ჟღერადობის მქონე „ლამაზი“ მუსიკისადმი რომანტიკული უპირატესობის მინიჭების ზოგადი ტენდენცია) წარმოქმნა სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება *სუტარტინების* მიმართ. იმ დროიდან, ამ უძველესი ჰიმნების შესრულება სულ უფრო და უფრო ნაკლებად ასოცირდებოდა ესთეტიკურ სიამოვნებასთან; ხალხმა *სუტარტინეს* ჰიმნის შემსრულებელთა დაცინვა დაიწყო. ამბობდნენ, რომ მათი სიმღერა კაკოფონიაა მსგავსი „ქათმის კრიახისა“. ლიეტუვის სოფლებში *სუტარტინების* სიმღერის თაობიდან თაობისთვის გადაცემის ტრადიცია XX საუკუნის შუა ხანებიდან დაღმასვლას განიცდის.

მაგრამ *სუტარტინეს* ჰიმნის შესრულების აღორძინება დიდ ქალაქებში იწყება 1960-იანების შუა პერიოდიდან და პროცესი დღემდე გრძელდება. დღეს ლიეტუვაში, განსაკუთრებით აუქშაიტიას რეგიონში, ფუნქციონირებს *სუტარტინების* შემსწავლელი გაკვეთილები, ბანაკები და ახალი ჯგუფები, რომლებიც სპეციალიზირებულია *სუტარტინების* შესრულებაზე. უზარმაზარი გამოცდილების მქონე *სუტარტინების* მომღერალთა ერთ-ერთი ასეთი ჯგუფია *ტრის კეტურიოსე (Trys Keturiose; „სამი ოთხზე“)*, რომლის წევრიც გახლავთ ამ სტატიის ავტორი. ჯგუფი ცდილობს აღადგინოს და გააცოცხლოს *სუტარტინების* სხვადასხვა ფორმები⁴. ახალგაზრდებმა ქალაქიდან, მათაც კი, ვისაც განსაკუთრებული ინტერესი არ ჰქონდა ხალხური მუსიკის მიმართ, დაიწყეს *სუტარტინების*, როგორც მედიტაციის უნიკალური ფორმის შესწავლა. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ *სუტარტინების* კოლექტიური შესრულების ხელოვნება ლიეტუვის სოფლებში ამჟამად დაკარგულია, ის ნელ-ნელა იბრუნებს სიცოცხლეს ქალაქების ხალხური მუსიკის ანსამბლების რეპერტუარებში.

უკვე 45 წელია *სუტარტინები* ჟღერს სადამოს ლონისძიებების დროს, ვილნიუსის ხალხური მუსიკის ყოველწლიურ, საერთაშორისო ფესტივალზე *Skamba skamba kankliai (იჟღერე, იჟღერე კანკლეს⁵)*. აუქშაიტიას სხვადასხვა რეგიონი

მასპინძლობს სუტარტინების რეგიონალურ ფესტივალებს, მაგალითად, *Sutarjèla, Sese sodu sodina* (და თესავს ბაღს). სუტარტინები, ასევე, ყოველწლიურად უღერს *Mènuo Juodaragis*-ზე (შავრქიანი მთვარე) – დამოუკიდებელი, პოსტ-ფოლკის, ალტერნატიული მუსიკისა და თანამედროვე ბალტიური კულტურის ფესტივალებზე.

განდერული განსხვავება და ფუნქციური სუბარტინების ტრადიციები

სუტარტინების ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ სუტარტინების სიმღერა ტრადიციულად ქალების საქმე იყო, ხოლო ხალხურ ჩასაბერ საკრავებზე დაკვრა (მაგალითად, *სკუდუჩიაი* [skudučia] – მრავალღერძიანი სალამურები, რაგაი [ragai] – ბუკი, დაიდიტეს [daudytės] – გრძელი ხის საყვირები და ლამზდელიაი [lamzdeliai] – სიგრიძვი ფლეიტები) და ხუთსიმიანი კანკლესი (kanklės) – მამაკაცთა სფეროს მიეკუთვნებოდა. ამგვარი მტკიცებულების საფუძველია ლიეტუვის ფოლკლორის არქივში დაცული მომღერალთა უამრავი კომენტარი და საარქივო ხმოვანი ჩანაწერი. არქივში არსებულ ფონოგრაფის ყველა ჩანაწერში



წინაპრები: აბრაამ ბროდი და ტრის კეტურიოსე. კონცერტი ჯონ კენედის ცენტრში, ვაშინგტონი 2018. ფოტო: პეტერის ალუნანსი.

Ancestors: Abraham Brody and Trys Keturiose. Concert at the John Kennedy Center, Washington 2018. Photo by Pēteris Alunāns.

(1935 წლიდან 1941 წლამდე პერიოდის) სუტარტინებს ასრულებს სამი ან ოთხი ქალი მომღერლისგან შემდგარი ჯგუფი, გამონაკლისია ჯგუფი ბირჟაიდან, სადაც ქალთა სიმცირის გამო ერთი მამაკაცი მონაწილეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული კვლევა გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ გამოიყოფოდა ცალკე სფეროდ, თუმცა ადათ-წესებში, მითოლოგიასა და ლიტერატურულ ფოლკლორის სხვა სფეროებში ქალური და მამაკაცური სიმბოლიკის გასაგებად სხვადასხვა მცდელობებს ჰქონდა ადგილი. ლიტერატურის არქაულ კულტურაში გენდერიზაციის შესახებ პირველმა საუბარი დაიწყო კულტურის ისტორიკოსმა ვიტაუტას კავოლისმა. კავოლისის მიხედვით, „არქაულ ფენაში არსებობდა ქალისა და მამაკაცის, და მათი ურთიერთდამოკიდებულების გაგების სხვადასხვა მოდელი“ (Kavolis 1992: 21, 33). ფოლკლორისტი გრაჟინა სკაბეიკიტე-კაზლაუსკენე ქალებს აკავშირებს ირაციონალურობასა და ვერბალურ მაგიასთან, ხოლო მამაკაცებს – რაციონალურ, შეგნებულ აქტივობებთან (Skabeikytė-Kazlauskienė 2002). მითოლოგი რიტა რეპშენე გამოყოფს ქალის მითოლოგიურ ფიგურებს: ლაუმე (დაბადებისა და დედამიწის ქალღმერთი აღმოსავლეთ ბალტების მითოლოგიაში), რაგანა (*ragana* – გრძნეული, რომელმაც დროთა განმავლობაში, ალბათ, ქრისტიანობის მოსვლის შემდეგ, შეიძინა ბოროტი ქალის სულის მნიშვნელობა) და ბურტინინკე (*burtininkė* – კუდიანი). იგი აჩვენებს, რაოდენ მრავალმხრივია წარმოდგენა ქალურობაზე ტრადიციულ ზეპირსიტყვიერ ხელოვნებაში; დაკარგა რა ერთიანი, უნიტარული მნიშვნელობა, მან შეიძინა პოლივალენტური ფორმა (Repšienė 2002).⁶

პოლიფონიურობის არქაული ლიტერატურული ტრადიცია, ზოგადად, სუტარტინეს ჰიმნების სიმღერას უკავშირებს ქალებს და ინსტრუმენტული მუსიკის შესრულებას – მამაკაცებს. მაგრამ ზოგიერთმა ფოლკლორისტმა არქივებსა და მათი თანამოსაუბრეების მონათხრობებში საპირისპირო მტკიცებულებას მიაგნო. ეთნოქოროგრაფმა დალია ურბანავიჩენე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მამაკაცები ნახსენებია ანგარიშებში ზოგიერთი საცეკვაო სუტარტინების შესახებ, სადაც შესაძლებელია მონაწილეთა შეუზღუდავი რაოდენობა არსებობდეს (Urbanavičienė 2009). მაგალითად, რესპონდენტმა ონა პავიდენე (75 წლის) აღნიშნა, რომ ბევრი ადამიანი (ქალები, მამაკაცები და ბავშვები) ცეკვავდა წრეში სუტარტინეს სახელწოდებით *Išvedu ožį (თხის გამოყვანა)* (SIS III 1380b)⁷. იმავდროულად, საცეკვაო სუტარტინეს *Lioj obalala Lioj* (ლამაზი ვაშლის

ზე [დიალექტზე]) (SIS III 1606) თანმხლებ კომენტარში ნათქვამია: „როდესაც ისინი მღეროდნენ, კაცები თანხლებას უწევდნენ“⁸. *სუტარტინეს* ექსპერტმა, სტასის პალიულისმა ჩანერა მონათხრობები იმის შესახებ, თუ როგორ ცეკვავდნენ, და არა მღეროდნენ, *სუტარტინეს* მამაკაცები. ნიმუშის სახით ანტანას კაზიუნასმა (დ. 1847) განმარტა: „უნინ ისინი ყოველგვარი მუსიკის გარეშე ცეკვავდნენ. ჯგუფდებოდნენ რა წყვილ-წყვილად, როგორც კაცები, ასევე, ქალები მღეროდნენ *სუტარტინეს* და ცეკვავდნენ“. იოკუბას გასპარევიჩიუსმა (დ. 1846) დაარწმუნა მკვლევარი, რომ ნებისმიერ მსურველს შეეძლო ეცეკვა *სუტარტინები*. მან თქვა: „კაცები და გოგოები ცეკვავდნენ. მინიმუმ 10–20 წყვილი – *ტრაპ, ტრაპ (ფეხის ბაკუნის ხმა)*. [ჰიმნებს] მხოლოდ გოგოები მღეროდნენ, ოთხი მათგანი, კაცები კი არ მღეროდნენ. ისინი უბრალოდ აბაკუნებდნენ და ხრიდნენ ფეხებს“ (Paliulis 2002: 332). ეს კომენტარები აჩვენებს, და პალიულისის ჩანაწერები მოწმობს, რომ მამაკაცები მონაწილეობდნენ კოლექტიურ *სუტარტინების* ცეკვებში, მაგრამ ისინი არ მღეროდნენ. რამდენიმე *სუტარტინების* კომენტარი მიუთითებდა, რომ მამაკაცები თანხლებას უკეთებდნენ დაბალი მეორე ხმით. აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ ტრადიცია უკვე გარდაიქმნა – ეს უკვე ძველი პოლიფონიურობა კი არ იყო, არამედ უფრო ახალი, ჰომოფონიური ტრადიცია. მიუხედავად ამისა, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩვეულებრივ, ქალები მღეროდნენ *სუტარტინეს* ჰიმნებს, ჯერ კიდევ არსებითად სწორია.

ეთნომუსიკოლოგ-ორგანოლოგმა რუტა ჟარსკენემ შეისწავლა სამხრეთ რუსეთში და პერმის კომის ხალხში არსებული მრავალღეროვანი სალამურის ტრადიცია (რომელზეც მხოლოდ ქალები უკრავენ). ეს ტრადიციები ლიეტუვის ტრადიციების მსგავსია, ამიტომ მეცნიერი ვარაუდობს, რომ ლიეტუვაში ადრე სკულდუჩიაიზე უკრავდნენ ქალები (Šimonytė-Žarskienė 2003). გარკვეული წყაროებისა და რესპონდენტებისგან მიღებული მონაცემების მიხედვით, ლიეტუვაში, ისევე როგორც ზემოხსენებულ რეგიონებში, სკულდუჩიაიზე უკრავდნენ მხოლოდ ქალები და ახალგაზრდა გოგონები. პალიულისის მიერ ნახსენებ ქალ რესპონდენტთა უმეტესობა არა მხოლოდ ლამაზად მღეროდა *სუტარტინეს* ჰიმნებს, არამედ კარგად უკრავდა *სკულდუჩიაიზე* (Paliulis 1988). ჟარსკენე აღნიშნავს, რომ უკმერგეს რაიონში, ტაუნაიში *სკულდუჩიაით* შესრულებულ *სუტარტინებს*, ფაქტობრივად, უწოდებდნენ *ბუილინეს* (*builinės*), რაც მომდინარეობს სიტყვიდან *builis* (ველური ნიახურის ადგილობრივი სახელი). სალამურები შედგება ველური

ნიახურის ღეროებისგან გაკეთებული პატარა მილებისგან (SIS III: 674–676). მეცნიერი ვარაუდობს, რომ ლიეტუვური სკულუჩიაიზე (რომელიც მზადდებოდა ქოლგსებური მცენარეებისგან. მსგავსად მზადდებოდა რუსეთში, კომის რესპუბლიკაში, რუმინეთსა და სერბეთში), შესაძლოა, ადრე, ასევე, მხოლოდ ქალები უკრავდნენ. მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ადამიანმა „დაიპყრო“ ეს ინსტრუმენტი, იგი ხისგანაც დამზადდა. ამ საკრავებს აქვთ განსაკუთრებით არქაული კონსტრუქცია, ასევე, აშკარა რიტუალური კავშირები ქალებთან და მაგიასთან. ამგვარად, ჟარსკენემ წამოაყენა ჰიპოთეზა (Žarskienė 2002: 12–15), რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის მრავალღერძიანი სალამურები და სხვა აეროფონები, რომლებსაც ქალები უკრავდნენ, ძველ ევროპაში, შესაძლოა, მატრიარქალური კულტურის პერიოდიდანაა შემონახული (იხ., ასევე, Gimbutas 1985).

არ უარვყოფთ მკვლევარის ჰიპოთეზის იმის შესახებ, რომ ამ არქაული აეროფონის ფესვები, შესაძლოა, მომდინარეობს ადრეული ნეოლითის პერიოდიდან; თუმცა, მაინც შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ საკითხი იმის შესახებ, რამდენად იყო ეს თავიდანვე ქალთა პრაქტიკა (Žarskienė 2002: 15). ამისა სანაცვლოდ, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ქალებმა ჟარსკენეს მიერ ნახსენები მრავალღერძიანი სალამურის ტრადიციები მიითვისეს მამაკაცებისგან, რომლებმაც, რაღაც მიზეზით, შესაძლოა, „უფრო განვითარებული“ ინსტრუმენტების გამოჩენის გამო, შეწყვიტეს ამ საკრავებზე დაკვრა.

შემდგომ, ბევრ არქაულ კულტურაში ფლეიტის ტიპის ინსტრუმენტი ფალოსურ სიმბოლოს წარმოადგენდა, ამიტომ ქალისთვის ტაბუდადებული იყო ასეთ საკრავთან შეხება ან თუნდაც შეხედვა. რატომ დაარქვეს მრავალღერძიან საკრავს – კუგიკლი-ს (*kugikli*) ქალის ფლეიტა (ნაწიხი დუძიხი) რუსეთში, კურსკის ოლქში? ეს, შესაძლოა, გულისხმობდეს, რომ მამაკაცები (თითქოსდა „უკეთესი“ მუსიკოსები) ქედმაღლურად უყურებდნენ ამ არქაულ ინსტრუმენტს, ვითომდა ამტკიცებდნენ, რომ ამჟამად იგი მათთვის „საკმაოდ ღარიბია“⁴⁹. ლიეტუვაში არის მაგალითები, როდესაც მამაკაცები დასცინიან სუტარტინების ქალ-მომღერლებს ისეთი ფრაზებით, როგორცაა: „ჩვენმა „ბებრებმა“ უკვე დაიწყეს კაკანი“ და „ისინი ქათმებივით კაკანებენ“. ცხადია, რომ ამ რეგიონში მრავალღერძიან საკრავებზე დაკვრის ტრადიციათა გენდერული წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ დისკუსიის საგანია.

ძველი სოფლის საზოგადოების მიერ გამოხატული დამოკიდებულების მიხედვით, სუტარტინეს ჰიმნის შესრულება წარმოადგენს ბუნების სფეროს, ხოლო მუსიკის დაკვრა – კულტურას. სოფლის მოსახლეობის მიერ სიმღერისა და ინსტრუმენტზე დაკვრის შედარება აძლიერებს ამ ბინარულობას, რადგან ისინი, როგორც ჩანს, ინსტრუმენტულ შესრულებას მუზიციერების „უმაღლეს“ ფორმად – სუტარტინების ყველა მომღერლის მიზნად მიიჩნევენ.

გავრცელებული გამოთქმა *kaip grote groti* (თითქოს უკრავდა) დამატებით წარმოგენას გვაძლევს: „ძველ დროს ისინი მღეროდნენ ხოლმე სუტარტინებს *kaip grote groti* (თითქოს ისინი უკრავდნენ), სელის ამოგლეჯის დროს“¹⁰. ან „ქალები ამბობდნენ: „მოდით, სუტარტინე ვიმღეროთ“. და ოთხივე დაიწყებდა *kaip grote grodavos*-ს სიმღერას – ისე, თითქოსდა უკრავდნენ. ბაშკენაიში „დასაკრავი“ სუტარტინები, ასევე, მოიცავდა ცეკვას“¹¹. ამ შედარებას ადასტურებს ის გამონათქვამები, სადაც სიმღერა სკუდუჩიაზე გაიგივებულია დაკვრასთან: „სუტარტინებს ყველაზე ხშირად ძაფის დართვის დროს მღეროდნენ. ძველად ისინი ასე მღეროდნენ: იმდენი სტროფი იყო, რამდენიც ადამიანი – ხუთი, ექვსი, ათი, თორმეტი. ძალიან ლამაზი იყო, როგორც სკუდუჩია. ერთი იწყებს, შემდეგ მეორე უერთდება და შემდეგ მესამე და ასე წრეზე ტრიალებს, მომღერლების რაოდენობის მიხედვით“ (SIS II 568). ხშირად დიურკემისულ „კოლექტიურ აღვზებას“, რომელიც წარმოიქმნება სუტარტინების სიმღერის დროს, უწოდებენ „მუსიკას“. ამის ნიმუშია საცეკვაო სუტარტინების *pasiutpolké* (ველური პოლკა) ამგვარი აღწერა: „ჩვენ დავდიოდით წრეზე, რომელიც ცოცხლად ტრიალებდა, ვუკრავდით ტაშს და ვმღეროდით ნებისმიერი ხმით, რაც კი ადამიანს ძალუძს – დაბალი თუ მაღალი, ნებისმიერით. ის, რაც გამოვიდა, იყო ცოცხალი და ლამაზი, როგორც მუსიკის ნაირსახეობა“ (LTR 2071[166]). ყოველ შემთხვევაში, XX საუკუნეში, ლიეტუველი სოფლის მოსახლეობა ზოგადად მუსიკას ჰარმონიის მელოდიურ ჟღერადობებს უკავშირებდა. ლიეტუვის სხვადასხვა რეგიონში ვიოლინოებს, აკორდეონებსა და ზოგჯერ მუსიკოსებსაც კი უწოდებდნენ *muzika, muzikéle* (მუსიკა, მშვენიერი მუსიკა) (Kirdienė 2000: 40). მნიშვნელოვანია, რომ ტერმინი „მუსიკა“, ძირითადად, შეესაბამება ევროპულ საკრავებს, მაშინ, როცა არქაული ლიეტუვერი სკუდუჩია და რაგაი (ბის საყვირები) ამგვარად არ მოიხსენიება¹². აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ სკუდუჩია და რაგაი, სუტარტინების სიმღერასთან ერთად, ბუნებასთან ახლოს დარჩნენ, ნაცვლად



სუტარტინების მომღერლები – ტრის კეტურიოსე. ფოტო: იურგიტა ტრეინიტე, 2006. დაივარაჩუნაიტე-ვიჩინინეს პირადი არქივიდან.

Sutartinės singers Trys Keturiose. Photo by Jurgita Treinytė 2006. From Daiva's Ra-čiūnaitė's-Vyčiniene's personal archive.

იმისა, რომ გარდაქმნილიყვნენ ესთეტიკურ (მუსიკალურ) საქმიანობად – ანუ ისინი არ გადასულან ბუნებიდან კულტურაში.

სუტარტინების ტრადიცია იმალეა ქალის სიმბოლურ კავშირში ბუნებასთან. ამით, შესაძლოა, ნაწილობრივ აიხსნას ქალების უპირატესობა იმ ჰიმნების სიმღერისას, რომლებიც მუსიკის სამყაროში საყოველთაოდ აღიარებულია უძველეს/ბუნებრივ ფენომენად, განსხვავებით ინსტრუმენტული მუსიკისგან, რომელიც უკვე ადამიანის წარმოების ნიმუშია. ამრიგად, ინსტრუმენტული მუსიკის დაკვრას მამაკაცებს მიაწერენ – გარდა, შესაძლოა, არქაული *სკუდურჩაისა* (რომელიც დამზადებულია ველური ნიახურის ღეროებისგან), როგორც ეს ნავარაუდებია ჟარსკენეს თეორიაში. რიჩარდ ოენსის თანახმად, რომელიც ეყრდნობა შერი ორტნერის იდეებს, აქ „ბუნება განიხილება... როგორც ქვედა საფეხური, ვიდრე კულტურა; კულტურის მეშვეობით შეიქმნენ ადამიანები. ქალი ბუნებასთან კავშირის სიმბოლოა. ყოველი კულტურა აუფასურებს ბუნებას და საკუთარ თავს ბუნებაზე მაღლა აყენებს“ (Ortner 1996, შრომაში Owens 2002: 67). ორტნერის აზრით, ცნობიერი ან არაცნობიერი ასოციაცია მამაკაცისა

კულტურასთან და ქალის – ბუნებასთან, უნივერსალურია (Owens 2002: 68). ოუენსის აზრით, „ქალები გენეტიკურად არ ჩამორჩებიან მამაკაცებს, მაგრამ სიმბოლურად უკავშირდებიან ბუნებას კულტურის მეშვეობით“ (იქვე, 70).

ქალთა როლი აგრარულ რიტუალებსა და კალენდარულ წეს-ჩვეულებებში

სუტარტინები, რომელსაც, ძირითადად, ქალები ასრულებდნენ და იცავდნენ, მრავალი საუკუნის განმავლობაში გადაეცემოდა თაობიდან თაობას. დღეს, როდესაც სუტარტინებმა დაკარგა ძველი მნიშვნელობა, ხალხი იშვიათად ფიქრობს მის რიტუალურ წარმომავლობაზე, კავშირზე სუტარტინებსა და მის შემსრულებლებს შორის ან სხვა, უფრო ღრმა საკითხებზე.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს სუტარტინებისა და მათი ქალი მეურვეების ურთიერთობა. ყველა ინდოევროპული ერი, უძველესი დროიდან მოყოლებული, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქალურობის სიმბოლიკას – ადგილის დედას, დედა ქალღმერთს და მსგავს „კერპებს“. დედა ქალღმერთი დაკავშირებულია დედამიწასთან და ბუნებაში ქალების რეგენერაციულ ძალასთან (MHM: 179), ნაყოფიერებასთან დაკავშირებით ქალთა არსებითი რიტუალური ფუნქციების აღიარებით.

მიუხედავად იმისა, რომ ნაყოფიერების ქალღმერთის მითოლოგიას შეიძლება მივაკვლიოთ პალეოლითის ხანაში, მითოლოგ ნიიოლე ლაურინკენის თანახმად, მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული ტიპური ქალღმერთი უფრო დამახასიათებელია გვიანდელი აგრარული საზოგადოებებისთვის. დედამიწისადმი თაყვანისცემა, მისი თქმით, ფერმერთა მსოფლმხედველობას გამოხატავს. აღმოსავლეთ ბალტიის სანაპიროზე მიწათმოქმედების საფუძვლები შეიძლება დათარიღდეს ნეოლითის ეპოქით (Laurinkienė 2013: 27). როგორც ლაურინკენემ შენიშნა, უფრო პრიმიტიულ, მეცხვარეობა/მომთაბარე თემებში, ქალებს, როგორც წესი, ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი ჰქონდათ. თუმცა არამომთაბარე, აგრარულ საზოგადოებაში ქალი არა მხოლოდ სახლის კერის ცეცხლზე ზრუნავს, არამედ საჭმელს ამზადებს და მიწას ამუშავებს. მირჩა ელიადე გვეუბნება, რომ ქალებმა პირველებმა დაიწყეს საკვები მცენარეების მოყვანა. ამგვარად, ბუნებრივია, რომ ქალები წარმართავდნენ მიწის სამუშაოებსა და მოსავლის აღების პროცესს (Eliade 1997: 102).

სავსებით შესაძლებელია, რომ მატრიარქიატის უძველეს წლებში მრავალი მნიშვნელოვანი რიტუალი და მათი თანმდევი სიმღერა ქალების სფეროს განეკუთვნებოდა. სემიოტიკოსმა ალგირდას იულიუს გრეიმასმა გამოავლინა ქალი-დიასახლისების უნიკალური როლი ბალტიის საზოგადოების სტრუქტურაში. იგი წერს:

„მეურნეობის გასაღებები შუა საუკუნეების ევროპაში აღნიშნავდა მამაკაცს, ოჯახის უფროსს; თუმცა, ლიეტუვაში გასაღებები ცოლის სიმბოლო იყო, რომელსაც გასაღებები ქამარზე ეკიდა. იგი პასუხისმგებელი იყო საკვებასა და ტანსაცმელთან დაკავშირებულ საყოფაცხოვრებო საკითხებზე. იგი, ასევე, უზრუნველყოფდა მის სახლში სხვა ქალების სათანადო მორალს. ოჯახი, როგორც წესი, ითავისებდა რძლის წეს-ჩვეულებებს, რომელიც მას შემოჰქონდა ქორწინებისთანავე [ე.წ.] „ოჯახური დუდილისთვის“ – პური და ლუდის კასრი წარმოადგენდა დაკონსერვებულ საკვებს. ეს იმიტომაც იყო, რომ დედის მხრიდან ბიძა უფრო ახლო ნათესავად ითვლებოდა, ვიდრე მამის ძმა. ყოველივე აღნიშნული წარმოაჩენს ოჯახურ მოწყობას ტრადიციების სფეროში, როგორც უძველესი, მატრიარქალური წყობის ბალტიისპირეთის საზოგადოების მემკვიდრეობითობას“ (Greimas, Žukas 1993: 89).

ტატიანა ბერნშტამის აზრით, სლავ ხალხში ქალური საწყისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გაზაფხულისა და ზაფხულის კალენდარული დღესასწაულების დროს, როდესაც დომინირებდა „ქალის მისიის“ თემები და გამოიხატებოდა მიწა-ნიადაგის სიმბოლოთი და ქალის/გოგონას აგრესიისა და თავისუფლების მახასიათებლებით, მამაკაცის პასიურობისა და დამოკიდებულების საპირისპიროდ (Bernshtam 1988: 266). იგივეა ლიეტუვაშიც, სადაც მხოლოდ ქალები ასრულებდნენ ბევრ კალენდარულ რიტუალს. ერთ-ერთი ასეთი არქაული რიტუალი იყო სულთმოფენობისას ჭვავის მინდვრების მონახულება და ლუდის რიტუალური დაღევა, რაც აღნიშნავდა თევზის სეზონის დასასრულსა და ზაფხულის სამუშაოების დაწყებას. როგორც ლაურიკენე აღნიშნავს, ეს არქაული რიტუალი განაპირობებდა მარცვლის ხარისხს (Laurinkienė 2013: 149). ბევრ ფოლკლორულ კვლევაში ჭვავის მინდვრების მონახულება განმარტებულია, როგორც ექსკლუზიურად ქალების ფუნქციის გამოხატულება (თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჭვავის მინდვრებს კაცები და ბავშვებიც კი სტუმრობდნენ). ამ რიტუალის თანხლებით მღეროდნენ

ჰიმნებს სახელწოდებით *paruginés* (ჭვავთან ერთად). მათი მიზანი იყო მსხვილი მარცვლის ზრდის წახალისება (Čiurlionytė 1969: 116). ცხადია, ჭვავის რიტუალში, ისევე როგორც გაზაფხულზე შესასრულებელ ბევრ სხვა რიტუალში, მთავარი როლი ქალებს ენიჭებათ, ალბათ, ქალების ჟემინასთან (Žemyna), დედამიწის ქალღმერთთან [დედა-მინასთან მონათესავე] სიახლოვის გამო. ჭვავის მონახულების რიტუალის კიდევ ერთი თვალსაჩინო ასპექტი ჩანს პარუგინეს ჰიმნების ტექსტებში. ლუდის ხარშვასთან დაკავშირებული ყველა სუტარტინების (ბევრი მათგანი პარუგინეს ჰიმნია) მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მხოლოდ ქალები ამზადებდნენ ამ რიტუალურ სასმელს (აუდიომაგ. 1), რაც დასტურდება ლექსებში (*sesiula, sesutelés* [პატარა და(ებ)ი] [კნინობითი, დიალექტი]; *motinėla* [დედა] [კნინობითი, დიალექტი]); „მოვამზადებთ ცოტა ლუდს, რომელიც თაფლუჭაზე ტკბილი არაა. მოვინვეთ ჩვენს მშობლებს, ჩვენს მამას და დედას. დალიე მამა, გაერთე. ჩემს პატარძალს, ნურავინ ნუ შეხედავ“ [SIS II 507 და var. SIS I 297];¹³ „წავიდეთ, დაო, სვია დაგვკრიფოთ, კარგი ლუდი მოვხარშოთ, დავლიოთ, დაო, წავიდეთ წვეულებაზე“ [SIS II 508]¹⁴ და ა.შ. ამიტომ ლუდის ხარშვა, ისევე, როგორც მისი დაღება „ჭვავთან ერთად“ და პარუგინეს ჰიმნების სიმღერით ჭვავის რიტუალური მონახულება ჟემინასთან, ანუ „დედა-მინასთან“ ძლიერ კავშირზე მიუთითებს. ქალები უზრუნველყოფენ წარმატებულ მოსავალს.

♩ = 88

A - py - nē - lis au - ga, ėiū - to rū - to lin - go.

Ėiū - to, ėiū - to rū - to, ėiū - to, ėiū - to rū - to.

სანოტო მაგ. 1. *Paruginė sutartinė Apynėlis augo*. შემსრულებლები: ტატკუნაი, უკმერგე, აგოტა გრისინე (87), ბარბორას ტიმბურიენე (88), მარიონა გრიციენე (67). გაშიფრულია იობას კარტენისის მიერ 1935 წელს. LTR 836(48) (SIS 574b).

სულთმოფენობის ღამეს (გამთენიისას), ლიეტუვის ბევრ კუთხეში საქონელს ჩვეულებრივი მწყემსების ნაცვლად ახალგაზრდა გოგონები მწყემსავდნენ. დიასახლისი მათთვის კარაქს, ყველსა და პურს ალაგებდა. გოგონები გათენებამდე მღეროდნენ და საჭმელს მიირთმევდნენ. ამ რიტუალის სახელი

იყო *rytelis* (დილა [კნინობითი]) ან *ginti ryto* (მწყევსვა დილით) (აუდიომაგ. 2)¹⁵. სოფლის ჭაბუკები გამოდიოდნენ, რათა ნახირში დახმარებოდნენ გოგოებს და მათი საზოგადოებით დამტკბარიყვნენ. შემდეგ „ქორწილი“ ეწყობოდა. ამ რიტუალის მთავარი მონაწილეები, რომლებიც ცნობილია როგორც *rytelininkės* (დილის გოგოები) ძროხებს გვირგვინებით რთავდნენ, რის შემდეგაც მათ სახლში შედენიდნენ სიმღერის თანხლებით. ფერმის დიასახლისი მათ რძის სათლებიდან ცივი წყლის შესხმით ეგებებოდათ. ნათქვამია, რომ ამ წეს-ჩვეულების მეშვეობით ძროხები უფრო მეტს იწველიდნენ (Balys 1993: 135), იგი ხელს უწყობდა დედამიწის ნაყოფიერებასა და ზრდას, ასევე, უზრუნველყოფდა როგორც ფერმერების, ისე ცხოველების ჯანმრთელობასა და სიცოცხლისუნარიანობას.

R. Ry - to, ry-te - lio, ry-to ra-ti - lè - liu, ry-to ra-ti - lè - liu.

P. Ry - to, ry - to, ry - to ra-ti-lè-liu, ry - to ra-ti-liu.

სანოტო მაგ. 2. დილის სუტარტინე – რუტო, რუტელიო (*Ryto, rytelio*). შემსრულებლები: ონა სმილგენე (74), გავენიშკის ბირჟაი. ჩანერილია ადოლფას საბალიასკასის მიერ 1911 წელს (Slis 534).

საინტერესოა, რომ მამაკაცები ზოგჯერ გაზაფხულის რიტუალებში ჩარევას ცდილობდნენ, თითქოსდა არასრულფასოვნების გრძნობის საპასუხოდ. მაგალითად, ლიეტუვაში წმ. გიორგის დღეს (ცხოველების საძოვრებზე გაყვანის დღეს, ჩვეულებრივ, 23 აპრილს), ქალები მღეროდნენ ჰიმნებს (*Jurginės*) (ერთი მომღერლის თქმით, „გოგოებისა და მოხუცი ქალბატონების მცირეოდენი დახმარებით“)¹⁶. ერთმა მომღერალმა გვიამბო: „გიორგობის დროს <...> ჩვენ მივდიოდით ჭვავის გასწვრივ, ვდგებოდით ღობეზე (წარსულში, ყველა მინდორი შემოღობილი იყო) და ხმამაღლა, გაბმულად ვმღეროდით, ჩვენი ხმა შორს რომ გაეგოთ. ჩვენი დანახვისას კაცები დაგვედევენებოდნენ, დაგვშლიდნენ და ამბობდნენ: „რას ყვირიხართ აქ ყვავებივითო? – სიცივეში იყვირებ!“ (MFA KTR 12/24). კაცების პროვოკაციების მიუხედავად, ქალები აგრძელებდნენ თავიანთ რიტუალურ ჰიმნს თორმეტი დღის განმავლობაში (იხ. Račiūnaitė-Vyčiniene 2012).

შესაძლოა, ამიტომაც, გაზაფხულზე ქალები და ახალგაზრდა გოგონები ხშირად იკრიბებოდნენ სამეგობრო წრეებში.¹⁷

ბალტიისპირეთის რელიგიისა და მითოლოგიის შესახებ XVI-XVII საუკუნეების ნაწერების თანახმად, ქალები იკრიბებოდნენ დანარჩენი საზოგადოებისგან იზოლირებულად რიტუალების განხორციელების მიზნით, რომლებიც ნაწილობრივ ეძღვნებოდა დედამიწის ღვთაებას (Laurikienė 2013: 30). როგორც იეზუიტი მისიონერი ჯოკუბას ლავინსკისი წერდა, „მხოლოდ ქალები სწირავდნენ წინასწარ კარგად გამოკვებულ ღორს (*Tellure Dea*-ს, *დედამიწის ქალღმერთს*) და, როგორც კი თავად მოამზადებდნენ, მოიწვევდნენ წინასწარმეტყველ ქალს და ერთად მიირთმევდნენ მას“ (BRMŠ II: 608). ქალღმერთებისთვის ღორის მსხვერპლშენიშვნის კიდევ ერთი ღირებული აღწერა მოცემულია ბალტიისპირეთში იეზუიტი მისიონერების 1614 წლის მოხსენებაში, რომელიც აღმოაჩინა და გამოაქვეყნა ფილოსოფოსმა ვიტაუტას ალიშაუსკასმა. მართო ქალები ასრულებდნენ მსხვერპლთშენიშვნას [ქალი] ლიდერის/მღვდელმსახურის მეთვალყურეობის ქვეშ:

„ბელლებში მცხოვრები ქალღმერთების საჩუქარი იყო მდებრი ღორი; მის წინ იმართებოდა მშვენიერი მსვლელობა, რომელიც საზეიმოდ მიემართებოდა ბელლებისკენ: ქურუმივით გამოწყობილი ქალი მუქი მოსასხამით წინ მიუძღოდა მსვლელობას. მას მიჰყვებოდნენ ქალები, რომლებსაც ეკეთათ ბარდის ღეროებისგან და მუხუდოს ცარიელი პარკებისგან გაკეთებული გვირგვინები, მიჰქონდათ საქმელი და სასმელი და მღეროდნენ. როგორც კი ბელლებთან მივიდოდნენ, ისინი უხმობდნენ კიბების (რომელზედაც, ოჯახური ტრადიციისამებრ, მზეზე ჩალის კონას დებდნენ) ქვეშ მცხოვრებ ქალღმერთებს და ლოცულობდნენ ბედნიერებისთვის, სთხოვდნენ ქალღმერთებს, არ ებრძოლათ მათ ან მათი კეთილდღეობის წინააღმდეგ, ზიანი არ მიეყენებინათ მათთვის, ყოფილიყვნენ მათ მიმართ კეთილგანწყობილნი და გულკეთილნი“ (Ališauskas 2012: 361).

ქალების (და ახალგაზრდა გოგონების) ზემოხსენებულ სამეგობრო წრეებს შეიძლება ჰქონოდათ გარკვეული იდეოლოგიური მსგავსება ქალთა საიდუმლო ორგანიზაციებთან, რომლებიც ფართოდ არსებობდნენ არქაულ, ტომობრივ ხალხებში (და ჯერ კიდევ შემორჩენილია გარკვეულ ადგილებში). ეს

ორგანიზაციები ცდილობდნენ ქალის სტატუსის ამაღლებას ოჯახში და ქალის გავლენის გაზრდას მთლიანად საზოგადოებაში (Lips 1954). აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ლიეტუვაში არსებობდა პირდაპირი კავშირები ქალთა საიდუმლო ორგანიზაციებსა და ადრე ნახსენებ მეგობრულ შეკრებებს შორის; ეს უფრო მცდელობაა გამოვლინდეს ქალთა – დედა ქალმერთის შთამომავალთა – განდიდების მოდელი და ქალთა უნარი გარკვეული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რიტუალების შესრულებისა.

სუტარტინების ქალ მომღერალთა განსაკუთრებული სტატუსი

ამ ეტაპისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ვოკალური სუტარტინები სასულიერო, მდედრობით-გენდერულ სფეროს მიეკუთვნება. ერთ-ერთმა ჰიმნის მომღერალმა უთხრა XIX საუკუნის ლინგვისტს მიკოლას მეუნიისს, რომ, ძირითადად, ქალები მღერიან სუტარტინებს და რომ მათ „დედებმა იცოდნენ ისეთი ჰიმნები, რომლებიც საიდუმლოდ ინახებოდა და ძალიან იშვიათად იმღერებოდა. სიტყვებს დიდ პატივს სცემდნენ და ისინი შეუცვლელნი იყვნენ“ (PFO, აღწერა 1, nr. 31, გვ. 89). ასეთი აღწერა მეტყველებს სუტარტინების მნიშვნელობასა და სინამდვილე. ამას ადასტურებს XX საუკუნის დასაწყისში მიკოლას ბირჟიშკას ღირებული დაკვირვებები: „სუტარტინები, რომლებიც ზოგჯერ იდუმალი ეჩვენებათ ჩვენი დროის ხალხს <...> ქრება: სუტარტინები ფართოდ იყო გავრცელებული <...> და ამბობენ, ისინი წარმოიშვა *laumės*-დან ან *laumaitės*-დან (ეს უკანასკნელი პირველის კნინობითი ფორმაა). ხალხი გაქრისტიანების შემდეგ ლაუმებს ჯადოქრებს უწოდებდა. თუ ქალიშვილებს მოსწონდათ სუტარტინების სიმღერა, ისინი დიდხანს ელოდნენ დაქორწინებას, რადგან ახალგაზრდა მამაკაცებს მათი ეშინოდათ, ჯადოქრები არ ყოფილიყვნენ (Biržiška 1921: 31). ის ფაქტი, რომ სუტარტინეს ჰიმნის მომღერლებს ლაუმებად ან ჯადოქრებად, ანუ მითიურ არსებებად ან გრძნეულებად თვლიდნენ, მეტყველებს მათ განსაკუთრებულ სტატუსზე. უძველეს სულელებისადმი მიმართვა შემორჩენილია სიმღერის სახე-ლით *Laumių Sutartinė* (გრძნეულების სუტარტინე)¹⁸, რომელიც ნაპოვნია დუბინგაის მახლობლად, მოლეტაის რაიონში. სიმღერა მოგვითხრობს სამ ლაუმზე, რომელიც ერთმანეთისგან რამდენიმე კილომეტრში ცხოვრობდა და ერთად მღეროდა სუტარტინებს (PDI: 474). მომღერალი ლაუმების შესახებ ეს თემატიკა შემდგომ განვითარებულია სხვა მსგავს ზღაპარში სუტარტინების შესახებ, რომელსაც სამი ლაუმი (გრძნეული) მღერის¹⁹. ის ფაქტი, რომ ლაუმები

თავად მღერიან სუტარტინებს, როგორც ჩანს, დასტურია ლაუმების მჭიდრო კავშირისა მინის მოსავლიანობასა და ნაყოფიერებასთან. გარკვეული მნიშვნელობით, ისინი მინის მოსავლიანობისა და ნაყოფიერების ქალღმერთები არიან. ზოგიერთ წყაროში ლაუმები წარმოსახულია გოლიათებად (ისინი ასწორებენ ტერიტორიას, ან, როგორც აღინიშნა, მღერიან სუტარტინებს ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად დაშორებულ მანძილზე). „ვინაიდან მათი საქმიანობისა და ფიზიკური თვისებების აღწერილობასთან ერთად მათ ზოგჯერ ქალღმერთის სახელს მიაწერენ, ეს არსებები შეიძლება ჩაითვალოს ნახევრად ქალღმერთებად“ (Vélius 1977: 128).

როგორც აღინიშნა, სუტარტინების შემსრულებლები გრძნეულებადაც ითვლებოდნენ. როგორ უკავშირდებოდა სუტარტინები ამ მითურ არსებებს? სიტყვა გრძნეული ველიუსის მიხედვით, „ძალიან ძველია, რომელიც პირველადი მნიშვნელობით მჭიდრო კავშირშია სიტყვებთან წინასწარმეტყველი და მკითხავი (მდედრ.)“ (Vélius 1977: 252). წინასწარმეტყველ ქალთა, მკითხავთა (მდედრ.), შემლოცველთა და სიმღერასთან ერთად ექსტრასენსული ხელოვნების სხვა სახეობებით დაკავებულ ქალთა გაერთიანებები შემორჩენილია მსოფლიოს მრავალ ადგილას.

ლიეტუველი არქეოლოგი მარია გიმბუტასი ამტკიცებს, რომ არსებობდენ „წმინდა კაცები“ და „წმინდა ქალები“ – წინასწარმეტყველები და ჯადოქრები, რომლებიც ასრულებდნენ რიტუალებს და მსხვერპლს სწირავდნენ ქალღმერთებს, განსაკუთრებით ჟემინას („დედამინის ქალღმერთს“) და ლაიმას („ბედისწრის ქალღმერთს“). ეს ქალღმერთები მოხსენიებულია მთელი ისტორიის განმავლობაში, XIX და XX საუკუნის დასაწყისამდე (Gimbutas 1985: 174). წმინდა ქალების როლი იყო მთელი წლის განმავლობაში წმინდა დღეებში ქცევის წარმართვა და შუამავლობა ღვთაებებსა და ადამიანებს შორის. ისინი, ასევე, სწირავდნენ მსხვერპლს და წინასწარმეტყველებდნენ მომავალს (Gimbutas 1985: 174).

ამიტომ სავსებით სავარაუდოა, რომ პირველი სუტარტინეს ჰიმნის მომღერლები ერთგარი წინასწარმეტყველები იყვნენ. ის ფაქტი, რომ ადამიანთა მხოლოდ მცირე, შერჩეული ჯგუფები და არა მასები მღეროდნენ სუტარტინებს, ამყარებს ამ ვარაუდს. ჩვეულებრივ, მომღერალთა ჯგუფი შედგებოდა ერთი ოჯახის

წევრებისგან (დედა და ქალიშვილი, დეიდა და ა.შ.) ან უახლოესი მეზობლებისგან. ამგვარად, *სუტარტინების* შესრულების სპეციალიზებული ხელოვნება ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ითვლება, რომ მეზობლებთან სიმღერის წესი მოგვიანებით განვითარდა – თავდაპირველად ეს იყო ოჯახური (და უფრო ადრეც, საგვარეულო) ტრადიცია. შორეულ წარსულში *სუტარტინები*, როგორც ჩანს, წარმოადგენდა ხელოვნების ელიტარულ ფორმას. *სუტარტინები* უღერდა ხოლმე ბევრად უფრო ფართო წრეში, მაგრამ ცოტას ესმოდა ან იცავდა მათ მნიშვნელობას. შესაბამისად, სიტუაცია ისეთივეა, როგორსაც ბორის პუტილოვი აღწერს რიტუალურ ცეკვებთან დაკავშირებით: „მართალია ყველამ იცოდა ცეკვა, თუმცა ცოტა თუ ფლობდა რიტუალურ ქორეოგრაფიას, ან იცოდა ცერემონიაში მისი ადგილის და სხვა მოცეკვავეების როლების შესახებ“ (Putilov 1980: 127). მელოდიების „დაცვა“, ასევე, წარმოადგენდა „დიდი ადამიანებისა“ და „სპეციალისტების“ პრივილეგიას (იქვე, 255).²⁰

დღემდე შემორჩენილი ბერამიბაძვითი ბგერების სიუხვე, ასევე, მიუთითებს იმაზე, რომ ეს იყო ქალთა პრივილეგირებული ფენა, რომელსაც ჰქონდა წვდომა *სუტარტინეს* ჰიმნების მნიშვნელობებზე. ჰიმნების შემსრულებლებელთა რამდენიმე წინა თაობამ ვერ შეძლო ამ ტექსტების მნიშვნელობის ინტერპრეტაცია. ასეთი ბერამიბაძვითი ბგერების უჩვეულო რაოდენობა იმაზე მეტყველებს, რომ *სუტარტინეს*, შესაძლოა, როგორც შელოცვებს, განსაკუთრებული როლი ჰქონდა რიტუალებში.²¹

ეჭვგარეშეა, ახლა უკიდურესად რთულია *სუტარტინების* სავარაუდო შელოცვების მნიშვნელობების საბოლოოდ დადგენა. ზოგიერთი *სუტარტინეს* სიმღერა შედგება მხოლოდ ბერამიბაძვებისგან ან შორისდებულებისგან (შესაძლოა, მაგიური სიტყვებისგანაც). მათი მუდმივი გამეორება თითქმის მანტრის მსგავსია. *სუტარტინების* სინკრეტული ბუნება, რომელიც გულისხმობს მონოტონური ბგერებისა და მოძრაობების გამეორებას, წარმოაჩენს, თუ როგორ ხდება აკუსტიკური, ტაქტილური და ვიზუალური სტიმულების შეერთება, რაც ცნობიერების შეცვლას იწვევს. *სუტარტინების* შემსრულებლებისა და მსმენელების აზრით, ამ სიმღერებს, ასევე, ჩვეულო ჰიპნოზური ეფექტი აქვთ (დღემდე არავის ჩაუტარებია ამის სიღრმისეული შესწავლა). მიიჩნევენ, რომ ამ ეფექტს ხელს უწყობს მონოტონური მუსიკალური და ქორეოგრაფიული რიტმი და რეჟერენების მუდმივი გამეორება, ისევე, როგორც პოლიფონიური ჰიმნების სტრუქტურა.

„სუტარტინების წრეები“ – ახალი სოციალურული ფენომენი

ლიეტუვური სუტარტინები მიეკუთვნება „პოლიფონიური კულტურის“ ტიპს, სადაც პოლიფონიის სოციალური და მუსიკალური კომპონენტები ფართოდაა დადასტურებული. სუტარტინები შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ, როგორც სასიმღერო ხმებს შორის შეთანხმებული ურთიერთობა, არამედ, როგორც ჰარმონიული სოციალური ურთიერთობების მეტაფორა; ეს ასპექტები ურთიერთდაკავშირებულია. შემთხვევითი არაა, რომ უძველესი დროიდან სუტარტინებს მღეროდნენ უახლოესი ნათესავებისგან, მეზობლებისგან ან კარგი მეგობრებისგან შემდგარი ქალთა მცირერიცხოვანი ჯგუფები. ამ ქალებმა სიმღერის მეშვეობით შეინარჩუნეს როგორც სოციალური, ასევე, სულიერი კავშირები. მართლაც, მხოლოდ მაშინ, როცა მომღერალმა ქალმა იცის სხვა ქალის ვოკალური ტემბრის მახასიათებლები და მისი მუსიკალური შესაძლებლობები, შესაძლებელია შესრულდეს სუტარტინების მოთხოვნები: ხმების კარგად „დაყვირება“, „სტვენა“ (თითქოს სკუდუჩიას ბაძავ), „ჩაჭედება“ – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი ჰარმონიზაცია.

2010 წელს იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში სუტარტინების შეყვანის შემდეგ მისი აღორძინება დაიწყო. ის ლიეტუვური იდენტობის არსებითი კომპონენტი ხდება. აერთიანებს რა სხვადასხვა ასაკისა და სოციალური ჯგუფის ადამიანებს განსხვავებული მუსიკალური გამოცდილებითა და შესაძლებლობებით, სუტარტინები, როგორც ანსამბლური სიმღერისა და კულტურული მოღვაწეობის ფორმა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. როგორც ზემოთ აღინიშნა, შერეული სქესის ჯგუფებში სიმღერა არ იყო ტიპური სოფლის ტრადიციებისთვის, თუმცა ეს დოკუმენტირებული იყო ბოლო საუკუნეებში. მიუხედავად ამისა, ბოლო ხანებში ხალხს სწორედ შერეული ხმით სიმღერა იზიდავს. ახლა ნებისმიერს, ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სუტარტინების კოლექტიურ სიმღერაში – სპეციალური მომზადება არ არის საჭირო. რიტმულ მუსიკაში სრულად ჩაძირვა (ხშირად სიმღერას დასარტყამები ახლავს), გაუგებარი, „მომაჭადოებელი“ რეფრენების გამეორებით – ძალიან მიმზიდველი და სოციალურად გამაერთიანებელი გამოცდილებაა. ამ ტიპის ჯგუფური სიმღერა წარმოქმნის „უძველეს რიტუალებზე“ წვდომის საშუალებას და სოციალური სოლიდარობის განცდას, რაც შეიძლება სწრაფად გადაიზარდოს ეიფორიის ან

„ტრანსის“ მდგომარეობაში. *Suburtyne*-ს კვლევის, ან *სუტარტინეს* მომღერალთა მართონ-შეკრების მიხედვით: „სუტარტინები თავის ყოვლისმომცველ სითბოში იღებს და აერთიანებს თითოეულ ადამიანს, იქნება ეს დედის მკლავებში მძინარე ჩვილი, ხმაურიანი ბავშვი თუ უნივერსიტეტის სტუდენტი, პენსიონერი ან თუნდაც ოთხფეხა შინაური ცხოველი“ (*Barauskaitė*). ღონისძიების დასასრულს, რომელსაც ეს ავტორი აღწერს, ყველას შესთავაზეს შეეკრათ წრე: „ერთმანეთს ჩავეჭიდეთ ხელები, ფეხების ბაკუნით და მელოდიის შეგრძნებით, წრეზე ვმოდრაობდით. *სუტარტინებით* მიღწეული ეს კავშირი უნიკალურია. უცნობმა ხელი მომკიდა, ძლიერად მომიჭირა და მიღიმოდა, სანამ მღეროდა“ (იქვე).

ცოტა ხნის წინ გაჩნდა ახალი პრაქტიკა – *Sutartinų ratas* (*სუტარტინების წრე*). *სუტარტინების* წრე შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოწვევა *სუტარტინეს* შესასწავლად, დამწყებ თანამოაზრეთა დიდი წრის ფორმირების მეშვეობით.²² დღევანდელ საზოგადოებაში *სუტარტინების* წრე პოპულარობას იძენს და, როგორც ჩანს, თანდათან ანაცვლებს ტრადიციულ ჯგუფურ სიმღერას (ვიდეომავ. 4).

სუტარტინები – ქალთა სულიერი ურთიერთობის ფორმა

დღეს, XXI საუკუნის მეორე ათწლეულში, *სუტარტინები* ქალებისთვის მნიშვნელოვანი საშუალებაა საკუთარი სულიერი გზის საძიებლად, სულიერი თვითგანათლების ხერხია. არ არსებობს მარტივი პასუხი კითხვაზე, რამ გამოიწვია თანამედროვე ქალების ინტერესი არქაული *სუტარტინების* მიმართ. ეს გამოიხატა სამეცნიერო კვლევებით, სადაც დეტალურად განიხილება ქალის როლი ლიეტუვის ბალტიის კულტურაში (*Gimbutas 1995; Raciūnaitė-Vyčinienė 1995; 2002; 2018; Urbanavičienė 2009*), ასევე, კონცერტებით, პროექტებით და სპეციალიზებული საგანმანათლებლო აქტივობებით მომღერალთა (ქალები) სპეციალიზებული ჯგუფების ხელმძღვანელობით, მედიის გაზრდილი ყურადღებით *სუტარტინესადმი* და თუნდაც ქარიზმატული პიროვნებებისადმი, რომლებიც ქალებისთვის სულიერი „მეგზურები“ გახდნენ. ამ აქტივობებისა და ღონისძიებებიდან ბევრი რეკლამირებულია ინტერნეტში და სოციალურ მედიაში, რათა რაც შეიძლება მეტი ქალი მოიზიდოს. მაგალითად, დები დოროტე და აგოტა ზდანავიჩიუტეები იწვევენ ქალებს კლუბში „ყვითელი დივანი“, სადაც

„დედის დღესთან დაკავშირებით, დედებსა და ქალიშვილებს სუტარტინების წრე მიესალმება. დ. ზდანავიჩიუტე-გირსკენე – „ძველი ტრადიციების აღმზრდელი“, მუსიკოსი, მხატვარი, სამკურნალო ბალახების მცოდნე, ქალთა თავის მოვლის პრაქტიკოსი, მუსიკალური ჯგუფების *Sen Svaja* და *Laiminguo* წევრი – მოგიწოდებთ „შეუერთდეთ ქალთა თანამეგობრობას, სამკურნალო ბგერებს და წინაპართა სიბრძნეს!“²³

საგანმანათლებლო და საკონცერტო პროექტი *Pramočių giesmės* (წინაპარ ქალთა საგალობლები) რამდენიმე წელია არსებობს.²⁴ მისი ინიციატორი და დამფუძნებელია ფოლკ-როკ მომღერალი ლაურიტა პელენიუტე. მისი გარკვეულწილად იდუმალი ფორმულირებით, „ეს არის პროექტი, სადაც ადამიანები სიმღერით უბრუნდებიან თავიანთ ფესვებს. ხალხური სიმღერები და სუტარტინები გვაბრუნებენ ჩვენს ბუნებრივ გზასთან“. პროექტი მოიცავს ისეთ პროგრამებს, როგორცაა „სიმღერებისა და სუტარტინების მუდმივად მბრუნავი წრეები“ (ვილინუსში და სხვა ქალაქებში); „აღმოაჩინე სუტარტინები შენში (მცირე ჯგუფის სუტარტინების მეშვეობით ვოკალში ტრენინგის ხუთი გაკვეთილი); და „გუნდური მუშაობა ლიეტუვური სიმღერის უნიკალური და უძველესი სისტემის გამოყენებით“ (სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა ორგანიზაციებისთვის). მიუხედავად იმისა, რომ პელენიუტეს პროექტი არსებითად კომერციულია, იგი იზიდავს მონაწილეთა დიდ რაოდენობას და ფართო საზოგადოებას სუტარტინებს აცნობს.

სუტარტინების არაფორმალურ ჯგუფებში მონაწილე ქალთა სისტემური კვლევა არ ჩატარებულა, თუმცა მონაწილეთა არაერთი განცხადება შეიძლება მოიძებნოს ინტერნეტში. ზოგიერთი მათგანი ძალიან პირადულია და აღწერს სულიერი გამოცდილების ძიებას და „აღმოჩენას“ სუტარტინებში. ყოველ ოთხშაბათს იევა, ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, თავისი სახლიდან (ლაზდიას რაიონი) მიემგზავრება დაახლოებით 30 კილომეტრზე, რათა თანამოაზრეების წრეში იმღეროს ტრადიციული ხალხური სიმღერები: „თავიდან ეს ერთგვარი ეგოისტური სურვილი იყო. მიყვარს სუტარტინების სიმღერა, მაგრამ მარტო ამას ვერ ვახერხებ. დავიწყე იმ ადამიანების ძებნა, ვისაც ერთად სიმღერა სურდა. ვცადე ლაზდიაში დამეარსებინა წრე, მაგრამ მსურველები არ აღმოჩნდნენ. შემდეგ გადავწყვიტე მომეძებნა ხალხი ალიტუსიდან, ვისაც შეეძლო სუტარტინების წრეში განვერიანება. გამიმართლა“ (Kudzienė). რასა (ამ ქალთა წრის ერთ-ერთი

პირველი წვერი, რომელიც ყოველ ოთხშაბათს ალიტუსის გარეუბანიდან ორ შვილთან ერთად მოდის) ამბობს: „ჩემთვის სუტარტინები დასვენების ფორმაა“. როცა ის ნერვიულობს ან იძაბება, მეუღლე ხუმრობით ეუბნება: „დროა, იმღერო“.

ზაპიშკისში (კაუნასის რაიონი) სუტარტინების ირგვლივ ქალების შეკრება დახასიათებულია, როგორც მსგავსი დამამშვიდებელი ატმოსფეროს შექმნის შესაძლებლობა²⁵. მონაწილე ქალების თქმით, სუტარტინების სიმღერა ესაა საშუალება გამოყო დრო სულის აღსადგენად, დახურო გარე სამყაროს კარი და რამდენიმე საათის განმავლობაში ჩაიძირო სიმღერის ნაკადში. სუტარტინების სიმღერა გვცხმარება დავუბრუნდეთ ადამიანური დროის ტემპს და არა იმ სწრაფ ტემპს, რომელშიც ახლა ყველა ვცხოვრობთ“, – ამბობს წვერი იურატე. „სუტარტინების სიმღერა ფოკუსირების და ამავდროულად მოდუნების საშუალებას იძლევა – თქვენ უნდა ფოკუსირდეთ, რათა სხვებს მოუსმინოთ და მოდუნდეთ, რომ იმღეროთ“, – ამბობს დაივა. ვიოლეტას თქმით, როცა მღერი, დრო არ არსებობს, „სხვა სივრცეში ხარ, შენი გონება საბოლოოდ დუმდება, შენ მისდევ ხმას, რიტმს, შენ ითიშები გარე სამყაროსგან და... აცნობიერებ, ვინ ხარ სინამდვილეში. დგება სიჩუმე და სიმშვიდე“. დაივა საკუთრივ ქალურობასაც კი აღარებს სუტარტინების სიმღერას: „შენ იღებ ხმას, შენ გადასცემ მას სხვას. ქალიც ასეა, ის ყოველთვის იძლევა საკვებს, სიყვარულს; ბავშვს ქალი აჩენს, მაგრამ თქვენ უნდა მიიღოთ რაღაც, რომ გააჩინოთ იგი“. კითხვაზე, იღებენ თუ არა ისინი თავიანთ წრეში კაცებს, ქალებმა უპასუხეს: „იშვიათად. ერთხელ კაცი შემოგვიერთდა და როგორღაც მიაღწია ბოლომდე, მაგრამ როცა წავიდა, თქვა: „აბა, მე ვიმღერე გრძნეულებთან ერთად“ და აღარ დაბრუნებულა. მისთვის ეს ძალიან ინტენსიური იყო“. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქალებს განსაკუთრებული დამოკიდებულება და სულიერი კავშირი აქვთ სუტარტინესთან, რასაც ისინი განიცდიან ყოველ ჯერზე, როდესაც მღერიან.

დასკვნები

ქალებსა და სუტარტინებს შორის კავშირი უძველესი დროიდან იწყება. მისი ფესვები იკვთება ძველი ევროპის მატრიარქალურ კულტურაში, ისევე, როგორც ადრეულ სოფლის მეურნეობაში. თითქმის უდაოა, ქალები სოფლის მეურნობის პიონერები იყვნენ, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ისინი გახდნენ მინისა და მოსავლის მფლობელები. ისინი პასუხისმგებელი იყვნენ ნაყოფიერებისა

და მოსავლის აღების უზრუნველსაყოფ წეს-ჩვეულებებზე, რასაც თან ახლდა სუტარტინების სიმღერა.

სუტარტინების მომღერლებს შემთხვევით არ მოიხსენიებენ, როგორც ფერიებს (და მოგვიანებით, გრძნეულებს). ფერიების ზემოხსენებული „ტრანსფორმაცია“ გრძნეულებად შეიძლება უკავშირდებოდეს XVII საუკუნეში რელიგიის ფემინიზაციას, როდესაც კულტურის ისტორიკოსის ვიტაუტას კავოლისის თანახმად, „ქალის გამოსახულება დაიყო ზეციურ იდეალად და გრძნეულის მაგვარ შეამოხედ“ (Kavolis 1992: 43). გრძნეულის კონცეფცია, კავოლისის მიხედვით, შესაძლოა, წარმოქმნილიყო მამაკაცის შიშიდან, რომ ქალები უფრო დამოუკიდებლები ხდებოდნენ. გრძნეულებზე ნადირობის დროს, XVI-XVIII საუკუნეებში, ჯადოქრობაში ადანაშაულებდნენ ადამიანებს, რომელთა ქცევაც ნორმის ფარგლებს სცდებოდა (Sabaitytė 2010: 81). გასაკვირი არაა, სუტარტინების შემსრულებლებიც მიეკუთვნებოდნენ ჯადოქრობით დაკავებულთა კატეგორიას.

ერთი მხრივ, სუტარტინების სპეციალისტები, შესაძლოა, მართლაც ყოფილიყვნენ „გრძნეულები“ ექიმბაშების, მკურნალების ან წინასწარმეტყველების იმდროინდელი, ძველი გაგებით. მეორე მხრივ, ხალხმა, შესაძლოა, მათი გრძნეულებად მოხსენიება მოგვიანებით დაიწყო, მას შემდეგ, რაც სუტარტინების სიმღერის ტრადიციამ გაქრობა დაიწყო. ისინი იყვნენ ძველი ტრადიციის შემნახველები და ჰიმნების დამცველები, რაც გარშემომყოფებისთვის აღარ იყო აქტუალური ან გასაგები, ამიტომ ისინი ეზოთერული ცოდნის მცველებად ითვლებოდნენ. ტრანსფორმაცია, შესაძლოა, უკავშირდებოდა მაგიისადმი დამოკიდებულების შეცვლას. როგორც ბრონე კერბელიტე აღნიშნავს, „უმრავლესობის ყოველდღიური ცხოვრებიდან ჯადოსნობამ გაქრობა დაიწყო და დაიწყეს უფრო კონსერვატიული ადამიანების დაცინვა ან მათი საშიშ პირებად მიჩნევა, მსგავსად გრძნეულებისა და ჯადოქრებისა“ (Kerbelytė 1999: 246).

XXI საუკუნის დასაწყისში სუტარტინები თანდათან ხდება არა იმდენად მუსიკალური, რამდენადაც სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი სოციალური ფენომენი. ქალაქის გარემოში საკონცერტო ფორმით აღორძინების პარალელურად, რაც XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე დომინირებდა, სუტარტინები ჩნდება, როგორც სოციალური სოლიდარობის ახალი ფორმა – ის თითქოსდა

უბრუნდება საკუთარ მშობლიურ საზოგადოებებს. დღეს, მიუხედავად უფრო ზოგადი „სუტარტინეს მოძრაობის“ მზარდობისა, რომელიც მოიცავს დიდ შერეულ გენდერულ წარმონაქმნებს, ქალები კვლავ ერთიანდებიან მცირე, ცალკეულ ჯგუფებად. ამ უფრო ჩაკეტილ შეკრებებში, რომლებიც გარეშე პირებმა აღიქვეს, როგორც „გრძნულის მაგვარი“, სიმღერების შესრულებით ისინი ეძებენ სულიერ პლაცდარმს საკუთარი, ქალური სამყაროსთვის და, ამგვარად იცავენ თავს გარე გამღიზიანებლებისგან.

თარგმნა მარია ნადარეიშვილმა

შენიშვნები:

1. სახელწოდება, სავარაუდოდ, უკავშირდება თავისებურ დანაწევრებულ ხმოვანებას, რომელიც წარმოიქმნება სეკუნდების „შეჯახების“ შედეგად.
2. როგორც ჩანს, მუსიკის ციკლურობამ განაპირობა მომღერლების წრიულად განლაგება: „ერთი იწყებს, მალე მას მეორე აიტაცებს, მისგან – მესამე და ასე გრძელდება წრიულად მომღერლების რაოდენობის მიხედვით“.
3. სუტარტინეს-ს წამყვანი მომღერალი იწყებს, განსაზღვრავს ტონის სიმაღლეს, არეგულირებს დროს და პასუხისმგებელია შესრულების საერთო განწყობაზე, მთელი ამ დროის განმავლობაში მღერის რა ახალ ლექსებს/პოეტურ ტექსტებს (ე.წ. „სიტყვების შეგროვება“). სხვა მომღერლები მას მიჰყვებიან. ამგვარი მიბაძვა ან „უკნიდან მიყოლა“ წარმოადგენს სუტარტინების მუსიკის ორგანიზების ერთ-ერთ წამყვან პრინციპს.
4. ძალიან მადლობელი ვარ ჩემი ჯგუფის *ტრის კეტურიოსეს (Trys Keturiose)* სუტარტინეს მომღერლებისა: ა. ბარეიკიტე, ი. კარბაუსკაიტე, ა. ნავასაიტიტე, გ. ვილაუსკენე, დ. ნორვაიშიტე, ე. სერეიჩიკენე, რ. ვისაკენე და ა. ჟილინსკენე. ამ ქალებთან ერთად (ზოგიერთთან 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში), მე შევძელი სუტარტინეს თანდაყოლილი მრავალი საიდუმლოს შეცნობა. ეს ჯგუფი ჰგავს შემოქმედებით „ლაბორატორიას“, რომელიც ექსპერიმენტებს ატარებს სხვადასხვა მივიწყებულ და არატრადიციულ სასიმღერო სტილზე, ასევე, რეკონსტრუირებულ ან დამუშავებულ მელოდიებთან და სუტარტინეს გამოხატვის ალტერნატიულ ფორმებთან, სადაც გაერთანებულია ჯაზი, ელექტრონული, ალტერნატიული და სხვა ერების ტრადიციული მუსიკა. ასევე, იხილეთ მხატვრული პროექტები მულამი და სუტარტინე: დიალოგები (ვიდეომაგ. 1), წინაპრები (ვიდეომაგ. 2), *Rasų Ratas* – რასასის წრე (ვიდეომაგ. 3) და ა.შ.
5. ტრადიციური ლიეტუვეური სიმებიანი საკრავი, ჰგავს ციტრას.

6. რეპშენეს დაკვირვებები ქალურობაზე წარმოდგენების მრავალგანზომილებიანობისა და უნიტარული მნიშვნელობის დაკარგვის შესახებ შეიძლება დაგვეხმაროს ავსხნათ, თუ რატომაა ლიეტუვაში, *სკუდურიას* (მრავალღერძიანი სალამური) ტრადიციაში ქალის როლი არაერთმნიშვნელოვანი, რაც მოგვიანებით განიხილება წინამდებარე ნაშრომში.
7. ხელნაწერთან მოცემულია შემდეგი კომენტარი: „ამ სიმღერა-ჰიმნს ცეკვავენ ქალები, რომლებიც ფეხებს აბაკუნებენ და ტრიალებენ სათითაოდ მანამ, სანამ მღერიან. კაცები და ბავშვებიც ცეკვავენ. ამ სიმღერას ჰქვია ცეკვა – *Ožys (თხა)*. მომღერალმა ნათლად ვერ ახსნა, როგორ უნდა შესრულდეს ეს ცეკვა“ (გაშიფრა ი. იურგმა, 1938, LTR 1412 [36]).
8. ელუბეტა იანკაუსკენე, 72 წლის, კუპიშკისი. ხელნაწერს შემდეგი კომენტარი აქვს: „მომღერალს [ქალი] აღარ ახსოვდა *სუტარტინები*. როდესაც კაცები მღერიან, ისინი „თანხლებას უწვენ“ დაბალი ხმით [tūravojā] – ღმუილით [bauboja]“ (გაშიფრა ი. ვაიტეკუნასმა 1956 წ.).
9. კურსკის ოლქის სოფელ პლუხოვოში ინსტრუმენტული მუზიციერების ტრადიციის თანახმად, კვვიცილივ მხოლოდ ქალები უკრავენ, მაშინ, როდესაც ბუკზე, ვიოლინოსა და აკორდეონზე – მხოლოდ მამაკაცები.
10. ვასილიაუსკას, დაიბადა 1847 წ. სოფელ ბაკშენაიში, ბირჟაის რაიონი. გაშიფრა ს. პალიულისმა 1932 წ. (LLIM, nr. 119).
11. იურგის ბორისას, დაიბადა 1866 წ. სოფელ ბაკშენაიში, ბირჟაის რაიონი. გაშიფრა ს. პალიულისმა 1932 წ. (LLIM, nr. 119).
12. ანალოგიურად, სიტყვა „მუსიკა“ ტრადიციულ რუსულ კულტურაში ხშირად აღნიშნავს მუსიკალურ ინსტრუმენტს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, შექნილია და ქარხნულადაა დამზადებული (მაგალითად, აკორდეონი ან ბალალაიკა). ამას მოწმობს სოფლის მუსიკოსებში გავრცელებული გამონათქვამები, მაგალითად, „играть на музыке“ („მუსიკაზე დაკვრა“); „гармонь да скрипка – самая сильная музыка“ („გარმონი და ვიოლინო – საუკეთესო მუსიკა“) და ა.შ. ამავდროულად, ტრადიციულ ინსტრუმენტებს თავად მუსიკოსები ქმნიან ყველაზე მცირე დანახარჯით და მათ არ გააჩნიათ კომერციული ღირებულება. მათ ტერმინი „მუსიკა“ მხოლოდ პირობითად უკავშირდება (Velichkina 2005: 161).
13. ორიგინალურ, ლიეტუვერ დიალექტზე: „Padarysim Alutėlio, Nesaldesnio Midutėlio. Pasikviesim Savo tėvų, Savo tėvų and motulį. Gerk, tėvuli, Radavokies, Manj jaunios Nadabokie.“
14. ორიგინალურ, ლიეტუვერ დიალექტზე: „Eisim, sesel, pasirašyt apynėlių, Alutėlio padaryti. Gerkim, sese, uliavokim.“
15. რამდენიმე *rytelis* (დილა) *სუტარტინები* დაფიქსირდა ბირჟაის რაიონში, მაგ., *Ryto rytėlio* (დილა, *მშვენიერი*, დილა) (SIS II 534), *Ar kas ryto gynė?* (ვინ გამოუშვა ნახირი ამ დილით?) (SIS II 538), *Mano vainikas, judabra* (ჩემი გვირგვინი, ჯუდაბრა) (SIS II 539) და სხვა.

16. რესპონდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გიორგობას ჰიმნების სიმღერა გოგობისა და ქალების საქმე იყო. ქალები ამ რიტუალებს ღია სივრცეში ასრულებდნენ, როგორც წესი, შემადლებული ადგილიდან – ღობეზე ან თივის ზვინზე – ან უბრალოდ ჭვავის მინდვრებში სეირნობისას და უყვიროდნენ გიორგის, რომელიც პასუხისმგებელია დედამინის გასსნაზე. ლაურინკენე განმარტავს, თუ რატომ იყვნენ ქალები პირველ რიგში პასუხისმგებელი ამ რიტუალზე: ეს არის ქალის სიახლოვე დედა *ჟემინასთან* „დედამინასთან“ (Laurinkienė 2013: 192).
17. ქალების საგაზაფხულო თავყრილობები სამხრეთ რუსეთის რაიონებში, რომელიც შესაბამება დაახლოებით იმ მხარეს, სადაც ვიატიჩის ხალხები იყო ადრე დასახლებულბული, ცნობილი იყო, როგორც *morgostje* (*morgoski*). ასეთ შეკრებებში მხოლოდ გათხოვილი ქალები მონაწილეობდნენ. ითვლებოდა, რომ სიმღერის ტექსტს განსაკუთრებით მაგიური ხასიათი ჰქონდა (Bernshtam 1988: 149).
18. კსავერას ილგევიჩიუსი, 75 წლის. ჩაინწერა იურგის დოკიდაიტისმა 1968 წ. (LTR 4105 [262]).
19. ელენა მაჩილუევიჩენე-გრიგელევიჩიუტე, დაიბადა და ამჟამადაც ცხოვრობს სოფელ ჟიდოვაინინაში, მოლვატაის რეგიონში, ჩაინწერა რიტა ბალკუტემ 1996 წ. ავტორი ბალკუტეს მადლობელია მისი სავლელ მასალების გაზიარებისთვის.
20. ანალოგიების აღმოჩენა შესაძლებელია სხვადასხვა კულტურაში, მაგალითად, ყოველ ჭვავის სიმღერას (*mele*) რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: პირდაპირი (ყველასთვის გასაგები), მითოლოგიურ-ისტორიული და ღრმად დაფარული – კაუნა *kauna* (Tokarev, Tolstov 1956: 645).
21. შელოცვების მთქმელ ქალებს ზოგიერთ ტრადიციაში გრძნეულებს უწოდებენ. რეპშენეს მიხედვით, ტრადიციული თემები ხშირად დევნიდნენ ჯადოქრობით დაკავებულ ქალებს (Repšienė 2004: 36). გავიხსენოთ ბირუიშკას მართებული კომენტარები იმის შესახებ, თუ როგორ ითვლებოდნენ გრძნეულბად ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც მღეროდნენ *სუტარტინებს* და როგორ ეშინოდათ მამაკაცებს მათი ცოლად მოყვანა.
22. ლიეტუვაში შემდეგი ჯგუფებია: *Sutartinų ratas* (*სუტარტინეს წრე*) ქ. კლაიპედაში, ქ. ვილნიუსში (ხელმძღვანელობენ დები აგოტა და დოროტე ზდანავიჩიუტეები), *Sutartinų ir dainų ratas* (*სუტარტინეს და სიმღერების წრე*) კაუნასში, *Sutartinų mankšta* (*სუტარტინეს გიმნასტიკა*) ვილნიუსში (ხელმძღვანელი აგოტა ზდანავიჩიუტე) და სხვ.
23. <https://www.gai.lt/saviugda/sutartinu-ratas-moterims>
24. <http://www.promociugiesmes.lt/>
25. ზაპიშკისის სასიმღერო საზოგადოების ბირთვი შედგება ექვსი ქალისგან: არქიტექტორი იურატე სოდეიკენე (50 წლის), IT სპეციალისტი დაივა ვაიშნორენე (40 წლის), ეკოლოგი კრისტინა ანდრაშიუტე (40 წლის), მასაჟისტი უგნე ბუსლენე (40 წლის) და მუსიკის მასწავლებელი მილენა პერმინენე (43 წლის).
26. <https://www.zmones.lt/naujiena/zapyskio-moteris-jungia-sutartines-padedancios-susikaupti-ir-atsipalaiduoti.44859a0b-9ae0-11e8-9f90-aa000054c883> (ნანახია 14.07.2018).

აბრევიატურები:

- BRMŠ – Baltų religijos ir mitologijos šaltiniai (ბალტიის რელიგიისა და მითოლოგიის წყაროები), Vol. 2: XVIII century, edited by Norbertas Vėlius, Vilnius: 2005.
- LLIM – Lietuvių Liaudies Instrumentinė Muzika (ლიეტუვერი ინსტრუმენტული ხალხური მუსიკა), Edited by Paliulis, S., Vilnius, 1959.
- LMD – Lietuvių mokslo draugija (ლიეტუვერი სამეცნიერო საზოგადოება).
- LTR – Folklore Manuscript Library of the Lithuanian Institute of Literature and Folklore (ლიეტუვის ლიტერატურისა და ფოლკლორის ინსტიტუტის ფოლკლორული ხელნაწერების ბიბლიოთეკა).
- MFA KTR – Lietuvos muzikos ir teatro akademijos Muzikinio folkloro archyvo Tautosakos rankraštynas (ლიეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემიის მუსიკალური ფოლკლორის არქივის ფოლკლორული ხელნაწერი).
- PDI – Pasakos su dainuojamaisiais intarpais (ფოლკლორული ზღაპრები წანამღერებით), compiled by Jurgis Dovydaitis, Vilnius: Vaga, 1987.
- SIS – *Sutartinės: Daugiabalsės lietuvių Liaudies Dainos* (სუტარტინები: მრავალხმიანი ლიეტუვერი ხალხური სიმღერა), Volumes 1, 2, Vilnius, 1958, and Volume 3, Edited by Slaviūnas, Z., Vilnius, 1959.
- KOOBA – Календарные обычаи и обряды Восточной Азии. Годовой цикл (აღმოსავლეთ აზიის კალენდარული წეს-ჩვეულებები და ცერემონიები. წლიური ციკლი). Отв. ред. Р. Ш. Джарылгасинова, М. В. Крюков. Москва: Главная редакция восточной литературы издательства "Наука", 1989.
- MHM – Мифы народов мира (მსოფლიო ხალხების მითები). Гл. ред. С. А.Токарев. Т. 1–2. Москва: Наука, 1980–1982.
- РГО – Русское географическое общество (რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოება), Inventory 1, No. 31, p. 89.

აუდიომაგალითები:

- აუდიომაგ. 1. *Paruginė sutartinė Apynėlis augo*. შემსრულებლები: ტატკუნაი, უკმერგე, აგოტა გრისიენე (87), ბარბორა სტიმბურიენე (88), მარიონა გრიციენე (67). ჩაწერილია ზენონას სლავიუნას მიერ 1937 წელს, LTR pl 615 (15).
- აუდიომაგ 2. დილის *სუტარტინე – რუტო, რუტელიო (Rytelis sutartinė Ryto, rytelio)*. შემსრულებლები: ტრის კეტურიოსე, ვილნიუსი. ჩაწერილია რიმანტას მოტიუნასის მიერ 1998 წელს. CD ლიეტუვერი ტრადიციული მუსიკა. *სუტარტინეს*. ვილნიუსი: ტაუტოს ნამუ სანტარა, 1998 წ.

ვიდეომაგალითები:

ვიდეომაგ. 1. *მუდამი და სუტარტინები: დიალოგები*. შემსრულებლები: თემურ ნადირ კერიმოვი, სამხატვრო ხელმძღვანელი, კომპოზიტორი, როკ მუსიკოსი; ტრის კეტურიოსე; აზერბაიჯანული მუდამის მუსიკოსები: ელშან მანსუროვი, მალიკ მანსუროვი და ეთირამ ჰუსეინოვი, ლიეტუველი მულტი-ინსტრუმენტალისტი ევალდას ვიჩინასი, სიმებიანი კვარტეტი *Chordos* და სხვ. <https://www.youtube.com/watch?v=Mqc4lloUxNc>

ვიდეომაგ. 2. *წინაპრები*. ასრულებენ აბრაჰამ ბროდი და ტრის კეტურიოსე. კლიპები წარმოდგენიდან ლონდონის ხელოვნების გალერეაში, 2015 წ. ივლისში. <https://www.youtube.com/watch?v=gSpsotYZ8Ts>

ვიდეომაგ. 3. *რასასის წრე (Rasy Ratas)*. შემსრულებლები: ბრიგიტა ბუბლიტე, სამხატვრო ხელმძღვანელი, მსახიობი, მომღერალი; ტრის კეტურიოსე; დომინიკას ვიშნიუსკასი, მესაყვირე და იმპროვიზატორი: https://www.youtube.com/watch?v=cJmjnYWY_W8

ვიდეომაგ. 4. *სუტარიელა (Sutarjela)*. *სუტარტინების* აუქშატიტას რეგიონალური კამერული ფესტივალი იგნალინას რაიონში, ლადაკალნისში, 04-16-2016. <https://www.youtube.com/watch?v=IDzC91VofzM>

გამოყენებული ლიტერატურა (იხ. გვ. 279).

ქალები, ფადოსა და კანტეს მემკვიდრეობა: პორტუგალიის სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის გაძლიერება

მარია ესპირიტო სანტო

მარია დე სან ხოსე კორტე-რეალი

მემკვიდრეობა 21-ე საუკუნის უნარებისთვის

„ნარსული არასდროს კვდება. ეს წარსულიც კი არ არის“, – ახლახან იხსენებდა ბარბარა კირშენბლათ-გიმბლეტი უილიამ ფოლკნერის სიტყვებს (Faulkner 1951).¹ მემკვიდრეობა, ხაზგასმით აღნიშნა მან ჟურნალ *Ethnomusicology*-ში 1995 წელს, არის ინდუსტრია „დამატებული ღირებულებით“. ეს არის „დროის მანქანა“, რომელიც ჰერბერტ ჯორჯ უელსმა ერთი საუკუნის წინ, 1895 წელს გამოიგონა თავის რომანში (Kirshenblatt-Gimblett, 1995: 370). მემკვიდრეობა, როგორც სოციალური კონცეფცია, მე-20 საუკუნეში მემარცხენე და მემარჯვენე დიქტატურების მიერ განსხვავებულად იყო შეფასებული; 21-ე საუკუნეში ჯერ კიდევ ხდება მსოფლიო მასშტაბით მისი პროპაგანდა, რაც არაერთმნიშვნელოვან გრძნობებს იწვევს კულტურის მატარებლებში. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პორტუგალიაში ფადოსა და კანტეს შემსრულებელ ორ ვეტერან მომღერალ ქალთან – ადა დე კასტროსთან და ხოაკინა ფრალდასთან – ერთად ჩატარებული ერთობლივი ეთნოგრაფიული კვლევის შედეგს. მასში ჩვენ ხაზს ვუსვამთ კრიტიკული აზროვნების, სოციალური პასუხისმგებლობის, მედიანიგნიერების, ემოციური ინტელექტისა და ინფორმირებული დებატების იდეებს, თანახმად 21-ე საუკუნის უნარების შესახებ OECD-ის² მიერ წამოყენებული შეხედულებებისა. იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (შემდგომ ICH) პროგრამისა და პორტუგალიიდან ორი დარეგისტრირებული მუსიკალური კატეგორიის (ფადო და კანტე) ურთიერთკავშირის შემდეგ, ჩვენ ხმას ვაძლევთ ამ მომღერლებს. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ, თუ როგორ შეთახმდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ეს ქალები ფადოსა და კანტეს პრეზენტაციაში პორტუგალიის სამოქალაქო საზოგადოების მედეგობის გაძლიერების მიზნით.

მემკვიდრეობა მოიცავს დამოკიდებულებებსა და ურთიერთობებს როგორც ინდივიდებს, ასევე, ჯგუფებს შორის. ეს მნიშვნელოვანია, რადგან იგი, წინა

ობიექტებთან, ადგილებთან და/ან პრაქტიკებთან მოწინებით, თაყვანისცემით და კავშირით, ჩვეულებრივ, თუმცა არა მხოლოდ, აკავშირებს ადამიანებს საკუთარ და სხვათა წარსულთან (Harrison 2013; Kirshenblatt-Gimblett 1995 და 2004; Ronström 2014). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იუნესკოს განვითარებასთან ერთად, მემკვიდრეობის კონცეფციამ ინსტიტუციური და ემოციური წონა შეიძინა. 1972 წელს, მატერიალური მემკვიდრეობის, ძირითადად, შენობებისა და ბუნებაში არსებული ადგილების, დასაცავად შეიქმნა კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. მეოთხედი საუკუნის შემდეგ, დიდი ხნით გვიან მას შემდეგ, რაც ეთნომუსიკოლოგებმა ბრუნო ნეტლმა (Nettl 1985: 124) და ჯონ ბლეკინგმა (Blacking 1987: 112) მსოფლიოს შეახსენეს არამატერიალური მემკვიდრეობის სპექტაკლებისა და შემოქმედების ფორმით შენარჩუნების აუცილებლობა, მოხდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის რატიფიცირება (2003 წ.). მისი ამოცანა იყო დაცვის, მგრძობელობისა და მოქმედების ხელშეწყობა, თემების, ჯგუფებისა და ინდივიდებისადმი პატივისცემის წახალისება; ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ICH-ის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება; და საერთაშორისო თანამშრომლობისა და დახმარების ხელშეწყობა. პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებსა და გადასახადის გადამხდელებს მოუწოდეს, მხარი დაეჭირათ ამ გლობალური მასშტაბის ინტელექტუალური საქმიანობისთვის.

მემკვიდრეობის შესწავლის სფეროში კრიტიკულმა კვლევამ აჩვენა, რომ იუნესკო მემკვიდრეობას იყენებს, როგორც მოხმარების საგანს, საქონელს და ასიმეტრიებს წარმოქმნის. კირშენბლათ-გიმბლეტის ხაზგასმით, როგორც მეთაკულტურული ფენომენი „მსოფლიო მემკვიდრეობის სიები წარმოიქმნება ოპერაციებიდან, რომლებიც ლოკალიზებული წარმომავლობითი მემკვიდრეობის ცალკეულ ასპექტებს გარდაქმნის ტრანსლოკალურ თანხმობის მემკვიდრეობად – კაცობრიობის მემკვიდრეობად“ (Kirshenblatt-Gimblett 2004: 57)³. „უნივერსალური სტანდარტების შესაქმნელად ოპერაციების კოდიფიცირებასთან დაკავშირებული ზენოლა ჩრდილავს მემკვიდრეობის პოლიტიკისა და პრაქტიკის ისტორიულად და კულტურულად სპეციფიკურ ხასიათს“ (იქვე, 61). სწორედ ამი-ტომ, ICH-ის სიაში და მის ფარგლებს გარეთ არსებული მეთაკულტურული არტეფაქტები ხდება ან აირეკლავს სამთავრობო ძალაუფლების იარაღს.

სხვათა სანაცვლოდ რომელიმე ერთი მუსიკალური კატეგორიის მხარდაჭერით, ლისაბონისა და სერპას საქალაქო საბჭოებმა მოიპოვეს ძალაუფლება ფადოსა და კანტებე, იყენებდნენ რა მათ, როგორც პოლიტიკური რეპრეზენტაციის იარაღს. ამ ჟანრების მუსიკოსები და ენტერპრენიორები, რომლებიც დისკრიმინირებულნი იყვნენ სხვა ჟანრების თანატოლების ხარჯზე, იდეოლოგიურად ჩაერთვნენ და ფინანსური სარგებელი ნახეს. მუსიკის კოლონიური და პოსტკოლონიური გამოყენების შემდეგ, რისი შესწავლაც პორტუგალიაში მხოლოდ ახლა დაიწყო, იუნესკოს მეტაკულტურული არტეფაქტები, როგორც უწოდებს მათ კირშენბლატ-გიმბლეთი, წარმოადგენს მემკვიდრეობის პროტოკოლების შედეგს, რომლებიც „ზოგადად არ ითვალისწინებენ ცნობიერ, რეფლექსურ სუბიექტს. ისინი საუბრობენ კოლექტიურ შემოქმედებაზე. შემსრულებლები წარმოადგენენ ტრადიციების მატარებლებს, გადამცემებს – აღინიშნებიან ტერმინებით, რომლებიც გულისხმობენ პასიურ მედიუმს, არხს ან ჭურჭელს, ნებისყოფის, ჩანაფიქრისა და სუბიექტურობის გარეშე“ (იქვე, 58). მემკვიდრეობის არტეფაქტები – ესაა ეროვნული და გლობალური ტურისტული ეკონომიკის ფარგლებში მოგების მიღების განახლებული პოტენციალი. ზოგიერთი მუსიკალური კატეგორიის არჩევით და სხვების თავიდან აცილებით, იუნესკოს სიმბოლური ლეგალიზება საბოლოო ჯამში პორტუგალიაში ამტკიცებს ძველ ნაციონალისტურ, დიქტატორულ და კოლონიალურ, ავტოკრატულ და პროპაგანდისტულ მოდელებს. მემკვიდრეობის ცნების, როგორც „მოცემული და ტრანს-ისტორიული ფაქტის მიღება, რომელიც არსებობს ყოველთვის და უმეტეს კულტურაში“ და მემკვიდრეობის საგანსა და „დასავლური კაპიტალისტური თანამედროვეობისთვის დამახასიათებელ აბსტრაქციის პროცესს“ შორის მჭიდრო კავშირი ამძაფრებს „მზარდ ფეტიშისტურ შესაბამის მოდელებს ადამიანებს შორის, და ადამიანებსა და ნივთებს შორის“ (González 2020: 35, ჩვენი თარგმანი). მაშინ, როდესაც მსოფლიო მემკვიდრეობის კონცეფცია ხელს უწყობს ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ კონკურენციასა და საერთაშორისო ხილვადობას, ის იწვევს ტრავმასა და ილუზიას ადგილობრივ გამოცდილებაში, რაზედაც სენსიტიურად მიუთითებენ ჩვენი კვლევის მონაწილეები⁴.

მემკვიდრეობის მრავალსაუკუნოვან ცნებაში „ყოველთვის არის ჩანერლი დომინირების, იერარქიების, რწმენის ურთიერთკავშირები – მოკლედ, საყოველთაოდ მიღებული მოსაზრება, რომელიც მართავს სოციალურ წესრიგს

და იცვლება დროისა და ადგილის მიხედვით“, შეგვახსენა მარიო ვიეირა დე კარვალუმ (Vieira de Carvalho 2018: 15). დღეს, მემკვიდრეობის პროცესები და პროდუქცია, გლობალური კულტურული ინტეგრაციის ინტერესებში, აკმაყოფილებს ბაზრის იდეოლოგიურ და ფინანსურ მოთხოვნებს – რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ასევე, მოჩვენებითი მრავალფეროვნების გამო. „ისტორიული კონსტრუქციები“ ხაზს უსვამს, რომ ექსპრესიული მახასიათებლები გამოიყენებოდა როგორც ერების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების შესაქმნელად. ამ თვალსაზრისით, ჩვენ ხაზს ვუსვამთ დიდი ხნის განმავლობაში დამკვიდრებულ მოსაზრებას სიმბოლური სისტემების, როგორც „ისტორიულად შექმნილი, სოციალურად შენარჩუნებული და ინდივიდუალურად გამოყენებული“ სისტემების შესახებ (Geertz 1973: 364). ეს ცნებები იკვეთება პროცესების ორ ჯგუფში: 1) „ცვლილება დროთა განმავლობაში“ და 2) „ანმცო თითოეულ მომენტში წარსულის ფორმებისა და მემკვიდრეობის ხელახლა შეხვედრა და შექმნა“ (Rice 1987: 474). ეს პერსპექტივა ხელს უწყობს წარსულის გარკვეული კონსტრუირებული სიმბოლური სისტემების გამოვლენას, რადგან ისინი ხელახლა იქმნება აწმყოში. ჩვენი მთავარი ინტერესია გავიგოთ, ქალების, ფადოსა და კანტეს მემკვიდრეობა ჯერ კიდევ როგორ ემსახურება პორტუგალიაში სამოქალაქო წარმოდგენების შეზღუდვას. ამგვარად, წინამდებარე ნაშრომში ძირითადი ყურადღება ეთმობა მკვლევრების მომღერლებთან საუბრის დროს გაკეთებულ გულწრფელ მოსაზრებებს და იმ გზებს, რომლითაც მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოებაში მედეგობის გაძლიერებას.

ფადოსა და კანტეს წარმატებული გამოყენება

2011-დან 2019 წლამდე პორტუგალიამ ICH-ის სახით ჩამოაყალიბა რვა ერთეული – მუსიკალური პრაქტიკიდან მოყოლებული, გასტრონომიით, ხელნაკეთობებით, ბუნების დაცვის ინიციატივებითა და დღესასწაულებით დამთავრებული⁵. ფადო – სოლო სიმღერა გიტარის (სხვა შესაძლო ინსტრუმენტებთან ერთად) თანხლებით, რომელიც მე-20 საუკუნეში, პორტუგალიის ეროვნულმა დიქტატურამ ეროვნულ სიმღერად აღიარა, იყო პირველი გამომსახველობითი პრაქტიკა, დარეგისტრირებული 2011 წელს. *Cante alentejano* – პოლიფონიური, ძირითადად, მამაკაცთა საგუნდო პრაქტიკა სამხრეთ პორტუგალიის სოფლებიდან, რომელსაც, ასევე, განსაკუთრებით აფასებდა მე-20 საუკუნის დიქტატურა, დარეგისტრირდა სამი წლის შემდეგ, 2014 წელს. პირველი ნომინაციების სიმბოლიზმი აისახებოდა

ამ მუსიკალური კატეგორიების პოლიტიკურ ხელახალ გამოყენებაში, რეგიონულ და ეროვნულ წარმომადგენლობათა განახლებულ ნარატივებში.

ფადო პორტუგალიური იდენტობის მარკერი იყო, რომელსაც სულ უფრო მეტი ინტენსივობით იკვლევდნენ მემარჯვენე ეროვნული დიქტატურის ბოლო ათწლეულების განმავლობაში, 1974 წლამდე; მიუხედავად ამისა, დემოკრატიის დაბადებიდან მან მოახერხა და თავი დააღწია ძირითად პოლიტიკურ მითვისებებს (Côrte-Real 2000, 2002, Espírito Santo, Côrte-Real 2019). მაშინ, როდესაც მისი, როგორც ერის სიმბოლოს ხელახალი დაბადება ბევრ ადამიანში იწვევს მოგონებებს, ბევრისთვის უცნობი რჩება ფადოს პოლიტიკური სიმბოლიკა. მიუხედავად იმისა, რომ შეისწავლეს ზოგიერთი უფრო ძველი ინიციატივა, მათ შესახებ ცოდნა მეტწილად დაფარული იყო ძირითად ლიტერატურაში ცნობების სიმწირის გამო. ჩვენს კვლევაში მონაწილეებს ეუხერხულათ, როდესაც გაიხსენეს ფადოსა და კანტეს შენიღბული პოლიტიკური გამოყენება, თითქოს დემოკრატიით მოპოვებული გამოხატვის თავისუფლება საკმარისი არ იყო დეკონსტრუქციისთვის ნაციონალისტური გეგმებისა, რომლებიც კვლავ უჭერდა მხარს ამ მუსიკალურ კატეგორიებს (იხ. Espírito Santo, Côrte-Real 2019). UNESCO-ს ICH-ის მიერ ფადოს აღიარებაზე განაცხადი პორტუგალიამ 2005 წელს შეიტანა⁶. განაცხადის კომიტეტში შევიდნენ ექსპერტები და მრჩეველთა ჯგუფი, რომლის წევრები იყვნენ ფადოს აღიარებული პრაქტიკოსები და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების წარმომადგენლები. „ფადოს, პორტუგალიის ქალაქური პოპულარული სიმღერის“ მიღება გამოცხადდა მთავრობათაშორისი კომიტეტის მეექვსე სესიაზე ბალიში, ინდონეზიაში, 2011 წლის ნოემბერში.

ფადო, როგორც მუსიკალური კატეგორია, სათავეს იღებს ისეთი მრავალფეროვანი წყაროებიდან, როგორცაა მუსიკალური ხელნაწერები, ხმისა და ფორტეპიანოსთვის კომპოზიციების ადრეული ბეჭდური გამოცემები, ნახატები, ფერწერა, ლიტერატურა და საშემსრულებლო ხელოვნების სხვა ნიმუშები, ლიტერატურა და ვიზუალური ხელოვნება, რაც მეტწილად ნაციონალისტური მიზნებით სულ უფრო პოპულარული ხდება პორტუგალიაში, მე-19 საუკუნის ბოლოს. ეს წარმოდგენილი იყო როგორც ნავსადგურისა და სხვა, მეზობელ ბარებში არსებული საზოგადოების ქვედა ფენის მუსიკალურ პრაქტიკაში, ასევე, არისტოკრატულ და ბურჟუაზიულადგილებში. პოპულარული თეატრებილისაბონში და სხვა ქალაქებსა და სოფლებში – რომელთაგან ზოგი ასოცირდებოდა

პროსტიტუციასთან, ზოგიც ფილანტროპიასთან (იმ ღონისძიებებში, სადაც ფულს აგროვებდნენ ჯანმრთელობისა და სხვა საქველმოქმედო მიზნებისთვის) – ასევე, მოიხსენიება, როგორც ფადოს ადგილები. ფადო ასოცირდება პორტუგალიური იდენტობის ასპექტებთან და, როგორც ასეთი, ძალიან პოლიტიზებულია. როგორც წესი, იგი სრულდება სოლო მამაკაცის ან ქალის ტემბრით, რომელსაც თანხლებას უწევს მსხლის ფორმის გიტარა თორმეტი, დაწყვილებული სიმით („პორტუგალიური გიტარა“) და ექვსსიმანი აკუსტიკური გიტარა „8“-ის ფორმით; ანდა სრულდება სოლო ხმითა და ნებისმიერი საკრავის აკომპანემენტით. იგი ეფუძნება არაფორმალური შესრულების ფართო სამოყვარულო პრაქტიკას, რომელიც გადაიზარდა მომღერლებისა და მუსიკოსების პროფესიონალიზაციაში. პროფესიონალიზაციის პროცესი სხვადასხვა დროს განსხვავებული ფორმით მიმდინარეობდა: წესები უფრო მკაცრი იყო დიქტატურის დროს, ცენზურის ზენზოლის გამო და უფრო თავისუფალია დემოკრატიულ ეპოქაში. ფადოს განათლებულ/პროფესიონალ და მოყვარულ პრაქტიკოსებს შორის ყოველთვის არსებობდა ურთიერთქმედება.

ფადოს შესახებ რამდენიმე ანთროპოლოგიური ან ეთნომუსიკოლოგიური კვლევა ჩატარდა. ერთ-ერთი უახლესი, ბოლო გამოცემებია რუი ვიეირა ნერის, ფადოს აღიარებული გიტარისტის რაულ ნერის (1921-2012) ვაჟის, ისტორიულ კონტექსტზე ორიენტირებული შრომები (2004, 2010). ორი, უფრო ძველი ცნობა ისტორიისა და რეპერტუარის შესახებ, რომელიც უკავშირდება ლისაბონს და შესწორებულ იქნა ანთროპოლოგ ხოაკიმ პაის დე ბრიტოს მიერ 1980-იან წლებში, დღესაც გავლენას ახდენს ამ მუსიკალური პრაქტიკის შესახებ ცოდნაზე. ესენია პინტო დე კარვალის *História do Fado* (Pinto de Carvalho 1903) და ალბერტო პიმენტელის *A Triste Canção do Sul* (Pimentel 1904), რომელიც იუნესკოს დაცვის ინიციატივის ფარგლებში, *Museu do Fado*-სა და რედაქტორ *Bela eo Monstro/Rapsódia Final*-ის პარტნიორობის შედეგად, გამოიცა: ფაქსიმილური გამოცემების სახით პერიოდში 1982-დან და 2016, 1989-დან 2016 წლებში, ასევე, ხელახლა გამოქვეყნდა 2016 წ. ფაქსიმილეს სახით. ამავე ანთროპოლოგიურ სკოლას მიეკუთვნება კვლევა ლისაბონის მეზობლად ძველ უბანში არსებულ ფადოს პრაქტიკასა და მესხიერების შესახებ (Costa and Guerreiro 1984). საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ რამდენიმე კვლევას შორის, გერმანიიდან პეტრა ჰელდელტ დე სოუზას შრომა ფოკუსირებული იყო ამ მუსიკალური ტრადიციის ნაციონალის-

ტურ ასპექტებზე (Sousa 1982, 1988). პორტუგალიელი ეთნომუსიკოლოგები სულ ახლახან დაინტერესდნენ ფადოთი (Castelo Branco 1994, Côrte-Real 1991, 2000, 2002 და Côrte-Real, Espirito Santo 2019), იკვლევენ მის კავშირს იდენტობასთან, ასევე, კულტურის პოლიტიკას, მუსიკალურ გამოხატულებასა და ქვეცნობიერი ნაციონალისტური კონსტრუქციების აგებასა და შენარჩუნებას შორის ურთერთკავშირზე ამახვილებენ ყურადღებას. იმავდროულად, 1994 წლის გამოფენა *Fado, Vozes e Sombras* და ამავე სახელწოდების წიგნის გამოცემა (Brito 1994) მნიშვნელოვანი იყო ფადოს ცნობადობის გაზრდისთვის. ამერიკელი ეთნომუსიკოლოგი ლილა ელენ გრეი (Gray 2005, 2013) ყურადღებას ამახვილებს აფექტზე ფადოს შესრულებაში, აღწერს, თუ როგორ იძენენ მუსიკის კატეგორიები მნიშვნელობასა და ღირებულებას კლასის, გენდერისა და ერის დისკურსებთან კავშირში. *Universidade Nova de Lisboa*-ს ეთნომუსიკოლოგიის ინსტიტუტიდან სალვა კასტელო-ბრანკოს მიერ კოორდინირებული პროექტის შედეგად შეიქმნა მუსიკალური ტრანსკრიფციების ღია წვდომის საცავი, რომელიც ანოტირებულია ისტორიულ-კონტექსტუალური ინფორმაციით. ამავე დაწესებულებაში მიმდინარეობს მარია ესპირიტო სანტოს სადოქტორო კვლევა, სადაც განიხილება პორტუგალიელი ერის სიმბოლური წარმოდგენა ფადოს საშუალებით, გაანალიზებულია რა ეთნო-სიმბოლური პერსპექტივიდან (Smith 2009), თუ რა ახასიათებდა დიდი ხნის განმავლობაში ფადოს, როგორც ერის მუსიკალურ კატეგორიას. ფადოს ადრეული ჩანაწერების კოლექცია, რომელსაც კურირებდა ჩაწერის რედაქტორი ტრადისომი, ახლახან შეიძინა ავეიროს უნივერსიტეტმა. იგი შეიქმნა ე.წ. ბრიუს ბასტინის ადრეული ჩანაწერების კოლექციის საფუძველზე, რომელიც თავდაპირველად ბასტინმა შეიძინა ანონიმური კოლექციონერისაგან პორტოდან, შემდეგ შეისყიდა პორტუგალიის სახელმწიფომ 2008-2009 წლებში და ინახებოდა ლისაბონის ფადოს მუზეუმში. გამოვლენილი დოკუმენტების რაოდენობა და აკადემიური კვლევის სფეროების მრავალფეროვნება (მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ფადოს ერის მშენებლობის მიზნებისთვის მიკუთვნება) მეტყველებს იმაზე, რომ ფადო წარმოადგენს შესწავლის პრივილეგირებულ სფეროს.

“*Cante Alentejano*, პოლიფონიური სიმღერა ალენტეჟუდან, სამხრეთ პორტუგალიიდან” სიაში შეიტანეს 2014 წ., იუნესკოს მიერ ფადოს სიაში შეტანიდან მესამე წელს⁷. კანტე ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერის ფორმაა.



ფადოს მომდერალ ადა დე კასტროს აცვია სიმბოლოდ ქვეული ფადოს შემსრულებლის, მარია სევერას მსგავსად, რომელსაც იგი განასახიერებდა კარიერის ადრეულ ეტაპზე. ფოტო უცნობმა ავტორმა უსახსოვრა ადა დე კასტროს.

Fado singer Ada de Castro dressed as the old symbolic *fadista* Maria Severa, whom she represented throughout her early life carrier. Photo by unknown one, courtesy of Ada de Castro.

სიმღერები, რომლებიც ცნობილია როგორც *modas*, შეადგენენ ტრადიციული პოეზიისა და პოპულარული გენეზისის ორნამენტული პოლიფონიური სიმღერის უზარმაზარ რეპერტუარს. საგუნდო კოლექტივები განსხვავდება წევრთა რაოდენობით: სულ რამდენიმე შემსრულებელიდან ოცამდე ან თუნდაც ოცდაათ მომღერალამდე. ჭარბობს მამაკაცთა გუნდები. გამოიყოფა სამი ხმა: სოლო ხმები პონტო (*ponto*) და ალტი (*alto*) და საგუნდო ანსამბლი. სიმღერას იწყებს პონტო, შუა რეგისტრში, მას მოსდევს ალტი ზედა დიაპაზონში, რომელიც აორმაგებს მელოდიას ტერციაში ან დეციმაში, ასევე, ამატებს ორნამენტებს ერთგვარი თავისუფალი სტილის სიმღერის სახით. დანარჩენი ხმები სტროფებს მღერიან პარალელურ ტერციებში, მაშინ, როდესაც ზედა რეგისტრში ისმის ალტის პარტია. ფერნანდუ ლოპიშ გრასამ *cante alentejano*-ს განვითარებაში ორი ფაზა გამოყო: მისი წარმოშობა შუა საუკუნეებში და თანამედროვე პერიოდი, სადაც სახეზეა „სიმღერები მაჟორულ-მინორულ სისტემაში, რიტმული სიმეტრიითა და მორფოლოგიური სიმარტივით“ (Lopes Graça 1953: 43). ეს გამომსახველობითი პრაქტიკა ადრეულ პერიოდში შეისწავლა დიას ნუნესმა (Dias Nunes 1891), მოგვიანებით – ანტონიო მარვაომ (António Marvão 1965, 1997), ამჟამად მას იკვლევს ზოგიერთი ეთნომუსიკოლოგი (Piñero, Pestana და Oliveira 2017); ადგილობრივების თქმით, იგი ჩაისახა სოფლებში, როგორც არაფორმალური, სპონტანური ცვლილება სიმღერაში. ის თან ახლავს სასოფლო-სამეურნეო შრომის პროცესს – კერძოდ, მოსავლის აღებას, რომელიც ალენტეჟუში სამუშაო აქტივობის უმეტესობას ახასიათებდა. ამ საგუნდო პრაქტიკასთან ყველაზე ხშირად ასოცირდება მოსავლის აღების, გამარგვლისა და ზეთისხილის კრეფის აქტივობები, ასევე, დღესასწაულები. მიუხედავად იმისა, რომ კაცები და ქალები სასოფლო-სამეურნეო შრომას თანაბრად ეწეოდნენ, ბოლო დრომდე მამაკაცთა საგუნდო კოლექტივებისადმი მედია მეტ ყურადღებას იჩენდა.

ქველი შავსრულალები, სოციალურად პასუხისმგებელი მოქალაქეები

წინამდებარე კვლევაში მონაწილე ორმა შემსრულებელმა ნათლად აჩვენა, რომ მათ ინდივიდუალურ შეთანხმებას მნიშვნელობა ჰქონდა ფადოსა და კანტეს კაცობრიობის მემკვიდრეობის ნაწილად აღიარების პროცესის სხვადასხვა მომენტში. პირველ რიგში, მათი პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობა დადგა ეჭვქვეშ და, სხვადასხვა გზით, ორივე ქალი დათანხმდა, დაეთმოთ საკუთარი ენერჯის დიდი ნაწილი არსებული თითოეული სიმბოლური

მუსიკალური პრაქტიკისთვის. შემდეგ კი, იუნესკოს გლობალური გან-
ზომილებისთვის, ორივემ გამოხატა მზაობა და დათანხმდა პირადად მოეწერა
ხელი ნომინაციის წამოყენების თანხმობას, როგორც ეს ნათქვამია UNESCO-ს
„წარმომადგენლობით სიის“ R4 კრიტერიუმში.⁸

დიდი ხნით ადრე, სანამ იუნესკო აღიარებდა ორ მუსიკალურ კატეგორიას –
ფადოსა და *კანტეს*, პორტუგალიის მთავრობამ ისინი საერთაშორისო მასშტაბის
კულტურული პოლიტიკის ობიექტებად დაისახა. ეს მოხდა *Estado Novo*-ს
მემარჯვენე დიქტატურის დროს, რომელიც მართავდა პორტუგალიას 1933
წლიდან 1974 წლამდე. დიდი და რთული აპარატი, რომელიც დღემდე არაა
ბოლომდე გააზრებული, მუსიკის მეშვეობით თავს ახვევდა ნაციონალისტურ
დიქტატორულ დისციპლინას და იდეოლოგიურ დამუშავებას ახდენდა
პორტუგალიაში. დისციპლინირებული პედაგოგიკის მსგავსად, რომელიც მიზ-
ნად ისახავს კლასიკური სიმებიანი კვარტეტის ნატიფი ინტერპრეტაციის შექმ-
ნას, ამ ბევრად უფრო დიდმა სისტემამ მოახერხა პორტუგალიის ეროვნული
იდენტობის სწავლება პოპულარული/ხალხური მუსიკის საშუალებით. შედეგები
კვლავ შესამჩნევია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ეგრეთ წოდებული
ფოლკლორი იდეოლოგიური იძულების საერთაშორისო ინსტრუმენტად იქცა,
რადგან მუსიკა და ცეკვა ფესვებგადგმული და დამაჯერებელი დარწმუნების
იარაღად იქცა. სახელმწიფო ცენზურა პოლიტიკური მიზნებისთვის
აკონტროლებდა მუსიკალურ გამომსახველობით ქცევას (*Côrte-Real* 2000).
სახელმწიფო აკონტროლებდა ყველა წარდმოგენის ადგილს, ყოფდა რა მუსიკას
მაღალ და პოპულარულ კულტურად. ინგლისურენოვანი პოპულარული მუსიკა,
ძირითადად, აკრძალული იყო, ლისაბონში კი, *ფადოსა* და *marchas*-ის⁹ გარდა,
ყველა სახის პოპულარული მუსიკა დაყვანილ იქნა გაურკვეველ კატეგორიებამ-
დე, როგორცაა: *bailes* (ბურთები) და *variedades* (სიტყვასიტყვით, ჯიშები). *ფადო*
და *კანტე* ექვემდებარებოდა მითითებებს არა მხოლოდ რეპერტუარის კუთხით
(რადგან ლიტერატურულ და მუსიკალურ ტექსტებს ყურადღებით აკვირდებოდ-
ნენ), არამედ შესრულების ესთეტიკისა და სტრუქტურის თვალსაზრისითაც,
რადგან შემსრულებელთა გარეგნობა (მათ შორის კოსტიუმი), შესტიკულაცია
და ვოკალი, ასევე, შესრულების ადგილი, მკაცრად იყო რეგულირებული.
დიქტატორული სტრატეგიის ფარგლებში, ხდებოდა მუსიკის გარკვეული ტიპების
(სხვათა გამორიცხვის ფონზე), როგორც ეროვნული იდენტობის მარკერების,
მხარდაჭერა (იქვე).

გენდერული სტიგმატიზაცია თვალსაჩინო იყო არა მხოლოდ საჯარო და პროფესიულ გარემოში, არამედ ნაცნობ, პირად გარემოშიც, როგორც ქალაქებში, ასევე, სოფლად. სოფლის მამაკაცთა შრომა დადგმული იყო (Mareco 2017: 94) დახვეწილი პროპაგანდისტული მანერით, რომელიც ერთდროულად წარმოადგენდა ქება-დიდებასაც და დიდაქტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ადრე შეძენილ უფლებებს მოკლებული ქალები იტანჯებოდნენ, როდესაც პირობითი რელიგიური პრინციპების (მაგალითად, ქრისტიანულ ოჯახურ სტატუსთან დაკავშირებულს) დაცვას აიძულებდნენ. განქორწინების უფლება, 1911 წელს ლეგალიზებული რესპუბლიკურ პორტუგალიაში და გაუქმებული ეროვნული დიქტატურის ხელისუფლების მოსვლით, მხოლოდ ერთ-ერთი ამგვარი მაგალითია. *Estado Novo*-ს მიერ შემოღებულ ახალ წესებს შორის იყო ქმრისადმი უპირობო მორჩილება და მასზე დამოკიდებულება. ჩვენი თანამოსაუბრეების, ადასა და ხოაკინას ნარატივები (საკუთარი გადანყვეტილებით, არც ერთი არ იმყოფება ქორწინებაში) აჩვენებს, როდენ მნიშვნელოვანია ისტორიულ-ეროვნული კონტექსტი, პორტუგალიაში იდენტობის მარკერების სახით, ბოლო პერიოდში „ხელახლა აღმოჩენილი“ და აღორძინებული მუსიკალური გამომსახველობითი ქცევების გასაგებად. წარსულის ფორმებისა და მემკვიდრეობის ხელახალი შექმნა ანმყოში შორსაა იდეოლოგიურად ნეიტრალური პროცესისგან.

1930-იანი წლებიდან მოყოლებული დიქტატორულმა რეჟიმმა ფადოს მომღერლებისა და სახლებისთვის განსაკუთრებული წესები დააწესა. ფადო სულ უფრო ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც პორტუგალიის სახე, განსაკუთრებით საერთაშორისო ყურადღების მოსაზიდად (Côrte-Real 2000), მეტწილად ლისაბონის იმ სცენების ქსელის მეშვეობით, სადაც ადა თამაშობდა – თუმცა, ადა ნანობს, რომ ცოტასთვის თუა ამის შესახებ ცნობილი. რაც შეეხება *cante alentejano*-ს, პირველი ფორმალური საგუნდო ჯგუფები გამოჩნდა 1920-იანი წლებში, რომლებიც გამრავლდა ისეთი კორპორატიული დაწესებულებების მეშვეობით, როგორცაა *Casas do Povo* (სახალხო სახლები)¹⁰. ოფიციალური საგუნდო კოლექტივის პირველი წარმოდგენა, ლისაბონის სან ლუისის თეატრში, 1937 წელს მოეწყო დედაქალაქის ელიტისთვის, მას ესწრებოდნენ ეროვნული განათლების მინისტრი და სახელმწიფო რადიოს, *Emissora Nacional*, დირექტორი. ამ პერიოდში დიქტატურის ინტენსიური პროპაგანდა საზოგადოებას თავს ახვევდა იდეას, რომ კანტეს აქვს მამაკაცური არსი და განაგრძობდა ორმოც წელზე მეტი ასაკის ქალთა გარიყვას.

ადა დე კასტრო: ფადოს ტრადიციის

სახელმწიფოს სახელით წარმოდგენა

ადა დე კასტრო ინტენსიურად ცხოვრობდა ფადოში დიქტატურის ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, 1960 წელს მისი დებიუტიდან 1974 წელს რეჟიმის დაცემამდე. ის იმდენად იყო ჩართული ეროვნული დიქტატურის იდეოლოგიურ დისკურსში, რომ მისი ნარატივები და გამოხატულებები დღესაც ამაზე მიუთითებს. მისი მრავალი ნივთი სახლში, ფოტოებიდან დაწყებული ჩანაწერებით, კაბებით, შარვლებით, ფეხსაცმელებით, საყურეებითა და საჩუქრებით დამთავრებული, მისი ჩურჩული და შეძახილებიც კი ამჟღავნებს მის იდენტობას და პორტუგალიელი ერით ხან სიამაყისა და ხანაც იმედაცრუების გრძნობებს, რაც კვლავაც გვაოცებს. ჩვენი საუბრებისას წარმოქმნილი ბევრი გადაუჭრელი საკითხი აიხსნა მედიაინჟინიერების წყალობით, რომლის განვითარება მისი საშუალებით შევძელით, ვცდილობდით მხატვრულ, სოციალურ, ისტორიულ და პოლიტიკური ხერხებში ორიენტირებას, რათა უფრო კარგად გავუმკლავდეთ და გავაძლიეროთ თაობათაშორის მედეგობა. ტრავმირებულ, თუმცა განმმართველ მომენტებში, საბოლოო სიმბოლურმა მიღწევამ თვით ერის წარმომადგენლობისა, როგორც ჩანს, დაჩრდილა მისი ამჟამინდელი პიროვნება.

გრძელვადიანი სავლელ სამუშაოების შედეგად, მარია ესპირიტო სანტო დაუმეგობრდა ადას და 2018 წლის ივლისიდან მას ყოველ კვირას ხვდებოდა. როგორც მან შეიტყო, ადას, როგორც ფადოს შემსრულებელს, მოეთხოვებოდა თანხმობა, როგორც სიტყვის ლათინური ფუძე გვეუბნა, *შეგრძნობა* და *აუცილებელი თანხმობა* და *წარმოდგენა* „ეროვნული სიმღერისა“ მისი მითიური დამფუძნებლის მარია სევერას გაცოცხლებულ საპრეზენტაციო წარმოდგენებში, დიქტატურის მიერ მხარდაჭერილი რომანტიკული ნარატივის სახელით (იხ., Turino 2008 საპრეზენტაციო შესრულების შესახებ). ფადოს შემსრულებლობის ადრეულ პერიოდში ადამ ისწავლა დიქტატურის კულტურულ პროგრამაზე „თანხმობა“, რითაც შექმნა ერის ყველაზე თვალსაჩინო და შესაძლოა, ყველაზე ეფექტური სიმბოლო: *ფადო*. კარიერის დასასრულს, ერის კულტურული მშენებლობის ამ ფორმას ადა დათანხმდა კიდევ უფრო ფორმალურად, გლობალური მასშტაბით. პირველი „თანხმობა“ იყო დიქტატურის დროს, ხოლო მეორე – დემოკრატიის ვითომდა მომწიფებულ ფაზაში, როცა 1974 წლის რევოლუციაში მოპოვებულ

გამოხატვის თავისუფლებას უკვე ოცდამეთექვსმეტე წელი შეუსრულდა. პირველი „თანხმობა“ ხორცშესხმული იყო, რადგან ადა გარდაიქმნა ფადოს დამფუძნებელ მომღერლად – თითქმის მითიურ მარია სევერად. ამისთვის მან შეიცვალა გარეგნობა, გაიფერულა (იმ დროს თმის შეღებვა ლისაბონში ნიშნავდა სოციალურ გამონგვევას) და შეიჭრა თმა. ამ სიმბოლური ტრანსფორმაციის ინტენსივობა ისეთი იყო, რომ ამ ამბის თხრობისას იგი დღესაც კანკალებს. ახალი ათასწლეულის პირველი ათწლეულის ბოლოს ფადოს პოლიტიკური გამოყენება კვლავ შემოვიდა მოდაში, მსგავსად 1974 წელს დამხობილი დიქტატურის პერიოდისა. ახლა ადას „თანხმობა“ ფორმალური იყო: იუნესკოს ICH სიაში, 2010 წელს, ფადოს შეტანის ნომინაციაზე ხელის მოწერა. ვინაიდან მისი სახელი პირველია ანბანური თანმიმდევრობით, ის პირველ რიგში ჩნდება 98 ერთულისგან შემდგარ გრძელ სიაში¹¹.

ადა წარმოადგენდა ფადოს პორტუგალიელი ერის სახელით, მან ყურადღება გაანაწილა შესრულებასა და დაცვას შორის. როგორც მომღერალი, იგი გარდაიქმნა სევერად, ეცვა წითელი და შავი ქვედაბოლო და გულამოღებული თეთრი პერანგი მსგავსად ქალისა (სურათზე ქალბატონს ერქვა ადელაიდა), რომელიც გამოსახულია ხოსე მალჰოას ცნობილ ნახატზე *O Fado*, რომელიც პირველად გამოიფინა, როგორც *Bajo el Encanto*, ბუენოს აირესში, 1910 წელს (სურ. 1). მრავალ ეროვნულ და საერთაშორისო სცენაზე ადამ, ასევე, შეასრულა საკუთარი ინტერპრეტაციები იმისა, რასაც მაშინ ნაციონალურ სიმღერას უწოდებდნენ. როგორც მცველი, ადა იყო ფადოს მოყვარულთა კონკურსის უიურის წევრი პოპულარული კულტურის ფესტივალზე *Spring Market*, ამავე ფესტივალზე წარმოქმნილ ფადოს ინიციატივას ადრე, 1960-იან წლებში, ეწოდებოდა აპრილის ბაზარი (*Côrte-Real* 2000 და 2002). ფადოს მოყვარულთა კონკურსი ეროვნული მასშტაბის იყო და ტარდებოდა მთელი წლის განმავლობაში 1969 წლიდან 1974 წლამდე. მასში მონაწილეობდნენ მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც არჩევდნენ მომღერლებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, კულმინაცია კი გახდა ფადოს შესრულება შთამბეჭდავ წყლისპირა რესტორანში ლისაბონში, იმპერიის მოედნის წინ, მდინარე ტეჟუს ჩრდილოეთ ნაპირზე. ეს მოვლენა 1970-იანი წლების შუა ხანებამდე გაგრძელდა და ხელი შეუწყო პორტუგალიური ნაციონალიზმის პოპულარული ექსპრესიული სიმბოლოების ჩამოყალიბებას (იქვე).

ადა არ დაქორწინებულა, მან საკუთარი თავი შვიდეტაპიან კარიერულ გზაზე მთლიანად მიუძღვნა ფადოს, კერძოდ: 1) მისი, როგორც ფადოს მომღერლის აღიარება რესტორანში *Solar da Herminia*, სადაც მფლობელმა, მისმა ნათლიამ ჰერმინია სილვამ, აჩუქა სიმბოლური შალი, რითაც შეიყვანა ფადოში და დაადასტურა თანატოლების მიერ აღიარება, 2) ერთთვისანი წინასწარი პროფესიული მომზადება, რომელიც აუცილებელია ფადისტის (ფადოს შემსრულებლის) სტატუსის მოსაპოვებლად, რესტორან *Nau Catrineta*-ში, გრასაში; 3) დამატებითი ტრენინგი რესტორანში *O Faia*, ბაირუ ალტუში, რომელიც დაიწყო 1960 წლის მარტიდან, 23 წლის ასაკში; მხოლოდ იქ იმუშაობის ერთი წლის შემდეგ, ადამ საბოლოოდ მიიღო პროფესიული ბარათის – მომღერლის პროფესიის დამადასტურებელი დოკუმენტის¹² აღების უფლება, 4) ფადოს პროფესიონალ მომღერლად აღიარება და საზოგადო მოღვაწეობაში დაუყონებლივ ჩართვა, 5) მიწვევა პრესტიჟულ რესტორან *Folclore*-ში, რომელსაც სახელმწიფო იყენებდა როგორც საოჯახო სასტუმროს და წარმოუდგენდა უცხოელებს პორტუგალიურ გასტრონომიას, ფოლკლორსა და ფადოს (მან იქ იმუშავა თორმეტი წლის განმავლობაში, 1961 წლიდან); 6) კულტურის დიპლომატია პორტუგალიაში და მის ფარგლებს გარეთ, როგორც ცოცხალი შესრულების, ისე ჩანაწერების სახით, 1974 წლამდე; 7) ფადოს ნაკლებად ხშირი წარმოდგენები, ძირითადად, კერძო ღონისძიებებისთვის, 1974 წლის შემდეგ. ახალ დემოკრატიულ პორტუგალიაში დიქტატორული ეპოქის ეროვნულ სიმბოლოს აკრიტიკებდნენ ყოფილ რეჟიმთან მისი ასოციაციის გამო. ადასთვის სამწუხაროა, რომ ადგილები, სადაც იგი 1974 წლის 25 აპრილის სახელმწიფო გადატრიალებამდე გამოდიოდა, სისტემატიურად იგნორირებულია საჯაროდ და ფადოს ამჟამინდელ ისტორიოგრაფიაში – როგორც ლიტერატურულ, ისე ზეპირ ანგარიშებში¹³.

ადამ ჩაწერა 560-ზე მეტი ფადო და მარშა და რამდენიმე საერთაშორისო ჟილდო დაიმსახურა. 2010 წელს ამალია როდრიგესის ფონდის მიერ მინიჭებული კარიერის პრიზით დასრულდა მისი პროფესიული კარიერა. თუმცა, იგი ხანდახან აგრძელებს სიმღერას, რადგან, როგორც თავად ამბობს, „ფადო არ უსწავლია, ეს არ იყო მხოლოდ პროფესია; ის ჩემში ცხოვრობს მანამ, სანამ ვცოცხლობ“. შეეჭახა რა ეროვნული იდენტობის მარკერის როლისგან ფადოს გათავისუფლებას დემოკრატიული ერის დასაწყისის არამშვიდ პერიოდში, ადამ შეზღუდა თავისი საჯარო გამოსვლები და ის დღესაც ფრთხილობს,

რადგან იცის, ისტორიის ეს ნაწილი – ფადოს დიქტატორული, ნაციონალისტური ინსტრუმენტალიზაცია – დღესაც მიჩუმებულია. მიუხედავად ამისა, ადამ ისნავლა ტაბუსთან ერთად ცხოვრება – მას მართლაც ახსოვს, რომ 1974 წლის შემდეგ უფრო მეტი ფული გამოიმუშავა, ვიდრე მანამდე. დიქტატურის დაცემიდან 37 წლის შემდეგ, როდესაც ფადოს საჯაროდ კენჭი უყარეს (ამჟამად იუნესკოს საერთაშორისო ვალიდაციით), რომ კვლავ ეროვნულ სიმბოლოდ ქვეულიყო, როგორც ამას დედაქალაქის მერი, ამჟამინდელი პრემიერ მინისტრი ანტონიო კოსტა ამტკიცებდა, ადა აღშფოთებული იყო: „ეს იგივეა, მაგრამ უარესი!“, – წამოიძახა მან, რითაც მიუთთა, რომ მთავრობა არსებითად აცოცხლებდა ისეთ მოვლენებს, რომლებშიც იგი მონაწილეობდა დიქტატურის დროს, მაგრამ სხვა ლოზუნგის ქვეშ. და ადა, სამწუხაროდ, ახასიათებს მას, როგორც „ბევრად ნაკლებ ხარისხის მქონეს“.

ხოაკინა ფრალდას ახალი სული

ადას მსგავსად დაუქორწინებელი და მასზე რამდენიმე წლით უმცროსი ხოაკინა ფრალდა *cante alentejano*-ს ვეტერანი მომღერალია. ის დამფუძნებელი და ამჟამინდელი პრეზიდენტი საგუნდო ჯგუფისა *Alma Nova* (ახალი სული) სამხრეთ პორტუგალიის სოფლიდან ფერეირა დუ ალენტეჟუ. ჩვენ ხოაკინას დავუკავშირდით პანდემიის დროს, 2021 წლის ზაფხულში. *Alma Nova* არის ერთ-ერთი იშვიათი კანტეს შემსრულებელ ქალთა კოლექტივი ალენტეჟუში. ადას მსგავსად, ხოაკინამაც მოაწერა ხელი UNESCO ICH-ის მხარდაჭერის ინდივიდუალურ განცხადებას.¹⁴ მისი განცხადება ინტერნეტში ნაჩვენებია სხვა ორმოცდათექვსმეტს (მათი უმეტესობა გაკეთდა გუნდების ხელმძღვანელების მიერ) შორის, რომლებიც მხარს უჭერენ კანტეს ნომინაციას იუნესკოს ICH-ად.

ხოაკინა დაიბადა 1942 წელს სოფელ ფიგეირა დუშ კავალიერიუში, ფერეირა დუ ალენტეჟუს მუნიციპალიტეტში, ბაიშუ ალენტეჟუში. მისი მონაყოლიდან ჩვენ გამოვყავით მუსიკაში მისი ცხოვრების ხუთი ეტაპი: 1) სოფლად იზრდებოდა, მან მოდები (*modas*) ისნავლა თავის ოჯახში, რადგან ისინი ხანდაზმული წევრებიდან უმცროსებს გადაეცემოდათ. პატარაობიდანვე მუშაობდა მინდვრებში; როგორც ის იხსენებს, მის შრომას ყოველთვის ახლდა თან მუსიკა; 2) ხოაკინას სიმწიფის პერიოდში, ქალებს ეკრძალებოდათ სიმღერა ისეთ საჯარო ადგილებში, სადაც არ იყვნენ დასაქმებულნი, ამიტომ ალენტეჟუში ქალებს შეეძლოთ სიმღერა

მხოლოდ მინდვრებში მუშაობის დროს. მამაკაცებისგან განსხვავებით, მათ ეკრძალებოდათ თავრნებში, ადგილობრივი ორგანიზაციების შენობებსა და სოფლის მოედნებზე სიმღერა. სახლშიც კი დაიკარგა ერთად სიმღერის პრაქტიკა, რადგან ქალები ზედმეტად დაკავებულნი იყვნენ ბავშვების მოვლითა და საშინაო საქმეებით; 3) დიქტატურის დაცემის შემდეგ, განსაკუთრებით 1980-იანი წლების შემდეგ, ქალებმა დაიწყეს კანტეს შესრულება როგორც შერეული, ასევე, ქალთა გუნდებში (Mareco 2017). სწორედ მაშინ დაიწყო ხოაკინამ გუნდში განვერიანებაზე ოცნება; 4) საგუნდო კოლექტივი *Alma Nova* დაარსდა 2004 წლის მაისში, ფერეირა-დუ ალენტეჟუდან, ღვთისმშობლის თაყვანისცემის მიზნით, ფატიმას ღვთისმშობლის ტაძარში ქალების მომლოცველობის დროს. *Alma Nova*-ს პირველი საჯარო წარმოდგენა შედგა ფერეირა-დუ ალენტეჟუში, მოხუცებულთა სახლში ორგანიზებულ წვეულებაზე¹⁵; 5) თხუთმეტწლიანი რეპეტიციებისა და მუსიკალური ურთიერთობის სხვა ფორმების შემდეგ, ხოაკინა ამბობს, რომ საგუნდო ჯგუფის წევრობა მარტოობის წამალია. ის არასდროს დაოჯახებულა და ჰყოლია შვილები, ამიტომ საგუნდო ჯგუფების საქმიანობამ საშუალება მისცა დამტკბარიყო ურთიერთობებით ყოველდღიურ ცხოვრებაში (სურ. 2)¹⁶.

ადა და ხოაკინა დათანხმდნენ მუსიკალური ტრადიციის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას და საჯაროდ ავრცელებდნენ მას შესრულებებში, როგორც დიქტატორულ, ისე დემოკრატიულ პერიოდში. არცერთი მათგანი დაქორწინებულა და ორივე მთელი ცხოვრების მანძილზე მუსიკალური საქმიანობის ერთგული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ადას ფადოს კარიერა ყველაზე დატვირთული იყო 1974 წლამდე, ხოაკინა უფრო მეტად მღეროდა დემოკრატიულ ეპოქაში, მთავრობის ცენზურის გამო, რომელიც დიქტატურის დროს კრძალავდა ქალთა სიმღერას ოფიციალურ კოლექტივებში. ადამაც და ხოაკინამაც შეასრულეს ეროვნული და რეგიონული იდენტობის ატრიბუტებით სიმბოლურად დატვირთული სიმღერები. სიმებიან საკრავებზე შემსრულებლებთან და სხვა მომღერლებთან თანამშრომლობით, ადამ და ხოაკინამ გამოხატეს მუსიკალური თანაგრძნობისა და სოციალური ჩართულობის უნარი.

ადასა და ხოაკინას სიმღერები და ემოციური ინტელექტი

ადა და ხოაკინა მღერიან სიმღერებს, რომლებიც სთავაზობენ მსმენელებს იფიქრონ სიყვარულსა და სადღესასწაულო ღონისძიებებთან დაკავშირებულ

თემებზე. მათი სიმღერების მოსმენისას, იქნება ეს *ფადო თუ მოდა*, ის, ვისაც ენა ესმის, იძულებულია მონაწილეობა მიიღოს მათ სასიამოვნო გამოხატვის ქცევაში, რაც აკავშირებს ემოციურ ინტელექტსა და აზროვნებას. ორივე ქალის რეპერტუარში შესულია ტექსტები, სადაც მინიშნებულია მომღერლის გრძნობებსა და სხვების მიმართ თანაგრძნობაზე.

აუდიომაგალითზე 1 წარმოდგენილია *ფადო Rosa Caída* (დავარდნილი ვარდი), დაკარგვისა და ხელახლა დაბადების შესახებ. როგორც ადა ამბობს, მის რეპერტუარში ეს თემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სწორედ რესტორან *O Faia*-ს კართან, 1960 წელს, *ფადოს* საკულტო მომღერალმა და კომპოზიტორმა ალფრედო მარსენიერომ შესთავაზა მას ამ სიმღერის ჩაწერა. *ფადო-ტანგო* ხოაკიმ და სილვა ბორხესის ტექსტზე და ხოაკიმ კამპოსის მუსიკაზე – ეს იყო ერთ-ერთი პირველი *ფადო* მის რეპერტუარში და ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული წარმატება. ეჭვიანობასა და სიყვარულში იმედგაცრუებაზე აქ საუბარია ვარდის პერსონიფიკაციის საშუალებით, რომელიც მოწყვითეს და ვარდება, მაგრამ კვლავ აღდგება და ისევ ის ხდება, რაც ადრე იყო. იმ ხალხის აზრით, ვინც ადა აიყვანა მნიშვნელოვან თანამდებობაზე სახელმწიფო კულტურის სამსახურში, ახალგაზრდა მომღერლის აღნიშნულ შესრულებაში გამოვლენილი ვოკალური მახასიათებლები „იდეალური იყო *ფადოსთვის*“. ადა საკუთარ ბგერას ახასიათებს, როგორც უხეშს, ღრმასა და თანდაყოლილს (ანუ დაბადებიდან დაჰყვა); დავამატებთ, რომ იგი გამოირჩევა ტკბილი ტემბრითა და სიტყვების მკაფიო არტიკულირებით. პორტუგალიური გიტარისა და აკუსტიკური გიტარის (*viola*) ინსტრუმენტული აკომპანემენტი შესრულებულია მაღალ დონეზე. რთულ ინსტრუმენტულ მელოდირ დიალოგს შემოჰყავს ვოკალი მანამ, სანამ აკომპანემენტის როლს მოირგებს. პორტუგალიური გიტარა ხმის ორნამენტირებას ახდენს, ხოლო ვიოლას პარტია ჰარმონიულ და რიტმულ საყრდენს წარმოადგენს.

აუდიომაგალითი 2 – *მოდა Cante ao Menino* (სიმღერა ყრმაზე) საშობაო რეპერტუარიდან, რომელსაც ასრულებს საგუნდო კოლექტივი *Alma Nova* მიერ 2016 წლის 11 დეკემბერს ფარუ-დუ ალენტეჟუს სან-ლუისის ეკლესიაში, კუბის მუნიციპალიტეტის, ასევე, ბაიშუ ალენტეჟუს მრევლი¹⁷. ამ *მოდაში* მოხსენიებულია ვარსკვლავები, ფიჭვის ხე და აკვანი, რომლებიც *Deus Menino*-ს (*ღვთის ყრმის*) დაბადების მუხუცებელია. ხმები ერთიანდებიან და მღერიან „ყველა მის გვერდით არის შობის ღამეს“ იმ ლექსების საპასუხოდ, რომლებსაც სოლისტები (პონტო და ალტი) მონაცვლეობით ასრულებენ.

ინფორმირებულ დებატებში მონაწილეობა

21-ე საუკუნის უნარებზე არსებული შეხედულებების შესაბამისად, ჩვენ ვეთანხმებით კირშენბლატ-გიმბერტს იმაში, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია უკუკავშირის ჯაჭვის ან მედიის „ქიმერის“ შეწყვეტა, რომელიც ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის არალიბერალურ დემოკრატიებში, ჯერ კიდევ მოდელის სახითაა წარმოდგენილი (Kirshenblatt-Gimblett 2021). დანებებითი და საშუალო საფეხურის განათლებას პორტუგალიაში კვლავ დიდწილად სახელმწიფო აკონტროლებს. ფადოსა და კანტეს მომღერლების აქ განხილული მოსაზრებები მიუთითებდა მათ მედიანეიგნიერებისკენ სწრაფვაზე და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად აღქმის მცდელობებზე. ორივე მომღერლის ფუნქციისა და როლის ხაზგასმის მიზნით, ამ ნაშრომის დასასრულს ჩვენ ხმას ვაძლევთ ორივეს, რათა სანდო და დამამტკიცებელმა ინფორმაციამ ხელი შეუწყოს ინფორმირებულ დებატებს, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების ინტერესებში. რაც შეეხება ფადოს ტრადიციას, ადა დე კასტრომ გადახედა დამკვიდრებულ ნარატივს; თითქმის მითიურ, „ორიგინალურ“ მომღერალთან – სევერასთან დაკავშირებით მან გაიხსენა, რაოდენ გაუმართლა მის წარმომადგენლად რომ აირჩიეს:

„სწორედ ფადოში უმღერიან სევდასა და ნაღველს, ფადო გახდა ლისაბონისა და *saudade*-ს¹⁸ სიმღერა. მე ვფიქრობ, რომ ფადო უფრო მეტად შთაგონებული იყო მამაკაცების მიერ *Descobrimientos*-ის (პორტუგალიური „რენესანსი“, რომელიც მსოფლიოს ზღვით შესწავლის პიონერი იყო) გამო. შემდეგ – სევერას ფიგურა. არავის მოუსმენია სევერას სიმღერა, მაგრამ მასზე საუბრობდნენ! ის ფადოს ყველა დროის ჩემი უსაყვარლესი მომღერალია და ჩემთვის დიდი სიამოვნება და ილბალი იყო, მისნაირად ჩამული რომ წარმოვადგენდი პორტუგალიას!“

კანტეს ტრადიციის, იუნესკოს ICH-ისა და ქალებისთვის სიმღერაზე ხელმისაწვდომობის შესახებ ხოაკინა ფრალდა კრიტიკულად გამოხატავს თავის პოზიციას:

„*Cante alentejano* ხალხის მუსიკაა, მაგრამ ქალებს იგივე უფლებები აქვთ, რაც მამაკაცებს. მიხარია, რომ ახლა ისინი მღერიან! მე არ დავოჯახებულვარ. ეს იყო ჩემი ბედი... ასეა. ქალები ჯერ კიდევ ყველაფერში დისკრიმინირებულნი

არიან. საქმე ის კი არაა, რამე რომ მოიგო... არამედ სიამოვნება რომ მიიღო იმით, რასაც მღერი. მემკვიდრეობის აღიარებით არაფერი შეცვლილა. არაფერი. ახლა ჩვენ გავიჭედეთ. რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვიმღეროთ. საკრებულოს მხარდაჭერას ვიღებთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენ ჯერ კიდევ გვინევს სიარული [მხარდაჭერის] სათხოვნელად მაღაზიებში და ფერმერებთან. ასე რომ, არ მგონია ამას დიდი სარგებლობა მოეტანოს, მაგრამ არ ვიცი, დროთა განმავლობაში ვნახავთ“.

წინამდებარე კვლევის ნაწილის სახით, ჩვენ დავაფიქსირეთ ადა დე კასტროსა და ხოაკინა ფრალდას მიერ შესრულებული სხვადასხვა როლი, შესაბამისად, ფადოსა და *cante alentejano*-ს მიმართ. მათ მონაყოლში UNESCO-ს ICH-ის მიერ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სიმბოლური რეპრეზენტაციისა და ესთეტიკური სიამოვნების ფუნქციები შერწყმულია ცალკეულ პიროვნებებთან და ცხოვრებისეულ ნარატივებთან. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის ქიშკირა ზღუდავს და ფესვგადგმულია ნაციონალიზმის კონსერვატიულ, ვინრო ფორმებში, არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ამ ქალბატონებმა მოახერხეს მისგან თავის დაღწევა და განვიტეს მარყუჟი. დავთანხმდნენ ეროვნული მემკვიდრეობის სიმბოლოების წარდგენასა და კომენტარებზე, ისინი დაგვეხმარნენ ჩვენი წვლილი შევიტანოთ პორტუგალიაში გამძლე სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მაღლობელი ვართ იმ გულუხვობისთვის, რომლითაც ისინი უზიარებენ მსმენელებს თავიანთ გრძნობებს და თანაუგრძნობენ სხვებს.

თარგმნა მარიკა ნადარეიშვილმა

შენიშვნები:

1. ბარბარა კირშენბლატ-გიმბლეთი, საშემსრულებლო კვლევების ემერიტუს-პროფესორი ნიუ იორკის უნივერსიტეტში, ანთროპოლოგი, ფოლკლორისტი და სამუზეუმო საქმის სპეციალისტი, ციტირებული მოხსენებით „მუზეუმების მომავალი პოსტპანდემიურ სამყაროში“ გამოვიდა შუსტერმანის სახელობის ებრაულ კვლევათა ცენტრში, ტექსასის ინივერსიტეტში, ოსტინში, 2021 წ. მისი ლექცია ეყრდნობოდა „21-ე საუკუნის უნარების“ კრიტიკულ კონცეფციას, რომელიც წამოაყენა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ და რომლითაც ინსპირირებულია

წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურა: <https://www.youtube.com/watch?v=oEQdFdBuR84>
(ნანახია 09.15.2021).

2. ჟურნალ *Time*-ის 2006 წლის 18 დეკემბრის ნომრის ყდაზე სტატიის სათაური იყო „როგორ აღვზარდოთ სტუდენტი 21-ე საუკუნეში“. უკეთესი მომავლის იმედით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია დღესაც აგრძელებს ამ კონცეფციის განხორციელებას: <https://www.oecd.org/site/educeri21st/40756908.pdf> (ნანახია 12.13.2021). ამ ჩარჩოს მიზანია ძლიერი გლობალური ეკონომიკის ასაშენებლად მომზადებული მოქალაქეების აღზრდა, რომლებიც „ფიქრობენ აბსტრაქტულ პრობლემებზე, მუშაობენ გუნდურად, კარგ ინფორმაციას განასხვავებენ ცუდისგან...“ (Fadel 2008: 5) და მონაწილეობენ კრიტიკულ აზროვნებაში, სოციალურ პასუხისმგებლობაში, მედიაწინგნიერებაში, ემოციურ ინტელექტსა და ინფორმირებულ დებატებში.
3. „წარმომავლობითი“ და „თანხმობის“ მემკვიდრეობას შორის განსხვავების შესახებ იხ. სოლორსი (Sollors 1988).
4. საინტერესოა, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის აღიარება მთელ მსოფლიოში თანაბრად არ არის განაწილებული. UNESCO ICH-ის ვებსაიტზე ნაჩვენებია იმ ერთეულების რაოდენობა, რომლებიც თითოეულმა ქვეყანამ მოიხსენია. 2021 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით, საფრანგეთმა ჩამოთვალა ოცდასამი ერთეული; გაერთიანებულ სამეფოს, აშშ-ს, კანადასა და ავსტრალიას არ მოუხდენია კონვენციის რატიფიცირება; ნიდერლანდებს წარმოდგენილი ჰქონდათ ერთი, ესპანეთს – ოცი, საქართველოს კი – ოთხი. მსჯელობას იმ მიზეზების შესახებ, რის გამოც ზოგიერთმა ქვეყანამ მოახდინა ან არ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება და როგორ გადაწყვიტეს მათ წარედგინათ თუ არა ესა თუ ის ერთეული და რომელი მათგანი, პრინციპული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სცილდება ამ ნაშრომის ფარგლებს.
5. შეყვანილია: ფადო, პორტუგალიის ქალაქური პოპულარული სიმღერა (2011); ხმელთაშუა ზღვის დიეტა (2013); *Cante Alentejano*, მრავალხმიანი სიმღერა ალენტეჟუდან, სამხრეთ პორტუგალია (2014); ეუვნების წარმოება (2015); შევარდნით ნადირობა, კაცობრიობის ცოცხალი მემკვიდრეობა (2016); Bisalhães, შავი თიხის ქურჭლის წარმოების პროცესი (2016); აშტრემოშის თიხის ფიგურების ხელოსნობა (2017); და ზამთრის დღესასწაულები, პოდენსის კარნავალი (2019).
6. განაცხადი შესრულდა ეთნომუსიკოლოგიის ინსტიტუტის – Nova de Lisboa უნივერსიტეტის (NOVA FCSH) სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის მუსიკისა და ცეკვის კვლევის ცენტრი (INET-md), ფადოს მუზეუმის საკონსულტაციო კომიტეტისა და ლისაბონის საკრებულოს პარტნიორობით, რომელსაც მხარს უჭერდა პორტუგალიის კულტურის სამინისტრო.
7. სერპას საკრებულომ 2013 წლის მარტში წარადგინა კანტეს განაცხადი, შემუშავებული Casa do Cante-ს ხელმძღვანელობით, მისი დირექტორის პაულო ლიმუს მეშვეობით, რომელიც თანამშრომლობდა სალვა კასტელო-ბრანკოსთან (NOVA FCSH-დან) და

რამდენიმე ასოციაციასთან: MODA – Associação do Cante Alentejano, Confraria do Cante Alentejano, Casa do Alentejo ლისაბონში და რეგიონალური ტურისტული დეპარტამენტი, Entidade Regional de Turismo do Alentejo e Ribatejo.

8. იხ. <https://ich.unesco.org/en/procedure-of-inscription-00809#inscription-on-the-representative-list> (ნანახია 01.15.2022).
9. *Marcha* – ვოკალური ან ინსტრუმენტული მუსიკის ჟანრი, ჩვეულებრივ 4/4 ზომაში, რომელიც თან ახლავს სამხედრო და პოპულარულ ქუჩის წარმოდგენებს. ინგლისურში უახლოესი ეკვივალენტია *march* (მარში).
10. *Casas do Povo* – სიტყვასიტყვით *სახალხო სახლები* – იყო სოფლის შრომის კორპორატიული ორგანიზების პირველადი ელემენტი პორტუგალიაში, *Estado Novo*-ს დროს, რომელიც შეიქმნა 1933 წლის 23 სექტემბრის 23 051 დეკრეტით.
11. „FADO, HERITAGE OF HUMANITY STATEMENT: მომღერალი ადა დე კასტრო აღიარებს ფადოს მემკვიდრეობის მნიშვნელობას. 1982 წელს იგი აირჩიეს *Melhor Fadista do Ano* / წლის ფადოს მომღერლად და წარმოადგენს ლისაბონის ამ ქალაქური სიმღერის ცოცხალ სიმბოლოს. ადა დე კასტრო აქვე აცხადებს თავის ღრმა ინტერესს და ერთგულებას იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში ფადოს გამოყენების დაცვის გეგმის მიმართ. ლისაბონი, 2010 წლის 6 ივნისი“.
12. სარეკომენდაციო წერილი იყო ლიცენზიის მისაღებად განაცხადის წარდგენის წინაპირობა, რომელიც წამოაყენა *Sekretariado Nacional de Informação – SNI*-მ (ინფორმაციის ეროვნული სამდივნო, კულტურის საქმეთა დიქტატორული სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია ცენზურის პოლიტიკაზე). ლიცენზიის, ან პროფესიული ბარათის მოთხოვნამ გააძლიერა კონტროლი მრავალ მუსიკალურ პრაქტიკაზე. მუსიკოსებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო პროფესიული ბარათის მოპოვება: მისი გამოყენების შემოწმება და მისი საბოლოოდ კონფისკაცია შედიოდა მუსიკოსთა ეროვნული კავშირის რეგულარული ცენზურულ ღონისძიებათა შორის (Côrte-Real 2000: 76-77).
13. ადა ამის შესახებ სინანულით აღნიშნავს და ამბობს, რომ „არავინ იცის, რომ ეს 25 აპრილის გამო არსებობდა, რადგან ძველ ხელისუფლებას ეკუთვნოდა“. ტრავმირებულმა ისტორიოგრაფიამ ხელი შეუშალა დემოკრატიულ ეპოქაში ფადოს დიქტატორული გამოყენების აღიარებას.
14. „მე, ხოაკინა მარია ბრიტეს ფრალდა, ფერეირა-დუ ალენტეჟუს საგუნდო კოლექტივის *Alma Nova* ხელმძღვანელი, ვაცხადებ, რომ მხარს ვუჭერ *Cante Alentejano*-ს კანდიდატურას კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შესატანად. საგუნდო კოლექტივი იმედოვნებს, რომ მისი კანდიდატურა ემსახურება პოპულარობის ამაღლებას და ძალას შემატებს კანტეს და ქალებს, რომლებიც მას მღერიან. Ferreira do Alentejo 4.1.2014“.
15. მას შემდეგ მათ დროდადრო ინვევდნენ თავიანთი სოფლის ფარგლებს გარეთ

გამოსასვლელად. ზოგადად, ისინი თავიანთი მუნიციპალიტეტიდან, წელიწადში დაახლოებით შვიდჯერ ან რვაჯერ, მიემგზავრებიან ფესტივალებზე და აღენტიეჟუს საგუნდო კოლექტივების შეხვედრებზე.

16. ჯგუფმა შუაჩერა თავისი საქმიანობა 2020 წლის მარტში covid-19-ის პანდემიის გამო. ერთად გატარებული დროის განმავლობაში, 2021 წლის ზაფხულში, მას ძალიან ენატრებოდა ყოველკვირეული რეპეტიციები და ის დრო, როდესაც იგი, როგორც პრეზიდენტი ემზადებოდა მათი ყველაზე მნიშვნელოვანი რეგულარული ღონისძიებებისათვის, როგორცაა *Cante ao Menino*.
17. ჩანაწერი გააკეთა ანტონიუ კასკეირამ, რომელმაც გაგვიზიარა აუდიოფაილი.
18. ცნება *Saudade* წარმოადგენს ნაციონალისტურ კონსტრუქტს, რომელიც ასოცირდება Estado Novo-სთან. ნათქვამია, რომ ის ვერ ითარგმნება პორტუგალიურიდან და ეხება სამშობლოს ნოსტალგიას და მასთან დაკავშირებულ გრძნობებს.

გამოყენებული ლიტერატურა (იხ. გვ. 298).

ქართულ ქალთა ტრადიციული სიმღერები: ღირებულება და ადგილი ქართულ სამუსიკო ფოლკლორში

ნატალია ზუმბაძე

ქართველი ხალხი საქვეყნოდ არის განთქმული თავისი სიმღერით. სასიმღერო ტრადიცია ძირითადია ქართულ მუსიკაში, საკრავიერ ჰანგებს მასთან შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს. სიმღერით ქართველი თავის საფიქრალს, გულისთქმას გამოხატავს. სიმღერა მისი ცხოვრების გა-
ნუყრელი თანამგზავრია დაბადებიდან გარდაცვალებამდე.

ქალთა, მამაკაცთა და შერეული სიმღერები და მათი განხილვის ტრადიცია

საქართველოს ეთნოგრაფიულ კუთხეებში დღემდე არსებულ თუმათი მკვიდრების მეხსიერებაში შემორჩენილ ტრადიციულ სასიმღერო რეპერტუარში¹ ქალთა და მამაკაცთა სიმღერებს თავ-თავისი ადგილი უჭირავს. ამგვარ დაყოფაში ასახულია ქალთა და მამაკაცთა კავშირი სოფლის ცხოვრების განსხვავებულ მხარეებთან. ქალთა სიმღერები ახლავს ყოფის იმ მხარეებს, რომლებშიც მონაწილეობა მხოლოდ ქალებს აკისრიათ,² მათ მიერ შესრულებული სხვა სიმღერები საკუთრივ ქალთა სიმღერებად ვერ ჩაითვლება (ზუმბაძე 1997: 8-9).

ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში ქალთა და მამაკაცთა სიმღერებს ცალ-ცალკე პირველი დ. არაყიშვილი განიხილავს;³ ამასთანავე, იგი აღნიშნავს შერეულად შესასრულებელი სიმღერების არსებობასაც (Аракчиев 1905, 1908, 1916; არაყიშვილი 1950). გ. ჩხიკვაძის აზრით, ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედებისთვის უცხოა შერეული შესრულება – მრავალხმიანი სიმღერები ისტორიულად სრულდებოდა ერთგვაროვანი გუნდით, ძირითადად, მამაკაცთა მიერ (ჩხიკვაძე 1960: XIV). მკვლევარს გამონაკლისებად მიაჩნია, ერთი მხრივ, ის სიმღერები, რომლებსაც, სქესის განურჩევლად, ერთად მღერიან სამუსიკო ტრადიციების შემომნახველი ნათესაური წრის ან ოჯახის წევრები, ხოლო, მეორე მხრივ, ქალთა სიმღერები, დაკავშირებული საოჯახო ყოფასა და საკულტო წესთან (იკვანანა, მზე შინა, ზარი,⁴ დიდება). გ. ჩხიკვაძის ეს მოსაზრება მცდარია, რადგან: 1. ქართულ სასიმღერო კულტურაში დღემდე არსებობს

შესრულების შერეული ფორმა და ამ ფორმით მრავალხმიან სიმღერებს მხოლოდ ნათესაური წრე ან ოჯახი არ მღერის;⁵ 2. სოლო სიმღერების სიჭარბის მიუხედავად, მრავალხმიან სიმღერებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალთა რეპერტუარშიც,⁶ რაც იმით აიხსნება, რომ მრავალხმიანობა საქართველოში მუსიკალური აზროვნების ზოგადეროვნული ფორმაა (ზუმბაძე 1997: 13).

ქალთა სასიმღერო რეპერტუარის მთავარი ჟანრები

ქალთა ტრადიციული სიმღერების ღირებულების ობიექტურად შეფასება და ქართულ სამუსიკო ფოლკლორში ადგილის განსაზღვრა მათი რეპერტუარის მთავარი სასიმღერო ჟანრების კვლევის და მამაკაცთა სიმღერებთან შედარების საფუძველზეა შესაძლებელი.⁷ ამავე დროს, ზოგადქართულ მრავალხმიან სივრცეში მეტად მნიშვნელოვანია ქალთა სიმღერების ერთხმიანობა-მრავალხმიანობის შესწავლაც. წინამდებარე სტატია, თავისი მოცულობის ფარგლებში, სწორედ ამ გზას მისდევს.

საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით, ქართველ ქალთა რეპერტუარი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, თუმცა ნაკლებად მრავალფეროვნად ის მხოლოდ მამაკაცთა რეპერტუართან შედარებისას შეიძლება მივიჩნიოთ, და არა ცალკე, რადგან, თავის მხრივ, ჟანრულად საკმაოდ მდიდარია.⁸

ქალთა სიმღერების უდიდესი უმრავლესობა არის *მისადაგებული*, იგივე *თანდებულო*⁹ სიმღერა, რომელიც ყოფაში მხოლოდ განსაზღვრულ დროსა და ადგილას სრულდება. თანდებულო სიმღერებით წარმოდგენილია შემდეგი ჟანრები: სააკვნო (*ნანა, ნანე, ნან(ა)ილა, ჰანანი; ნენი, ძავრუ*) (აუდიომავ. 1, 2), საძეობო (*მზე შინა, მზე შინაო, ნაჲ-ნაჲ, ზაშინაო*)¹⁰ (აუდიომავ. 3), სახადთან დაკავშირებული (*იავნანა, იავნანო, იავნანე, ბატონების სიმღერა, ბატონების ნანინა, ია პატონეფი, ბატონებო, საბოდიშო*) (აუდიომავ. 4, 5, 6), ამინდის მართვის (*ლაზარე, ლაზარიკო, ლაზარ-ბატონო, გონჯა, ელია, გუთანზე დატირება*) (აუდიომავ. 7, 8), ღვთის დიდება-ვედრების (საგაზაფხულო წესჩვეულებებში სოფლის დავლისას სათქმელი საფერხულო დიდება, საკულტო და რელიგიურ დღესასწაულებზე სალოცავში სათქმელი *ფეხისა, დიდება და იავნანა*¹¹) (აუდიომავ. 9, 10), შრომის¹² (ძროხის დასაშოშმინებელი ჰანგი წველის დროს, მატყლის დამუშავებისას შესასრულებელი *ხერთლის ნადური* და *ესთი, ესთი, ფარტენაო*; მკის თანმხლები *ქორქალი*, ხელსაქმობასთან ან სხვა

სახის ინდივიდუალურ მუშაობასთან დაკავშირებული ზუზუნი) (აუდიომავ. 11, 12), საქორწილო¹³ (ვინ მოგიტანა, გელინო, ატონო) (აუდიომავ. 13) და გლოვის (დატირება, მგარა, ადაა-დადაა, ქვითინით ტირილი, მოთქმით ტირილი, ხმით ტირილი, ზარით ტირილი, ზრუნი) (აუდიომავ. 14, 15, 16, 17). როგორც ცნობილია, სოფლის მკვიდრები, ზოგადად, თანდებულ სიმღერებს სიმღერებად არ თვლიან, რადგან ისინი ყოფის განუყრელი ნაწილია (გარაყანიძე 2007: 24-25). ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სანესო რიტუალებში შემავალი ქალთა თანდებული სიმღერები (ამინდის მართვის, ბატონების მობოდიშების, ასევე, – საკულტო და რელიგიური დღესასწაულების თანმხლები). შემსრულებელთა წარმოდგენით, ეს სიმღერები კი არ არის, არამედ ხვეწნა, ვედრება, თხოვნა, ლოცვაა, რომლის ძირითად ფუნქციას ზებუნებრივი ძალებისთვის თავის შეცოდება, შებრალება, შენანება და ამ გზით მათგან წყალობის მიღება შეადგენს (ზუმბაძე 1997: 134). ზემოთ ჩამოთვლილი ჟანრებიდან მამაკაცები დაკავშირებულნი არიან მხოლოდ რამდენიმესთან – შრომის, ღვთის დიდება-ვედრების, საქორწილო და გლოვის ჟანრებთან, ისიც – განსხვავებული რეპერტუარით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქალთა თანდებული სიმღერები, თავისი სპეციფიკურობის გამო, ქართულ სამუსიკო ფოლკლორში შეუცვლელია.

ქალთა რეპერტუარში გაცილებით ნაკლებად გვხვდება მიუსადაგებელი, იგივე წმინდა¹⁴ სიმღერები, რომლებიც ნებისმიერ გარემოში შეიძლება შესრულდეს. წმინდა სიმღერებით წარმოდგენილია ლირიკული (უსაკრავო და საკრავით თანხლებული სიმღერები, მათ შორის, მრავალხმიანი ნანები და გასიმღერებული ტირილები¹⁵) (აუდიომავ. 18, 19) და საცეკვაო (ნარდანიინა, ჰამ შალახო, ორი დილი, კუნა-კატნი და სხვ.) (აუდიომავ. 20) ჟანრები. ამ სიმღერებს (სიმღერა-ტირილების გარდა) ყოფაში აუცილებლად ქალები არ მღერიან – ისინი სრულდება, ასევე, მამაკაცთა მიერ და შერეულად.¹⁶

თანდებული სიმღერების არადანიშნულებით შესრულება ე. გარაყანიძეს მართებულად მიაჩნია გვიანდელ, აუთენტიკური ფოლკლორისთვის არადა-მახასიათებელ მოვლენად (გარაყანიძე 2007: 21-22). გამონაკლისებს შორის მკვლევარი ასახელებს ხევსურ ქალთა დატირებას, რომელიც სრულდება თიბვის წინ სათიბში. მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ეს წესი სულების კეთილგანწყობის და შრომაში მათი შემწეობის მოპოვების საშუალებას წარმოადგენს (ასლანიშვილი 1956: 32-33).

ჩვენამდე მოღწეული ქალთა რეპერტუარი საკმაოდ შთამბეჭდავია, თუმცა ძველად გაცილებით უფრო მდიდარი უნდა ყოფილიყო, რასაც სპეციალური ლიტერატურის მონაცემები და საექსპედიციო მასალები მოწმობს. მამაკაცთა რეპერტუართან შედარებით ქალთა რეპერტუარის ნაკლებ ჟანრულ მრავალფეროვნებას მათი ყოფის თავისებურება – მეტი შეზღუდულობა, შემოფარგლულობა, ჩაკეტილობა – იწვევს. ამავე დროს, ქალთა ნაკლები ცხოვრებისეული აქტივობა და ძირითადი სამოქმედო სარბიელი – ოჯახი და მასთან დაკავშირებული საქმიანობა, კერაზე მიჭაჭვულობა, ოჯახს გარეთ ნაკლები გადაადგილება, გარესამყაროსთან ნაკლები კონტაქტი და, შესაბამისად, ნაკლები შთაბეჭდილება და გავლენები – ამ წიაღში არსებული სიმღერების კონსერვატიულობას, მათში ქართული ხალხური მუსიკის ძველი ფენების შემორჩენას განაპირობებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველადმა სასიმღერო ფოლკლორმა¹⁷ ქალთა შემთხვევაში, მამაკაცებისგან განსხვავებით, ბევრად ნაკლები გარეშე ცვლილება განიცადა. სწორედ ამიტომ ქალთა სიმღერების კვლევას შეუძლია, ქართული ხალხური მუსიკის დღემდე ბუნდოვან მრავალ საკითხს მოჰფინოს შუქი.

ქალთა რეპერტუარი და ქართული სასიმღერო ფოლკლორის მაღალმხატვრული ნიმუშები

ძნელია, შეედავო ე. გარაყანიძის აზრს, რომელიც საზოგადოდ დამკვიდრებულ შეხედულებასაც ასახავს – რომ „ქართული სასიმღერო ფოლკლორის ყველაზე მაღალმხატვრული ნიმუშები მამაკაცთა რეპერტუარში იპოვება“¹⁸ (გარაყანიძე 2007: 73). და მაინც, ამგვარ სიმღერებს ქალთა რეპერტუარშიც ვხვდებით, თუმცა ნაკლები რაოდენობით. ამიტომ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში საუბარი უფრო სამართლიანი იქნებოდა ქართული სასიმღერო ფოლკლორის ან **ყველაზე მეტ მაღალმხატვრულ ნიმუშზე**, ან **ყველაზე მაღალგანვითარებულ ნიმუშებზე**, როგორებიც სწორედ მამაკაცთა რეპერტუარშია თავმოყრილი¹⁹ (ზაზგასმა ჩემია – ნ.ზ.). მართალია, აღიარებული არ არის, მაგრამ ქართველ ქალთა არაერთი სიმღერა ნამდვილი შედეგია – დანყებული თავისი უბრალოებით, სისადავით მომჭაქადობელი ქართლ-კახური სახადის იავნანადან²⁰ და აჭარული, ლაზური, სვანური თუ ხევსურული აკვნის ნანადან, დამთავრებული მაღალგანვითარებული რაჭული *ზრუნით*, იმერული ორხმიანი *ტირილით* და კახური ღვთის კარზე სათქმელი *იავნანათი*. მხატვრულად სრულქმნილი ეს ნიმუშები თავისუფლად

დაუმშვენებდა გვერდს ქართველ მამაკაცთა საქვეყნოდ ცნობილ ისეთ სიმღერებს, როგორებიც კახური სუფრულები, გურული კრიმანჭულიანი თუ სამთა სიმღერებია.

ქალთა სიზღარებისადმი მცირე ინტერესის მიზეზები

თავისი მხატვრული ღირსებებით ქართველ ქალთა რეპერტუარი²¹ საკადრის მეტოქეობას გაუწევს მსოფლიოს სხვა ხალხებისას. თუმცა საყოველთაო ცნობადობა და აღიარება ქართულმა ხალხურმა მუსიკამ მამაკაცთა სიმღერების საფუძველზე მოიპოვა, რაც მათი იშვიათი მრავალფეროვნებით და მაღალგანვითარებულობით უნდა აიხსნას. ამ თვისებებით შედარებით ნაკლებად დაჯილდოებული, მამაკაცთა სიმღერებით დაჩრდილული ქალთა სიმღერები ქართული ხალხური მუსიკის შემკრებთა ყურადღების ცენტრში ბევრად უფრო იშვიათად ხვდებოდა (იგივე შეიძლება ითქვას მათ კვლევასა და შესრულებაზე). ე. გარაყანიძის თქმით, „ასზე მეტი წლის განმავლობაში სანოტო კრებულები, გრამფირფიტები, ფოლკლორისტული ექსპედიციები, როგორც წესი, მამაკაცთა ფოლკლორის გამომზეურებას ემსახურებოდა“ (გარაყანიძე 2007: 110). ამის გამო ქალთა ბევრი სიმღერის ვარიანტები, ზოგჯერ კი მთლიანად სიმღერა ყოფიდან უკვალოდ, ჩაუნერლად დაიკარგა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქართულ სამუსიკო დიალექტებს შორის ყველაზე მეტად განვითარებული – გურული. თუ არსებული ხმოვანი ჩანაწერების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს დიალექტი ქალთა რეპერტუარით ლამის ყველა დანარჩენზე უფრო ღარიბია, რაც თავის დროზე შეუძლებელია, ასე ყოფილიყო. მსგავსი მოცემულობა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ დიალექტის მაღალგანვითარებულობა ქართულ სინამდვილეში მხოლოდ მამაკაცთა სიმღერებით დაინტერესებას იწვევს და იგივე ინტერესი ქალთა სიმღერებზე არ, ან ბევრად ნაკლებად ვრცელდება (ყოველ შემთხვევაში, ასე იყო მაშინ, როცა ყოფაში ქალთა სიმღერების უმრავლესობა და, შესაბამისად, მათი ჩანწერის შესაძლებლობა არსებობდა). საყურადღებოა, რომ გურიაში ქალთა ზოგ სიმღერასაც, ძირითადად, მამაკაცები მღერიან²² (აუდიომაგ. 6). სამაგიეროდ, გურულ ქალთა რეპერტუარში აშკარაა ტენდენცია მამაკაცთა მაღალგანვითარებული სიმღერების შესრულებისა, რაც ქალთა მიერ კრიმანჭულის პარტიის მღერაშიც არის ასახული. მსგავს მიდრეკილებას საქართველოს ამ კუთხეში საოჯახო მუზიციულებისა და მომღერალი საგვარეულოების დიდმა ტრადიციამაც შეუწყო ხელი. ძნელად

დასაჯერებელია, რომ მრავალხმიანობით განთქმულ გურიაში, სადაც მამაკაცები ყანაში მუშაობისას, სამხმიანთან ერთად, ოთხხმიან ნადურებსაც მღეროდნენ, ქალებს კოლექტიური გლოვის პროცესში მიცვალებული ერთ ხმაში დაეტირათ, მაშინ როცა ორხმიანი ტირილი იცოდნენ ხევშიც²³ (აუდიომაგ. 15) – აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეში, რომელსაც გურულზე გაცილებით ნაკლებად განვითარებული სასიმღერო კულტურა აქვს. სხვათა შორის, ქალთა ორხმიან ტირილს მხოლოდ 1980-იანი წლების დასასრულს მივაკვლიეთ იმერეთში²⁴ (აუდიომაგ. 16), რომელიც გურიის მეზობელი კუთხეა და ხალხური სიმღერის განვითარებით მას ცოტათი ჩამორჩება. ამგვარი ფაქტები საქართველოს ეთნოგრაფიულ მხარეებში მსგავსი აღმოჩენების იმედს კვლავ გვიტოვებს.

ხალხური მუსიკის შემკრებთა მცირე ინტერესი ქალთა სიმღერებისადმი უნდა აიხსნას რამდენიმე მიზეზით: მამაკაცთა სიმღერებთან შედარებით მათი ნაკლები მრავალფეროვნებით, განვითარების უფრო დაბალი დონით და რეპერტუარში ერთხმიანი ჰანგების სიჭარბით.²⁵ რთულია ქალთა სიმღერების ჩაწერაც: მათი უდიდესი ნაწილი ხომ თანდებელი სიმღერაა, რომლის არადანიშნულებით შესრულებისთვის ტრადიციის მატარებელთა დათანხმება საკმაოდ ძნელია, ზოგჯერ – შეუძლებელი. ამას ჩემი ხანგრძლივი საექსპედიციო პრაქტიკა და შემსრულებლებთან ურთიერთობის გამოცდილებაც ადასტურებს.²⁶ დაბოლოს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტრადიციული მუსიკის შემკრებნი საქართველოში, ძირითადად, მამაკაცები იყვნენ,²⁷ რის გამოც მეტად გაუჭირდებოდათ შემსრულებელი ქალების ნდობის მოპოვება. ამის გარეშე კი ისინი მათ საკუთარ რეპერტუარს არ გაუმხელდნენ.²⁸

ქალთა და მამაკაცთა სიმღერების საერთო საფუძველი და მთავარი განმასხვავებელი ნიშანი

ქალთა სიმღერები ისეთივე სრულუფლებიანი შემადგენელი ნაწილია ქართული სასიმღერო ტრადიციისა, როგორც – მამაკაცთა სიმღერები. დღეს პროფესიონალები აღარ დავობენ იმაზე, რომ ჩვენი ხალხური მუსიკა ბევრად ღარიბი და ნაკლებად საინტერესო იქნებოდა ქალთა სიმღერების გარეშე, მხოლოდ მამაკაცთა რეპერტუარის ამარა.

ქალთა და მამაკაცთა სიმღერები საერთო საფუძველს – ერთსა და იმავე მუსიკალურ (მელოდიურ, ჰარმონიულ, მეტრულ თუ რიტმულ) კანონზომიერებებს

ემყარება.²⁹ ისინი ძირითადად განვითარების დონით სხვაობს. მამაკაცთა რეპერტუართან შედარებით ქალთა რეპერტუარის სიმარტივეს მასში თანდებული სიმღერების სიჭარბეც იწვევს. სიმღერები, დაკავშირებული ყოფის იმ მხარეებთან, რომლებშიც თითქმის ყველა ქალია ჩართული, რთული ვერ იქნება. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისებს წარმოადგენს ღვთის კარზე სათქმელი დიდება და იავნანა, ხმით ნატირალი, მოთქმით ნატირალი და ზრუნი, რომელთა ძირითადი ჰანგის თქმა, ჩვეულებრივ, ერთეულებს შეუძლიათ.³⁰ მაგრამ ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტია რიტუალებში მონაწილეობა და სხვებთან თანაინტონირება, რაც სოლისტის/სოლისტებისთვის დაბალი ხმის – ბანის შეწყობაში გამოიხატება. ამას კი ნებისმიერი ახერხებს.

ქალთა მიერ მამაკაცთა სიძლერების შესრულების მიზანმიმართული

უკვე ვახსენე, რომ სოფლად ქალები, თავიანთ რეპერტუართან ერთად, მამაკაცთა სიმღერებსაც ასრულებენ (გაცილებით ნაკლებია მამაკაცთა მიერ ქალთა სიმღერების შესრულების ფაქტები). მაინც რა იზიდავს ქალებს მამაკაცთა რეპერტუარში?

სავარაუდოდ, მისი განსაკუთრებული მრავალფეროვნება და მალაღანვითარებულობა. გამორჩეულად ნიჭიერი ქალები მშვენივრად ართმევენ თავს მშობლიური კუთხეების მამაკაცთა რეპერტუარის ურთულეს ნიმუშებს – ქართლ-კახურ ურმულებს და გრძელ კახურ სუფრულებს, გურულ კრიმანჭულიან სიმღერებს და სვანურ ბარსაც კი.³¹ ამგვარი შემთხვევები ჩვეულებრივია სასცენო შემსრულებლობაში, სადაც ქალ მომღერალთა რეპერტუარის დიდ ნაწილს ხშირად მამაკაცთა სიმღერები შეადგენს.³²

ქალთა სიძლერების ერთხმიანობა-მრავალხმიანობის საკითხი

ქართული ერთხმიანი სიმღერების უმეტესობა ქალთა რეპერტუარშია თავმოყრილი. ზოგადად, სიმღერის ერთხმიანობას საქართველოში მისი ყოფითი ფუნქცია განაპირობებს. ერთხმიანობა, როგორც წესი, სოლო მღერაში ხორციელდება.³³ უნისონური შესრულება საკმაოდ იშვიათია და გვხვდება ცალკეულ ნიმუშებში, მათ შორის, ქალთა რეპერტუარში.³⁴ ასეთია, მაგალითად, გ. ჩხიკვაძის მიერ 1938 წელს ქართლში (უფლისციხეში) ჩანერილი ლაზარე (ჩხიკვაძე 1960: 184). იმის გამო, რომ ქართლში ყველაზე მეტად ლაზარეს

მრავალხმიანი ვარიანტებია გავრცელებული და უნისონურად ნამღერი ამ ნიმუშის მელოდიკასაც მრავალხმიანი წყობის შინაგანი პოტენცია აქვს, მასზე ქართლში მიმდინარე გარკვეული ისტორიული და ეთნიკური პროცესების შესაძლო გავლენა ვივარაუდებ (ზუმბაძე 1988: 132). ქართულ სასიმღერო ტრადიციაში უნისონურად შესრულებული თითო-ოროლა სიმღერის არსებობა მათი სახით უძველესი ნიმუშების შემონახვას არ ნიშნავს. ამას იმ კუთხეების სიმღერებიც ადასტურებს, სადაც ქართულისთვის სისხლხორცეული მრავალხმიანი მღერის ტრადიცია განსაკუთრებული ისტორიული ძნელბედობის და მისი თანმდევი პროცესების გამო დაიკარგა და უნისონური მღერით ჩანაცვლდა (ზუმბაძე 2020, 2021). ასეთია გ. ჩხიკვაძის მიერ 1963 და 1973 წლებში საქართველოს ლაზებისგან ჩაწერილი სიმღერები.

სოლო სიმღერების სიჭარბის მიზეზები ქალთა რეპერტუარში

რატომ აღმატება ქალთა რეპერტუარი მამაკაცთა რეპერტუარს სოლო სიმღერების რაოდენობით?

საქმე ისაა, რომ მამაკაცთა რეპერტუარის ამგვარი სიმღერები (*ურმული*, *მთიბლური*, *ღუღუნი*, *ერთხმიანი გუთნური*) არ არის საერთოქართული, ისინი მხოლოდ კონკრეტულ კუთხეებში ახლავს შრომის კონკრეტულ სახეობებს. რაც შეეხება ქალთა რეპერტუარის სოლო სიმღერებს (*აკვნის ნანას*, *ქორქალს*, *ზუზუნს*, *ერთხმიან დატირებას*), მათგან ორი უმთავრესი – *ნანა* და *დატირება* – მთელ საქართველოში, მის ყველა კუთხეშია გავრცელებული.³⁵ *აკვნის ნანას* (აუდიომაგ. 1, 2), *ქორქალს* (აუდიომაგ. 12) და *ზუზუნს* ყოველთვის თითო შემსრულებელი ჰყავს, დატირებისგან განსხვავებით, რომელიც მრავალხმიანიც არის³⁶ (აუდიომაგ. 15, 16). თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველთა მუსიკალური აზროვნება მრავალხმიანი ტიპისაა და ისინი ყველა შესაძლო შემთხვევაში ბანით მღერას ამჟობინებენ (ჯავახიშვილი 1938: 321), მაშინ მიცვალებულის კოლექტიური გლოვისას *დატირება* უფრო ბუნებრივია, მრავალხმიანი იყოს, ვიდრე ერთხმიანი (იგივე უნდა ითქვას შრომის *გუთნურ-ზე*), რადგან ამ პროცესში მოტირალთან ერთად სხვა ქალებიც მონაწილეობენ და მათ თანანტიონირებას – დაქვითინებას – ბანის ფუნქცია აქვს. რაც შეეხება ერთხმიან *დატირებას*, მისი არსებობისთვის ფართო შესაძლებლობებს ქმნის ქართველთათვის დამახასიათებელი გლოვის წესები და ხანგრძლივობა.

მაგალითად დავასახელებ მიცვალებულის მოგონების ჩვეულებას, რომლის დროსაც დამტირებელი/მოტირალი ხშირად მარტოა. შემთხვევითი არ არის, რომ მიცვალებულის კულტს, მის გახსენებასა და მომადლიერებას უკავშირდება ქალთა რეპერტუარის ის სოლო ნიმუშებიც – *ქორცალი* და *ზუზუნი*, რომლებიც ინდივიდუალურ შრომას (მკასა და ხელსაქმობას) ახლავს და *საწესო შრომის სიმღერებად* იწოდება.

ქალთა რეპერტუარი – ქართველთა მრავალხმიანი

მუსიკალური აზროვნების მთავარეხი

ბევრთ ალენიშნე, რომ ქალთა რეპერტუარით ნაკლებად დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი მასში ერთხმიანი სიმღერების სიჭარბეა. ამგვარ დამოკიდებულებაში ვლინდება ქართველთა შეხედულება მრავალხმიან მღერასა და მის იდეალზე – სამხმიანობაზე.³⁷ და მაინც, ერთხმიანი სიმღერების სიუხვის მიუხედავად, ქალთა რეპერტუარი შესანიშნავი მტკიცებულებაა იმისა, რომ ქართველებს მრავალხმიანი ტიპის მუსიკალური აზროვნება აქვთ. აქ სანიმუშოდ ყველაზე უპრიანია, *დატირება* დავასახელო და მის შესახებ კახელ ეთნოფორთა ის წარმოდგენა მოვიშველიო, რომ *ტირილი* ისევე არ ვარგა უბანოდ, როგორც – სიმღერა (*ჟორდანია* 1962). ამ კუთხის განთქმული მოზარეებისთვის ბანის თქმა იმდენად სავალდებულო პირობაა, რომ ისინი მის გარეშე *ტირილზე* უარს ამბობენ (*ჩიხვაძე* 1952). ბანით შესრულებას, ასევე, აუცილებლად გულისხმობს რაჭული გლოვის სიმღერა *ზრუნი* (*აუდიომაგ.* 17) – წინააღმდეგ შემთხვევაში ის „უშნო და ულაბათო“ გამოვა (*ნაკაშიძე* 1985: 224). სამგლოვიარო ჟანრის მრავალფეროვან, უაღრესად საყურადღებო ქალთა ნიმუშებს შორის განსაკუთრებით გამოვყოფდი სწორედ ამგვარებს, მრავალხმიანებს – ორხმიან მოხეურ *ხმით ტირილს* (*აუდიომაგ.* 15), კახურ ბანით *ტირილს* (*იგივე ბარს*),³⁸ იმერულ *ტირილს* (*აუდიომაგ.* 16) და სამხმიან *ზრუნს*. არანაკლებ მნიშვნელოვანია ერთხმიანი ტირილები მრავალხმიანობის აშკარად გამომხატული ნიშნით – განსხვავებული ფუნქციის ხმის ელემენტებით. ასეთებია ხევსურული *ხმით ტირილი* და მოხეური ადაა-დააა³⁹ (*აუდიომაგ.* 14).

მრავალხმიან სიმღერებთან ერთად, რომელთა წილი ქართველ ქალთა რეპერტუარში საკმაოდ დიდია, მრავალხმიანობის დამატებით არგუმენტებს შეიცავს ის ერთხმიანი ნიმუშებიც, რომლებიც ამგვარად მხოლოდ გარკვეული

მიზნების (ძირითადად, არატრადიციულ გარემოში⁴⁰ შესრულების და შემსრულებლის სიმარტოვის) გამო სრულდება, ხოლო ჩვეულებრივ მრავალხმიანია. ასეთ შემთხვევაში მარტომყოფი შემსრულებელი ცდილობს, სიმღერის მრავალხმიანობა საკუთარ ნამღერში შეძლებისდაგვარად ასახოს, რასაც ჰანგში სხვა ხმის/ხმების ელემენტების გამოყენებით ახერხებს. ზოგჯერ მრავალხმიანობის მისაღწევად შემსრულებელი მიმართავს საკრავს, რომელიც მას სხვა ხმის/ხმების მოქმედებს უცვლის.⁴¹ ორი შემსრულებელი სამხმიანი სიმღერის შესრულებისას, როგორც წესი, *მოქმედის* (სიმღერის წამყვანი, შუა ხმის) და *ბანის* (დაბალი ხმის) პარტიებს ამბობს, თუმცა მეორე შემსრულებელმა *თქმას* იშვიათად *მოძახილიც* (სიმღერის მაღალი ხმა) შეიძლება ააყოლოს.⁴² ამისი მაგალითია ჩემ მიერ ლეჩხუმის ექსპედიციაში 1989 წელს ჩანერილი *ბატონების იავნანა*.

მრავალხმიანი განვითარების პოტენციას შეიცავს ქართველ ქალთა სპეციფიკური სოლო ჟანრების ნიმუშებიც (აკვნის *ნანები* და *ქორქალები*), რაც იმაზე მიუთითებს, რომ მრავალხმიანობა ქართული სიმღერის შინაგანი ბუნებაა, მისი უმთავრესი თვისებაა. ერთხმიან, აკვნის *ნანებთან* ერთად საქართველოში გვხვდება მრავალხმიანი *ნანებიც* – ლირიკული სიმღერები, რომლებიც არ უკავშირდება ბავშვის დაძინების პროცესს.⁴³ მათ ასრულებენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები ან ორივენი ერთად (კალანდაძე-მასხარაძე 2010: 176-177).

მრავალხმიანი სიმღერების შესრულების ფორმები

ქალთა მრავალხმიანი სიმღერების შესრულების ფორმები უფრო ღარიბია, ვიდრე მამაკაცთა სიმღერებისა, რაც ქალთა სიმღერების ნაკლები მრავალფეროვნებით აიხსნება. ისინი სრულდება ერთპირულად/ცალპირულად და ორპირულად.⁴⁴ საკმაოდ გავრცელებულია ორპირული შესრულება: ორი სოლისტის მონაცვლეობა უბანოდ (ამისი ერთ-ერთი მაგალითია მიცვალებულის *დატირება* რამდენიმე ქალის მიერ მონაცვლეობით, მოქვითინების გარეშე. გარაყანიძე 2007: 50-51), ორი სოლისტის მონაცვლეობა ბანის ფონზე (ასეთებია ორხმიანი სიმღერები – კახური საფერხულო *დიდება*, სახადის და ღვთის კარზე სათქმელი *იავნანა*), ორ-ორი სოლისტის მონაცვლეობა ბანის ფონზე (სამხმიანი სიმღერები – კახური საფერხულო *დიდება* და *გონჯა*), სოლისტისა და გუნდის მონაცვლეობა, იგივე რესპონსორული შესრულება (აქარული *ხერტლის ნადური*

და ნად-ნად), ორი გუნდის მონაცვლეობა (რაჭული შრუშანა, ჯამათა და ჟუჟუნა).

შესრულების განსაკუთრებულ ფორმად მიაჩნია ე. გარაყანიძეს დატირება სამგლოვიარო სიმღერის ფონზე. გურიასა და სვანეთში ქალთა დატირება მამაკაცთა ზარს, ხოლო თუშეთში დალაფს ახლავს.⁴⁵ საყურადღებოა, რომ იმერეთის (საჩხერის რაიონის) 1988 წლის ექსპედიციაში ჩაწერილ ორხმიან ტირილს (აუდიომაგ. 16) ე. გარაყანიძე „ორი ქალის ერთდროულ დატირებად“ იხსენიებს. მისი თქმით, „ასეთ შემთხვევებში ერთდროულად ჟღერს სხვადასხვა, უფრო ხშირად მელოდიურად, მეტრ-რიტმულად, ტონალურად, ტემბრულად და ა.შ. სრულიად განსხვავებული მუსიკალური მასალა, რაც, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, სრულებით არ ჭრის ყურს და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მსმენელზე უზარმაზარ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს“ (გარაყანიძე, 2007: 52). მკვლევრის ეს მოსაზრება მართებულია მამაკაცთა სამგლოვიარო ჰიმნის და მის ფონზე ხმოვანი დატირების შემთხვევაში, მაგრამ არა იმერელ ქალთა ორხმიანი ტირილისა. ამ ნიმუშის ხმების პარტიები, მათი სხვაობის მიუხედავად, განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს. მაღალი ხმის ჰანგი და, მით უმეტეს, ტექსტი ცალკე ასეთი ვერ იქნებოდა, რადგან სრულად დაბალ ხმაზე დამოკიდებული და მისგან გამომდინარეობს. ეს არის კითხვა-მიგებითი ფორმის ნამდვილი მუსიკალური დიალოგი, რომელიც მრავალხმიან დატირებად, და არა ერთდროულად მჟღერ ორ სხვადასხვა დატირებად აღიქმება.

ქალთა ორპირულ სიმღერებს (მამაკაცთა სიმღერების მსგავსად) ახასიათებს გაერთიპირულების ტენდენცია. ამისი ერთ-ერთი მიზეზი შემსრულებელთა/ტრადიციის მატარებელთა რიცხვის საგრძნობლად შემცირებაც უნდა იყოს. გონჯას, სახადის და ღვთის კარზე სათქმელი იავნანას უწინდელ ორპირულობას, საკუთრივ ამგვარი ნიმუშების გარდა, ერთპირულ ჩანაწერებში შემორჩენილი ორპირულობის ნიშნებიც ადასტურებს. ორპირული სიმღერების გაცალპირულება, ე. გარაყანიძის აზრით, პირველადი სასიმღერო ფოლკლორის შემსრულებლობისთვის დამახასიათებელი მოვლენაა (გარაყანიძე 2007: 73). ასეთივედ მიაჩნია მკვლევარს ცვლილებები/სიახლეები სიმღერების მელოდიკაში (გარაყანიძე 2007: 83, 84). ქალთა სიმღერებში (განსაკუთრებით, აღმოსავლურქართულ ნიმუშებში) დიაპაზონის ათვისება უფრო მეტად ზედა ხმების ხარჯზე ხდება, და არა ბანისა. მთქმელის დიაპაზონის მაქსიმალურად

ათვისების შესანიშნავი მაგალითია კახელი მოიავნანის – სალომე აღნიაშვილის პარტია ღვთის კარზე სათქმელ იავნანაში⁴⁶ (აუდიომაგ. 10). თითო-ოროლა ამგვარი ბრწყინვალე ნიმუშის მიუხედავად, აშკარაა, რომ სიახლისადმი მიდრეკილებასა და გამომგონებლობაში ქართველი ქალები ჩამორჩებიან მამაკაცებს – უფრო თავშეკავებულები, შეზღუდულები არიან, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, მათი მღერის (და არა ნიჭიერების) ნაკლებ პრაქტიკაში უნდა ვეძებოთ.⁴⁷

მრავალხმიანი სიმღერების შესრულების წესი

ქალთა მრავალხმიანი სიმღერები ყოფაში ზოგადქართული წესით სრულდება: ზედა ხმას/ხმებს, მათი იმპროვიზაციულობის საჭიროების გამო, თითო მღერის, ხოლო ბანს – რამდენიმე. შემსრულებელთა საერთო რაოდენობის მიუხედავად, მაღალ ხმებს არავინ აორმაგებს. პირველად შემსრულებლობაში ამ წესიდან გადახვევა არ გვხვდება. სამაგიეროდ, სიმღერის მაღალი ხმების გაორმაგება არც ისე იშვიათია მეორეულ შემსრულებლობაში.

მღერის რეგისტრი

ყურადღებას იქცევს ქართველ ქალთა მღერის რეგისტრი. ზ. ფალიაშვილი საუბრობს კაცის ხმის დიაპაზონთან შეწყობილ, სვანი ქალების „ღრმად შემუშავებულ ხმაზე“ (ანუ დაბალ ხმაზე – ნ.ზ.) და ამას სვანეთში მამაკაცებისა და ქალების ერთად მღერით ხსნის (ფალიაშვილი 1903: 2). უნდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივ სვანეთი და შერეული სიმღერები გამონაკლისი არ არის: ქართველი ქალები, ჩვეულებრივ, სხვა კუთხეებშიც და ცალკე მღერის დროსაც დაახლოებით ერთნაირ, შედარებით დაბალ რეგისტრში მღერიან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს მათი ესთეტიკური მოთხოვნილებაა, და არა ვოკალური შესაძლებლობების შედეგი.⁴⁸

ქალთა როლი პირველად და მეორეულ შემსრულებლობაში

პირველად და მეორეულ შემსრულებლობაში ქართველ ქალთა როლის სწორად შეფასება მხოლოდ ქალთა და მამაკაცთა საშემსრულებლო აქტივობების გვერდიგვერდ განხილვისა და შედარების საფუძველზე შეიძლება. ასეთია ე. გარაყანიძის მიდგომაც (გარაყანიძე 2007: 118-119). მკვლევარი ფიქრობს, რომ აუთენტური შემსრულებლობაში, სადაც ქალებს საკუთარი რეპერტუარის

შესრულება და, არცთუ იშვიათად, მამაკაცთა მხარდამხარ მღერა ეკისრებათ, ქალთა როლი მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც მოკრძალებული; სასცენო შემსრულებლობაში კი, საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა მხარეების ანალოგიურად, ქალთა როლი მზარდია. მე-19 საუკუნეში ცნობილი ქალთა ორიოდე გუნდი იმდროინდელი მამაკაცთა გუნდების ფონზე უმნიშვნელო იყო. პირველი „ანგარიშგასაწევი ძალა“ მარო და ეკატერინე თარხნიშვილების სახით 1910 წელს გამოჩნდა გორის გუნდში. აქედან მოყოლებული, ქალთა რაოდენობა სცენაზე თანდათან მატულობს. ისინი ბევრი რაიონული ანსამბლის სერიოზულ ძალას შეადგენენ. განსაკუთრებით ძლიერი შემადგენლობა (ე. ჭუბაბრია, მ. თედიაშვილი, ქ. ლოლობერიძე, მ. არჯვენიშვილი) იყრის თავს 30-50-იანი წლების სახელმწიფო ანსამბლში. ეს შესანიშნავი მომღერალი ქალები ქართული ხალხური სიმღერის დიდოსტატებად არიან აღიარებულნი. ბევრი ქალი, მარო თარხნიშვილის მსგავსად, ხელმძღვანელობს ანსამბლებსაც (მათ შორის, ქალთა ანსამბლებს). მაგრამ 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა სახელმწიფო ანსამბლში ქალთა ჯგუფი უქმდება, ვითარება ძირეულად იცვლება და სცენაზე ქალთა რიცხვი ნელ-ნელა კლებას იწყებს.

ქართული სასცენო ფოლკლორის არსებობის ერთი საუკუნის მანძილზე უცნობი, „ჭეშმარიტი ქალთა ფოლკლორის, მისი მრავალფეროვნებისა და მხატვრული ღირსებების“ წარმოჩენა 1980-იან წლებს, კერძოდ, ფოლკლორულ ანსამბლ *მზეთამზეს*⁴⁹ უკავშირდება (გარაყანიძე 2007: 110). თავისი ეთნომუსიკოლოგი კოლეგების სამეგობრო წრის სასიმღერო გამოცდილების „ოფიციალურად გაფორმება“ ე. გარაყანიძის იდეა იყო: ჯგუფის დაარსება მან აუცილებლად მიიჩნია და ახლადშექმნილს კონსულტაციებსაც უწევდა. *მზეთამზეს* შემოქმედებით საქმიანობას საქართველოში ქალთა არაერთი ფოლკლორული ანსამბლის შექმნა მოჰყვა. ქართველ ქალთა ჰანგების იშვიათმა სილამაზემ, ჰარმონიულობამ და ექსპრესიულობამ გულგრილი ვერც ევროპის ქვეყნების (შვეიცარიის, ავსტრიის, გერმანიის, სლოვენის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, დიდი ბრიტანეთის, ფინეთის, იტალიის, უკრაინის, ლიტვის, ლატვიის) საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალების თუ საკონცერტო ტურნეების მსმენელი დატოვა – *მზეთამზელთა* მრავალრიცხოვანი ვორქშოფების მონაწილენი ქართველ ქალთა რეპერტუარს დიდი მონდომებით სწავლობდნენ. სწორედ ამ სიმღერებით იყო შთაგონებული პარიზული ქალთა ანსამბლის, *ირინოლას* ჩამოყალიბება.

მე-20 საუკუნე და ქალთა თანდაბული სიმღერები

მე-20 საუკუნის მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და სოფლის ყოფაში მიმდინარე არსებითმა ცვლილებებმა, მამაკაცთა სიმღერების მსგავსად, ქალთა თანდაბულ სიმღერებსაც დააკარგვინა დანიშნულება და არსებობის საფრთხის წინაშე დააყენა. მაგალითად, ამინდის მართვის სიმღერების მნიშვნელობა შეამცირა სარწყავი არხების მშენებლობამ და ღრუბლების გასაფანტი ქვემეხების გამოყენებამ, ბატონების სამკურნალო სიმღერებისა – ყვავილის საწინააღმდეგო აცრების დანერგვამ (გარაყანიძე 2007: 67). თანდაბული სიმღერების მივიწყება-დაკარგვაზე დიდი გავლენა მოახდინა ადამიანთა რწმენასა და მსოფლმხედველობაში მომხდარმა ცვლილებებმა, რომლებიც საბჭოეთში ფართოდ გაჩაღებულ ათეისტურ იდეოლოგიასა და რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას, ყოველივე სარწმუნოებრივის დევნას მოჰყვა. სწორედ ამით ხსნის ე. გარაყანიძე რელიგიური ხატობა-დღეობების ღრეობად გადაქცევას, ძველი რიტუალებისადმი სოფლის ახალგაზრდობის (და არა მარტო მათ) სკეპტიკურ, რიგ შემთხვევაში, უარყოფით დამოკიდებულებას.⁵⁰

ქალთა რეპრეზენტაციის დღევანდელი შემორჩენილი

ტრადიციული სიმღერები

დღეს, საზოგადოებაში ქალის როლის ძირეული სახეცვლის პირობებში, ქალთა სიმღერები ამა თუ იმ სახით მაინც განაგრძობს არსებობას. სოფლად, ძირითადად, სრულდება წმინდა სიმღერები, თანდაბული სიმღერებიდან კი შემორჩენილია ღვთის კარზე სათქმელი იავნანა და დიდება (საკულტო და რელიგიურ დღესასწაულებზე), საფერხულო დიდება (საგაზაფხულო წესჩვეულებებში) და დატირება (მიცვალებულთან). ქალთა ზოგიერთმა სიმღერამ საქართველოს ზოგ კუთხეში ბავშვთა რეპერტუარში გადაინაცვლა. მაგალითად, ამინდის შესაცვლელ ლაზარის აჭარაში პატარა გოგო-ბიჭები ამბობენ.⁵¹ უფროსებთან ღვთის სავდრებელი რიტუალი ბავშვებთან მნიშვნელოვნად არის გარდაქმნილი – გასართობად, თამაშობადაა გადაქცეული და უმარტივესი, გათვლის ტიპის მუსიკალური ჰანგი ახლავს, რაც ლაზარობის გაქრობის, დაკარგვის პროცესში მიღებულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ⁵² (ზუმბაძე 1997: 44, 46).

ყოფაში ფუნქციონირებული სიმღერების მთავარ საარსებო გარემოდ უკვე კარგა ხანია, სცენა იქცა. სასცენო რეპერტუარის შერჩევას ქალთა მარტივი,

ნაკლებად განვითარებული და ერთხმიანი სიმღერები მეტოქეობას ვერ უწევს რთულს, განვითარებულს და მრავალხმიანს (მით უმეტეს – მამაკაცთა სიმღერებს). შემსრულებელთა რეპერტუარში მნიშვნელოვნად იზრდება წმინდა სიმღერების რიცხვი, თანდებული სიმღერებიდან კი სრულდება მხოლოდ ისინი, რომლებიც მხატვრული დონით წმინდა სიმღერებს არ ან ნაკლებად ჩამოუვარდება (გარაყანიძე 2007: 71) და, რაც მთავარია, მრავალხმიანია (ეს არის, ძირითადად, სახადთან დაკავშირებული სიმღერის იმერული და გურული ნიმუშები და რაჭული საფერხულოები).

თავისი ღრმა, უჩვეულოდ მომხიბლავი სამყაროთი, რომელიც ქართველთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებს, მრავალხმიანი მღერის და შესრულების წესის საუკუნოვან ტრადიციებს ინახავს, ქალთა რეპერტუარი ქართულ ხალხურ მუსიკას განსაკუთრებულ სიმდიდრეს და მრავალფეროვნებას სძენს. ქალთა სიმღერების გათვალისწინების გარეშე, მარტოოდენ მამაკაცთა რეპერტუარით, ქართულ სასიმღერო კულტურაზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია.

შენიშვნები:

1. ვგულისხმობ ტრადიციული რეპერტუარის ძირითად ნაწილს – სოფლურს, გლეხურს, რომელიც თვითმყოფადი და ორიგინალურია.
2. ინფექციური დაავადებების – ბატონების საბოდიშოდ მოწვეულ ქალებში გურულები კაცს მაშინ გაურევდნენ, ლოცვა თუ იცოდა (ნადარაია 1980: 200); ქართლში ბატონების გასტუმრების წესში მონაწილეობა მამაკაცებიდან მხოლოდ შინაკაცებს შეეძლოთ (მაკალათია 1971: 70); ერთი ქართლელი ეთნოფორის ცნობით, წინათ ძეობაში ქალები ქეიფობდნენ, კაცებს არ გააჩერებდნენ (გარაყანიძე 1981: 50); ზრუნის შაირს რაჭაში მამაკაცი მარტო მაშინ იტყოდა, როცა ახლობელი, გულის მომკვლელი ვინმე გარდაეცვლებოდა (ნაკაშიძე 1985: 223).
3. საქართველოს კუთხეებში შემსრულებელთა რეგლამენტაციის საკითხს სხვა მკვლევრებაც ეხებიან, მაგალითად: შ. ასლანიშვილი საუბრობს მხოლოდ მამაკაცთა და მხოლოდ ქალთა მიერ შესასრულებელ სიმღერებზე, მამაკაცებთან და ქალებთან დაკავშირებულ ჟანრებზე (ასლანიშვილი 1956: 13); ვ. ახობაძე ასახელებს სვანეთში ქალებისა და მამაკაცების მიერ ცალ-ცალკე სათქმელ სიმღერებს – დალა კოჭას ხელღვაჟაღეს და ბარბალ დოლაშს (ახობაძე 1957: 14, 11), აღნიშნავს აჭარაში ქალთა ნადის და მასზე შესასრულებელი სახუმარო სიმღერების არსებობას (ახობაძე 1961: 9, 14); თ. მესხი პირველი უთმობს ქალთა მუსიკალურ ფოლკლორს საგანგებო

- წერილს (მესხი 1962); ე. გარაყანიძეს შემსრულებელთა სექსობრივი რეგლამენტაციის მაგალითებად მოჰყავს გურული კრიმინალური სიმღერები და ქართლ-კახური სუფრულები, ხოლო დღესდღეობით ამ წესის ხშირად დარღვევა მიაჩნია აუთენტიკურ შემსრულებლობაში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებად (გარაყანიძე 2007: 72-73).
4. საქმე ეხება კახელ ქალთა ზარს (*ზარით ტირილს*), იგივე ბანით ტირილს.
 5. შ. ასლანიშვილი აღნიშნავს მამაკაცთა სიმღერების (სუფრულების, განსაკუთრებით – საფერხულოების და საცეკვაოების) შესრულებაში ქალთა ხშირ მონაწილეობას (ასლანიშვილი 1956: 13-14); ვ. ახობაძე საუბრობს მამაკაცთა და ქალთა ერთდროულ მღერაზე სვანურ საფერხულო სიმღერებში (ახობაძე 1957: 15); შერეული შესრულების ტრადიციის არსებობას ე. გარაყანიძეც აღიარებს (გარაყანიძე 1994: 29) და ასკვნის, რომ **სოფლის ყოფაში დღესდღეობით იშვიათი შერეული შესრულება ყოველთვის გვიანდელი მოვლენა არ არის** (ხაზგასმა ჩემია – ნ.ბ.). ასე რომ, უსაფუძვლოა აზრი, თითქმის ქართველმა მკვლევრებმა დაამკვიდრეს „სექსობრივი პრინციპით მკაცრად რეგლამენტირებული სიმღერის თეორია, რომელიც ხშირად უგულვებელყოფდა ზოგიერთ დიალექტში ქალთა და მამაკაცთა საერთო რეპერტუარის არსებობის ფაქტებს“ და თითქმის „მართალია, ეთნომუსიკოლოგებს, არაყიშვილის შემდგომ, აღუნიშნავთ ზიარი რეპერტუარის არსებობის ფაქტი, ისინი ასეთ ერთობას განიხილავდნენ როგორც გვიანდელ მოვლენას და როგორც ქალთა მიერ მამაკაცთა სიმღერების სესხებას“ (ციციშვილი 2003: 485-486).
 6. ე. გარაყანიძის მიხედვით, ქალთა რეპერტუარში არც ისე ცოტაა საგუნდო სიმღერა, რომელიც „საუკუნეთა სიღრმიდან მოდის და მნიშვნელოვანი მხატვრული ღირსებების მქონეა“ (გარაყანიძე 2007: 46-47).
 7. ეროვნულ სამუსიკო ფოლკლორში ქალთა სიმღერების ადგილს თ. მესხიც ეხება. მკვლევარი შენიშნავს, რომ ქართული ხალხური მუსიკის ზოგადი დახასიათების საფუძველი მამაკაცთა სიმღერებია, რაც მათი ჟანრული ნაირფეროვნებით და მუსიკალური გამომსახველობის პრინციპების თავისებურებით აიხსნება (მესხი 1962: 70).
 8. თ. მესხის აზრით, ქალთა სასიმღერო შემოქმედება მრავალფეროვნებას მოკლებულია და ივარგლება „საყოფაცხოვრებო ჟანრის მხოლოდ რამდენიმე სახეობით“ (საკვანო, სანესო, საფერხულო, ლირიკულ-სატრფიალო სიმღერებით და ტირილებით) (მესხი 1962: 71); ხოლო ე. გარაყანიძის მიხედვით, ქალთა რეპერტუარს ჟანრულ შეზღუდულობას ვერ დავწამებთ (გარაყანიძე 2007: 47).
 9. *მისადაგებული რუსულენოვან მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში* დამკვიდრებული ტერმინის *приуроченные* ე. გარაყანიძისეული თარგმანია, ხოლო *თანდებული* – საკუთრივ ე. გარაყანიძის ტერმინი (გარაყანიძე 2007: 21).
 10. საძეობო სიმღერები მამაკაცებმაც იციან და ამბობენ. ჩანერილი ნიმუშებიდან გურულ, მეგრულ და მესხურ *მზე შინას* და სვანურ *ზაშინაოს* სწორედ ისინი ასრულებენ (ზუმბაძე 2008: 299); ე. გარაყანიძის მიხედვით, მამაკაცები მღერიან აჭარული

ნამ-ნამს მრავალხმიან ნიმუშებსაც (გარაყანიძე 2011: 85).

11. თვითონ შემსრულებლები განასხვავებენ ბატონების, ანუ სახადის და საეკლესიო, ღვთიურ იავნანებს (ჟორდანიას 1962). საეკლესიო იავნანები მხოლოდ კახეთშია ჩანერილი, თუმცა, ზოგი ცნობით, ადრე ქართლშიც სრულდებოდა (გარაყანიძე 1981: 15).
12. შრომის სიმღერებს შ. ასლანიშვილი მხოლოდ მამაკაცთა კუთვნილებად თვლის (ასლანიშვილი 1956: 13), რაც არასწორია.
13. ჭიბონის რეპერტუარში არსებული ჰანგი *პატარძლის გამოთხოვება მშობლებთან* ა. მსხალაძეს იმის უტყუარ საბუთად მიაჩნია, რომ ქვემო აჭარის ზოგ სოფელში ცნობილი, საპატარძლოსთან გამოსამშვიდობებელი საფერხულო სიმღერები უნინ მთელ აჭარაში იყო გავრცელებული (მსხალაძე 1968: 94).
14. *მუსადაგებელი* რუსულენოვან მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში დამკვიდრებული ტერმინის *неприуроченные* ე. გარაყანიძისეული თარგმანია, ხოლო *წმინდა* – საკუთრივ ე. გარაყანიძის ტერმინი (გარაყანიძე 2007: 21).
15. ამგვარ თუშურ ნიმუშებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, სრულდება გლოვის რიტუალისგან განცალკევებით, დატირების ტექსტზე, მაგრამ განსხვავებულ ჰანგზე, საკრავით არის თანხლებული და მრავალხმიანია, ე. გარაყანიძე *სიმღერა-ტირილებს* უწოდებს (გარაყანიძე 2011: 37).
16. შ. ასლანიშვილი ლირიკულ საჩონგურო სიმღერებს ქალთა სიმღერებად მიიჩნევს (ასლანიშვილი 1956: 13); თ. მესხის მოსაზრებით, ლირიკული სიმღერები ქალთა რეპერტუარის ერთ-ერთი ცენტრალური ჟანრია (მესხი 1962: 72).
17. პირველად (აუთენტიკურ) ფოლკლორში ვგულისხმობთ ტრადიციის მატარებელთა მიერ დამუშავების გარეშე წარმოდგენილ ფოლკლორს (ამის შესახებ იხ. გარაყანიძე 2007: 15-17).
18. მეცნიერი ამას ხსნის ყოფაში მამაკაცების მღერის გაცილებით მეტი პრაქტიკით. მაგალითად იგი ასახელებს შრომის კოლექტიურ სიმღერებს, რომლებიც მამაკაცებისთვის ის „შესანიშნავი სასიმღერო სკოლა“ იყო, ქალები რომ მოკლებულნი იყვნენ (გარაყანიძე 2007: 73).
19. მისგან განსხვავებით, ქალთა რეპერტუარში უმარტივესი მუსიკალური ნიმუშებიც არსებობს. აქ, პირველ რიგში, დავასახელებ ძროხის დასაყვავებელ ჰანგებს. ამგვარ ნიმუშებსა და რთულ სიმღერებს (მაგალითად, *ბრუნს*) შორის არსებული სივრცე, ძირითადად, მარტივ და/ან ნაკლებად განვითარებულ სიმღერებს უკავია.
20. შემთხვევითი არ არის, რომ იავნანას მელოდიას ქართული ხალხური მუსიკის ლექსიკურ ფონდში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს (ამის შესახებ იხ. ასლანიშვილი 1954: 90-163).
21. ე. გარაყანიძე ამ მხრივ განსაკუთრებით გამოყოფს თუშ და მეგრულ ქალთა სიმღერებს (გარაყანიძე 1990: 43-44).
22. ვგულისხმობ სახადის სამკურნალო იავნანებს, რომლებიც ამ კუთხეში *საბოდიშოს* (*ბატონებოს*) სახელით არის ცნობილი.

23. მოხეური *ხმით ტირილის* უნიკალური ნიმუში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ეთნომუსიკოლოგიურმა ექსპედიციამ მ. ჟორდანიას ხელმძღვანელობით 1960 წელს ჩაწერა.
24. მხედველობაში მაქვს *დატირება*, ჩაწერილი საჩხერის რაიონის 1988 წლის ეთნომუსიკოლოგიურ ექსპედიციაში, რომელშიც ჩემს კოლეგებთან – ე. გარაყანიძესა და ქ. ბაიაშვილთან ერთად ვმონაწილეობდი.
25. შ. ასლანიშვილი საუბრობს ქართული სიმღერის შემკრებთა ნაკლებ ინტერესზე აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეების ერთხმიანი, ნაკლებად განვითარებული სიმღერებისადმი. მეცნიერის თქმით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩამოყალიბებული გუნდების მეშვეობით ქართული მუსიკალური კულტურის პროპაგანდისტთვის უფრო მიზანშეწონილად ითვლებოდა ისეთი სიმღერები, რომლებიც არა მარტო მრავალხმიანი (ძირითადად, სამხმიანი) იყო, არამედ ამ მრავალხმიანობის მდიდარ და მრავალფეროვან ფორმებს ასახავდა (ასლანიშვილი 1956: 85).
26. მაგალითად მოვიყვან *დატირებას*: მისი ბუნებრივ გარემოში მოსმენის (მით უმეტეს, ჩაწერის) შესაძლებლობა დიდი იშვიათობაა – ექსპედიციაში ყოფნის პერიოდში ვინმე ადგილობრივი თუ გარდაიცვალა და მის ოჯახში სამძიმარზე მისვლის და ჩაწერის საშუალება თუ გექნა. სხვა შემთხვევაში *დატირების* თქმაზე რომ დაიყოლიო, მოტირალს საგანგებოდ უნდა მოელაპარაკო და მისთვის შესაბამისი განწყობის შექმნაზეც უნდა იზრუნო. საამისოდ კი ყველაზე კარგი გარემო სასაფლაოა. პირადად მე ტირილების უმეტესობა სწორედ სასაფლაოზე მაქვს ჩაწერილი.
27. შალვა მშველიძეს მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ხულოს რაიონში (გურძალუში) ორხმიანი *აჭარული ნანა* მამაკაცებისგან ჩაუწერია, რადგან ადგილობრივ ქალებს სარწმუნოება უკრძალავდა უცხო მამაკაცებთან შეხვედრას, მით უფრო – მღერას (კალანდაძე-მახარაძე 2010: 177-178).
28. მით უფრო დასაფასებელია მ. ჟორდანიას ღვანლი ქართველ ქალთა რეპერტუარის ჩაწერაში, მაღალმხატვრულთან ერთად, განსაკუთრებული სამეცნიერო ღირებულების მქონე მარტივი ნიმუშების და სიმღერებთან დაკავშირებული ვერბალური ინფორმაციის მოპოვებაში (ზუმბაძე 1997: 22). ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობები სამნაირი *ტირილის* და ნათლისმცემლის დღეობაზე მახვეწართა მიერ გაბმული *ფეხისას* შესახებ ხევის 1960 წლის ექსპედიციის დღიურებიდან (ჟორდანიას 1960), ინფორმაცია *მოთქმით* და *ბანით ტირილის*, სახადის და ღვთიური, საეკლესიო *იავნანას*, *გონჯას* და *გუთანზე დატირების* ხასიათის, დანიშნულების, შესრულების წესის, შემსრულებლებისა და ხმების შესახებ კახეთის 1962 წლის ექსპედიციის დღიურებიდან (ჟორდანიას 1962).
29. დ. არაყიშვილი განასხვავებს გურულ ქალთა და მამაკაცთა სიმღერების მუსიკას: პირველს ლამაზად, მუსიკალურად მიიჩნევს, ხოლო მეორეს – უფრო ორიგინალურად, ვიდრე ლამაზად, ნაკლებად ესთეტიკურად (Аракчиев 1908: 15-16); შ. ასლანიშვილი საუბრობს მამაკაცთა და ქალთა სიმღერების საერთო ინტონაციებზე, ჰარმონიასა

- და რიტმზე და განსხვავებას მათ შორის ამა თუ იმ ჟანრის თავისებურებაში ხედავს, ხევსურული სიმღერების გამოკლებით (ასლანიშვილი 1956: 14); ე. გარაყანიძის მიხედვით, ქალთა და მამაკაცთა სასიმღერო შემოქმედება დიალექტებში რეპერტუარით და განვითარების დონით სხვაობს: ქალთა სიმღერები უმეტესად მუსიკალური აზროვნების ევოლუციის უფრო დაბალ საფეხურებს ასახავს, ხოლო ხევსურ მამაკაცთა სიმღერებთან შედარებით ქალთა სიმღერების უფრო მაღალი მხატვრული ღირსებები ამ დიალექტის თავისებურებაა (გარაყანიძე 1990: 154, 195-196); ე. გარაყანიძისავე აზრით, მეგრულ ქალთა სამხმიანი სიმღერები მამაკაცთა სიმღერებისგან მხოლოდ ლირიკული ხასიათით განსხვავდება (გარაყანიძე 1990: 122).
30. ხალხური წარმოდგენით, დიდებას და იავნანას ყველა ვერ იტყვის, უფრო იმას შეუძლია, ვინც დამიზებულა, მათ „ღვთის ძალა ათქმევინებს“ (ზუმბაძე 1991, 1988ა); ე. გარაყანიძე ღვთის კარზე სათქმელ იავნანას „კულტის მსახურის სიმღერად“ იხსენიებს (გარაყანიძე 2011: 89); ზრუნის და მოთქმით ტირილის შესრულებისთვის განსაკუთრებული ნიჭი იყო საჭირო (ნაკაშიძე 1985: 225-226); ხმით მოტირალს უნდა ჰქონოდა იმპროვიზაციის დიდი უნარი, რომ ყველა მიცვალებული ინდივიდუალურად დაეტირა (გიორგაძე 1987: 39).
 31. ცნობა ფარული ქალების მიერ ზარის შესრულების შესახებ მომანოდა ჩემმა მაგისტრანტმა, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარის მკვიდრმა – კობა დევდარიანმა.
 32. ე. გარაყანიძე აღნიშნავს, რომ მარო და ეკატერინე თარხნიშვილების, ანა ვარდიაშვილის, ნინო ტოგონიძის, მარიამ არჯვენიშვილის, ლუბა და ვერა შელეგიების და სხვ. შესანიშნავი მომღერალი ქალების რეპერტუარში „ნამდვილ ქალთა სიმღერებს სრულიად უმნიშვნელო ადგილი ეჭირა“ (გარაყანიძე 2007: 110).
 33. თ. მესხი ქალთა სოლო სიმღერებს „მონოდიური ერთხმიანობის ნიმუშებად“ იხსენიებს (მესხი 1991/1992: 7). ჩემი აზრით, ქართველ ქალთა სოლო სიმღერები მათგან არსებითად განსხვავდება მრავალხმიანი განვითარების პოტენციით, რომელიც ხელსაყრელ პირობებში ხორციელდება კიდევ (ზუმბაძე 1989/1990: 23-24).
 34. ე. გარაყანიძის შეხედულებით, ერთხმიანობა ახასიათებს აჭარულ ქალთა სიმღერებს, მათ შორის, საგუნდოს; გამონაკლისია სასცენო-საკონცერტო პრაქტიკაში არსებული ახალი ფორმაციის სიმღერები (გარაყანიძე 1990: 138).
 35. სვანურ ერთხმიან სიმღერებზე საუბრისას შ. ასლანიშვილი მხოლოდ ტირილებს ახსენებს და აღნიშნავს, რომ სხვა ჟანრებში ერთხმიანობა არ გვხვდება (ასლანიშვილი 1954: 26), არადა, ერთხმიანი ჟანრის – აკვნის ნანას ნიმუშებს სვანურ მუსიკაშიც საპატიო ადგილი უჭირავს (ზუმბაძე 1997: 15-16).
 36. მამაკაცთა რეპერტუარში ქალთა დატირების ანალოგიურ, ერთხმიან-მრავალხმიან ნიმუშს გუთნური წარმოადგენს.
 37. ე. გარაყანიძის აზრით, საქართველოში ჩამოყალიბებულია მრავალხმიანი მღერის კულტი: სიმღერის ერთ ხმად შესრულება სრულყოფილად არ ითვლება, ამიტომ თუ

- ყველა ხმის მთქმელი ვერ შეიკრიბა, სოფლად მის მღერაზე, ჩვეულებრივ, უარს ამბობენ (გარაყანიძე 2007: 71). მრავალხმიანი მღერის საკითხს (მათ შორის, ქალთა სიმღერებში) საგანგებო ყურადღება ექცევა ჩემს სტატიებში 1980-იანი წლების ბოლოდან, დღეის ჩათვლით (იხ. ზუმბაძე 1989/1990-ზუმბაძე 2021).
38. ასეთივე *ტირილის* ქართლში არსებობის დამადასტურებელ საბუთად ე. გარაყანიძეს მიაჩნია ამ კუთხეში გავრცელებული ბერიკაობის (ბუნების ძალთა აღორძინების თეატრალიზებული დღესასწაულის) ერთ-ერთი მუსიკალური ფრაგმენტი – *ბერიკების ტირილი* (გარაყანიძე 1990: 78-79).
 39. მამაკაცთა რეპერტუარში ანალოგიურ ნიმუშად მიმაჩნია თუშური *დალაა*.
 40. „ტრადიციულ გარემოში“ ვგულისხმობ სოფლად სიმღერის შესრულების ჩვეულ დროსა და ადგილს, აგრეთვე – ადგილობრივ ტრადიციის მატარებლებს.
 41. მრავალხმიანი საფერხულო ჰანგის ერთი კაცის მიერ (მარტოდ) შესრულების შედეგია *მზე შინას* მეგრული და გურული, საკრავით თანხლებული ნიმუშები (ზუმბაძე 2008: 302).
 42. ამ მხრივ საინტერესოა მამაკაცთა რეპერტუარიც. ცნობილი გურული მომღერლის – ვაჟა გოგოლაძის თქმით, სამხმიანი სიმღერები მაშინაც უმღერიათ, როცა სახლში მხოლოდ ორი მომღერალი იყო: ხმებს ერთმანეთს უცვლიდნენ და ამ გზით ცდილობდნენ, სამხმიანობის შთაბეჭდილება შეექმნათ (გარაყანიძე 2007: 38-39).
 43. ნანას მრავალხმიანი მოდელის წარმოქმნის გზებად ნ. კალანდაძე-მახარაძეს საოჯახო მუზიკირება და მე-19 საუკუნის ბოლოდან დაწყებული საგუნდო-საკონცერტო პრაქტიკა მიაჩნია (კალანდაძე-მახარაძე 2010: 177).
 44. სამპირული შესრულების ნიმუშად შეიძლება დასახელდეს მხოლოდ ერთი – პ. გოლდის მიერ თურქეთში 1968 წელს ჩანერილი საქორწილო სიმღერა *ვინ მოგიტანა* (Gold 1972). ე. გარაყანიძის მიხედვით, ჩანანერში ერთი ქალის მიერ შესრულებული ეს ნიმუში სინამდვილეში სამპირული სიმღერაა, რომელშიც I სოლისტი, უნისონური გუნდი და II სოლისტი (პატარძალი) უნდა მონაცვლეობდნენ (გარაყანიძე 2011: 89-90, მაგ. №344).
 45. ქალთა *მოთქმით ტირილი* და მამაკაცთა *ბარი* ერთდროულად ხმოვანებს რაჭაშიც (ნაკაშიძე 1985: 221-222).
 46. ეს სავედრებელი სიმღერა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ეთნომუსიკოლოგიურმა ექპედიციამ მ. ჟორდანიას ხელმძღვანელობით 1962 წელს ჩანერა ყვარლის რ-ნის სოფელ შილდაში.
 47. ნ. ციციშვილის მიხედვით, მამაკაცებისგან განსხვავებით, ქართველი ქალები ნაკლებად არიან აღიარებულნი კარგ იმპროვიზატორებად, რისი ერთ-ერთი მიზეზიც ის არის, რომ ისინი „არ სწავლობდნენ იმპროვიზაციას სოციალურად და სტრუქტურულად ორგანიზებულ გარემოში“ (ციციშვილი 2008: 416).
 48. იგივე შეიძლება ითქვას პანკისის ხეობაში მოსახლე ქისტ ქალებზე, რომელთა მღერაც, პირიქით, მეტად მაღალი რეგისტრით გამოირჩევა.
 49. ეთნომუსიკოლოგებით შედგენილმა ჯგუფმა ძველ საარქივო საექსპედიციო ფონო-

ჩანაწერებში მოიძია, შეისწავლა და გააცოცხლა საქართველოს ყველა კუთხის (მათ შორის, ისტორიულს) ქალთა ტრადიციული რეპერტუარის ნიმუშები, აღადგინა ისინი სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მონაცემების საფუძველზე და რეპერტუარი საკუთარი, ახლად მოძიებული საველე მასალებითაც გაამდიდრა. ამ მხრივ მზეთამზეს დამსახურება ფასდაუდებელია.

50. მაგალითად მკვლევარს მოჰყავს კასპის 1980 წლის ექსპედიციაში ჩანერილი ერთი მამაკაცი მომღერლის შეხედულება, რომ წელსზევით შიშველი დედაკაცები, რომლებიც გუთნით წყლის მოხვნის წესს ასრულებენ, უნესო ქალები არიან (გარაყანიძე 2007: 67).
51. მამაკაცთა რეპერტუარიდან ბავშვთა რეპერტუარში გადასული ანალოგიური ნიმუშია რაჭაში საშობაო ალილო.
52. წეს-ჩვეულება, რომელიც აფხაზეთში გვალვისას წინათ მხოლოდ ქალებს სცოდნიათ, თითქმის გადავარდნილია, ნ. ჯანაშიას მიხედვით, საბავშვოდ არის გადაქცეული და ორივე სქესის ბავშვები ასრულებენ (ჯავახიშვილი 1979: 118-119). გამორიცხული არ არის, რომ ჩემ მიერ ლეჩხუმში ჩანერილი ბავშვთა ზოგიერთი თამაშობის სიტყვიერი ტექსტები, რომლებიც ლაზარობა-გონჯაობის ტექსტებს ჰგავს, ამ კუთხეში უნდა გავრცელებული ამინდის შესაცვლელი რიტუალის ნაშთი იყოს (ზუმბაძე 1997: 41-42).

აუდიომაგალითები:

აუდიომაგ. 1. ნანე. ხევსურული. აღმოაჩინე საქართველო ტრადიციული მუსიკით. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საექსპედიციო ჩანაწერები. ვარშავა, 2018. დისკი 1-2.

აუდიომაგ. 2. ნანა. ლაზური. ფრაგმენტი. აღმოაჩინე საქართველო... დისკი 3-17.

აუდიომაგ. 3. ნამ-ნამ. აჭარული. ფრაგმენტი. Ensemble Mzetamze, Vol. II. Face Music Switzerland - FM 50030, 2000, №17.

აუდიომაგ. 4. იავნანო. ქართლური. ფრაგმენტი. აღმოაჩინე საქართველო... დისკი 1-35.

აუდიომაგ. 5. ბატონების ნანინა. იმერული. ფრაგმენტი. აღმოაჩინე საქართველო... დისკი 2-29.

აუდიომაგ. 6. ბატონებო (ჩონგური). გურული. ფრაგმენტი. აღმოაჩინე საქართველო... დისკი 3-3.

აუდიომაგ. 7. გონჯა. კახური. ფრაგმენტი. აღმოაჩინე საქართველო... დისკი 1-44.

აუდიომაგ. 8. გუთანზე დატირება. კახური. ფრაგმენტი. Ensemble Mzetamze, Vol. I. Face Music Switzerland - FM 50016, 1996, №11.

აუდიომაგ. 9. დიდება (საფერხულო). კახური. ფრაგმენტი. აღმოაჩინე საქართველო... დისკი 1-41.

აუდიომაგ. 10. იავნანა (ღვთის კარზე სათქმელი). კახური. ფრაგმენტი. აღმოაჩინე საქართველო... დისკი 1-46.

- აუდიომაგ. 11. *ხერტლის ნადური*. აჭარული. ფრაგმენტი. *აღმოაჩინე საქართველო...* დისკი 3-10.
- აუდიომაგ. 12. *ქორქალი*. რაჭული. ფრაგმენტი. *Ensemble Mzetamze*, Vol. I... №29.
- აუდიომაგ. 13. *ვინ მოგიტანა*. შავშური. ფრაგმენტი. *Ensemble Mzetamze*, Vol. I... №25.
- აუდიომაგ. 14. *ხმით ტირილი*. ხევსურული. *აღმოაჩინე საქართველო...* დისკი 1-5.
- აუდიომაგ. 15. *ხმით ტირილი*. მოხეური. ფრაგმენტი. *აღმოაჩინე საქართველო...* დისკი 1-20.
- აუდიომაგ. 16. *ტირილი*. იმერული. ფრაგმენტი. *Ensemble Mzetamze*, Vol. I... №30.
- აუდიომაგ. 17. *ზრუნი*. რაჭული. ფრაგმენტი. *აღმოაჩინე საქართველო...* დისკი 2-17.
- აუდიომაგ. 18. *შატილის ასული* (გარმონით). თუშური. ფრაგმენტი. *აღმოაჩინე საქართველო...* დისკი 1-16.
- აუდიომაგ. 19. *დედა მოგიკვდესა*. თუშური. ფრაგმენტი. *Ensemble Mzetamze*, Vol. I... №24.
- აუდიომაგ. 20. *ნარდანი*. შავშური. ფრაგმენტი. *Ensemble Mzetamze*, Vol. I... №36.

იხ., აუდიომაგალითები 1– 20: <https://drive.google.com/drive/folders/1DzeMGlezWnCWI1oHlmuQKn4rL-lxpiY5?usp=sharing>.

გამოყენებული ლიტერატურა:

- არაყიშვილი, დიმიტრი. 1950. *რაჭული ხალხური სიმღერები*. თბილისი: ხელოვნება.
- ასლანიშვილი, შალვა. 1954. *ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ*, I. თბილისი: ხელოვნება.
- ასლანიშვილი, შალვა. 1956. *ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ*, II. თბილისი: ხელოვნება.
- ახობაძე, ვლადიმერ. 1957. *ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული*. თბილისი: ტექნიკა და შრომა.
- ახობაძე, ვლადიმერ. 1961. *ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები*. ბათუმი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- გარაყანიძე, ედიშერ. 1981. „ქართული საწესო სიმღერების ერთი ჯგუფის საკითხისათვის“. სადილომო ნაშრომი. თბილისი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.
- გარაყანიძე, ედიშერ. 1990. „ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება“. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.
- გარაყანიძე, ედიშერ. 1994. „შერეული შესრულების შესახებ ქართულ ხალხურ სასიმღერო შემოქმედებაში“. *ხელოვნება*. №1-3, გვ. 24-29.
- გარაყანიძე, ედიშერ. 2007. *ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა*. თბილისი: ინტელექტი.

- გარაყანიძე, ედიშერ. 2011. *ქართული მუსიკალური დიალექტები და მათი ურთიერთმიმართება*. თბილისი: საქართველოს მაცნე.
- გიორგაძე, დალი. 1987. *დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში*. თბილისი: მეცნიერება.
- ზუმბაძე, ნატალია. 1988. „ქართველ ქალთა მრავალხმიანი სიმღერების ზოგიერთი თავისებურება“. *საბჭოთა ხელოვნება*. №1, გვ. 131-136.
- ზუმბაძე, ნატალია. 1988ა. ყვარლის რაიონის ექსპედიციის მასალები. ხელმძღვანელის პირადი არქივი.
- ზუმბაძე, ნატალია. 1989/1990. მრავალხმიანობისა და ორპირული შესრულების საკითხისათვის ქალთა სანესჩვეულებო ტრადიციაში. სამეცნიერო ნაშრომი. №5579. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი.
- ზუმბაძე, ნატალია. 1991. თელავის რაიონის ექსპედიციის მასალები. ხელმძღვანელის პირადი არქივი.
- ზუმბაძე, ნატალია. 1997. „სავედრებელი და სადიდებელი სიმღერები ქართველ ქალთა სანესჩვეულებო ფოლკლორში: ჟანრული სპეციფიკა და მრავალხმიანობა“. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.
- ზუმბაძე, ნატალია. 2008. „ქართული საძეობო სიმღერები“. კრებულში: *ტრადიციული მრავალხმიანობის შესახებ საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებები*. რედაქტორები: ნურნუშია, რ., ჟორდანია, ი. გვ. 299-313. თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.
- ზუმბაძე, ნატალია. 2020. „მრავალხმიანობის კიდევ ერთი არგუმენტის შესახებ ქართულ სიმღერაში“. მოხსენება. ტრადიციული მრავალხმიანობის მეათე საერთაშორისო სიმპოზიუმი. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი.
- ზუმბაძე, ნატალია. 2021. „ლაზური სიმღერის მრავალხმიანობისა და შესრულების საკითხისათვის“. მოხსენება. თბილისის მეოთხე საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენცია „ეროვნული და ინტერნაციონალური მუსიკაში“. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი.
- კალანდაძე-მახარაძე, ნინო. 2010. „მრავალხმიანი ლირიკული აკვნის სიმღერა საქართველოში“. კრებულში: *ტრადიციული მრავალხმიანობის მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებები*. რედაქტორები: ნურნუშია, რ., ჟორდანია, ი. გვ. 175-197. თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.
- მაკალათია, სერგი. 1971. *ლიახვის ხეობა*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- მესხი, თამარ. 1962. „ქალთა სიმღერები“. *საბჭოთა ხელოვნება*. № 6, გვ. 70-74.
- მესხი, თამარ. 1991/1992. ქალთა ფოლკლორული ტრადიციების საკითხისათვის. სამეცნიერო ნაშრომი. №5783. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი.
- მსხალაძე, ალექსანდრე. 1968. „აჭარის საოჯახო-სანესჩვეულებო პოეზია“. საკანდიდატო

- დისერტაცია. ბათუმი, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.
- ნადარაია, მედეა. 1980. „დემონოლოგიის საკითხისათვის საქართველოში“. სტატიების კრებულში: *მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის*. რედაქტორი: ჯალაბაძე, გ. გვ. 183-202. თბილისი: მეცნიერება.
- ნაკაშიძე, ქეთევან. 1985. „რაჭული სამგლოვიარო სიმღერა „ზრუნე“. კრებულში: *ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*, II. სარედაქციო კოლეგია: ითონიშვილი, ვ., კიკნაძე, რ. (პასუხისმგებელი რედაქტორები) და სხვ. გვ. 221-227. თბილისი: მეცნიერება.
- ჟორდანია, მინდია. 1960. ხევის ექსპედიციის დღიურები. ხელნაწერი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის (ამის შემდეგ – თსკ ქსმშლ) არქივი.
- ჟორდანია, მინდია. 1962. კახეთის ექსპედიციის დღიურები. ხელნაწერი. თსკ ქსმშლ არქივი.
- ვალაიშვილი, ზაქარია. 1903. „ჩემი მოგზაურობა სვანეთში და სვანური სახალხო სიმღერები“. *ივერია*. №175. გვ. 1-2.
- ჩხიკვაძე, გრიგოლ. 1952. კახეთის ექსპედიციის დღიურები. ხელნაწერი. თსკ ქსმშლ არქივი.
- ჩხიკვაძე, გრიგოლ. (რედაქტორ-შემდგენელი). 1960. *ქართული ხალხური სიმღერა*, ტომი I. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- ციციშვილი, ნინო. 2003. „ქართული ეთნომუსიკოლოგია და გენდერის საკითხი ქართულ სიმღერაში“. კრებულში: *ტრადიციული მრავალხმიანობის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებები*. რედაქტორები: ზურნუშია, რ., ჟორდანია, ი. გვ. 483-492. თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.
- ციციშვილი, ნინო. 2008. „სქესი და იმპროვიზაცია ქართულ მრავალხმიან სიმღერაში“. კრებულში: *ტრადიციული მრავალხმიანობის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებები*. რედაქტორები: ზურნუშია, რ., ჟორდანია, ი. გვ. 415-428. თბილისი: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.
- ჯავახიშვილი, ივანე. 1938. *ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები*. თბილისი: ფედერაცია.
- ჯავახიშვილი, ივანე. 1979. *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტომი I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Gold, Peter. 1972. *Georgian Folk Music from Turkey*. Bloomington.
- Аракчиев, Дмитрий. 1905. *Краткий очерк развития Грузинской, Карталино-Кახетинской, народной песни*. Оттиски из I т. «Трудов Музыкально-Этнографической Комиссии». Москва: Типография К. Меньшова.
- Аракчиев, Дмитрий. 1908. *Народная песня Западной Грузии (Имеретии)*. Оттиски из II т. «Трудов Музыкально-Этнографической Комиссии». Москва.
- Аракчиев, Дмитрий. 1916. *Грузинское народное музыкальное творчество*. Оттиски из V т. «Трудов Музыкально-Этнографической Комиссии». Москва: Типография Г. Лиснера и Д. Собко.

ქალი და მისი როლი სვანების მუსიკალურ ყოფაში

ნანა მჟავანაძე

მადონა ჩამგელიანი

ნანა მჟავანაძე

ლახუში – მოძღვრული სოფელი

სამიოდე წლის წინ ვაშინგტონში საქმიანი შეხვედრის შემდეგ მასპინძლის, ბეთსი სმიტ პლათის გაშლილ სუფრას შემოვუსხედით და ოკეანის გაღმა-გამოღმა ამბებზე საუბარს შევყვეით. საქართველოს კარგად იცნობდნენ და მასზე გატაცებით საუბრობდნენ. სტუმართაგან ერთ-ერთმა სვანეთი ახსენა – ცოტა ხნის წინ მოვიარე და იქედან საუცხოო შთაბეჭდილებებით დავბრუნდიო. ჩავეძიე, მაინც სად იყავით მეთქი. „არა მგონია იცოდეთ, ერთი პატარა, ტურისტებისთვის უცხო და მიუვალი სოფელია“, – მითხრა და ოდნავ შეყოვნდა, ცდილობდა, სახელი გაეხსენებინა. „მგონი, ლაჰუშ თუ რაღაც მაგ-დაგვარი ჰქვია“, – დაამატა. ლახუშდს ხომ არ გულისხმობთ-მეთქი, ვკითხე და სახეგაბრწყინებულმა – კი, ნამდვილად, ლახუში ჰქვიაო, მომიგო. როგორ არ ვიცი, ეგ ხომ „ჩემი“ სოფელია-მეთქი, ვთქვი და მათი ცნობისმოყვარეობა რომ დამეკმაყოფილებინა, ვუამბე:

2010 წელი იყო. ქართული სიმღერის დიდი მოყვარული და მოამაგე შოტლანდიელი მარჯორი (მეჯ) ბრეი ქალთა ანსამბლ *სათანაოს* რეპეტიციაზე გამომყვა. ანსამბლის წევრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან არიან წარმოშობითა თუ აღზრდა-განათლებით. მათ შორისაა ანა ჩამგელიანი, რომელიც სვანეთში, მუსიკალური ტრადიციებით მდიდარ ოჯახშია დაბადებული და გაზრდილი.

რეპეტიციაზე ანას თავისი და, მადონაც ახლდა. ანსამბლის სვანურმა რეპერტუარმა და განსაკუთრებით ანას ოსტატობამ მეჯზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რეპეტიციის შემდეგ დებს გაესაუბრა და ძირისძირამდე გამოიძია ოჯახის ამბები და მათი სასიმღერო ბიოგრაფია. მადონა სვანური კულტურისა და ტრადიციების გულშემმატიკვარი და მცოდნე აღმოჩნდა. უცხო ადამიანებისგან

მშობლიური კუთხისადმი დიდი ინტერესი რომ იგრძნო, საკუთარი სადარდებელი გაგვიზიარა: ერთ დროს ლახუში მომღერალი სოფელი ყოფილა. ოჯახი არ მოიძებნებოდა თურმე, სიმღერა რომ არ სცოდნოდათ. სვანური სიმღერის ბევრი ოსტატიც ცხოვრობდა ადრე სოფელში და ბევრი მათგანი სვანური ფოლკლორული ანსამბლების (მათ შორის, *რიჰოს*) ბირთვის წარმოადგენდა. დრო-ჟამის კვალდაკვალ ნელ-ნელა შემოეცალნენ სოფელს უფროსი თაობის მომღერლები და თითო-ოროლადა შემორჩა. ახალგაზრდებმა უარი თქვეს მამა-პაპისეულ მემკვიდრეობაზე, ძველისძველ რიტუალებში მონაწილეობასაც თავიღობდნენ. ბოლოს დასძინა: „სულ რამდენიმე ადამიანი შემორჩა სოფელს *ზარის* მთქმელი. ესენიც რომ წავლენ, აღარავინ დარჩება, ვინც მათ უკანასკნელ გზაზე *ზარით* გააცილებს“.

რა უნდა გვექნა? თვითონვე მოიფიქრა გამოსავალი: ქართველებს ყოველგვარი უცხოხადმი თავყვანისცემამდე მისული მოკრძალება და პატივისცემა გვახასიათებს. იქნებ მოხერხდეს და უცხოელთა ჯგუფები ჩამოვიყვანოთ ლახუში. აქაურობამ სწრაფად დაიწყო დაცლა და ვიდრე მთლად არ დაცარიელებულა, იქნებ ახალგაზრდებმა ნახონ, როგორ მოსწონთ უცხოელებს მათი სოფელი, კულტურა და ტრადიციები. ფერხულში ჩაბმული და მომღერალი სტუმრების შემხედვარე თვითონაც ამღერდებიანო.

ასეც მოხდა. ზუსტად ერთი წლის თავზე, 2011 წლის ზაფხულში ზემო სვანეთში, ლატალის თემის სოფ. ლახუშდს, სადაც მანამდე ერთ უცხოელ ტურისტსაც კი არ დაედგა ფეხი, ოკეანისგაღმელი და ევროპელი სტუმრების ოცდაშვიდკაციანი ჯგუფი ეწვია. მას შემდეგ ლახუში, ლენჯერის კვალდაკვალ, ქართული სიმღერის, უძველესი სვანური ტრადიციებისა და თავგადასავლების მოყვარულთათვის ერთ-ერთ სასურველ ადგილად იქცა. მანამდე სოფ. ლენჯერში სვანური სიმღერის ოსტატისა და ლოტბარის, ისლამ ფილფანის ოჯახი იყო სვანური სიმღერის მთავარი კერა და მასპინძელი და ისლამის ტრადიციას მისი ოჯახი დღემდე ღირსეულად აგრძელებს. საგულისხმოა, რომ სწორედ ისლამის განუყრელი მეგობრის, თაისავ ჩამგელიანის, შვილების ძალისხმევით ლენჯერს ლახუშიც შემოუერთდა. ჩამგელიანებისა და ლახუშდელების მონდომებითა და მეცადინეობით კი ზოგი რიტუალი (მაგ., *მარიამობა*) გაცოცხლდა, ხოლო ზოგიერთის (მაგ.: *თანლილობა*, *მხერის დღეობა*) რეპერტუარი შეივსო. ამგვარად,

უცხოელ სტუმრებს ადგილობრივებთან ერთად დღეობებში მონაწილეობისა და სარიტუალო კონტექსტში სიმღერა-ფერხულების შესრულების შესაძლებლობა მიეცათ.

ჩვენი მოლოდინი გამართლდა. თავიდან სოფლის ახალგაზრდები ცნობის-მოყვარე მზერით აკვირდებოდნენ უცხოელეთა მღერა-თამაშსა და ფერხულებს ამა თუ იმ დღესასწაულზე. თანდათან თავადაც შემოუერთდნენ და უფროსებთან ერთად ფერხულში ჩაებნენ. როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო იმ დაუვიწყარი შთაბეჭდილების მიზეზი, ამერიკელმა ქალბატონმა რომ გამიზიარა ვაშინგტონში ყოფნისას.

მომღერალი ლახუშდის „ადმოჩენა“ და მისი პოპულარიზაცია ჩამგელიანებს, კერძოდ კი, სვანური სიმღერების ოსტატის, თაისავ ჩამგელიანის ოჯახს უკავშირდება¹. ჩამგელიანების დიდი ოჯახი რომ გავიცანით, თაისავი აღარ იყო ცოცხალი. მისი ერთ-ერთი ვაჟიც სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილიყო. სიმა – თაისავის ქვრივი, ფაფიკო – თაისავის და, თაისავის ქალიშვილები ეკა, ანა და მადონა, ვაჟები – მურთაზი და კახა, ძმა – გიგო და კარის მებობელი მურად ფირცხელანი შეგვეგებნენ სოფლის შუაგულში (სიფში) მდგარი ეკლესიის მოპირდაპირედ მდებარე ჩამგელიანების დიდი, ძველი, მამა-პაპური სახლის ალაყაფის კართან და პირველ სართულზე მისაღებ ოთახში გაშლილ სუფრასთან შეგვიპატიჟეს.

გვიან ღამემდე ვისხედით მკრთალად მოციმციმე ნათურის ქვეშ სვანური კუბდრით, ხაჭაპურებით, ჭვიშდრებითა და რახით დახუნძლული მაგიდის გარშემო. იქვე, კუთხეში მდგარ სვანურ ლუმელში სოფლის ტყის ფერდობებზე ნაგროვები შუშა გიზგიზებდა. ფანჯრებში ეზოში აღმართული, სულ ცოტა, ხუთასწლოვანი სვანური კოშკის კონტურები ილანდებოდა. მურთაზი თამადაობდა და ამ ჯადოსნურ ღამეს პირველად ვისმენდი სვანურ სადღეგრძელოებს, სვანურ სალოცავთა და ქრისტიანულ თუ მითოსურ პერსონაჟთა სახელებს. მადონა მეგზურობას გვიწვედა და გზას გვიკვალავდა სვანური მითოლოგიის ლაბირინთებში. დროდადრო, ანა და ეკა ჭვიშდრისა და კუბდრის ცხობას შეწყვეტდნენ, ფქვილიან ხელებს ჩამოიფერთხავდნენ, ანა დაიჭერდა ჭუნირს და დები ინყებდნენ სამ ხმაში მღერას: მშვიდად, წყნარად, დინჯად, სადად, შეწყობილად,

დარბაისლურად, ლამაზად, თითქმის პირგაულებლად, იოტისოდენა ძალისხმევის გარეშე. ასე ალბათ მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვისაც სულ პატარაობიდან უსიტყვოდ ესმით ერთმანეთისა. ერთი-ორჯერ, დიდი თხოვნის შემდეგ, მოხუცი ფაფიკო დაიყოლიეს და ქუნირზე აალიღინეს. მორცხვად და ძალიან სუსტად, თუმცა გარკვევით, თითქოს მთებზე ჩამოწოლილი ნისლებიდან ისმოდა ფაფიკოს ხმა. სუფრა თანდათან ეშხში შედიოდა და გიგოსთან ერთად სვანური სიმღერის ოსტატი მურად ფირცხელანიც ენერგიულად აქუხებდა ომახიან სვანურ სიმღერებს. რახით შემთვრალი თამადის თხოვნით რეპერტუარი უფრო და უფრო სახალისო ხდებოდა და ბოლოს ცეკვა-თამაშში გადაიზარდა. მოულოდნელი და შთამბეჭდავი აღმოჩნდა სიმას ცეკვა. უკვე ასაკოვანი სიმა ახალგაზრდული ენერგიით (ამავე დროს დარბაისლური თავშეკავებით) ცეკვავდა.

მთელი საღამო მონუსხულებივით შევცქეროდი ამ გასაოცარ „წარმოდგენას“. თითოეული მოძრაობა, ქმედება, სიტყვა, ამბავი, ნიუანსი ერთდროულად ახლობელი და ძალიან უცხო აღმოჩნდა ჩემთვის. მეჭმა გადმომილაპარაკა: „საოცრებაა!“.

იმ დღიდან მოყოლებული, ლახუში და ჩამგელიანები ჩემს იქაურ სახლად და ოჯახად იქცნენ. თანდათან სხვა ლახუშდელ ეთნოფორებსაც დავუახლოვდით. მამაკაცებთან ერთად უნია ფირცხელანი, ეთერ და დარიკო კვანჭიანები, დარიკო გვირიანი, ნათელა მარგველანი და სხვები აქტიურად მონაწილეობდნენ სოფლისა თუ სათემო დღეობების სამზადისში და საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას უზიარებდნენ სტუმრებს ამა თუ იმ დღესასწაულისა თუ რიტუალის, ცხოვრების წესისა და ყოფის შესახებ.

მოგვიანებით უფრო ზემოთ, შხარის ძირას, უშგულის თემში სვანური სიმღერისა და ფერხულის მცოდნე ლოლა ნიჟარაძესა და ჯანო და ზოია ჩანქსელიანებს შევხვდით. ბევრი ნიმუში (როგორც საფერხულო-საცეკვაო, ასევე, სასიმღერო და ქუნირის თანხლებით) სწორედ მათი განუმეორებელი ხელწერილია აღბეჭდილი. ზოგიერთი სიმღერისა თუ რიტუალის შესახებ ინფორმაციის ძიებისას უშგულელები სწორედ ლოლას, ჯანოსა და ზოიასკენ გვითითებდნენ, იმათ ეცოდინებათო. დაუვიწყარი იყო შეხვედრები ლატალელ სონია და ნინია წერედიანებთან 2016 წლის ექსპედიციის დროს. მათი ნამღერ-ნაამბობი

თუ მოთქმა-დატირებანი ნათელს ჰფენდა და აცოცხლებდა სვანური ყოფის მნიშვნელოვან ასპექტებს (Scherbaum, Mzhavanadze 2018).

სამწუხაროდ, სიმა, გიგო (ერთ-ერთი უკანასკნელი ლახუშდელი ოსტატი) და ფაფიკო ცოცხლები აღარ არიან. სონია წერედიანიც გარდაიცვალა. დღეს ჩემთვის თითქმის აღარაფერია სვანურ კულტურულ ყოფაში უცხო და გასაკვირი. თუმცა ამ ხნის განმავლობაში სულ მანვალედა კითხვა, რა იყო ჩემი იქაური მასპინძლების ძალისა და ენერჯის წყარო – იმ ენერჯისა, რამაც ლახუშდი ცოცხალ მუზეუმად აქცია და ეს პანია, მივარდნილი და მივიწყებული სოფელი მსოფლიო კულტურულ-მუსიკალურ (ე.წ. world music) რუკაზე მონიშნა.

ამ კითხვამ სვანურ სოციუმში ქალის როლზე დამაფიქრა, თუმცა აღარ ჩავღრ-მავებივარ. როგორც ჩანს, არც მანამდე ყოფილა ეს საკითხი საგანგებო კვლევის საგანი. წინამდებარე სტატიაზე მუშაობისას კი ამ ამბის გამოძიებას მადონასთან ერთად შევუდექით. აღმოჩნდა, რომ სვანური თემის სოციალური წყობა, ოჯახური ტრადიციები, სათემო კანონები და, ზოგადად, ცხოვრების წესი, ქალისა და მამაკაცის უფლება-მოვალეობების მეტ-ნაკლებად თანასწორი გადანაწილების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, თანამედროვე სვანი ქალების ინდივიდუალიზმი და ინიციატივა ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა და მათ ოჯახსა თუ თემში, სხვადასხვა კულტურული და სოციალური ფაქტორით განპირობებული ნოყიერი ნიადაგი დახვდათ. სვანური სასიმღერო რეპერტუა-რი, ისევე როგორც სვანური მითოლოგიური პანთეონი და მისი იერარქიული დაყოფა, ჟანრობრივად და შინაარსობრივად სწორედ ამ ფაქტორებით არის განპირობებული.

სვანური ყოფისა და მსოფლხედვის ამ ასპექტებს ქვემოთ შევხებით იმისათ-ვის, რომ გასაგები გახდეს, რა კულტურულ-სოციალურმა თავისებურებებმა და რწმენა-წარმოდგენებმა მოუმზადა ნიადაგი ქალის აქტიურ როლსა და წვლილს სვანების სარიტუალო-მუსიკალური ტრადიციების დაცვა-შენარჩუნების საქმეში. სტატიის დასკვნით ნაწილში მადონა ჩამგელიანი სვანი ქალების ცხოვრებიდან იმ მოგონებებს გააცოცხლებს, რომლებიც სვანების კულტურული ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს, კერძოდ კი, მათ მუსიკალურ ყოფას ასახავს.

დალ-ლამარია-ბარბოლის პარადიგმა:

ქალი სვანურ სოციალურ და კულტურულ ყოფაში

„და ესრეთ ქადაგებითა მიიწვივნეს სვანეთისა ქუეყანასა.
ხოლო მას ქუეყანასა მთავრობდა დღეთა მათ დედაკაცი
ვინმე მთავარი, რომელსა ჰრწმენა ქადაგება მოციქულთა.“

ლეონტი მროველი

ქალის როლი და უფლებები სვანურ ოჯახსა და თემში. ეთნოგრაფიული წყაროებიდან ჩანს, რომ პატრიარქალური წესრიგის პირობებშიც კი, სვანური სოციალური ქალს მნიშვნელოვან როლსა და უფლებებს ანიჭებდა. ოჯახში მას მრავალმხრივი ფუნქცია ჰქონდა და გულისხმობდა, ერთი მხრივ, ფიზიკურ ჭაბანს, რომელსაც მამაკაცის გვერდიგვერდ თანაბარი დატვირთვით ეზიდებოდა³. მეორე მხრივ, ქალს სარწმუნოებრივ-რელიგიური ყოფაშიც მნიშვნელოვანი როლი აკისრია და ყველა რიტუალში საკულტო ძღვნის (მაგ., *ლემზირების* – სარიტუალო პურების) მომზადების უპირობო უფლება და პატივი ენიჭება. ზოგიერთი წესი კი (მაგ., *ლამარია წესი*) მხოლოდ ქალებისათვისაა განკუთვნილი და საიდუმლო ლოცვაც (გვუბ) მათ მიერ სრულდება⁴. ის კი არა, *ზურალასკალ* (ქალების ნადიმი) ანუ *ლიგურკე* (კვირიკობა) „ძველად მარტო ქალებისა ყოფილა, ბოლოს კი კაცებიც გარეულან“ (ნიჟარაძე 1962: 64). *ქორა მებირის* (ოჯახის მფარველის/ფუძის ანგელოზის) ლოცვაც მხოლოდ ქალთა წესად მიიჩნეოდა (იქვე, 75).

ქალის ფიზიკური დატვირთვა სვანეთში არ არის მკაცრი (ზოგჯერ ველური) პატრიარქალური მონური მორჩილების შედეგი და გამომხატველი⁵. მისი შრომა ძვირად ფასობდა და ქმრის ოჯახი ქალის დანიშნვიდან სამი წლის განმავლობაში გამოსასყიდის (*ნაჭვლაშ*) სახით ორ ხარსა და ორ ძროხას იხდიდა (Анисимов 1940: 43; გაბლიანი 1925: 190). საკუთარ (მამისეულ) ოჯახში ქონებრივ უფლებებს (მაგ., პირუტყვი, მიწა) ქალი გათხოვების მერეც ინარჩუნებდა. მცირემიწიან სვანეთში მისთვის განსაკუთრებულ სიმდიდრედ სწორედ ყანა (*ორი ნალჯემ*, ანუ 1200 კვ.მ) ითვლებოდა, რომელიც ოჯახისგან მემკვიდრეობით გადაეცემოდა (ჩიმაკაძე 1913: 20; Кожевникова 1931). მიწისა და ქონების ფლობა ქალის ძლიერებასა და გარკვეულწილად მის თავისუფლებასაც (დამოუკიდებლობას, საკუთარ ფეხზე მყარად დგომას) ნიშნავდა. ალბათ თა-

ვისუფლების გამოხატულება იყო ისიც, რომ სვან პატარძალს ისე თავისუფლად ეჭირა თავი, როგორც საკუთარ სახლში და „მისთვის მორცხვობა უცხო“ იყო (ნიჟარაძე 1962: 81).

თუმცა არამართო ყოველდღიურ რუტინულ ყოფასა თუ სარიტუალო ცხოვრებაში ყოფილა ქალი კაცის სწორი და ტოლი. როგორც ჩანს, სვანური სამართალიც არ ითვალისწინებდა გენდერულ დისკრიმინაციას. კაცი თუ დაუქორწინებელ ქალთან შვილს გააჩენდა და ცოლად არ შეირთავდა, მკაცრად ისჯებოდა (*ლიბჭაანი*); ცოლის მიერ ქმრის ან ქმრის მიერ ცოლის მიტოვებაც (*ლიცვრე*) ერთნაირად დიდ სირცხვილად ითვლებოდა და დამნაშავეს გამოსასყიდი (*წორ*) ეკისრებოდა (გაბლიანი 1927: 378).

ფაქტობრივად, არ დარჩენილა სვანური ყოფის არცერთი ასპექტი, სადაც სვანი ქალი პასიური მეთვალყურის ან მორჩილი აღმასრულებლის როლს სჯერდებოდა. ასე მაგალითად, ქალები არამართო საოჯახო და სარიტუალო, არამედ სასოფლო-სათემო პოლიტიკის განსაზღვრაშიც ყოფილან ჩართულები მამაკაცებთან ერთად^დ და სათემო ყრილობებშიც მონაწილეობდნენ. ოც წელზე უფროსი ასაკის ყველა სვანს, მათ შორის *ბურაღს* (ქალს), *მახვშის არჩვის* (ხმის მიცემის) უფლებაც ჰქონია (გაბლიანი 1927: 340-341; ნიჟარაძე 1964: 102); უფრო მეტიც, ქალებს სათემო შეკრებებზე სიტყვაც ეთქმოდათ და გამორჩეული ორატორებიც ყოფილან (Анисимов 1940: 44)^ე.

სვანი ქალის აქტიური სოციალური როლი და თავისუფლების მაღალი ხარისხი და მისი მიზეზები, ვფიქრობთ, სვანების მსოფლალქმასა და უძველესი რწმენა-წარმოდგენების ქრილშიც უნდა განვიხილოთ. შესაბამისად, საინტერესოა, რა ადგილი ეჭირა ფემინურ სანწყის სვანების სარწმუნოებრივ ცხოვრებაში.

ფემინური სანწყის სვანების რწმენა-წარმოდგენებში. სვანების რელიგიურ ღვთაებათა პანთეონში მდედრობითი სქესის კულტი განსაკუთრებით ძლიერია. ამ მხრივ, სვანეთი გამორჩეულია ზოგადქართულ ფოლკლორულ-რელიგიურ კონტექსტში. სვანურ ფემინურ არამინიერ სამეულს, რომელსაც ბარ-ბაღე, ლამარია და დალი წარმოადგენენ, სვანების რელიგიურ ყოფაში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ზოგადად, ქალღვთაებათა ფუძე-წინაპრად უნივერსალური დიდი დედის კულტი მიიჩნევა, რაც მითოლოგიურ-რელიგიური სისტემის საწყის ეტაპზე იყო გაბატონებული (სიხარულიძე 2006). სვანეთში დღემდე შემონახული ქალღვთაება დალის (კლდეებისა და ქიუხების ნადირთა მფარველის) რწმენაც მის არქაულობასა და ამ წინაქრისტიანული კულტისადმი სვანების ერთგულებაზე მეტყველებს.

სვანები დღესაც გატაცებით ჰყვებიან ხოლმე დალთან შეხვედრის საოცარ ამბებს. იქურ მასპინძლებს, ჯან-ლონით სავსე მამაკაცებს, ისიც კი უთქვამთ ჩემთვის, დალთან შეხვედრის შიშით ღამით სიარულს ვერიდებითო. უამბნიათ, როგორ დაკარგულა რამდენიმე წლის წინ ერთი ახალგაზრდა კაცი შუალამისას, სახლში მიმავალი. დიდი ძებნის მიუხედავად, კვალი ვერავის მიუგნია. დალსაა შენახვედრი უეჭველადო, ასკვნიან.

თუმცა დალი მხოლოდ შიშს კი არა, პატივისცემასა და მოკრძალებასაც აღძრავს აქაურებში. სვანები ყოველთვის უფრთხოდნენ დალის კანონების დარღვევასა და მის წყენინებას, რადგან ქალღვთაების განრისხება სარჩო-საბადებლის გარეშე დარჩენას უდრიდა და მეტიც – შესაძლოა, პირობის დამრღვევს თავიც წაეგო.

სვანეთში ნადირობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საქმიანობა იყო. კარგი მონადირე დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ცხადია, საუკეთესო მონადირე ყველაზე გამორჩეული, ძლიერი, მტკიცე ნებისყოფისა და ჯან-ლონის პატრონი უნდა ყოფილიყო. თუმცა დალ-ღვთაების წყალობის გარეშე მისი მიწიერი ძალა არ კმაროდა და ამიტომაც კარგ მონადირეზე იტყოდნენ, „დალი ჰყავსო“ (გელოვანი 1983: 123; თოფჩიშვილი 2010: 513).

ქალურ საწყისს განასახიერებს ლამარიაც, რომელიც მიწის ნაყოფიერებისა და სიუხვის, მენველი საქონლისა და ხელსაქმის მფარველ ქალღმერთად/წმინდანად ითვლება (ბარდაველიძე 1953). მოგვიანებით იგი ღვთისმშობელი მარიამის კულტს შეერწყა და ჰიბრიდული ტიპის ქალღვთაებად იქცა.

კიდევ ერთი ქალღვთაების, ბარბალ/ბარბოლის კულტი სვანების უძველესი ასტრალური წარმოდგენების კვალს შეიცავს⁷ და ფესვებით წინაქრისტიანული

მზის თაყვანისცემის ეპოქას უკავშირდება. სვანთა წარმოდგენაში ბარბალ/ბარბოლ დედობრივი ძალების, ქალების, ფურებისა და, საერთოდ, ნაყოფიერების ფემინური საწყისის მფარველ ღვთაებას წარმოადგენს და სვანურ ფოლკლორულ ქრისტიანობაში წამყვანი ადგილი უჭირავს ლამარიასთან ერთად (ბარდაველიძე 1939; 1941)⁸. აქედან ჩანს, რომ სვანურ რელიგიურ პანთეონში მდედრობითი სქესის ღვთაებათა წილი და როლი უმნიშვნელოვანესია.

შეიძლება ითქვას, რომ სვანური პანთეონის ქალღვთაებათა (განსაკუთრებით, დალის) რთული, კომპლექსური, ბინარული ბუნება (მწყალობელიც არის და ვნე-ბის მომტანიც/შურისმაძიებელიც) ჩვეულებრივი მიწიერი ქალის სახეშიც აირეკლება (სვანების წარმოდგენით). სვანებს ქალის მიმართ (დალის მსგავსად), ერთი მხრივ, მოწინება და კრძალვა, მეორე მხრივ, შიში და ძრწოლა ახასიათებთ. ამის დასტურია ის, რომ მოსისხლე მტრებს შორის თუ ქალი ლეჩაქს ჩააგდებდა, მოსაკლავად გამზადებული იარაღი უმაღლ ძირს ეშვებოდა (გაბლიანი 1927: 388). ამასთან, დედათა წესისა და მშობიარობის პერიოდში ქალი უწმინდურად, უბედურების მომასწავებლად მიიჩნეოდა. ასეთ დროს მონადირე სანადიროდ არ წავიდოდა და ეკლესიას სალოცავად არ ეკარებოდნენ, უამრავ სხვა აკრძალვაზე რომ არაფერი ვთქვათ (გაბლიანი 1925: 188). ორივე შემთხვევაში, ჩანს, ქალს არამიწიერი, ზებუნებრივი ძალები და უნარები მიეწერებოდა.

სვანების სარწმუნოებრივი ცხოვრების ეს მცირე მიმოხილვა საკმარისია იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ასპექტების წარმოსაჩენად, რომელთა უზრუნველყოფაც სვანის მიწიერ ცხოვრებაში (მისი წარმოდგენით) ქალღვთაებათა ამ სამეულზეა დამოკიდებული⁹.

ამგვარად, სვანების კოსმოგონია და სარწმუნოებრივი აზროვნება მათ ყოველდღიურ ყოფაშიც აისახება და აქაური ქალი დედა-ღვთაებათა მოდელის ერთგვარ მიწიერ განხორციელებას წარმოადგენს. კერძოდ, ქალი სვანეთში მიწიერი (ფიზიკური) სიყვარულის წყაროცაა (ქალი – ცოლი), დედობრივი საწყისის, შვილიერების, ნაყოფიერების, გამრავლების ფუნქციის მატარებელიც (ქალი – დედა) და, ამავე დროს ოჯახში ხვავსა და ბარაქაზე, მიწის ნაყოფიერებაზე მზრუნველი (ქალი – მეჭირნახული).

სვანური სოციუმისა და რელიგიური წარმოდგენების ეს მიმოხილვა მე-19 და

ადრეული მე-20 საუკუნის წყაროებს ეყრდნობა. მას შემდეგ დრომ ბევრი რამ შეიწირა და შეცვალა, თუმცა არაერთი ტრადიცია და წესი დღემდე ცოცხალია და ქალის მნიშვნელოვანი როლი, ფუნქცია და უფლება-მოვალეობანი ოჯახსა თუ სარიტუალო ცხოვრებაში უცვლელად შემორჩა. სვანეთში ქალი დღესაც აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ და სარიტუალო ცხოვრებაში, რომლის დიდი წილი მუსიკითაა გაჯერებული. სვანურ სიმღერა-ფერხულებში ქალებიც მონაწილეობდნენ და ისე მღეროდნენ და ცეკვავდნენ, რომ „არც თანამემამულეების და არც უცხოთომელების“ არ ერიდებოდათ (Бакрадзе 1877: 47)¹⁰. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ სვანური სასიმღერო ფოლკლორი საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით გამოირჩევა მდიდარი შერეული (მამაკაცთა და ქალთა) რეპერტუარით – გარდა ზოგიერთი საკრალური მნიშვნელობის ჰიმნისა, ქალი ყველა ჟანრისა თუ დანიშნულების სიმღერასა თუ ფერხულში მონაწილეობს¹¹.

ქალის სახე და როლი სვანურ მუსიკალურ ფოლკლორში

სვანური სასიმღერო ტექსტები, როგორც ცნობილია, სვანეთის ისტორიისა და სვანების ცხოვრების ერთგვარ მატრიანსაც წარმოადგენს. ბევრი ისტორიული ფაქტი თუ ეთნოგრაფიული მნიშვნელობის ინფორმაცია, ძირითადად, სვანურმა სასიმღერო რეპერტუარმა, კერძოდ, ბალადური ტიპის სიმღერებმა აღბეჭდა და შემოინახა (მაგ.: გაულ გავხე, თამარ და სხვ.).

რა როლი აქვს ქალს და რა წილი უდევს მას სვანურ მუსიკალურ რეპერტუარში? საკითხის გამოსარკვევად რამდენიმე განსხვავებული ასპექტი შევარჩიეთ. კერძოდ:

- ა) ქალი – პროტაგონისტი (მთავარი გმირი);
- ბ) ქალთა რეპერტუარი;
- ბ) ქალი – ავტორი (მთხრობელი).

ქალი პროტაგონისტი. ქალღვთაებათა სიმღერა-საგალობლები. უნდა ითქვას, რომ სვანური სასიმღერო რეპერტუარი გაცილებით ღარიბი იქნებოდა მდედრობითი სქესის გმირების გარეშე. მართალია, სვანური სასიმღერო პოეზიის კრებულში დაცული არაერთი ტექსტის სასიმღერო ვარიანტებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ტექსტების გაცნობაც კი საკმარისია იმისათვის, რომ დავინახოთ ქალის, როგორც აქ აღწერილი ამბების მთავარი გმირის, წილი

მთლიან კორპუსში; მათ შორისაა: ისტორიული ფაქტები და თქმულებები და გადმოცემები ღვთაება დაღზე, სვანი დედებისა და ახალგაზრდა ქალების სვებეღზე, თამარ მეფეზე და ა.შ. (სვანური პოეზია 1939).

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ცნობილი სვანი ქალი კლდეების მბრძანებელი და ნადირთა მფარველი ღვთაება დალია, რომლის არსიც ღვთაებრივ (ზებუნებრივ) ძალასთან ერთად ხორციელ (ამქვეყნიურ) ვნებებსაც აერთიანებს. დალი მოკვდავ კაცებს (ძირითადად, მონადირეებს) ხიბლავს თავისი დამატყვევებელი სილამაზით. მისდამი კრძალვის ნიშნად დაღს დაღ ბედნიერად, დაღ დედფალად იხსენიებენ და მას, როგორც ღვთაებას, სანთელს უნთებენ (გელოვანი 1983: 124). მასთან სასიყვარულო კავშირი მონადირეს საქმეში წარმატებასაც უქადის. თუმცა დალი შურისმაძიებელიცაა და მისი კანონების დარღვევა (დალთან კავშირის გათქმა, დაშვებულზე მეტი ნადირის დახოცვა და ა.შ.) კაცს ძვირად – სიცოცხლის ფასადაც უჯდება¹². სწორედ დალისა და მონადირის¹³ დრამას ეძღვნება ვრცელი ციკლი, რომელსაც სვანური სასიმღერო პოეზიის კრებულში თვალსაჩინო ადგილი უკავია. რომ არა დალი და სვანების მისდამი განსაკუთრებული დამოკიდებულება, არ გვექნებოდა ისეთი გამორჩეული საფერხულო სიმღერა, როგორიცაა, მაგალითად, ბაილ ბეთილი¹⁴. ბალადა მოგვითხრობს დალსა და მის საყვარელ ბეთილზე, რომელიც თემის გამორჩეული მონადირეა (ე.ი. „დალი სწყალობს“). თუმცა დალი არ პატიობს ლალატს ბეთილს, შუნად იქცევა, მონადირეს კლდეზე გაიტყუებს და გადაჩეხავს. ეს ამბავი და ბეთილის ხსოვნაც სწორედ სვანურმა საფერხულო სიმღერამ შემოინახა (ვიდეომავ. 1).

დალის სასიმღერო ციკლში საფერხულო ბალადის სახით, სასიყვარულო და შურისძიების თემასთან ერთად, კიდევ ერთი მოტივია (დალის მადლიერება) გაჟღერებული. დაღე კოჭას ხელღვაჟალე გვიამბობს მშობიარე დაღზე, რომელსაც კლდიდან ახალშობილი უვარდება. ახალშობილს მგელი გაიტაცებს, მონადირე კი იხსნის ჩვილს და მას დაღს უბრუნებს. მადლიერების ნიშნად დალი¹⁵ მონადირეს ყოველწლიურად ჯიხვებით ასაჩუქრებს (გელოვანი 1983: 123-124).

ორივე ფერხულში, მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნოებრივი სიმღერების ჯგუფში ერთიანდება, კაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ. ეს შესაძლოა

იმით აიხსნას, რომ დალი მატრიარქალური ეპოქის გადმონაშთად მიიჩნევა¹⁶.

სვანური რეპერტუარი წარმოდგენილია კიდევ ერთი სასიმღერო ნიმუშის გარეშე, რომლის ცენტრალურ ფიგურას *ბარბალ/ბარბოლ* ღვთაება წარმოადგენს. *ბარბალ დოლაშ* ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ჰიმნური სიმღერაა, რომელიც მამაკაცთა მიერ სრულდება და რომელშიც ღვთაებასთან დაკავშირებული (დოლის წმ. ბარბალეს სახელობის ხატის გადაბრძანება) რელიგიური პროცესიაა აღწერილი¹⁷ (ვიდეომავ. 2).

სვანი ქალების დრამა და ტრაგედია. რელიგიური პანთეონის ქალღვთაებათა და წმინდანთა გარდა, სვანური რეპერტუარის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვეულებრივი სვანი ქალის ცხოვრებასაც ეთმობა. სიმღერა-ბალადების ერთი ჯგუფი შვილების დაკარგვით გამოწვეულ დედის ტრაგიკულ ხვედრზე მოგვითხრობს. ეს მოტივი საკმაოდ ძლიერია სვანურ სასიმღერო ფოლკლორში და ამ ციკლში შემავალი *მირანგულა* საერთოქართულ სასიმღერო რეპერტუარში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და პოპულარულ ნიმუშს წარმოადგენს. ბალადური ტიპის სიმღერა ახალგაზრდა ვაჟის დაღუპვის ამბავს გადმოსცემს და გვიამბობს, თუ როგორ გამოკეტა დედამ საკუთარი ვაჟი (*მირანგულა*) კოშკში იმისათვის, რომ ამ უკანასკნელს მამის მკვლელებზე შური არ ეძია. მართალია, *მირანგულამ* თავი დააღწია კოშკს, მაგრამ სისხლის აღებისას თვითონაც დაიჭრა და გარდაიცვალა. *მირანგულა*, ისევე როგორც სევდასთან, დარდსა და ტკივილთან დაკავშირებული სხვა სიმღერები, ქუნირის თანხლებით ითქმის როგორც ქალების, ასევე, მამაკაცების (აგრეთვე, შერეული შემადგენლობის) მიერ (სვანური ხალხური სიმღერები 2017; ახობაძე 1957) (ვიდეომავ. 3).

შვილების დაკარგვით გულმოკლული დედის მწუხარებას გადმოსცემს აგრეთვე კიდევ ერთი ცნობილი ბალადა *სობარ-ციოყ*, რომელიც ორი ძმის გმირული სიკვდილის ამბავს ეხება. მთხრობელი მეტწილად ძმების დედაა, რომელიც, *მირანგულას* დედისაგან განსხვავებით, შვილების მკვლელებზე იძიებს შურს და თავსაც იკლავს¹⁸. *სობარ-ციოყი*, *მირანგულას* მსგავსად, ქუნირის თანხლებით სრულდება შერეული შემადგენლობის მიერ (ვიდეომავ. 4).

ჩანს, სვანებს ახალგაზრდა ქალების ბედიც აღელვებდათ და ზოგიერთი ამბავი სიმღერებში უკვდავცვს. ქმართან (და საკუთარ ოჯახთან) ურთიერთობების

დრამას ასახავს ბალადური სიმღერების ჯგუფი, რომლის გმირი მარიხია (ზოგიერთ ვარიანტში დარჯული, მანოლი და სხვ.). ამ ციკლის სასიმღერო ტექსტების გმირები იმ მოთაცებული (ზოგჯერ, მრუში, მეძავი) ქალების შესახებ მოგვითხრობს, რომელთა ქმრები სისხლით აზღვევინებენ დამნაშავეს¹⁹.

ახალგაზრდა ქალთან დაკავშირებული კიდევ ერთი მოტივი მარტო დარჩენილი ქალის ბედი. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საფერხულო ბალადა *ირინოლა* ახალგაზრდა ქვრივის შესახებ გვიამბობს, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ დედამთილ-მამამთილს მოუძულებია. ისევე როგორც ფერხულების უმეტესობა, *ირინოლაც* შერეული შემადგენლობით სრულდება (ვიდეომაგ. 5)²⁰. ამავე მოტივს ეხება სიმღერები: *ქალო საბრალო, ქალო საცოდაო, თამარ, დედისავ, კორმანოლა* და სხვ.

მიწიერი, ისტორიული პერსონაჟია თამარ მეფეც, თუმცა სვანები მას ღვთაების დარ პატივს მიაგებდნენ. თამარი აქ ერთგვარ კულტად იქცა (Кожевников 1930: 94-95). საინტერესოა, რომ სვანები თამარს არა მეფედ (როგორც დანარჩენ საქართველოში), არამედ *დედფალად*²¹ იხსენიებენ. წოდება (ეპითეტი) „მეფე“ გენდერულად მასკულანურ (მამაკაცურ) ენერგიას უკავშირდება და მმართველის ფუნქციურ დატვირთვას – ბრძოლას, პოლიტიკური აქტივობას, მბრძანებლობას და ა.შ. – გამოხატავს. სვანებისთვის კი, როგორც ჩანს, თამარის ზედწოდება არა მის პოლიტიკურ გავლენებს, არამედ იმ ღვთაებრივ/საკრალურ აქტებს უკავშირდება, რომლებიც სვანეთში მის სახელთან ასოცირდება²². სრულიად შესაძლებელია, რომ სვანების წარმოდგენაში თამარი სწორედ ღვთაებრივი ენერგიის მდედრობითი (ფემინური) განსხვავება ყოფილიყო და წოდებაც შესაფერი მიაგეს: *დედფალ*²³. სვანებმა სურათები თამარის ცხოვრებიდან და მისდამი სიყვარული, მოკრძალება და პატივისცემა საფერხულო სიმღერაში *თამარ დედფალ* (რომელიც, ასევე, შერეული შემადგენლობით სრულდება) უკვდავყვეს (ვიდეომაგ. 6). გარდა იმისა, რომ ქალები (აგრეთვე, მდედრობითი სქესის ღვთაებები) სვანური სიმღერების მთავარ გმირებად გვევლინებიან, თავადაც აქტიურად მონაწილეობენ შემოქმედებით პროცესში როგორც შემსრულებლები და, ზოგჯერ, შეიძლება ითქვას, როგორც ავტორები.

ქალთა რეპერტუარი. ქალი – ავტორი. როგორც აღინიშნა, სვანური სასიმღერო რეპერტუარი, მცირე გამონაკლისის გარდა, შერეული შემადგენლობით სრულდება. მათ შორისაა ფერხულები (როგორც საყოფაცხოვრებო-საგმირო-პატრიოტული, ისე სარწმუნოებრივი შინაარსისა)²⁴.

საფერხულო რეპერტუარში განცალკევებით დგას სიმღერა *კასლეთილა* (*კასლედია*)²⁵, რომელიც უჩვეულო ტექსტით გამოირჩევა, რადგან მასში ყველაფერი უკულმა ხდება: ღორები ხორბალს დარაჯობენ, ჯიხვი სახნავშია დაბმული, ახალფეხადგმული ბავში საქორწინოდ ემზადება და ა.შ. სიმღერის შესრულების ფორმაც უჩვეულოა. მართალია, ფერხულს ძირითადად ქალები ასრულებენ, მაგრამ კაცსაც აქვს მონაწილეობის უფლება, თუმცა ერთი პირობით: მამაკაცმა ზედა ხმა უნდა თქვას, ქალები კი დაბალ ხმებს (დამწყები-შუა ხმა და ბანები) მღერიან. ამასთან, *კასლეთილა* ერთადერთი სიმღერაა, რომელშიც ქალები ცერულს (საერთოდ, კაცები ცეკვავენ) ასრულებენ (ვიდეო-მაგ. 7)²⁶.

მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე აკვნის *ნანებს* მამაკაცები მღერიან, ტრადიციულად ქალის (დედის) როლს უკავშირდებოდა და ეს უნივერსალური ჟანრიც ასე გაჩნდა სხვადასხვა ხალხის მუსიკალურ ფოლკლორში²⁷. მისი ფუნქციური თავისებურებებიდან გამომდინარე, აკვნის *ნანა* ერთ-ერთი ყველაზე იმპროვიზირებული ჟანრია და ყველა ქალი თავისებურად ამღერებდა; მათ შორის ზოგიერთი ნიმუში კი ხალხში პოპულარობას იხვეჭდა. ამის ნათელი მაგალითია სვანური *ნანილას* (*ნანაილას*) ცნობილი ვარიანტი, რომლის ავტორად თაისავ ჩამგელიანის დედა, კატი გირგვლიანი ითვლება²⁸ (აუდიომაგ. 1). ცნობილია, აგრეთვე, ცხუმარელი გვაშაყან კვიციანის *ნანილას* სოლო ვარიანტი უჭუნროდ²⁹ (აუდიომაგ. 2) და უშგულური *ნანაილა*, რომლის ავტორად მარტო ჩარქსელიანს მიიჩნევენ (აუდიომაგ. 3). აკვნის *ნანების* ეს მარგალიტები არაერთმა ანსამბლმა შეიტანა თავის რეპერტუარში. მათ გარეშე წარმოუდგენელია სვანური სასიმღერო ფოლკლორი.

კიდევ ერთი სფერო სვანების კულტურული ცხოვრებიდან, რომელშიც ქალი მონაწილეობს, დატირებაა³⁰. აკვნის *ნანების* მსგავსად, დატირებებიც იმპ-



ანსამბლ ლატალის წევრები: სიმა თამლიანი, ვენერა ფარჯიანი, მარლენ თამლიანი და თაისავ ჩამგელიანი, 1967 წ. საოჯახო არქივიდან.

Ensemble *Latali* members: Sima Tamliani, Venera Parjiani, Marlen Tamliani and Taisav Chamgeliiani, 1967. From family archive.

როგიზაციული ხასიათისაა და მათი შესრულება ოსტატობას მოითხოვს. შესაბამისად, კარგი მოტირალი (*მელჭალ*) ხალხში სათანადოდ ფასობდა. იმასაც ამბობენ, კარგი მომღერალი დატირებაშიც გამოირჩეოდა³¹.

სვანურ რეპერტუარში ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, ე.წ. *ლიშლდჳნის* ჯგუფის სიმღერები, რომლებიც სარიტუალო შეკრებებზე სრულდება და, ამასთან, ძირითადად ქალებთან ასოცირდება. სოლისტი ქალი რიტუალის მონაწილეების სახელზე ექსპრომტად იწყებს გალექსვას. რაც უფრო გრძელია *ლიშლდჳნი*, მით უფრო კარგ ოსტატად ითვლება სოლისტი. ასეთები ყოფილან ლატალელი კუკულა კვანჭიანი³², ქორდო გირგვლიანი და ქემეზ გვიჩიანი. 87 წლის მაშო ჩამგელიანი იხსენებს: „კუკულას ნათქვამი ლიშლდჳნი ისეთი კარგი იყო, რომ 10 კაცს ეყოფოდა“ (ე.ი. 10 კაცი შეძლებდა ცეკვას) (ვიდეომაგ. 8).

მომღერალ-ავტორებისა და მოტირალთა გარდა, ხალხის მეხსიერებამ და არქივებმა ჭუნირზე დაკვრის ოსტატი ქალების სახელებიც შემოინახა. ჭუნირი ადრე დაკრძალვის, გლოვის ინსტრუმენტიც ყოფილა და მასზე როგორც მამაკაცები, ასევე, ქალებიც უკრავდნენ. ხშირად აკვნის *ნანებიც* ჭუნირის თანხლებით სრულდებოდა. სვანეთში დღემდე ახსოვთ ცნობილი მეჭუნირე ქალები. უშგულელი ჯანო ჩანქსელიანის (თავადაც ერთ-ერთი საუკეთესო მეჭუნირის) დედა მატრო ჩარქსელიანი განთქმული მეჭუნირე ყოფილა. ადგილობრივები ლატალელ კუკულა კვანჭიანსა და ოლლა ჩამგელიანსაც იხსენებენ, როგორც ჭუნირზე დაკვრის ოსტატებს. დღეს ლახუშდელი ანა ჩამგელიანი აგრძელებს ტრადიციას³³.

არაერთი საინტერესო ისტორია შემოინახა ადგილობრივთა მეხსიერებამ აქაური ქალების ცხოვრებასა და მათ როლზე სვანური ტრადიციებისა და სიმღერის დაცვა-შენარჩუნების საქმეში. მათ შორისაა მოგონებები, რომლებიც ჩამგელიანების ოჯახის ქალებთანაა დაკავშირებული და რომელთაგან ზოგიერთს ქვემოთ გთავაზობთ.

კატი, კნა და სიმა – ხუთი ამბავი

ბავშვობიდან მოყოლებული, არ მეონია განცდა, რომ რაკი ქალი ვიყავი, ე.ი. მამაკაცებს რალაციტ ჩამოვრჩებოდი. მაშინ ამის მიზეზი სვანური ადატ-ნესების ცოდნა კი არა, საკუთარი გამოცდილება იყო. ძლიერი, თავისუფალი და შემოქმედი ქალების გარემოცვაში ვიზრდებოდი, რომელთაც სიტყვა ყოველთვის ეთქმოდატ.

საერთოდ, ბევრი ისტორია არსებობს ყველა თემში თუ სოფელში ქალებზე, მათ შორის, საარაკო და გაუგონარი ამბები, თუმცა ეს უფრო ღრმა კვლევისა და თხრობის საგანია და ამჯერად საკუთარი ოჯახის ქალების მოგონებებით შემოვიფარგლები.

სულ რალაც 13 წლისა ვიყავი. 1994 წლის უმკაცრესი ზამთარი იდგა. არც ტრანსპორტი მოძრაობდა და 90-იანი წლების მძიმე ყოფას გამთოშველი ზამთარი კიდევ უფრო ამძიმებდა. მამა ავად გახდა. ინვა, ამბებს მიყვებოდა და მეც ზამთრის გრძელ ლამეებს ამ ამბების მოსმენაში ვატენებდი. ყველაფერზე ყვებოდა მამა: სვანეთის ტრადიციებზე, ყოფაზე, ოჯახზე, მის ბავშვობაზე; თითქოს მემკვიდრეობად მიტოვებდა საკუთარ ცოდნას სვანების ცხოვრებასა და ადატ-ნესებზე. კატისაც იხსენებდა – დედას, რომლის თავზეც წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ სხვა ტანჯვა და უბედურება არ დაჰკლებია.

კატის ნანილა. ეს ამბავი რომ მომხდარა, ბებიაჩემ კატის ხუთი შვილი ჰყოლია; უფროსი, 15 წლის სათნო და ნაბოლარა, 6 თვის გიგო. კატის მეუღლე სარდიონი, ბაბუაჩემი, კარგი მომღერალი ყოფილა და ივანე მარგიანის გუნდშიც მღეროდა. თუმცა ბოლშევიკურ მთავრობასთან ვერ ყოფილა თვისედ და მათ, ძმებთან ერთად, ფარულად თუ აშკარად ებრძოდა. ბაბუას ძმა მათე ჩამგელიანი 1921-1922 წლების სვანეთის აჯანყებაში მონაწილეობის გამო დახვრიტეს. ბაბუაჩემს როგორღაც თავი დაუღწვია ტყვეობისთვის, თუმცა მალვაში გაყინულა სოფელ იელში. დარჩენილა ბებია კატი ხუთი ობლით უმძიმეს პირობებში. რამდენიმე დღეში ავად გამხდარა ქალიშვილი სათნო. ულამაზესი ყოფილა სათნო, ხვეული ნაბლისფერი თმები და მწვანე თვალეები ჰქონია. სვანეთში იტყვიან: „ჰადა მუღჯაიშალ ლიკჷდე“ (იელის ყვავილივით დაქკნაო). ასე



კატი გირგვლიანი-ჩამგელიანი. 1938 წ. საოჯახო არქივიდან.

Kati Girgvliani-Chamgeliani, 1938. From family archive.

დამჭკნარა პატარა გოგო სულ რაღაც ერთ კვირაში. სიკვდილის წინ დედისთვის უთხოვია, იავნანა მიმღერეო. კატის ქუნირზე დაუმღერებია ნანილა მომაკვდავი შვილის სასთუმალთან და ასე გაუცილებია საიქიოს 15 წლის სათნო მამის გარდაცვალებიდან მესამე კვირას.

თაისავი და ქუნირი. თურმე იმ დღიდან კატის ქირის ქუნირი ხელიდან აღარ გაუშვია. როგორც მამა ყვებოდა, ყოველ საღამოს აიღებდა თურმე კატი ქუნირს, იქვე კერასთან შეათბობდა და იწყებდა დაკვრას. უკრავდა ბავშვების დასანახად და ამღერებდა, თუმცა თან ცრემლად იღვრებოდა თურმე. მამას, რომელიც ამ დროს რვა წლისა ყოფილა, შეუნიშნავს, რომ როცა დედა ქუნირს იღებდა ხელში, ცრემლები სდიოდა. ერთხელაც უფიქრია, დავამტვრევ ქუნირს და აღარ იტირებსო. ასეც მოქცეულა და შუაზე გადაუტეხია ტარი. — „დედა ქუნირის დამტვრევისთვის არ გამიწყრა, პირიქით, დამიყვავა და ამიხსნა, რამდენად მნიშვნელოვანი და კარგი საკრავი იყო. ჰოდა, ერთ დღესაც ერთად შევაკეთეთ და იმ დღის შემდეგ ქუნირი ჩემი მეგობარი გახდა“, — იგონებდა მამა. მართლაც, თაისავი ქუნირზე დაკვრის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი დადგა და ლათალის ანსამბლშიც ხშირად უკრავდა.

მგლოვიარე კატი და თანღილის ფერხული. იანვარში გადაუხდია კატის ქალიშვილისა და ქმრის *ქუნე გჭემ* (სულის სუფრა – ორმოცი). იმ წლის თებერვლის თანღილობაც დამდგარა, მაგრამ თვითონ არ ასულა სალოცავზე – ძაძებით შემოსილი უხერხულობას შევექმნი სოფელსო. სოფლის მოედანზე გასულა და აყურადებდა თურმე სალოცავისკენ. მიმხვდარა, რომ მისი ქირის რიდითა და მოკრძალებით, არავინ აპირებდა სიმღერის დაწყებას. ასულა სალოცავზე ძაძით შემოსილი კატი და ფერხულს ჩადგომია სათავეში. მაგალითად იქცა კატის ეს საქციელი და დღესაც ზოგჯერ თანღილობაზე ის იწყებს სიმღერას, ვინც მგლოვიარეა სოფელში. წელს (2021 წლის ზაფხულში) ფოლკლორის ცენტრის ექსპედიციამ ჩაიწერა 87 წლის მამო ჩამგელიანი, რომელმაც გაიხსენა, თუ როგორ ჩადგა მგლოვიარე კატი ფერხულში რწმენით, რომ შენი დარდი ხალხს არ უნდა მოახვიო და სალოცავი არ უნდა გაანაწყენო.

კესა. ხშირად მსაყვედურობენ, რატომ ჰყვები სულ კატიზე, როცა არანაკლებ საინტერესოა მეორე ბებიის ისტორიებიო. კესა ფარჯიანი დედაჩემის დედაა.

განათლებული ქალი იყო, მომღერალ ოჯახში იზრდებოდა და თვითონაც შესანიშნავი მგზლდაწნი ყოფილა. თამლიანებში იყო გათხოვილი, რომლებიც ლატალის მთავარი ტაძრის მაცხოვრის მცველები გახლდნენ. ძალიან მორწმუნე და მლოცველი ყოფილა კესა. ერთხელაც ლამპრობის დღეობის პირას კესას ერთადერთი ვაჟი ავად გამხდარა და ლამპრობის წინა ღამეს გარდაცვლილა. დაუმალავთ ეს ამბავი სოფლისთვის, ლამპრობა ჩაიშლებათ. მთელი რიგი ფერხულებისა და სანესო რიტუალის ჩატარების შემდეგდა გაუმხელია ოჯახს თანასოფლელებისთვის ეს დიდი ტრაგედია. იმ დღეს მთელ ლატალს ხელაღპყრობილს დაულოცავს კესა და შემდეგ ლამპრობას, ზუსტად წლის-თავზე, ბიძაჩემი გაჩენილა.

სიმა და ლიფანალი (სულების მოპატიჟების რიტუალი). ერთ ამბავს დე-დაჩემზეც, სიმა თამლიანზე მოგიყვებით. 2007 წლის იანვარი ჩვენი ოჯახის-თვის ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა. მძიმე სენმა იმსხვერპლა ძმებს შორის უმცროსი, 33 წლის გოდერძი. 18 იანვარს დავკრძალეთ. დარდისგან განადგურებულებს არც კი გაგვხსენებია, რომ ლიფანალი იწყებოდა. ვისხედით ღუმელთან მდუმარედ ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები. უცებ სევდითა და ნაღველით დამძიმებულ სიჩუმეში სიმას შეძახილი გაისმა – აბა, ადექით ახლა და დავხვდეთ სტუმრებს როგორც საჭიროაო! წამოდგა, გაამზადა ეკლესიაში წასაღები პური და ზედაშე და წავიდა სულების დასაპატიჟებლად. ცოტა ხანში შემოუძღვა იმქვეყნიურ „სტუმრებს“ გალობითა და სიმღერით. მთელი ღამე ვმღეროდით, თითქოს სიმღერა იყო ჩვენი გადარჩენის ერთადერთი საშუალება და დამაკავშირებელი იმიერ და ამიერ სოფელს შორის.

დასკვნა

დიდი ძალა აქვს ამგვარ ამბებს, რომლებიც მაგალითებად და ახალი ისტორიების სტიმულად იქცევა. ამასთან, როგორც წინამდებარე ნარკვევიდან ჩანს, სვანი ქალების მნიშვნელოვან წვლილს აქაურების კულტურულ-მუსიკალურ ყოფაში სვანურ სოციუმში ისტორიულად ქალის ადგილი, როლი, ფუნქცია და თავისუფლების ხარისხი განაპირობებდა. ჟამთასვლის კანონებითა და გლობალიზაციით გამოწვეული ცვლილებების შედეგად სვანური ტრადიციები, ისევე როგორც სხვაგან, მივიწყებისა და გაქრობის საშიშროების წინაშე აღ-მოჩნდა. სწორედ ამ დროს, მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობის

დაცვის სადარაჯოზე, როგორც სტატიის დასაწყისში აღინიშნა, ქალებიც გამორჩნდნენ. სოფ. ლახუშდის გამოცოცხლებაც დიდწილად კატის მსგავსი სვანი ქალების (მათ შორის, ჩვენი ლახუშდელი მასპინძელების) დამსახურებაა. მათი მეცადინეობით თანლილის მთის წვერზე მთავარანგელოზის ტაძარი ისევ მასპინძლობს დღეობებს, რომლებიც (ჯერჯერობით) კვლავაც წესისა და რიგის მიხედვით (ლოცვა, სარიტუალო ჰიმნები და ფერხულები, რომლებიც ლიშლდანიტა და სადღესასწაულო სუფრით მთავრდება) ტარდება და რომელშიც მთელი სოფელი მონაწილეობს. ჩამგელიანები და სოფლის უხუცესი ქალები კი სტუმრებს სვანურ მითებს, თქმულებებსა და ზღაპრებს უამბობენ, დღესასწაულების შინაარსსა და მნიშვნელობაზე, ადგილობრივ ტრადიციებზე უყვებიან და საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ.

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ქეთევან მათიაშვილს, სტატიის ქართული ტექსტის კორექტირებისათვის; აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელს, ციური კოჭლაშვილს, წყაროების მოწოდებისათვის.

შენიშვნები:

1. „მუსიკის ნიჭით გამორჩეული ყოფილა როგორც მათი მამის – თაისაც ჩამგელიანის, ისე დედის – სიმე თამლიანის მხარე. ბაბუა, სარდიონ ჩამგელიანი ივანე მარგიანის გუნდის წევრი... მოსკოვში გამართული ხელოვნების დეკადების მონაწილე საბჭოთა ტერორს ემსხვერპლა... მისი მეუღლე, კატი (ეკატერინე) გირგვლიანი, სვანეთში სცენაზე ასული ერთ-ერთი პირველი მომღერალი ქალი ყოფილა“. (რუხაძე 2021).
2. მურად, გივი, რომეო, ჯირან ფირცხელანები, გიგო და გიორგი ჩამგელიანები, მურმან ნიკოლოზიანი, რეზო ასუმბანი და სხვ.
3. ბ. ნიჟარაძე (1962: 49) აღნიშნავს, რომ „სვანი უცოლოდ ვერ დაესახლება“, რადგან არ არსებობდა მამაკაცის სოციალური როლი ცოლის გარეშე, მათ შორის ბრძოლაშიც და ქალი მამაკაცისთვის მარჯვენა ხელზე მეტს ნიშნავდა (Эристов 1898: 28).
4. „საგვიზე მიწის დამუშავების, მოყვანისა და მის ლემზირად ქცევის მთელი სამეურნეო პროცესიც ქალის... წესია“ (წერედიანი 2006: 27).
5. რასაკვირველია, ზოგადად ქალის თავისუფლების მაღალი ხარისხი და სოციალური

როლი სვანურ სოციუმში არ ნიშნავს იმას, რომ ქალის უფლებები აქ იდეალურად იყო დაცული. ეთნოგრაფიულ წყაროებში შემონახული ცნობები და ჩემ მიერ მოხმობილი ზოგიერთი სასიმღერო ბალადაც, ასევე, მოგვითხრობს ქალების პრობლემებისა და განსაცდელების შესახებ. თუმცა ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს, სცდება წინამდებარე სტატიის კვლევის ფოკუსს და ამ კონტექსტში არ ცვლის იმ საერთო სურათს, რომელიც სვანურ მუსიკაში ქალის როლსა და წვლილს ასახავს.

6. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში სვანეთში არსებობდა ქალთა საბჭო. ეს საბჭო იცავდა ქალთა უფლებებს, აღკვეთდა ძალადობის ფაქტებს და განაჩენიც გამოჰქონდა. „მე მსურს გაგახსენოთ თქვენ, რომ ქვეყანა საკმარისად დიდია და სვანი ქალების გარდა ბევრი სხვა ქალი არსებობს. სხვადასხვა ფერის – თეთრები, შავები, ყვითლები და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკენი. სხვანაირები, მაგრამ მაინც ყველა ქალია და ყველა ერთნაირი. დღეს აქ ვიკრბებით ქალები, რომ ჩვენი უფლებების შესახებ ვიცოდეთ. ჩვენ არაფრით ნაკლები უფლებები არ გავგაჩნია კაცებზე, ყველა ღმერთმა გაგვაჩინა და თანასწორნი ვართ“, – ეს სიტყვები 1927 წლის ქალთა საბჭოს წარმომადგენლს, თებო გურჩიანს ეკუთვნის (Кожевникова 1927).
7. ლამარიას მსგავსად, ისიც ქრისტიანულ წმინდანთა პანთეონს (წმ. ბარბალე) უკავშირდება და ჰიბრიდული ნიშან-თვისებების მატარებელია.
8. საინტერესოა, რომ როდესაც ი. ჭავჭავიძევილი ძველი ქართული ქრისტიანობის ხანის მწერლობაში ღვთაების ერთადერთ სახელს, *ღმერთს*, განიხილავს, გამოთქვამს ვარაუდს, რომ სვანური *ღერმეთ* და *ღერბეთ* მდებარეობითი სქესის აღმნიშვნელი უნდა იყოს, რადგან „საკვეცი „თი“, „ეთ“, „ოთ“ მდებარეობითი სქესის სიტყვის დაბოლოვებად მიიჩნევაო“ (ჭავჭავიძევილი 1979: 201).
9. ვრცლად მდებარეობითი სქესის პანთეონის შესახებ იხილეთ ქ. თუითთან (Tuite 2004). ამავე თემაზე დეტალურ ეზოთერულ დისკურსს გვთავაზობს, აგრეთვე, ნ. წერედიანი (წერედიანი 2006).
10. სვანეთში მოგზაურობისას ზ. ფალიაშვილზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია 10-15 წლის უშუალოდ გოგონების სიმღერას. კომპოზიტორი გაკვირვებით აღნიშნავს, რომ ისინი მამაკაცების დარად დაბალ რეგისტრში ომახიანად მღეროდნენ „...რომ არ მენახა ჩემის თვალთ მე სრულებით არ დავიჭერებდი, რომ ზემოხსენებულ სიმღერას მღეროდნენ ქალები და არა კაცები. ...მოთელს ჩემს მოგზაურობაში სრულებით არ შემხვედრია ქალებში წმინდა ხმა (სოპრანო)... იმათში ბევრი ვნახე ღრმა დაბალხმიანი (კონტრალტო), რომელიც ძლიერ ჩამოგავს კაცების ხმას (ტენორს). ეს შემთხვევა აიხსნება იმით, რომ სვანეთში კაცები და ქალები მუდამ მღერიან ერთად ხოროთი და რადგანაც კაცის ხმა საზოგადოდ დაბალია ქალისაზედ ერთი „ოქტავით“, ამიტომ ქალებს თავიანთი ხმა შეუწყვიათ მათი ხმის „დიაპაზონისთვის“...“ (ფალიაშვილი 1903).
11. გაბრიელ ეპისკოპოსი უშუალოდ ყოფნისას ადგილობრივთა თავყრილობას შესწრებია და გაკვირვებით აღნიშნავს, როგორ მსუბუქად და თავისუფლად უჭირავთ

აქაურ ქალებს თავი. მისი თქმით, ქალები საერთოდ არ გაურბიან კაცებთან ერთად შეკრებებსა მონაწილეობას და მათთან ერთად მღერიან (გაბრიელ ეპისკოპოსი 1867: 37).

12. ღვთაებათა მიწიერი სიყვარულისა და შურისძიების მოტივი არაერთ კულტურაში გვხვდება და, შეიძლება ითქვას, უნივერსალურია. ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, ამგვარი კავშირი (ხშირად ღვთაების მიერ მოკვდავის მოტაცების გზით) უბრალოდ რომანტიკულობისა და მოკვდავთა ცხოვრებაში ჩარევის მოტივით კი არა, არამედ ღვთაებრივი ძალის უზენაესობის მტკიცებისაკენ სწრაფვითაა ნაკარნახევი (Lefkowitz 2002).
13. სამონადირეო ციკლში მონადირის გმირის მრავალფეროვანი გალერეა სხვადასხვა სახელით – ბეთქილი, მანგური, ჩორლა და სხვ. – გვხვდება.
14. სამწუხაროდ, ბეთქილის ციკლის სხვა სასიმღერო ნიმუშებს (მონადირე ჩორლაზე, მანგურზე) ჩვენამდე არ მოუღწევია.
15. დალი მონადირეს სურვილების ასრულებას ჰპირდება და არჩევანს (დედობას, დობას ან ტრფობას) სთავაზობს. ზოგიერთი ვერსიით, მონადირე ტრფობას ირჩევს.
16. დღეს დალა კოჭას ხელღვაჟაღე სრულდება არამართო თავისი პირვანდელი (ორპირული ფერხული) ფორმით, არამედ როგორც სოლო სიმღერა ქუნირის თანხლებით ერთპირული ანსამბლის მიერ (სვანური ხალხური სიმღერები 2017).
17. აქ არ შევჩერდებით კიდევ ერთ ჰიმნურ სიმღერაზე რიჰო, რადგანაც მისი წარმომავლობა დებატების საგანს წარმოადგენს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი განთიადისადმი მიძღვნილ ჰიმნად ითვლება (რიჰ სვანურად განთიადს ნიშნავს), უშვლის ლამარისადმი აღვლენილი ლოცვის ტექსტის გამო მას ღვთისმშობლის საგალობლადაც მიიჩნევენ.
18. ამონარიდი ტექსტიდან: „ო, ნეტავი ჩემს ბედს, ერთი შვილი ნასისხლევი მეყოლება! ფისიმე დასხნია ჩემს დაბადებას“ (სვანური პოეზია 1939: 130-131).
19. უნდა აღინიშნოს, რომ ცოლის წართმევით ან ცოლის მრუშობით შეურაცხყოფილი ქმარი ქალზე ხელს არ აღმართავს და ამბობს: „ქალის მოკვლა მერცხვინება, მეორე ულუფას მამეულთას დაგიდებ“ (სვანური პოეზია 1939: 145).
20. თუმცა არსებობს, აგრეთვე, სიმღერის სხვა ვარიანტი, რომლებიც ფერხულის გარეშე, ქუნირის თანხლებით სრულდება.
21. გავიხსენოთ, რომ დალსაც ანიჭებენ დედფალის ეპითეტს.
22. ცნობილია, მაგალითად, რომ ყველაზე მეტი ეკლესია-მონასტერი სვანეთში სწორედ თამარის დროსაა აშენებული.
23. თუმცა ვფიქრობთ, რომ დედფალ სვანებთან ციური დედოფლის მნიშვნელობას იძენს და არა მიწიერისა, რაც ლიტურატურათმცოდნეობაში თამარის „მეთოხე ჰიპოსტასის“ შესახებ განვითარებულ დისკურსს (ჭელიძე 2011) ესადაგება.
24. ამ ფაქტს გაუკვირვებია თურმე ამერიკელი ცოლ-ქმარი ვასერმანები, როდესაც 1926 წელს, სვანეთის შორეულ, მიუვალ მთებში მოგზაურობისას მკაცრი, ჩაკეტილი

- საზოგადოების ნაცვლად, ერთად მოცეკვავე ქალები და კაცები უნახავთ (<https://www.youtube.com/watch?v=5tTEQ2bM22Q>; <https://www.youtube.com/watch?v=LXLT6a2335k>). ცნობილია, რომ ქართულ ცეკვაში ქალისა და მამაკაცის კაბის კალთებიც კი არ უნდა ეხებოდეს ერთმანეთს. ამის საპირისპიროდ, სვანები (ქალები და კაცები) მჭიდროდ ეკვრიან ერთმანეთს და ფერხულს ისე აბამენ.
25. კასლეთ მთის სახელია უსგვირის მიდამოებში. უსგვირი ნასოფლარია ბალსქვემო სვანეთში.
 26. ზემო სვანეთში ცნობილი არიან მოცეკვავე სოლისტი ქალები, მათ შორის: მანანა გურგულიანი (ცნობილი სვანი ლოტბარისა და ქორეოგრაფის ქალიშვილი), ვენერა ფარჯიანი და სხვ.
 27. სვანეთში არაერთი აკვნის ნანა ჩაწერილი სხვადასხვა დროს. ნ. კალანდაძემ შეკრიბა და გამოსცა ქართული აკვნის ნანები, მათ შორის სვანური ნიმუშებიც (კალანდაძე-მახარაძე 2000).
 28. კატის ნანილა მისმა შვილებმა გიგო და თაისავ ჩამგელიანებმა გაასამხმიანეს და ლატალის ანსამბლთან ერთად ჩაწერეს. შემდგომში ისლამ ფილფანის მიერ გადამუშავებულმა და არანჟირებულმა ნანილამ სხვადასხვა ანსამბლის (მაგ., რუსთავის) რეპერტუარში დაიმკვიდრა ადგილი.
 29. მოგვიანებით ეს ვარიანტი ანა ჩამგელიანმა შეასრულა ჭუნირის თანხლებით.
 30. აკვნის ნანებსა და ტირილის ინტონაციებს, ესთეტიკურის გარდა, განსაკუთრებული სამცენიერო (ეთნომუსიკოლოგიური, ანთროპოლოგიური და სხვ.) ღირებულება აქვს.
 31. საქართველოს ფოლკლორის ცენტრის მიერ ზემო სვანეთში მოწყობილი ექსპედიციის (2021 წლის ზაფხულში) მასალების მიხედვით, „სამი მოზარე ქალი – აგრაფინა ცალანი, საშა ჩხეტიანი, ლიზა ჩხეტიანი – ახსოვთ სოფ. ფარში. გასვენება ყოფილა და სამ ქალს უთქვამს გორაზე ზარი. მოზარეები იყვნენ მამაკაცები, მაგრამ ქალებმა იმღერეს, ბანზე უარი უთხრეს მამაკაცებს, იუკადრისესო“ (რუხაძე 2021). ეს მოვლენა გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს, რადგან არც წარსულში და არც დღეს მსგავსი ინფორმაცია არსად დასტურდება. მიუხედავად ამისა, ქალების მიერ მამაკაცების მკაცრად რეგლამენტირებული სარიტუალო ჰიმნის შესრულება მინიშნებს სვანი ქალის ძალასა და მის უნარზე, აკეთოს ის, რაც საჭიროდ მიაჩნია (აკრძალვების მიუხედავად).
 32. კუკულა კვანჭიანი დატირების ოსტატიც ყოფილა.
 33. ერთხელ ისლამ ფილფანმა (თავად ჭუნირის დიდოსტატმა) შეაქო ანა – მაგარიო, გვითხრა. ვისაც ერთხელ მაინც სჭერია ეს საკრავი, იცის, რა რთულია მასზე დაკვრა; მხოლოდ ოსტატებს შეუძლიათ მისი სათანადოდ ამღერება-ამტყვევლება.

სტატიური გამოყენებადი ზოგირითი სვანური სიტყვის მართლწერა

ქართულად – სვანურად:

ბარბალ – ბარბალ	ლიფანალი – ლიფანალი
დალი – დალ	ლიმხერი – ლიმხერი
კასლეთილა – კასლეთილა	ლიშლდანი – ლიშლდანი
ლამარია – ლამარია	მარიამობა – ლიმგრიე
ლატალი – ლატალი	მელიშლდანე – მგშლდანე
ლახუში – ლახუში	ნანილა/ნანაილა – ნანილ
ლენჯერი – ლენჯერ	ნაჭვლაშ – ნაჭვლაშ
თანლილობა – ლითნალი	უსგვირი – უსგვირი
	ჭუნერი – ჭუნერი

აუდიომაგალითები:

1. ნანილა. თაისავ და გიგო ჩამგელიანები. ანსამბლი ლატალი, 1988 წ.
https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8601/9/08_nana.mp3
2. ნანილა. სვანეთის საექსპედიციო ჩანაწერები. გვაშყან კვიციანი, სოფელი ცხუმარი, 2007 წ. <https://audiomack.com/folkcentre/song/nanila-cradle-song-1>
3. ნანაილა. მატრო ჩარქსელიანი. ჩამწერი: სილვია პოლ ზემპი, 1996 წ.
https://archives.crem-cnrs.fr/archives/items/CNRSMH_E_1994_002_001_001_06/

ვიდეომაგალითები:

- ვიდეომაგ. 1. ბაილ-ბეთელი. ანსამბლი რიპო: <https://fb.watch/blvD8VA0dF/>
- ვიდეომაგ. 2. ბარბალ დოლშ. ანსამბლი რიპო: https://youtu.be/mk4Jc_Z8WnE
- ვიდეომაგ. 3. მირანგულა. სოფელი ლახუში, ჩამწერი: ნიკოლას პერნოტი, 2014 წ. <https://youtu.be/3Y8k-2ee8U8>
- ვიდეომაგ. 4. სოზარ-ციოყ. ჩამგელიანების ოჯახი. აჭარის ტელევიზია, გადაცემა ეთნოფორი: <https://youtu.be/dZO49tp49SE>
- ვიდეომაგ. 5. ირინოლა. ანსამბლი ლატალი. ჩამწერი: მალხაზ ერქვანიძე. <https://youtu.be/0QhShJxYFXk>
- ვიდეომაგ. 6. თამარ დედფალ. ანსამბლი ლატალი. აჭარის ტელევიზია, გადაცემა ეთნოფორი: https://youtu.be/_F-t6VLCP5k
- ვიდეომაგ. 7. კასლეთილა. სოფელ ცხუმარის გუნდი. <https://youtu.be/4lOg7iRtA7w>
- ვიდეომაგ. 8. ლიშლდანი. ხალხური დღეობა, სოფელი ლახუში: <https://fb.watch/blvGjfy-3Wr/>

გამოყენებული ლიტერატურა:

- კალანდაძე-მახარაძე, ნინო (შემდგენელი). 2000. აკვნის ნანა. თბილისი: საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი.
- ახობაძე, ვლადიმერ. 1957. *ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული*. თბილისი: ტექნიკა და შრომა.
- ბარდაველიძე, ვერა. 1939. *სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი*. ნაწ. 1: ახალწლის ციკლი. თბილისი: სსრკ მეცნ.აკად. საქ. ფილ. გამომც. და სტამბა.
- ბარდაველიძე, ვერა. 1941. *ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან: ღვთაება ბარბარ-ბაბარ*. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც.
- ბარდაველიძე, ვერა. 1953. *ქართული (სვანური) სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები*. თბილისი: საქ. სსრ მეც. აკად. გამომცემლობა.
- გაბლიანი, ეგნატე. 1925. „ძველი და ახალი სვანეთი“. წიგნში: ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა II. ეგნატე გაბლიანი. რედ.: როზეტა გუჯეჯანი და მირიან ხოსიტაშვილი. გვ. 42-258. თბილისი: საქ. პარ. ეროვნ. ბიბლიოთეკა. (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/289720/1/Egnate_Gablioni.pdf).
- გაბლიანი, ეგნატე. 1927. „თავისუფალი სვანეთი“. წიგნში: ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, II. ეგნატე გაბლიანი. რედ.: როზეტა გუჯეჯანი და მირიან ხოსიტაშვილი. გვ. 259-408. თბილისი: საქ. პარ. ეროვნ. ბიბლიოთეკა. (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/289720/1/Egnate_Gablioni.pdf).
- გელოვანი, აკაკი. 1983. *მითოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- თოფჩიშვილი, როლანდ. 2010. *საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია*. თბილისი: უნივერსალი.
- ნიჟარაძე, ბესარიონი. 1962. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები*. I ტომი. თბილისი: თბ. უნივერსიტ. გამომც.
- ნიჟარაძე, ბესარიონი. 1964. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები*. II ტომი. თბილისი: თბ. უნივერსიტ. გამომც.
- რუხაძე, თეონა. 2021. ფოლკლორის ცენტრის ექსპედიცია. საექსპედიციო დღიური. <https://www.facebook.com/watch/?v=4217344761634036> (ნანახია 08.22.2021).
- სვანური პოეზია, I ნაწ. 1939. სიმღერები შუკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურია და მ. გუჯეჯანმა. თბილისი: სსრკ მეცნ.აკად. საქ. ფილ. გამომც.
- სვანური ხალხური სიმღერები. 2017. შემდგ.: მაკა ხარძიანი. თბილისი: საქველმოქმედო ფონდი ქართული გალობა.
- სიხარულიძე, ქეთევან. 2006. *კავკასიური მითოლოგია: იბერიულ-კავკასიური მითოლოგია*. თბილისი: კავკასიური სახლი.
- ფალიაშვილი, ზაქარია. 1903. „ჩემი მოგზაურობა სვანეთში და სვანური სახალხო სიმღერები“. ივერია, 1903, N175. (<https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9636/1/ve->

[ria_1903_N175.pdf](#)).

ჩიმაკაძე, ნიკო. 1913. „თავისუფალი სვანეთი“. წიგნში: *ძველი საქართველო*, ტომი II, განყ. IV, გვ. 1-36. ეთნოგრაფია: ეთნოგრაფიული წერილები. რედ.: ექვთიმე თაყაიშვილი. თბილისი: ელექტრო-მბეჭდავი საპირიდან ლოსაბერიძისა. წერედიანი, ნინო. 2006. საკანდიდატო დისერტაცია „სვანურ ხალხურ დღეობათა სანელინადო კალენდარი“. ავტორეფერატი. თბილისი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/152328/1/Avtoferati.pdf>).

ჭელიძე, ედიშერ. 2011. „წმ. თამარ მეფის ე.წ. მეოთხე ჰიპოსტასობისა და „ბუნებითი ღმერთობის“ შესახებ“.

http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=432:-q-q-&catid=49:2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=en (ნანახია 08.20.2021).

ჯავახიშვილი, ივანე. 1979. *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტომი I. თბილისი: თბ. უნივერსიტ. გამომც.

Lefkowitz, Mary R. "Predatory' Goddesses." *Hesperia: The Journal of the American School of Classical Studies at Athens*, vol. 71, no. 4, 2002, pp. 325–344. JSTOR, www.jstor.org/stable/3182040 (ნანახია 09.13.2021).

Scherbaum, Frank, Mzhavanadze, Nana (2018). *A new archive of multichannel-multimedia field recordings of traditional Georgian singing, praying, and lamenting with special emphasis on Svaneti*. LaZAR-Database.

Tuite, Kevin. "The Meaning of Dael. Symbolic and Spatial Associations of the South Caucasian Goddess of Game Animals." <http://mapageweb.umontreal.ca/tuitekj/publications/Tuite-2000-Dali.pdf> (ნანახია 09.01.2021).

Анисимов, Сергей. 1940. *Сванетия*. Москва: Государственное социально-экономическое издательство.

Бакрадзе, Дмитрий. 1877. *Сванетия*. Тифлис : Тип. Гл. упр. Намест. Кавказа.

Гавриил. 1867. "Православие на Кавказе. Обзорение сванет. приходов." *Православное Обзорение*, т. 22, № 1, с. 30—61.

<https://drive.google.com/file/d/15tRKDjsxvBJAQq4PY4xmp4UKMQZCEcql/view?ts=614ddb25> (ნანახია 09.24.2021).

Кожевников, Алексей. 1930. *Человеческий заповедник*. Вольная Сванетия. Москва: Мол. гвардия.

Кожевникова, Евдокия. 1927. საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციები, აღმოსავლური ფონდი, საქაღალდე N15. დოკუმენტი 3.

Кожевникова, Евдокия. 1931. საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციები, აღმოსავლური ფონდი, საქაღალდე N5. დოკუმენტი 2.

Эристави, Рафаель Давидович. 1898. *Заметки о Сванетии*. Тифлис : тип. М. Шарадзе и К.

ქართველი ქალები და ქართული საეკლესიო გალობა

თამარ ჩხეიძე

შესავალი

საეკლესიო გალობა, ისევე, როგორც ხალხური სიმღერა, ქართული ეროვნული იდენტობის განუყოფელი ნაწილია და ყოველთვის¹ განსაკუთრებული ზრუნვისა და პატივისცემის ობიექტს წარმოადგენდა საქართველოში. ქართველთა ისტორიაში კარგად ჩანს გალობის სიყვარული, კრძალვა და პატივისცემა სოციალური წრის, სტატუსის, თუ გენდერისგან განურჩევლად. გალობისადმი ქართველის ამგვარმა დამოკიდებულებამ განაპირობა „მრავალჭირნახული“ ტრადიციის გადარჩენა და ამ საგანძურის დღემდე მოტანა. ამ გზაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქალებმა, რომელთა როლი სამგალობლო-ჰიმნოგრაფიული ხელოვნების დაცვის, სწავლების, განვითარებისა და პოპულარიზების მიმართულებით ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. წარმოდგენილ სტატიაში განხილული და შეფასებული იქნება **ქართველი ქალების** (საერო და სასულიერო პირების) როლი და მნიშვნელობა ჰიმნოგრაფიის ისტორიაში, გალობის ტრადიციის გადარჩენის, შენახვის, აღდგენის, გავრცელებისა და მეცნიერული შესწავლის საქმეში ისტორიულ წარსულსა და თანამედროვეობაში; წარმოდგენილი იქნება, ზოგადად, ქალისა და ქრისტიანული ლიტურგიკული პრაქტიკის მიმართება, ნაჩვენები იქნება დედათა მონასტრების როლი და ჰიმნოგრაფ-ქალთა მოღვაწეობის მნიშვნელობა, წარჩინებულ ქალთა ფუნქციები გალობის ხელოვნების განვითარებაში, უახლესი წარსულისა და თანამედროვე სამგალობლო პრაქტიკაში ქალთა ჩართულობის თავისებურებები.

ქალი და ქრისტიანული ლიტურგიკული პრაქტიკა

საეკლესიო ტრადიციამ და მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაკანონებულმა ქალთა რელიგიურ-უფლებრივმა მდგომარეობამ პირდაპირ განსაზღვრა ქალის ადგილი, ზოგადად, ეკლესიისა და სამგალობლო ხელოვნების ისტორიაში. წყაროების სიმწირე ართულებს შუა საუკუნეებში ქალის როლისა და სტატუსის კვლევას სამგალობლო ხელოვნებაში. მაგრამ ლიტურგიკული პრაქტიკის ამსახველი ძველი წყაროები გვაფიქრებინებს, რომ შუა საუკუნეების ეკლესიაში

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საეკლესიო ღვთისმსახურებაში შეზღუდული იყო, თუმცა არა ქრისტიანობის დასაბამიდან. ქალები ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში აქტიურად იყვნენ ჩართულები ქრისტიანობის გავრცელებაში და მოწინავე პოზიციებიც ჰქონდათ. მამაკაცისა და ქალის დასაბამიერი თანასწორობა ცხადად იკითხება წმიდა წერილში, გაცხადებულია წმიდა მამების დილოგებსა და სწავლებებში. წმიდა მოციქული პავლე გალატელთა მიმართ ეპისტოლეში საუბრობს ხატზე, რომელიც ყველა მორწმუნეში აღიბეჭდება ნათლობის შემდეგ და ეს ხატი ყოველგვარ ეთნიკურ, სოციალურ, თუ სქესობრივ განსხვავებაზე მაღლა დგას: „არა არს ჰურიანება, არცა წარმართება; არა არს მონი თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუს მიერ“ (ახალი აღთქმა. გალატ. 3, 28). იგივე დამოკიდებულება იკითხება კაბადოკიელ მამათა საღვთისმეტყველო შრომებში: „ერთი არს მამათა და დედათა შემოქმედი, ერთია თიხა, ერთია სიკვდილი და ერთი – აღდგომა“ (გრიგოლ ღვთისმეტყველი. სიტყვა 37:6). კაბადოკიელი წმიდა მამებისთვის ქალი თანამოსაუბრე, თანამგზავრი და ზოგჯერ დამრიგებელიც იყო. თუმცა ეს დიდ ხანს არ გავრძელებულა. მას შემდეგ, რაც ქრისტიანობის ინსტიტუციონალიზაცია მოხდა, ქალთა ლიდერობასაც მოედო ბოლო.

პატრისტიკის ეპოქის შემდგომ სახარებისა და წმიდა მამების ანთროპოლოგია მამაკაცისა და ქალის დასაბამიერ თანასწორობაზე გადაფარა არქაულმა შეხედულებებმა ქალის სისუსტესა და არასრულფასოვნებაზე. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა ქალთა როლისა და მდგომარეობის თანდათანობითი დაკნინება მართლმადიდებლურ ეკლესიაში, შესაბამისად – გალობის ხელოვნებაში. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ლიტურგიკული პრაქტიკისა და სამგალობლო ხელოვნების განვითარების ისტორიულ გარემოებებს, შევნიშნავთ, რომ ლიტურგიკული პრაქტიკის მიღმა ქალებს ასპარეზი არ ჰქონდათ, რადგან საქართველოში ამ პრაქტიკისაგან დამოუკიდებელი სასულიერო, რელიგიური მუსიკის მიმართულება უბრალოდ არ არსებობდა. გალობა სწორედ ლიტურგიკული ფუნქციით ჩაისახა და ამ ფორმით გააგრძელა არსებობა. ლიტურგიკული ჰიმნების შეთხზვა და შესრულება მამების პრეროგატივა იყო. ბევრი რამ უცნობია შუა საუკუნეებში ქრისტიან ქალთა ცხოვრებისა და ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ. შუა საუკუნეების ერთადერთი მონაზონი ქალი, რომლის თხზულებებს ლიტურგიკულ ღვთისმსახურებაში ჩართვის

პატივი ერგოთ, იყო ღირსი კასია (IX ს.). მას ეკუთვნის დიდი შაბათის კანონის ძლისპირები. იგი ავტორია შობის, დიდი ოთხშაბათის, იოანე ნათლისმცემლის შობისა და სხვადასხვა მოწამეთა სტიქარონებისა. ის ფაქტი, რომ ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულმა თხზულებებმა შემოინახა კასიას სახელი (მისი ჰიმნების უმრავლესობას ახლავს მინაწერი, საიდანაც ავტორობა ირკვევა), მეტყველებს ეკლესიის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე ამ ქალი-ჰიმნოგრაფისადმი² (კოპლატაძე 2020).

ქართულ დედათა მონასტრები და ქართველი ქალი-ჰიმნოგრაფები

სამგალობლო-ჰიმნოგრაფიული ხელოვნება, თავისი პირველადი ლიტურგიკული დანიშნულებიდან გამომდინარე, სხვა ქრისტიანული ტრადიციების მსგავსად, საქართველოშიც ეკლესია-მონასტრებში ვითარდებოდა.

საზოგადოდ, მონასტრული ცხოვრება საქართველოში მე-4 საუკუნეში, წმიდანინოს მიერ შვიდი ქალწულის შემოკრებისა და მათთვის მაყვლოვანში ლოცვითი წესის დადგენის ისტორიიდან იწყება. სამონასტრო ცხოვრების დასაბამად საქართველოში წმინა ნინოსა და სამთავროს დედათა მონასტერს მიიჩნევენ (ჭანიშვილი 2016: 13).

საქართველოს განმანათლებელიც ქალი ჰყავდა (აქ ჯერ დედათა მონასტერი დაარსდა) და, ღვთის განგებულებით, თავად ქვეყანაც ქრისტიანობაზე მოსაქცევად ქალს – დედა ღვთისმშობელს ერგო წილად. ამდენად, ქალისა და დედათა მონასტრების განსაკუთრებული ადგილი და როლი იმთავითვე განისაზღვრა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში.

შუა საუკუნეებში ქართველ ქალთა სამონასტრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები არსებობდა როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. მაგალითად, პალესტინაში, ქართველ ქალთაგან შემდგარი ასეთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო კაპპათა, რომელიც, ბაგრატ IV-ის მეუღლეს, ბორენასა და მათ ქალიშვილს XI საუკუნის მეორე ნახევარში დაუარსებიათ პალესტინაში. გარდა კაპპათასი, წყაროებში მოიპოვება ცნობა დელტავისა და დერთუფას ქართველ ქალთა 60 მონასტრის შესახებ, რომელთაც, ასევე, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა უწარმოებიათ პალესტინაში (მენაბდე 1980). აღნიშნული მონასტრები საგანმანათლებლო ცენტრებს წარმოადგენდა, ამ მონასტრებში მოღვაწე დედები, როგორც ჩანს,

აღმზრდელით მუშაობასა და სწავლებას ეწეოდნენ. ერთ-ერთი წიგნის გადამწერი, სახელად ბასილი, აცხადებს დელტავას მონასტრის დედათა მიმართ – „დანო პათიოსანნო, გვედრები გაზრდილი თქუენი ბასილი“ (ჭაფარიძე, 2012). ქართველ დედათა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, როგორც ჩანს, არც გვიან ხანებში შეწყვეტილა. მრავალი დოკუმენტია შემორჩენილი, რომლებიც გვაუწყებენ ქართველ ქალთა ზრუნვას ხელნაწერთა გავრცელების, მათი გადარჩენისა და განახლების, პოეტური შემოქმედების შესახებ. შემორჩენილია მათი სახელებიც და ღვანლიც³. ზოგიერთი მათგანი ხელნაწერთა ახალ ნუსხებს ამზადებდა, ზოგი კი – ორიგინალურ თხზულებებსაც ქმნიდა. აშკარაა, ქართველ ქალთა ასეთი საქმიანობა სათანადო აღზრდასა და განათლებას მოითხოვდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ დედათა მონასტრებში გალობის ხელოვნების დაუფლებაც ხდებოდა. სამწუხაროდ, ქართველ მწიგნობარ დედათა ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. აღსანიშნავია, იამბიკო პოეტი ქალისა ბორენასი, რომელიც, მკვლევართა უმრავლესობის მოსაზრებით, ბაგრატ IV-ის მეუღლე, დედოფალი ბორენაა, ხოლო პავლე ინგოროყვას აზრით – ცოტნე დადიანის მეუღლე. ჰიმნოგრაფი ქალების მოღვაწეობის შესახებ ცნობები მატულობს გვიანი პერიოდის (XVII-XIX სს.) წყაროებში (კეკელიძე 1965).

ქართველ ჰიმნოგრაფ ქალთა შორის გამოირჩევა **მონაზონი მაკრინე**⁴. მეცნიერთა შეფასებით, მაკრინე მონაზვნის (XVIII ს.) ჰიმნოგრაფიული თხზულებები სიღრმითა და პოეტური აღმაფრენით არ ჩამოუვარდება ქართული ჰიმნოგრაფიის ცნობილ წარმომადგენლებსაც კი. მაკრინე ისეთ ხანაში ცხოვრობდა, როდესაც საქართველოში კულტურული ცხოვრება აღმავლობას განიცდიდა. ეს იყო ხანა ვახტანგ VI-ის და მისი სკოლისა, ხანა სულხან-საბა ორბელიანისა, კათოლიკოზ დომენტისა, დასაწყისი ხანა ანტონ პირველის მოღვაწეობისა. საეკლესიო სფეროში ამ დროს შეინიშნება აქტიური მოძრაობა ქართული ეროვნული დღესასწაულების მოწესრიგებისა და მათთვის შესაფერი საგალობლებისა და „აკოლუთიის“ შედგენისათვის; მიმდინარეობს საეკლესიო კალენდრის გადახედვა და წარმოებს კოდიფიკაციური მუშაობა აგიოგრაფიის დარგში. ეპოქის ასეთ მრავალმხრივსა და ინტენსიურ მუშაობაში ჩაერთო ახალგაზრდა, განათლებული და სამშობლოს მოყვარული მაკრინეც. თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, ის „იყო სწავლული ქართულსა ენასა ზედა ფრიად“,

იცოდა უცხო ენებიდან ფრანგული, სომხური და ბერძნული (კეკელიძე 1965). აღსანიშნავია მისი იამბიკური „შესხმა“ ღვთისმშობლისა და ჰიმნები იოსებ ალავერდელის სახელობისა. ავტორი აღტაცებულია შეგნებით, რომ იოსებ ალავერდელმა განამტკიცა და განაახლა ნინოს მიერ ქადაგებული ქრისტიანობა, რითაც მან ხელი შეუწყო ქართველების ზნეობრივ განსაპეტაკებასა და გაკეთილშობილებას. მაკრინე მონაზვნის ჰიმნოგრაფიული შემოქმედება გაიზიარა ქართულმა ლიტურგიკულმა პრაქტიკამ.

ჰიმნოგრაფიული ტექსტების შეთხზვის პროცესი წარმატებულად გრძელდება ჩვენი დროის მონაზონი დედების მოღვაწეობით. ძალზე ნაყოფიერია ამჟამად მონაზონ ნინოს (ბრეგვაძე) საქმიანობა. მან შეადგინა არაერთი დაუჯდომელი და საეკლესიო განგება⁵ (სადღესასწაულო 2003), ასევე, ახლადკანონიზებული წმინდანების საგალობლები (ნათელი ქრისტესი. საქართველო 2006: 13) მათგან განსაკუთრებით გამოვყოფთ ქართული გალობის ისტორიაში გამორჩეული ფიგურის – ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძის)⁶ ტროპარ-კონდაკს.

მონაზონმა ნანამ (აგლაძე) შეთხზა ტროპარ-კონდაკი ბეთანიელ მამებზე (ნათელი ქრისტესი 2006: 167). ძალზე ნაყოფიერია საერო პირის, თინათინ მჭედლოშვილის შემოქმედებითი საქმიანობა. თითქმის 20 წელია იგი წმიდათა ღვაწლის, პარაკლისთა და დაუჯდომელთა შედგენა-გამოცემითა დაკავებული (ნოზაძე 2013).

ქართული გალობის ისტორია გალობის სრულყოფილ მცოდნეებს ხელოვანთ-მთავარსა და გალობის მოძღვარს უწოდებდა. გვიან საუკუნეებში სრული საწელიწადო გალობის მცოდნე პირები სრული მგალობლის ტიტულს ატარებდნენ. აღსანიშნავია, რომ რაჟდენ ხუნდაძე ანტონ ქუთათელაძის მეუღლეს, ჭალაგანიდის ქალს სრული მგალობლის სტატუსით მოიხსენიებს, რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენდა (ხუნდაძე 1911: IV). ქალი-მგალობლის განსაკუთრებულ უნარსა და გამორჩეულობაზე მიგვითითებს სამთავროს დედათა მონასტრის მონაზონ სიდონიასთავის (1884-1964 წწ.) ტკბილადმგალობლის ზედსახელის მინიჭება. ასეთი ზედსახელით მონაზვნის შემკობა (რომლის მსგავსი მხოლოდ ერთადერთი ანალოგი იცის ეკლესიის ისტორიამ რომანოზ ტკბილადმგალობლის სახით) მის ღვთივობძებულ განსაკუთრებულ ტალანტზე უნდა მიანიშნებდეს.

სამთავროს დედათა მონასტერი და ქართული გალობა

გალობის ტრადიციის გადარჩენაში XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული დედათა მონასტრების (განსაკუთრებით კი, ბოდბესა და სამთავროს დედათა მონასტრების) მნიშვნელობა გამორჩეულია. წყაროების უკმარობის გამო არ ვიცით, როგორი სამგალობლო ტრადიციები ჰქონდა სამთავროს XIX საუკუნემდე. დედათა მონასტრის დაარსების (1820 წ.) შემდგომ ტკბილი ქართული გალობა არ მოჰკლებია მსმენელს და მას შემდეგ „აქ მოისმის მწყობრი გალობა ორის დასისა“ (ივერია 1890). მონასტრისა და ეროვნული არქივის მასალებიდან⁷ ნათლად ჩანს, რომ წმიდა ნინოს სავანეში გალობა განსაკუთრებულ საქმედ ითვლებოდა. როგორც ირკვევა, სამთავროში გალობდა ყველა ილუმენია. „აღსარებას იტყვის და წმიდას საიდუმლოს მიიღებს ოთხსავ მარხვაში ყოველს წელიწადს, იცის ქართულსა ენასა ზედა საღმრთო წერილი, წერა, კითხვა და გალობა“ – აღნიშნულია საარქივო მასალებში ილუმენიების შესახებ (სამთავროს არქივი დოკ. #32). გალობს მონასტრის ამჟამინდელი წინამძღვარიც, ილუმენია ქეთევანიც (კოპალიანი), რომელიც ორი საუკუნის წინ საფუძველჩაყრილ ტრადიციას ღირსეულად აგრძელებს მონასტრის კრებულთან ერთად (სამხარაძე 2015).

სამთავროს მონასტრის დედეები კრებულს გარეთაც ავრცელებდნენ ცოდნასა და გალობის სწავლებას. ღირსი ილუმენია ნინოს (უმცროსი) თაოსნობით ქართული გალობის სწავლება სავალდებულო საგანთა სიაში შეუტანიათ მის მიერ 1866 წელს დაარსებულ „ობოლ გოგონათა სასწავლებელშიც“. ქალთა სკოლაში ექვსწლიანი სწავლება სამ კლასად ყოფილა დაყოფილი: დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი. ორენოვან (ქართულ და რუსულ ენებზე) სასწავლო პროგრამაში ქართულ გალობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. გაზეთი „ივერია“ დაწვრილებით მოგვითხრობს ქალთა სკოლის მოსწავლეების გალობაზე, რომელთაც თითქმის მთელი წირვა გამოიყვანეს გალობით: „თუმცა კი, ეს მათი ცდა პირველი ყოფილიყო, მაგრამ მაინც მადლობის და თანაგრძნობის ღირსნი არიან“ – წერდა გაზეთი *ივერია* (ივერია 1894: 1; ციტ. შულღიაშვილი 2015: 240).

წმიდა ნინოს სავანეში სვეტიცხოვლის სკოლის, იგივე *კარბელაანთ კილოს*, საგალობლებს ასრულებდნენ. აღმოსავლურ-ქართული სამგალობლო ნიმუშების შესრულება დღესაც მტკიცე ტრადიციას წარმოადგენს მონასტერში და სავანის წინამძღვრის, ილუმენია ქეთევანის ლოცვა-კურთხევით, უპირატესობა სვე-

ტიცხოვლის სკოლის რეპერტუარს ენიჭება. სამთავროს მონასტრის დედები ქართულ გალობაზე ზრუნვას დღესაც აგრძელებენ როგორც ლიტურგიკულ პრაქტიკაში ჩართვით, ისე გალობის ისტორიისა და თეორიისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კვლევებით (სამხარაძე 2015; სამხარაძე 2018).

წარჩინებული ქალები და ქართული გალობა

ძველ საქართველოში აღზრდა-განათლების სისტემაში საგანგებო ადგილი გალობას და ძლისპირების შესწავლას ეჭირა. წარჩინებულთა წრეში აუცილებელი იყო განათლების მიღება, როგორც ვაჟთათვის, ისე ქალთათვის. ქალთა და ვაჟთა აღზრდაზე ზრუნვა საერთო წესებს ემყარებოდა. ქალი, თუ ვაჟი ადრეული ასაკიდანვე უნდა ზიარებოდა გალობის ხელოვნებას. გალობის არცოდნა აუგად მოიხსენიებოდა: „იმერეთის თავადთა და აზნაურთა, **თვით ქალთაც** სირცხვილად მიაჩნდათ სრულებით უმეცრება გალობისა“ – წერდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე დავით მაჩაბელი (მაჩაბელი 1864: 60), ამიტომაც საქართველოში „თვალსაჩინო ოჯახი ძვირათ მოიპოვებოდა, რომ გალობა არ სცოდნოდათ“ (ხუნდაძე 1911: I).

მოზარდთა აღზრდის საქმეს საქართველოში ქალები ხელმძღვანელობდნენ და, ამ მხრივ, მათ მეტად მნიშვნელოვანი როლი ეკავათ, ძირითადად, საშინაო სწავლებაში, თუმცა მონასტრებთან წარმოებულ დაწყებითი სწავლების საქმეშიც იყო მათი წვლილი. ხშირად ისინი, როგორც აღმზრდელები, აღსაზრდელთა სწავლების მეთვალყურეც იყვნენ. ცნობილია, რომ გრიგოლ ხანძთელის⁸ აღზრდას ნერსე ერისთავის მეუღლე უწევდა მეთვალყურეობას. თვით თამარის მამის, გიორგი III-ის აღმზრდელია მისი მამიდა თამარი (დავით აღმაშენებლის ასული). გიორგი II-ის აღმზრდელად მისი ბებია გურანდუხტი (გიორგი I-ის ასული) გვევლინება და სხვ.

დედოფალთა ჩართულობა შინაური სწავლებისა და გალობის სწავლა-მოძღვრების ორგანიზების საქმეში ტრადიციად იყო ქვეული საქართველოში და მემკვიდრეობით გადადიოდა. „მარიამ დედოფლის⁹ მწიგნობრობის ტრფიალება განაგრძო ანნა დედოფალმა (დიასამიძის ასული), მეფე ირაკლის მეუღლემ, თავისი შვილების აღსაზრდელად თავი მოუყარა საუკეთესო კაცებს და სწავლა-განათლების გემო გააგებინა. სხვათა შორის მოუწვია თავის შვილს, თეიმურაზს (მამა ირაკლი II-ისა) ახალგაზდა დიმიტრი ხელაშვილი, რომელმაც

შეასწავლა ქართული გალობა როგორც თეიმურაზს, ისე დანარჩენ ბატონიშვილებს“ (კარბელაშვილი 1898: 61). დედოფალ მარიამის საგანამანთლებლო მოღვაწეობის ფარგლები გაცდა ოჯახურ წრეს. მარიამ დედოფლის დამსახურებით სამეფო ოჯახი ქართული მწერლობის, ეკლესიისა და გალობის მფარველად იქცა. დედოფალი განსაკუთრებულ პატივს სცემდა მგალობლებს და გალობათმოდგარებს. დედოფლის სასახლესა და მეფის დარბაზებში ორგუნდოვანი გალობა უღერდა და „გუნდის შეწყობილი გალობა ატკბობს მლოცველთა ყურსა“ (კარბელაშვილი 1898: 61). მარიამი, რომელსაც თავისი მოღვაწეობის გამო თამარ მეფეს ადარებდნენ, „იყო ყოვლითა შემკული კეთილით, რომლის მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არავინ ყოფილა“.



მარიამ დედოფალი.

პოლიევქტოს კარბელაშვილი ფასდაუდებელ ცნობებს გვანვდის იმ პირთა შესახებ, ვინც ძნელბედობის ჟამს (XVI – XVIII სს.) დიდი ამაგი გასწია ქართული გალობის გადასარჩენად და დანვრილებით მოგვითხრობს მუხრან-ბატონის სამეფო ოჯახის ღვაწლზე 1510-1724 წლებში, განსაკუთრებით გამოჰყოფს სწორედ მარიამ დედოფალს, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მეფეზე. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ქართული გალობა ქართლის გამაჰმადიანებული მეფის – ხოსრო მირზას მმართველობის დროს დაწინაურებულიც კი იყო, დედოფალი მარიამის განსაკუთრებული ქრისტიანული ღვთისმოსაობის წყალობით, რასაც სპარსული ორიენტაციის მეფე ხოსრო მირზა ხელს არ უშლიდა.

სამგალობლო ხელოვნების პრივილეგებული მდგომარეობა და დედოფლის

ყურადღება გალობისადმი კარგად ჩანს მამია გურიელის კარზე მგალობელთა ორი გუნდის არსებობაში, სადაც დედოფლის სახელზე შექმნილ გუნდში უფრო მაღალდახელოვნებული მგალობლები იყვნენ გაერთიანებული, რადგან ისინი, როგორც რ. ხუნდაძე გვაუწყებს, „ვარჯიშით“ გალობდნენ (ხუნდაძე 1911: IV).

გალობის აღორძინების საქმეს ერეკლე მეფე აგრძელებს, რომლის დროსაც ყველა საკათალიკოსო ტაძართან სამგალობლო გუნდი ჩამოყალიბდა. მაგრამ XVIII საუკუნეში მის მიერ ინიცირებული გალობის აღორძინების პერიოდი¹⁰ ხანმოკლე აღმოჩნდა. რუსეთის მიერ 1801 წელს საქართველოს ანექსიის შემდეგ, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასთან ერთად, მიზანმიმართულად მიმდინარეობს ტრადიციულ გალობასთან ბრძოლა. აღნიშნულის გამოძახილია XIX საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწის, ქართული გალობის დიდი გულშემატკივრის – დავით მაჩაბლის გამოთქმული გულისტკივილი ქართული წეს-ჩვეულებებისა და, მათ შორის, გალობის ტრადიციის დაკნინებასთან დაკავშირებით. ვრცელ წერილში „ქართუჴლთ ზნეობა“ იგი აღწერს ქალის გალობასთან დამოკიდებულებას წარსულში, წუხილს გამოთქვამს თანადროულ სპარსული ყაიდის გავრცელებაზე: „ოდეს ამერთა ყრმათა ან არავითარი მიხუდომა არა აქუს ქართულის გალობისა, უეჭუელად ქალთა უფრო არ ეცოდინებათ ქართული გალობა“ (მაჩაბელი 1864: 65); ავტორი იწონებს კათოლიკე ქალთა მონდომებას გალობის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით და დანაწილებით იხსენებს მაკრინე მონაზვნის წვლილს: „მხოლოდ არ შეიძლება აქ დიდ საქებელად არ მოვისხენოთ კათოლიკთა ქალნი, რომელნიცა შწნიერად ჰგალობენ იტალიანურის ნოტიით ფსალმუნთა ორღანზედ და ტურფის გალობით შეამკობენ წმიდასა მათსა ეკკლესიასა, როგორც მე მინახამს ქალაქს გორს კათოლიკე ეკკლესიაში. სამასის წლის წინათ მონოზანი მაკრინა სთხზავდა სძლისპირთა საგალობელად დედისა თჳსისა წმიდისა დიდისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა და სხუათაცა ღირსთა ქართუჴლთა მამათა მიღებულთა წმიდისა ჩუჴნი ეკკლესიისაგან რიცხუთა შორის წმიდათასა – ქალი ესე ძაძით მოსილი და მონოზნობის ღუაწლით დამზრალი, ტრფიალი საღმრთოჴსა მწერლობისა და მით დიდისა სახელისა დამტევებელი, უეჭუელად იმ დროს მცხოვრებთა ქართუჴლთაგან იქმნებოდა ფრიად საქებელი და უმეტეს პატივცემული ვიდრე ფერუმარილით და ძკრფასს ტანისამოსით მორთულნი ქალნი; მონოზანი მაკრინა არის ან ჩუნთჳს და იქმ-

ნება შემდგომთა თვით უშორესთა შთამომავლობათათსცა დიდათ საქებელი და საყუარელი, როგორც ნამდვლად ყოვლად შუჭნიერი ქალი; ვინაფთგან ყოველი ადამიანი აღმოსჩნდების შუჭნიერად და მოიგებს სიყუარულსა ერთათა ოდენ უბიწოებითა, სიმართლითა და კეთილისა ლუაწლითა“ (მაჩაბელი 1864: 65). დაბოლოს, გალობის ტრადიციის მემკვიდრეობითი გადაცემის პროცესში გამოყოფს ქალთა როლს და საქციელს უწუნებს სპარსული გავლენების ქვეშ მოქცეულ ქალებს: „მაკრინა მონოზნის დროს, თუმცა ქართუწლნი გარეშე მტერთაგან იყუნენ უკიდურესსა შეიწროებაში, მარამ კუალად **აქ დედანი ასწავლიდნენ შვლთა თვსთა გალობასა და საღმრთოსა წერილსა**; მამანი – სამხედროსა ზნეობასა, ხოლო ან ელვარესა? ამას დროსა, მრავალნი ქალნი ნაცულად მიბაძვსა ღირსთა მათ დედათა საღმრთოფსა ტრფიალებითა და უკუდავისა სახელისა დატევებითა, უფრო ხშირად მხოლოდ როკუწ ლხინსა და შექცევაში უშესაბამოს ყოფაქცევითა და დასძახიან ძუწლთა მათ მეჩანგეთა სიმღერასა სპარსულის სახედ, რომელსაც დიდის ეშხით ინვრთიან ამერნი; შვლნიცა სწავლობენ მას, რაფცა ესმისთ მშობელთაგან“ (მაჩაბელი 1864: 66).

ეგზარქოსობის პერიოდი და ქართულ ქალთა გალობა

ანექსიის შემდეგ რუსეთმა მიზანმიმართული ბრძოლა გამოუცხადა ქართულ გალობასა და ქართულ ენას, როგორც ერის იდენტობის გამოსატულებას. ეკლესიებში ქართული ფრესკები ირეცხება და იღებება კირით, უქმდება ქართულ ენაზე ღვთისმსახურება და ქართულ გალობას ევროპული ჰარმონიითა და მრავალხმიანობის ფორმებით გადმოცემული რუსული გალობა ეპაექრება. დრო გადის და საუკუნეებგამოვლილი ქართული გალობა ნელ-ნელა მივიწყებას ეძლევა და უძვირფასესი კულტურული საგანძური დაკარგვის გარდაუვალი საშიშროების წინაშე დგება.

ისიც უნდა იქვას, რომ ქალთა ქართულ გალობაში ეგზარქოსული პოლიტიკა ნაკლებ საფრთხეს ხედავდა და, ვაუებისგან განსხვავებით, მას ნაკლებ შეზღუდვებს უწესებდა. ამ პერიოდში ქალთა გუნდები ფუნქციონირებს როგორც მონასტრებში, ისე ქალთა სასულიერო, სამრევლო და სხვა სასწავლებლებში. იქმნება კრებულები საგანგებოდ ქალთა რეპერტუარისთვის. მათ შორისაა ანდრია ბენაშვილის კრებული, რომელიც შეიცავს უაღრესად საინტერესო რეკომენდაციებს გალობის სწავლების მეთოდოლოგიის კუთხით. ავტორის

გადმოცემით „ამ რვეულში აღნიშნულია ქართლ-კახური კილოს საეკლესიო საგალობლები. შედგენილია ქალთა ხოროსთვის. კილო ქართული სრულიად დაცულია და ისე სადად არი შედგენილი, რომ ნოტების ცოტათი მცოდნეც კი ადვილად გაიგებს და იგალობებს. მოსწავლეთათვის ადვილია დასასწავლად... სწავლება ამ საგალობლებისა ასე უნდა: თითოეული საგალობლის დაწყება-პირველი ხმა უნდა დაისწავლოს ყველა მაგალობელმა ბეჯითად და შეუცდომლად. როდესაც ამ მიზანს მიაღწევს, უნდა ამოირჩიოს რამდენიმე მოსწავლე, მაგ. ოთხი; აცნობოს მათ რომელ ხმაზედ იწყება პირველი, რომელზედ – მეორე. რამდეჯერმე ათქმევინოს ამ ოთხ მოსწავლეს და სხვებს ყური აგდებინოს. ამ რიგად მერე სხვებს აგალობებს და ბოლოს მაგალობელთა გუნდი ორ დასად გაიყოფა. ხან ერთი დასი იტყვის დაწყებას, და მეორე მოძახილს, ხან მეორე დასი იტყვის დაწყებას და პირველი მოძახილს. ეს ადვილი მოსახერხებელია, რადგან მოძახილი სრულებით დაწყებას – პირველ ხმას ემორჩილება. ბოლოს, როდესაც მაგალობლები ორხმაზედ თქმაში გაიწურებებიან, მაგალობელთა გუნდი სამ დასად იყოფა და იწყება მესამე ხმის – ბანის შესწავლა. ამ სახით მომეტებული ნაწილი მაგალობლებისა გებულობს ყველა ხმებს და ხმების ერთმანეთთან დამოკიდებულობას. ეს საშუალება უადვილებს მოსწავლეს გალობის სამ ხმაზედ წარმოებას მეტადრე მაშინ, როდესაც ცოტაოდენი გალობის ნიჭი მისდევს. სამ ხმაზედ სწავლება შეიძლება 11-12 წლის ქალებთან; უფრო პატარებთან საკმაოა დაწყების შესწავლა. გალობა უნდა ითქვას წყნარად, ტკბილად და გრძნობით; ამასთანავე მწყობრად და სიტყვების გამოთქმით. კვილი, ჩხავილი, ბლავილი და სიტყვების ღეჭვა მეტად დააუშნობს გალობას“ (ბენაშვილი Q-1287).

ამ ვრცელ კომენტარში კარგად ჩანს გალობის შეწავლის მთავარი პრინციპი, ეტაპობრივი ჩართვა ხმებისა: ა) პირველ ეტაპზე კარგად დასწავლა მთავარი ჰანგისა; ბ) შემდეგ მაღალი ბანის დამატება; გ) ბოლოს კი ამ ორ ხმაზე ბანის შერწყმა. საგალობლის სწავლების პროცესში, მთავარი ჰანგის დასწავლის შემდეგ მაგალობელთა ჰარმონიული სმენის განვითარებაზე მიმართული სავარჯიშოებიც მკაფიოდ იკვეთება.

ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე 1915 წელს ანჩისხატის ეკლესიაში წარმოთქმულ ქადაგებაში გულისტკივილით აღნიშნავდა: „ჩვენს სამრევლო ეკლესიებში სოფლად თუ ქალაქად წირვა-ლოცვა სრულდება მეტისმეტად

დაუდევრად, უსასოდ და უშნოთ. ვინღა იცის ჩვენში ტიბიკონი! თვით აღარ არის ჩვენს ეკლესიებში დღეს გალობა და თუ სადმე კიდევ გალობენ ქართულად, – ეს ისეთ წარყვნილ, არეულ-დარეული კილოთი, რომ ყურთა სმენა აღარ არის ასეთ მაგალობელთაგან და ესენი სასოების ნაცვლად იწვევენ მორწმუნეთა შორის სამართლიან საყვედურს და გულის წყრომას“ (იღუმენია ნინო 1915: 17).

ქართულ გალობასთან ბრძოლის საპასუხო რეაქცია იყო XIX საუკუნეში ახალი მოძრაობის წამოწყება და ქართული საეკლესიო გალობის მცოდნეთაგან საგალობლების ნოტებზე გადატანისკენ მიმართული ფართომასშტაბიანი მოძრაობა. XIX საუკუნემდე ზეპირ-წერიტი ტრადიციით მოტანილი ქართული გალობის ნიმუშების ხუთხაზიან ევროპულ სანოტო სისტემაზე გადატანით უძველესი ცოცხალი ტრადიციის გადარჩენა მოხერხდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ახალი შეზღუდვა შეექმნა გალობას და, ზოგადად, ქრისტიანულ სარწმუნოებას. არა მხოლოდ გალობის ნიმუშების შესრულება იკრძალებოდა, არამედ იზღუდებოდა ლიტურგიკული პრაქტიკა და რიტუალებში მონაწილეობა. ასე განყდა განვითარების ბუნებრივი ჯაჭვი ქართული საეკლესიო მუსიკისა, თუმცა მისი გადარჩენა ნოტებზე გადატანის გზით მოხერხდა.

თანაჟღეროვე გარემო: გალობის პრაქტიკა და კვლევა

კომუნისტური რეჟიმისგან გათავისუფლების შემდეგ ქართული გალობის ტრადიციის აღდგენის აქტიური პროცესი დაიწყო და დღესაც ინტენსიურად გრძელდება. ქალთა როლი ამ პროცესში, ისე, როგორც ეს ისტორიულად იყო დამახასიათებელი, კვლავ ინარჩუნებს დიდ მნიშვნელობას. ქართული გალობის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობის გახდა XX საუკუნის 80-იან წლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტების ჯგუფის ინიციატივა ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების ლიტურგიკულ პრაქტიკაში დაბრუნების თაობაზე. ანჩისხატის მაგალობელთა გუნდის შექმნა ძლიერი ბიძგი აღმოჩნდა სხვა გუნდების, მათ შორის, ქალთა გუნდების ჩამოყალიბებისთვის. ჯვარის მამის ტაძრის (თბილისი) მაგალობელ ქალთა გუნდი პირველი იყო, ვინც 1989 წელს მხარში ამოუდგა ანჩისხატის მაგალობლებს და მათთან ერთად აქტიურად ჩაება ქართული ტრადიციული გალობის აღდგენისა და საღვთისმსახურო პრაქტიკაში მისი დაბრუნება-დანერგვის საქმეში. 90-იან

წლებიდან საქართველოს სხვადასხვა ეკლესიაში თანდათანობით გააქტიურდა ქალთა გუნდების შექმნის პროცესი. მაგრამ ქალთა სამგალობლო ხელოვნებაში განსწავლა მაინც კერძო პირთა ინიციატივებს ეფუძნებოდა. ქალთა გუნდები ჩამოყალიბდა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ამ გზაზე განუზომელია დამსახურება ქალი-მოღვაწისა, მგალობლისა და მასწავლებლისა – **ლია სალაყაიახი**, რომლის თავდადება და სიყვარული ქართული სიმღერა-გალობისადმი ყველასთვის სამაგალითოა.

ქართული გალობის გადარჩენისა და გავრცელების საქმეში განსაკუთრებული წვლილისთვის ლია სალაყაია 2019 წელს საქართველოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქართული ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმიდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა. საქართველოში ამჟამად მოქმედი სამგალობლო გუნდების რეგენტებისა და მგალობლების დიდი უმრავლესობა სწორედ ლია სალაყაიას მოწაფეები არიან. მის ყოფილ მოსწავლეებს შორის არიან ქართული ეკლესიის იერარქებიც – ეპისკოპოსები, დეკანოზები და მღვდლები. ლია მასწავლებელი 40 წლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურა ქართულ გალობას. ხანდაზმულ ასაკშიც კი, სამების საკათედრო ტაძრის სამრევლო სკოლაში გალობის გაკვეთილების ჩატარების შემდეგ, იგი ყოველდღიურად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩადიოდა, რომ ქართული ტრადიციული გალობა უსასყიდლოდ შეესწავლებინა ახალგაზრდებისათვის. მუდამ მომღიმარე, სათნოებით და კეთილშობილებით აღსავსე ლია სალაყაიამ მართლაც მისიონერული როლი ითამაშა ახალგაზრდებში ქართული ტრადიციული სიმღერა-გალობის გავრცელების საქმეში.

თუმცა, გალობაში ქალთა ჩართულობა ბოლო დრომდე მაინც კერძო ინიციატივების ფარგლებში გრძელდებოდა. 2015 წლიდან, გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის¹¹ ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ქართული საეკლესიო გალობის მიმართულებით აკადემიურ სივრცეში განათლების მიღების შესაძლებლობა მიეცათ გოგონებს. ამ გადაწყვეტილებამ დადებითად იმოქმედა გოგონათა შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებაზე. გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები აყალიბებენ სამგალობლო გუნდებს და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაუფლებულ ცოდნასა და უნარებს იყენებენ შემოქმედებით-პროფესიულ პრაქტიკაში.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ქალთა როლი საეკლესიო მუსიკოლოგიის განვითარებაშიც განსაკუთრებული გახდა. ქართული მუსიკოლოგიის ამ ახალი კვლევითი მიმართულების განვითარების გზაზე, რაც განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს 80-იანი წლების მიწურულიდან იღებს. განსაკუთრებულია პროფესორ მანანა ანდრიაძის დამსახურება, რომლის სახელსაც უკავშირდება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკათედრათშორისო ჯგუფის ბაზაზე, ჯერ სასულიერო მუსიკის კვლევის ლაბორატორიისა და შემდეგ საეკლესიო მუსიკის მიმართულების დაარსება 2007 წელს. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულ ნაშრომებში (რომელთა ავტორების დიდი უმრავლესობა ქალბატონები¹² არიან) შესასწავლ საკითხთა წრე და თემატიკა ფართოვდება და ღრმავდება, ყალიბდება ახალი მეთოდოლოგია და კვლევები მაღალ აკადემიურ დონეს აღწევს. საეკლესიო საგალობლების სინთეზური ბუნების გაცნობიერება და ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული ძეგლების ლიტურგიკის ისტორიის კონტექსტში კვლევა – ეს ის ახალი მეთოდოლოგიაა, რომლითაც 80-იანი წლებიდან ხასიათდება საეკლესიო საგალობლების მუსიკოლოგიური შესწავლა.

ამ კვლევითი მიმართულების განვითარება გრძელდება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საეკლესიო მუსიკოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე, სადაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევითა და სამთავროს მონასტრის წინამძღვრის ილუმენია ქეთევანის (კოპალიანის) ხელშეწყობით სწავლასა და სამეცნიერო საქმიანობას აგრძელებს ერთადერთი მონაზონი ქალი-მკვლევარი, ნინო სამხარაძე.

ახალ ისტორიულ სინამდვილეში კვლავ გრძელდება ქალთა მხრიდან ქართული გალობის დაცვისა და პოპულარიზაციისკენ მიმართული საქმიანობა. ამ მხრივ გამორჩეულია ფონდი *ქართული გალობა*, რომლის გენერალური დირექტორი ქალბატონია. ფონდის საქმიანობის მიზანია ქართული გალობისა და ხალხური შემოქმედების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. აგრეთვე, ქართული საეკლესიო მუსიკის სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობა. ფონდის გენერალური დირექტორის – ნანა გოთუას ინიციატივით, გალობის უნივერსიტეტის სტუდენტი გოგონების წამახალისებელი არაერთი ღონისძიება ხორციელდება. დაწესებულია სტიპენდიები ახალგაზრდა და მრავალშვილიანი დედებისთვის. ქალბატონი ნანა გოთუას

მხარდაჭერა და ქართული გალობის დაცვის, გადარჩენისა და პოპულარიზაციის მიმართულებით განეული ღვაწლი ქრისტიანული სათნოების, სიკეთისა და ეროვნული ტრადიციების პატივისცემის გამოხატულებაა.

ქართული გალობა ეროვნული იდენტობის შემადგენელ ფენომენს წარმოადგენს და ნიშანდობლივია, რომ, როგორც ქართული ტრადიციული პოლიფონიის ერთ-ერთი მძლავრი შენაკადი, ხალხურ სიმღერასთან ერთად იგი იუნესკომ 2001 წელს მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედეგად აღიარა.

ამრიგად, დროსთან ერთად ცვალებადია ოფიციალური ეკლესიის დამოკიდებულება ქალთა მსახურებაში ჩართულობასა და ჰიმნოგრაფიულ შემოქმედებასთან დაკავშირებით. მაგრამ ქალთა მხრიდან აღებული პასუხისმგებლობა საქართველოში მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებისა და გალობის დაცვის საქმეში, როგორც დავინახეთ, სტაბილურია და გასდევს მთელ ისტორიას საეკლესიო გალობისა. ტრადიცია კვლავაც გრძელდება, რამეთუ „ქალნი გალობით მლაღადებელნი ღუთისადმი, არა განიშორებენ ხსოვნიდგან ქალწულებრივსა კეთილ კრძალულებასა და მოთმინებით მიბაძვასა წმიდათა ღუაწლშემოსილთა დედათასა; ერთგულ ექმნებიან ქმართა და სახლთა თვსთა და კეთილად აღზრდიან შვილთა“ (მაჩაბელი 1864: 63). მისია, რომელიც წმიდა ნინოს განმანათლებლურ მოღვაწეობაში გაცხადდა, ქართველი ქალის ფენომენში თავისებურად განსხეულდა. წმიდა ნინოს ჩაყრილი ნერგი კეთილ ნაყოფს დღესაც ისხამს ქართველი ქალის გალობისადმი შეწირულ საქმეში.

შენიშვნები:

1. თუ არ ჩავთვლით საბჭოთა იდეოლოგიის მიერ დაწესებულ შეზღუდვებს და აკრძალვებს.
2. დასავლეთის ეკლესიაში ჰიმნოგრაფ ქალებს შორის გამორჩეულად დგას ბენედიქტელი მონაზვნის – ჰიმნოგრაფის, ფილოსოფოსისა და წინასწარმეტყველის – ჰილგედრად ბინგენელის (1098-1179) ფიგურა (Flanigan 1993).
3. ვრცლად ქართველი მწიგნობარი ქალების შესახებ იხ.: ჯავიაშვილი, ი. ძველი ქართული მწიგნობარი ქალები. თბილისი.1994.

4. ქართველი მეფის – თეიმურაზ პირველის და, მეფე ერეკლე პირველის ქალიშვილი.
5. მათ შორისაა 100000 მოწამის განგება, ღირსი ზაბულონისა და სოსანას ხსენების განგება. პარაკლისები და დაუჯდომლები სხვადასხვა წმინდანთა სახელებზე შედგენილი.
6. ქართული საეკლესიო გალობის მოვლის, შენახვის, გადარჩენის საქმეში შეტანილი განუზომელი ღვაწლისა და თავდადებისათვის 2003 წელს ქართულმა ეკლესიამ ექვთიმე (ერისკაცობაში ესტატე) კერესელიძე წმიდანად შერაცხა და ექვთიმე აღმსარებელი უწოდა. ტროპარი მე-4 ხმის ჰანგზე ილია ჭლარკავამ გამართა. <https://www.youtube.com/watch?v=bXbCYO1Lgho> (ნანახია 10.11.2021).
7. საარქივო მასალების შესახებ დეტალურად იხ. ბიბლიოგრაფიაში.
8. გრიგოლ ხანძთელი – IX საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწე. ტაო-კლარჯეთში (საქართველოს ისტორიული მხარე, დღეს თურქეთის ტერიტორია) მისი დაარსებული მონასტრები IX-X სს.-ში ქართული მწიგნობრობის და ჰიმნოგრაფიის მძლავრ კერად იქცა. როგორც გიორგი მერჩულეს (X ს.) აგიოგრაფიული თხზულებიდან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ირკვევა, კლარჯეთის სავანეში გალობის სწავლებას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა. მამა გრიგოლს ზეპირად სცოდნია მთელი წლის საგალობო რეპერტუარი, მასვე შეუდგენია „საწელიწდო იადგარი“.
9. ქართლის დედოფალი 1634-1676 წლებში, როსტომ მეფის (იგივე – ხოსრო მირზას) მეუღლე, ოდიშის მთავრის, ლევან დადიანის და (მ. სურგულაძე. <https://qim.ge/mariam%20dedofali%20XVII%20s.html>) (ნანახია 10.11.2021).
10. 1764 წლის 1 ოქტომბერს წირვა-პარაკლისის შემდეგ ანტონ კათალიკოსმა ერეკლე მეფის თანდასწრებით გახსნა მღვდელთ-მთავართა კრება (რომელიც 18 დღის განმავლობაში გაგრძელდა). აქ გამოტანილი ერთ-ერთი დადგენილების (ყველა სამღვდელთმთავრო ტაძართან მგალობელთა გუნდების შედგენის თაობაზე) შესაბამისად ჩამოყალიბდა სვეტიცხოვლის საკათალიკოზო სკოლა. პოლიეექტოს კარბელაშვილის ცნობით „მცხეთაში სამასამდე ყმაწვილი კაცი სწავლობდა საღვთისმეტყველო და საფილოსოფოსო საგნებს, გეოგრაფიასა და არითმეტიკას და, მათ შორის, გალობასაც. ყოველი მოსწავლე წერდა იამბიკოებს მეფის, კათალიკოზის და სხვა წარჩინებულ პირთა საპატივსაცემოდ და მათ მაგალითს აძლევდა ანტონ კათალიკოსი. მისი თქმით – სწორედ აქ, და თელავსა და თბილისში დაარსებულმა სემინარიებმა ააყვავა კვლავ ძველი გალობა და გაავრცელა საქართველოს ყველა კუთხეში (კარბელაშვილი 1989:70).
11. გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი 2006 წელს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის მიერ დაფუძნდა. უნივერსიტეტის შექმნის სათავეებთან იდგნენ მამა დავითის მონასტრის არქიმანდრიტი იოანე (კიკვაძე) ამჟამად რექტორი, ქართული ხალხური სიმღერა-გალობის დიდი მოამაგე ანზორ

ერქომაიშვილი, ფინანსური მხარდამჭერია ბიზნესმენი და მეცენატი, ბ-ნი ვანო ჩხარტიშვილი. გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები (ქართული საეკლესიო გალობის რეგენტებისა და ხალხური სიმღერის ლობთარების აკადემიური კვალიფიკაციით) პროფესიულ საქმიანობას აგრძელებენ რეგიონებში, აყალიბებენ სამგალობლო გუნდებს და ეწევიან პედაგოგიურ მოღვაწეობას.

12. „სადვით ლიტურგია ღვთისმსახურების ქართულ პრაქტიკაში“ (მუსიკალურ-ლიტურგიალური ასპექტი) – თამარ ჩხეიძე, 1997 წ.; „ნევბური დამწერლობა და ნევმირების სისტემა ღვთისმსახურების ქართულ პრაქტიკაში“ (X-XI და XVIII საუკუნეების ხელნაწერთა მაგალითზე) – ეკატერინე ონიანი, 2003 წ.; „გალობის კანონიკის ძირითადი ასპექტები ძველ ქართულ სასულიერო მუსიკაში“ – მაგდა სუხიაშვილი, 2006 წ.; „რვა ხმის სისტემა ქართულ საეკლესიო გალობაში (საგალობელთა სანოტო ჩანაწერების მიხედვით)“ – დავით შულღიაშვილი, 2009 წ.; „ქართული საგალობლის ესთეტიკა, არსი და მხატვრული მეთოდი“ – სვიმონ ჯანგულაშვილი, 2012 წ. აქვე აღვნიშნავთ ნაშრომს „წმიდა ანდრია კრიტელის კანონი და მისი ქართული ძღისპირები“ – ბათუნა მანაგაძე, 2006 წ. (სამეცნიერო ხელმძღვანელი, ემერიტუს პროფესორი რუსუდან წურწუმია).

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბაგრატიონი, ვახუშტი. 1973. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება*. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. რედაქტორი: ს. ყაუხჩიშვილი. თბილისი.
- ბენაშვილი, ანდრია. *ქართლ-კახური კილოს საეკლესიო საგალობლები. შედგენილი ქალთა ხოროსთვის*. საქართველოს ეროვნული არქივი. ხელნაწერი Q-1287.
- გრიგოლ ღვთისმეტყველი. სიტყვა 37. <<https://www.newadvent.org/fathers/310237.htm>> (ნანახია 21.02.2022).
- გაზ. *ივერია*. 1894. 15 თებერვალი. #35.
- ამილახვარი, ნინო (იღუმენია). [1915] 2016. თბილისი.
- კარბელაშვილი, პოლიევქტოს. 1989. *ქართული საერო და სასულიერო კილოები. ისტორიული მიმოხილვა*. ტფილისი. სტამბა ექ. ივ. ხელაძისა.
- კეკელიძე, კორნელი. 1960. *ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. I. თბილისი, მეცნიერება.
- ნათელი ქრისტესი. საქართველო. 2006. II ტომი. რედაქტორი: კირთაძე, ნესტან. თბილისი: საქართველოს საპატრიარქო.
- კოპლატაძე, გვანცა. 2020. *ნარკვევები ბიზანტიური ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიაში*. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.
- მაჩაბელი, დავითი. 1864. „ქართველთ ზნეობა. გალობა“. უფრნალში: ცისკარი, მაისი, #5, გვ. 49-73.
- მენაბდე, ლეო. 1980. *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. 2, თბილისი.

- ნოზაძე, თეონა. 2013. „როგორ იწერება წმინდათა დაუჯდომლები და პარაკლისები“. საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტ ჟურნალი ამბიონი.
<<http://www.ambioni.ge/rogor-iwereba-wmidanta-paraklisebi-da-daujdomlebi>>
(ნანახია 10.11.2021).
- სადღესასწაულო, რომელ არს გამოკრებულ თუენი. 2003. თბილისი. საქართველოს სა-
პატრიარქო.
- სამთავროს დედათა მონასტრის არქივი. დოკუმენტი #32.
- სამხარაძე, ნინო (მონაზონი). 2015. *სამთავროს მონასტრის სამგალობლო ტრადიციები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე*. საბაკალავრო ნაშრომი. თბილისის სახელმწიფო კონ-
სერვატორია.
- სამხარაძე, ნინო (მონაზონი). 2018. „შეხვეტილიანი“ – ვნების პარასკევის ცისკრის დას-
დებლები ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში. (ისტორიული და მუსიკალურ-
ლიტურგიკული ასპექტები). სამაგისტრო ნაშრომი. თბილისის სახელმწიფო კონსერ-
ვატორია.
- საქართველოს ეროვნული არქივი. 24. ფ. 1461, #56.
- შულღიაშვილი, დავითი (რედ.). 2015. *ქართული გალობის ქრონიკა*. თბილისი: საქართვე-
ლოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
- ჭანიშვილი, გია. 2016. *სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი*. მესამე შესწორე-
ბული გამოცემა. მცხეთა: სამთავრო.
- ქაფიაშვილი, იზოლდა. 1994. *ძველი ქართველი მწიგნობარი ქალები*. თბილისი.
- ხუნდაძე, რაჟდენ. 1911. *ქართული გალობა: ლიტურჯია იოანე ოქროპირისა, ბასილი
დიდისა და გრიგორი ღვთის-მეტყველისა: პარტიტურა // ნოტებზე გადაღებული
მღვდლის რაჟდენ თ. ხუნდაძის მიერ გურულ-იმერულ სადა კილოზე*. ტფილისი :
გამოცემა ესტატე სოლომანის-ძის კერესელიძისა.
- ჯაფარიძე, გოჩა. 2012. „დერთუფა და დერთავი: ქართული დედათა მონასტრები იერუ-
სალიმში“. წიგნში: *კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის*. ისტორიულ-ფი-
ლოლოგიური ძიებანი მიძღვნილი ზაზა ალექსიძის დაბადების 75 წლისთავისადმი.
მთავარი რედაქტორი: დალი ჩიტუნაშვილი. თბილისი. ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრი.
- Flanigan, Sabina. 1993. *Hildegard of Bingen: A Visionary Life*. Reprint Routledge.

ქალი ავტორ-შემსრულებლები ქართულ ქალაქურ მუსიკალურ ფოლკლორში

ბაია ჟუჟუნაძე

შესავალი

„ქალი“ (“Cherchez la femme”) – ალექსანდრე დიუმას ეს ფრაზა ხშირად გამხდარა ჩემი პროფესიული ძიებების ათვლის წერტილი. მათ შორის ამ სტატიისაც, რომელიც ქართველ ქალთა მუსიკალური შემოქმედების ერთ კონკრეტულ პლასტს ასახავს. კერძოდ, ქალი ავტორ-შემსრულებლების როლს ქართულ ქალაქურ მუსიკალურ ფოლკლორში. ამ პლასტის პირველი მკვლევარი გრიგოლ ჩხიკვაძე აღნიშნავს, რომ ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის კვლევა ქართველმა მუსიკისმცოდნეებმა საკმაოდ გვიან დაიწყეს, რადგან ის მეორეხარისხოვან მუსიკალურ მემკვიდრეობად მიიჩნეოდა (მშველიძე 1961; მშველიძე 1970). იმავეს მიუთითებს თამარ მესხიც, რომელმაც ამ საკითხს მრავალი შრომა მიუძღვნა (მესხი 1965, 1989).

მანამ უშუალოდ ქართულ ქალაქურ მუსიკალურ ფოლკლორში ქალი ავტორ-შემსრულებლების ძიებას დავიწყებდით, მცირედი ექსკურსი თავად ამ პლასტის ჩამოყალიბება-განვითარებას მინდა დავუთმო.

ქართული ქალაქურ მუსიკალური ფოლკლორი – ეპროკისა და აზიის გასაყარზე

მხატვრულად დამოუკიდებელი ეს პლასტი სხვადასხვა კულტურული ტრადიციის სინთეზის შედეგად აღმოცენდა და XX საუკუნემდე, ძირითადად, ორ განშტოებად მოაღწია – აღმოსავლური, ერთხმიანი ქალაქური ფოლკლორი და დასავლური მრავალხმიანი ქალაქური ფოლკლორი.

აღმოსავლური შტი

„აღმოსავლური ჰანგების საქართველოში შემოჭრას XVI-XVII საუკუნეებს უკავშირებენ. ქალაქური ფოლკლორის აღმოსავლური შტი სხვაგვარად აშუღურ ხელოვნებად იწოდება. იგი საქართველოს ცალკეულ რეგიონებში – სამცხე-ჯავახეთში, ქართლ-კახეთში – მაჰმადიანთა ჩამოსახლების შედეგად დამკვიდრდა“¹. XVIII საუკუნიდან აშუღური ხელოვნება ფართო გავრცელებას ჰპოვებს,

რაც დაკავშირებულია მეფე ერეკლე მეორეს კარზე მოღვაწე მგოსნების – პოეტებისა და მუსიკოსების – საიათნოვასა და ბესიკის სახელებთან. თბილისში დაბადებული წარმოშობით სომეხი საიათნოვა, ლექსებს სამ – ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე წერდა და, როგორც თვითონ ამბობდა, „სპარსულ ჰანგზე“ ამღერებდა. ბესიკს, ქართველ პოეტს, საზსა და თარზე შესანიშნავ და-მკვრელს, ქართულ პოეზიაში აღმოსავლური პოეზიისათვის ტიპური ფორმები – ბაიათი და მუხამბაზი შემოაქვს. XIX საუკუნის თბილისში ამ ფორმებმა ე.წ. „ტფილისურ მუსიკალურ ფოლკლორს“ დაუდო სათავე.

აშუღური ხელოვნება სინკრეტულობით ხასიათდებოდა, რადგან მასში ერთიანდება მუსიკის, პოეზიის, თეატრის ელემენტები. აშუღები – პოეტისა და მუსიკოსის ნიჭითა და იმპროვიზაციის უნარით დაჯილდოებული ადამიანები იყვნენ, რომელთაც გამორჩეული ადგილი ეკავათ თბილისის კულტურულ ცხოვრებაში. მათი სახელები და შემოქმედება დღემდე ცოცხალია, მაგრამ მათ შორის არც ერთი მათგანი არ გახლავთ ქალი. აღმოსავლურ შტოში ქალთა სახეები ჩნდება მხოლოდ მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან. ამაზე ვრცლად მოგვიანებით ვისაუბრებ.

დასავლური შოი

დასავლური ყაიდის ქართული ქალაქური მრავალხმიანი ფოლკლორი შედარებით გვიანდელი მოვლენაა და ის საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარიდან იწყებს გავრცელებას. ამ შტოს ჩამოყალიბება, ძირითადად, დაკავშირებულია 1851 წლიდან თბილისში იტალიური საოპერო დასის მოღვაწეობასთან. სრულიად ახალი ტიპის, მაჟორულ-მინორულ ფუნქციონალობაზე დამყარებული მრავალხმიანობა წარმოიშვა ნეაპოლური სიმღერების, იტალიური საოპერო არიების, რუსული საყოფაცხოვრებო რომანსის, სტუდენტური სიმღერებისა და ქართული ტრადიციული მრავალხმიანი აზროვნების თავისებურებების სინთეზით. „ეს სიმღერები სრულდება ძირითადად ორ ან სამ ხმაზე გიტარის თანხლებით. ეროვნულ კოლორიტს ინტონაციურ წყობასთან ერთად სპეციფიკური გლოსოლალიები აძლიერებენ. ამ შტოს ქალაქური მრავალხმიანი სიმღერების დიდი ნაწილი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ პოეზიასთან. იგი განსაკუთრებით გავრცელებული იყო იმერეთში, ქალაქებში ქუთაისსა და ზესტაფონში“².

დასავლური შტოს ქალი ავტორ-შემსრულებლები

დასავლური შტოს პირველი ქალი ავტორ-შემსრულებელი, რომელიც ისტორიას შემორჩა, ესაა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ყველაზე ცნობილი ქართული სიმღერის *სულიკოს* ავტორი ბარბარე (ვარინკა) მაჭავარიანი-წერეთელი.

გრიგოლ ჩხიკვაძე წერს, რომ რევოლუციამდე საქართველოში იყვნენ სხვა ქალებიც, რომლებიც ქართველი პოეტების ლექსებზე თხზავდნენ სიმღერებს და თვითონვე ასრულებდნენ მათ ვინჩრო წრეში (ჩხიკვაძე 1970: 24). სამწუხაროდ, მათმა სახელებმა ჩვენამდე არ მოაღწია. მათი მუსიკალური მემკვიდრეობა კი გახალხურდა.

ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში გენდერის საკითხის პირველი მკვლევარი ნინო ციციშვილი 2003 წელს წერს: „ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში სქესი არ გამხდარა კვლევის ცალკეული ანალიტიკური კატეგორია. ქართულმა ეთნომუსიკოლოგიამ შესაბამისად გამოიმუშავა მამაკაცთა მიერ დომინირებული ქართული მრავალხმიანი სასიმღერო ტრადიციის შიდა (შიგნიდან ხედვის) ტრადიცია“ (ციციშვილი 2003: 487).

ბოლო 20 წლის მანძილზე გენდერის საკითხი აქტუალობას იძენს, როგორც კვლევებში, ასევე, სასცენო შემსრულებლობაში. ამის მკაფიო მაგალითია მოცემული კრებული და მასში გაერთიანებული ქალი მკვლევრები და შემსრულებლები.

„შემოქმედების ნებისმიერ ფორმაში სქესის ასპექტი უნდა განვიხილოთ ადამიანთა/შემოქმედთა სოციალური პოზიციიდან და იმ შესაძლებლობებიდან, რომლებსაც მათ ეს სოციალური პოზიცია ანიჭებს“ (ციციშვილი 2003: 487).

ზოგჯერ, საზოგადოებაში არსებული სოციალური პოზიციების რეალური განლაგების დასანახად, საკმარისია ერთი ფაქტი ან მოვლენა, რომელიც სრული რაკურსით ასახავს ამ სინამდვილეს. ვფიქრობ, ზუსტად ასეთი მოვლენაა სიმღერა *სულიკოს* ავტორის ისტორია, რომელიც მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის რეალობას ასახავს.

ბარბარე (ვარინკა) მაჭავარიანი-წერეთელი (1874-1948)

ბარბარე (ვარინკა) მაჭავარიანი 1874 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროში გენერალ სპირიდონ მაჭავარიანისა და გვიტია აგიაშვილის ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ რუსიფიკაციის საწინააღმდეგოდ წამოწყებულ საგანმანათლებლო მოძრაობაში. ვარინკა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის გამო, ზინაიდა ვორობეცს (ფილიმონ ქორიძის³ მეუღლე) მიაბარეს. მათ ოჯახს ხშირად სტუმრობდა აკაკი წერეთელი, რომელიც მოხიბლული იყო ვარინკას შესრულებით. ვარინკა მალე პოეტს დაუნათესავდა – ჩვიდმეტი წლისამ სერგო წერეთელზე იქორწინა.

„1895 წელს ჟურნალში „კვალი“ დაიბეჭდა აკაკის „სულიკო“, რომელიც პოეტმა მალევე გადასცა ვარინკას და სთხოვა – რამე ჰანგი შეერჩია მისთვის. ასე დაიბადა მრავალი ადამიანისთვის საყვარელი სიმღერა“ (გაფრინდაშვილი 2014).

სულიკო დაბადებიდანვე აიტაცა მსმენელმა. 1900 წელს სიმღერა კოტე ფოცხვერაშვილმა ნოტებზე გადაიტანა მეჩონგურეთა გუნდისათვისა და ფორტეპიანოსათვის. ფოცხვერაშვილის ვერსია ორკესტრმა 1905 წლის აგვისტოში შეასრულა ქუთაისის საქალაქო თეატრში.

1934 წელს გამოვიდა მიხეილ ჭიაურელის ფილმი *უკანასკნელი მასაკარადი*, რომელიც რეჟისორმა ოქტომბრის რევოლუციის 17 წლისთავს უძღვნა⁴. ფილმი არღანზე შესრულებული *სულიკოთი* იწყება. მოგვიანებით აკორდიონის თანხლებით სიმღერას თავად რეჟისორი ასრულებს (ვიდეომაგ. 1). ფილმმა დიდ წილად განსაზღვრა სიმღერის საბჭოთა მასშტაბით პოპულარობა.

1937 წელს მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე, *სულიკო* ავქსენტო მებრელიძის მეჩონგურე ქალთა ანსამბლმა შეასრულა, მაგრამ არა როგორც ვარინკა წერეთლის, არამედ – როგორც ხალხური სიმღერა.

„ამ დღიდან მთელი საბჭოეთის შემოქმედებითი ჯგუფები ერთმანეთს ასწრებდნენ მის შესრულებას, გადამღერებას თუ გადამუშავებას. ვარინკა წერეთელი, ცხადია, არავის უხსენებია“ (გაფრინდაშვილი 2014).

დეკადის შემდეგ ვარინკა წერეთელი იწყებს ბრძოლას საავტორო უფლებების მოსაპოვებლად. საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირის, 1938 წლის 5 ოქტომბრის სხდომამ (თავმჯდომარე ვანო გოციელი, ესწრებოდნენ: კოტე ფოცხვერაშვილი, შალვა დადიანი, ავქსენტი მეგრელიძე და სანდრო კავსაძე) დაადგინა, რომ სიმღერა *სულიკოს* ავტორი ვარინკა წერეთელია.

ავქსენტი მეგრელიძემ არ ისურვა შემოსავალი ავტორისთვის დაეთმო და თანავტორობაზე განაცხადა პრეტენზია. ვარინკა იძულებული გახდა, საკითხის გასარკვევად იუსტიციის კომისიისთვის მიემართა, სადაც სპეციალურად შექმნილმა კომისიამ მისი ავტორობა დაამტკიცა. *სულიკოს* შემოსავლის 75% სწორედ მას, ხოლო 25% – ავქსენტი მეგრელიძეს, როგორც სიმღერის პოპულარიზატორს მიაკუთვნა.

1940 წლიდან ვარინკა წერეთლის სიმღერები დები იშხნელების რეპერტუარის განუყოფელი ნაწილი ხდება. მათი დედა, ვასასი ლოლაძე, ვარინკას მეგობარი და საუკეთესო მომღერალი იყო.

იშხნელების რეპერტუარში *სულიკოს* გარდა შედიოდა ვარინკას მეორე, არანაკლებ პოპულარული სიმღერა *მუხამბაზი*. „სამწუხაროდ, დღეს უკვე ძალიან რთულია მის მიერ შექმნილი სხვა მელოდიების დადგენა, რადგან აღარავინაა ისეთი, ვისაც ამ საკითხზე ცნობები გააჩნია“ (გაფრინდაშვილი 2014).

ვარინკა წერეთელი 1948 წელს გარდაიცვალა. სიმღერა *სულიკოს* უამრავ სანოტო გამოცემათაგან, მუსიკის ავტორს მხოლოდ საავტორო უფლებების მოპოვების მომდევნო წლის (1939) გამოცემა აღნიშნავს. სხვა ყველა გამოცემაზე ასეთი მითითებაა: „ტექსტი აკაკი წერეთლისა, მუსიკა – ხალხური“. უცნაური ფაქტია, რომ ამ გამოცემებს შორისაა 1954 წელს, ვანო გოციელის მიერ გუნდისა და ფორტეპიანოსთვის გამოცემული ნოტებიც. სწორედ გოციელი თავმჯდომარეობდა სხდომას, რომელმაც ვარინკას ავტორობა დაადგინა.

სიმღერა *სულიკოს* დღესაც მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ქართული სიმღერაა. თუმცა, მისი ქალი ავტორის ისტორია დღემდე საჭიროებს წინა პლანზე წამოწევას.

ღაბი იზხნელაბი

იზხნელის გვარი იზხნის მონასტერს უკავშირდება. საუკუნეების წინ არაბებისგან დანგრეული მონასტერი გრიგოლ ხანძთელის დეიდაშვილს – ნეტარ საბას აღუდგენია, რის შემდეგაც მას გვარად იზხნელი უწოდეს. სწორედ იმ იზხნელის შთამომავალი იყო ალექსანდრე იზხნელი, რომლის მეუღლე ვასასი ლოლაძე ქუთაისში ცნობილი შემსრულებელი გახლდათ. ალექსანდრესა და ვასასის შვიდი ქალიშვილი და სამი ვაჟი შეეძინათ და ყველა მათგანს დაჰყვა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი. ქუთაისში, არქიელის გორაზე იზხნელების ოჯახში ცნობილი სალონური შეხვედრები ეწყობოდა. პოეზიისა და მუსიკის საღამოებზე მათ ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ აკაკი წერეთელი, ვანო სარაჯიშვილი, ვარინკა წერეთელი, გალაკტიონი და სხვა ცნობილი ხელოვანი.

სიმღერებს დებ იზხნელებს დედა – ვასასი ლოლაძე ასწავლიდა. ის ქალთა ლოტბარი გახლდათ. ქალიშვილები ხშირად იხსენებდნენ: „როგორც კი დედა თავისუფალ დროს მოიხელთებდა, გვერდით შემოგვისხამდა და ასე იწყებოდა ჩვენი სიმღერის გაკვეთილები. თავადაც მღეროდა და ჩვენც გვამღერებდა, გვასწავლიდა გიტარაზე დაკვრას და ქართულ სიმღერებს, გვიმუშავებდა ხმებსო...“⁵

მოგვიანებით დები იზხნელები თბილისში გადმოდიან საცხოვრებლად. 1941 წელს, ფილარმონიაში კონცერტში მონაწილეობის მისაღებად, ვოკალური კვარტეტად ჩამოყალიბდნენ. კვარტეტის შემადგენლობაში შევიდნენ დები: ნინო (1898–1967), თამარი (1900–1994), ზინაიდა (1902–1968) და ალექსანდრა (1904–1955) იზხნელები. 1955 წლიდან ალექსანდრა შეცვალა მისმა დამ მარიამმა (1889–1973).

დების ანსამბლს თამარ იზხნელი ხელმძღვანელობდა. ის იყო სიმღერების მუსიკისა და არანჟირების ავტორი. რეპეტიციებიც თბილისში, ორბელიანის ქუჩაზე, მის სახლში ტარდებოდა, მკაცრად განსაზღვრული გრაფიკით. მათი შესრულების მოსასმენად ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი ქართველი პოეტები, ვის ტექსტებზეც იქმნებოდა თამარ იზხნელის სიმღერები (*ყველა სნეულებაზე, არც ჰოს ამბობს, არც არას, შენ აყვავდი, ქართლო მეტად, ახალი წელი, არ დაიჭერებ და სხვ.*) (ვიდეომავ. 2).

მეორე მსოფლიო ომის წლებში იშხნელების კვარტეტი სამხედრო ნაწილებში მართავდა კონცერტებს. გადმოცემით, სტალინი მათი სიმღერების ჩანაწერებს, თითქმის ყოველდღე უსმენდა. დები არა ერთი სახელმწიფო წოდებით დაჯილდოვდნენ. ისინი უყვარდა მსმენელს, როგორც ნამდვილი სახალხო შემსრულებლები. კვარტეტმა იარსება 1967 წლამდე. სამი დის გარდაცვალების შემდეგ თამარ იშხნელი წლების შემდეგ, მეგობრების დიდი თხოვნით, დაბრუნდა სცენაზე. 1972 წლიდან გამოდიოდა როგორც ქართული და ძველი რუსული რომანსების შემსრულებელი. თავდაპირველად მარტო, შემდეგ შვილიშვილებთან – მანანა⁶ და თინა მენაბდეებთან ერთად მღეროდა.

თამარ იშხნელმა ქართული ესტრადის არა ერთი ცნობილი ქალი შემსრულებელი აღზარდა – ნუკრი კაპანაძე, ანსამბლ *თაიგულის* მომღერლები, თამრიკო ქოხონელიძე, ეკა კახიანი, მაია ჯაბუა და სხვები. თამარ იშხნელს სიცოცხლის ბოლომდე არ მიუტოვებია სცენა და სიმღერა. იგი 1994 წელს 96 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დები იშხნელების უნიკალურ საშემსრულებლო სტილი დღესაც მთავარი შთაგონების წყაროა ამ ჟანრის ახალგაზრდა შემსრულებელთათვის.

ადმოსავლური შტოს ქალი ავთორ-შემსრულებლები

ადმოსავლურ შტოში ქალთა სახეები ჩნდება მხოლოდ მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან. ამ ტიპის სიმღერის ინსტრუმენტული თანხლებისთვის ადმოსავლური საკრავები გამოიყენება. ამ საკრავებზე საჯაროდ შემსრულებლები კი მხოლოდ მამაკაცები იყვნენ, უმეტეს შემთხვევაში სომხური ან აზერბაიჯანული წარმომავლობის. ქართულმა ქალაქურმა ფოლკლორმა განსაკუთრებით შეითვისა დუდუკი, რომლის რბილი ტემბრი ორგანულად ინტეგრირდა ზოგადქართულ მუსიკალურ ესთეტიკასთან.

ანა ვარდიაშვილი (1900-1978)

პირველი ქალი შემსრულებელი, ვინც მედუდუკეთა დასტის თანხლებით სცენაზე ადმოსავლური ყაიდის სიმღერები შეასრულა, გახლდათ ანა ვარდიაშვილი. ანას მშობლები და მთელი მათი საგვარეულო დაჯილდოებული იყო მუსიკალური ნიჭით. ანას მამა, სასულიერო პირი, დეკანოზი დიმიტრი (ტიტე) ვარდიაშვილი იოსებ რატილის გუნდის⁷ ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი იყო. ანას მამიდის – ქეთოს სიმღერას აღტაცებაში მოჰყავდა თვით ვანო სარაჯიშვილი⁸.

ვარდიაშვილები სოფელ საბუედან იყვნენ. ეს სოფელი ადრე თელავის რაიონში შედიოდა. თელავში ოჯახს სახლი ჰქონდა, ანაც სკოლაში თელავში შეიყვანეს. 9 წლის ასაკში ხერხემლის მიძიმე დაზიანება მიიღო. სამკურნალოდ ყირიმში გაგზავნეს. ორი წელიწადი პანსიონატში ცხოვრობდა და მკურნალობდა. 1917 წელს რევოლუცია მოხდა და მუსიკის განათლების მიღების გეგმები არეულობის გამო სამუდამოდ გადაიდო.

ვარდიაშვილის სასცენო დებიუტი 1927 წელს შედგა თელავში, ელენე ახვლედიანის⁹ მოთავეობით გამართულ ქალი პოეტ მარიჭანის (მარიამ ტყემალაძე) საპატივსაცემო კონცერტზე. ფანდურის თანხლებით შეასრულა თუშური შაირები. საფანდურო თანხლებას კი ელენე ახვლედიანი უწევდა (ჟღენტი 2011). ანა ვარდიაშვილი და ელენე ახვლედიანი კლასელები იყვნენ და მთელი ცხოვრება მეგობრობდნენ.

ანა ვარდიაშვილი 1928–1931 წწ.-ში სამსახიობო ოსტატობას ეუფლება რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიაში, რომლის დამთავრების შემდეგ ხდება ამავე თეატრის მსახიობი.

ანა ვარდიაშვილის ქალიშვილი ქეთევან ვარდიაშვილი იგონებს: „1930 წელს მოსკოვის დეკადისტის მიმდინარეობდა მზადება და სანდრო ახმეტელს გადაუწყვეტია, დაედგა მასობრივი სპექტაკლი, მკვეთრი ქართული ეპიზოდებით. სანდრო ახმეტელი სპექტაკლისთვის მასალებს რომ აგროვებდა, სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები მოიწვია, მათ შორის მედუდუკეებიც. დედაჩემი შესანიშნავად მღეროდა ფანდურის, გიტარის, როიალის თანხლებით, მაგრამ, დუდუკზე სიმღერა აზრადაც არ მოსვლია არასდროს... მედუდუკეებს რეპეტიცია რომ ჰქონიათ, ერთ-ერთ მედუდუკეს უკითხავს, ამხელა თეატრში ერთი მომღერალიც არ გყავთ, ჩვენთან ერთად, რომ იმღეროსო? მსახიობ თამარ ბაქრაძეს უთქვამს, გყავსო და დედაჩემზე მიუთითებია. დედაჩემს რომ უმღერია, ყველა აღტაცებაში მოსულა და გადაუწყვეტიათ, საკონცერტო ნომრებიც გაეკეთებინათ“ (ჟღენტი 2011).

დეკადაზე ანა ვარდიაშვილის შესრულებამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ის მოსკოვის რადიოკომიტეტში მიიწვიეს. ჩანაწერები ევროპის ქალაქებშიც გადაიყვანა. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ კიევშიც მიიწვიეს. ასე გახდა

ანა ვარდიაშვილი დუდუკებზე მომღერალი პირველი ქალი. დღეს ყველაზე ცნობილი მედუდუკეთა დასტის¹⁰ *ქსოვრელები* შემოქმედების საწყისი ეტაპი ანა ვარდიაშვილის უკავშირდება.

ვარდიაშვილის რეპერტუარს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კარლო კალაძის ლექსზე შექმნილ სიმღერას *თამარ ქალის სიმღერა*, რომელიც ხალხში ცნობილია სახელით *ჩემი გმირი გიწოდე*. სიმღერის შექმნის ინიციატივა პოეტს ეკუთვნის. მან თავად თხოვა ვარდიაშვილს მის ლექსზე მუსიკა შეექმნა. სიმღერის პირველი შემსრულებელიც თავად ვარდიაშვილი გახლდათ (ვიდეომაგ. 3).

ანა ვარდიაშვილის 200-მდე სიმღერიდან ჩანაწერის სახით მხოლოდ 10 სიმღერაა შემორჩენილი. ეს მისი რეპერტუარის საუკეთესო სიმღერებია, რომლებიც ომის პერიოდში ჩაინერა. რადიოკომიტეტის სამუსიკო განყოფილების გამგის კაკო ძიძიგურის ინიციატივით სიმღერები კინოფირებზე ჩაწერეს. ამჟამად გაციფრებული სიმღერები რადიოს *ოქროს ფონდში* ინახება. ასევე, შემონახულია ანა ვარდიაშვილის პერსონალური მიკროფონი, რომელიც საგანგებოდ გერმალენ ოსტატს დაამზადებინა.

მარო თარხნიშვილი (1891–1969)

2021 წელს პირველი ქალი ლოტბარის 130 წლის იუბილე საზეიმოდ აღინიშნა ფონდ *ქართული გალობისა* და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით. გამოიცა წიგნი-ალბომი, რომელიც მარო თარხნიშვილის მრავალმხრივ შემოქმედებას ასახავს (კვალიაშვილი 2021). ზემოთ ნახსენებ ქალ შემსრულებლებს შორის, მარო თარხნიშვილის მუსიკალური მემკვიდრეობა ყველაზე უკეთ არის დაცული და შესწავლილი. ამაში დიდი როლი მიუძღვის მის შვილიშვილს, ცნობილ ქალ კომპოზიტორს მარიკო კვალიაშვილის.

მარო თარხნიშვილი ქართული სიმღერის ისტორიაში შევიდა, როგორც ქართლ-კახური სიმღერების უნიკალური შემსრულებელი, ეპოქის გამორჩეული ხმა. მის მრავალმხრივი შემოქმედება ქალაქურ მუსიკალურ ფოლკლორსაც ფარავს (აუდიომაგ. 1).

თავის მოგონებებში თარხნიშვილი წერს: „ერთი სიტყვით, მე ბევრ დიდ სახელოვან მსახიობთან მიხდებოდა ხოლმე გამოსვლა, ზოგან თუ ჯგუფით, ზოგ

ადგილებში სოლოზედაც. აღმოსავლურ ჯგუფთან – ბალა მელიქოვის (თარი), საშა ოხანეზოვთან (ჭიანური)¹¹, (ეს ორივენი ვირტუოზები იყვნენ, თბილისში ბადალი არ ჰყავდათ), კარო აღჯოიანი (დაირა)... ვასრულებდით ქართულს, თათრულს, სომხურს და ოსურს საზანდარის თანხლებით, ამიტომ სხვადასხვა კონცერტზედ ბევრს ძალიან დიდ მსახიობს ვხვდებოდი. ყველანი დიდი სიმპატიით მისმენდნენ და სწორეთ ამიტომ მიკვირს ჩემი ასეთი გაბედულება, რაც ჩემმა ნიჭმა დიდი გზა გამატარა. და ბოლოს, ხალხურ მომღერლებში და ხელმძღვანელებში პირველმა მივიღე „ნაროდნობა“ (ასათიანი 2016: 36-37).

1933 წლის კახური გასტროლებში თან ახლავს ზემოთ ნახსენები 3 კაციანი დასტა. რეპერტუარის გახსენებისას ჩამონათვალში აქვს სომხური და აზერბაიჯანული სიმღერები: *ნეინიმ ამან* (სომხური), *ნაზრ ეილა მიშამ* (თათრული [აზერბაიჯანული]) (ასათიანი 2016: 88).

1931 წელს მარო თარხნიშვილის მიერ კურორტ წყალტუბოში გამართულ კონცერტს ლეგენდარული აზერბაიჯანელი საოპერო ტენორი, ხალხური სიმღერის შემსრულებელი, *ბულბულის (Bülbü)* ფსევდონიმით ცნობილი მურთუზა რზა ოლუ მამადოვი ესწრებოდა. ამ კონცერტზეც თარხნიშვილმა აღმოსავლური რეპერტუარი შეასრულა. *ორთავ თვალის სინათლე* რომ შევასრულე ჭიანურის აკომპანიმენტზედ, ბულბული იქვე მოვიდა, ხელზედ მაკოცა: ბედნიერი ვარ, თქვენი ახლო გაცნობითო, რადიოთი ვისმენდი ბაქოშიო და ვნატრობდი თქვენს ახლო ნახვასო (ასათიანი 2016: 86).

თარხნიშვილი მოგონებებში ბაქოს გასტროლებზე, იქაურ ცნობადობაზე და ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ მუსიკოსებს შორის აქტიურ შემოქმედებით თანამშრომლობაზე არაერთგან წერს. თარხნიშვილის დანატოვარი ეს ამიერკავკასიური მუსიკალური დიალოგის ხაზი დღესაც გრძელდება. ამაზე ცოტა მოგვიანებით ქვემოთ ვისაუბრებ.

ნინო (ცინკი) დაღიანი (1916–1993)

პროფესიით ექიმი. 1951 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. ჰქონდა ძალზედ წარმატებული სამედიცინო კარიერა. 1961 წლიდან იყო თბილისის ფილარმონიის სოლისტი; საქართველოს დამსახურებული არტისტი.

ცინუკი დაიბადა არისტოკრატულ ოჯახში. მამა დავით დადიანს 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ისევე, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იმჟამინდელი ხელისუფლებას, ქართველი თავადაზნაურობისა და მეწარმეების დიდ ნაწილს ოჯახთან ერთად ემიგრაციაში მოუწია წასვლა. ბათუმიდან გემებით სტამბოლისკენ გაემგზავრნენ, იქიდან კი გზი მარსელისკენ ჰქონდათ, მაგრამ ემიგრანტების მცირე ნაწილი, მათ შორის – ცინუკი დადიანის მშობლები, სტამბოლიდან უკან, საქართველოში დაბრუნდნენ.

ცინუკი დადიანი XX საუკუნის 1960–90-იანი წლების ძალიან პოპულარული მომღერალი და თბილისის კოლორიტი გახლდათ. ის ნამდვილი სახალხო არტისტის სიყვარულით სარგებლობდა. ეწეოდა აქტიურ საკონცერტო ცხოვრებას, მისი სიმღერები ხშირად ჟღერდა ტელეგადაცემებში. მედუდუკეთა დასტის თანხლებით ასრულებდა აღმოსავლური შტოს ქალაქურ სიმღერებს, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა: *გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო, სიონში შევალ, ჩემი აღმართი, შენ რომ დამტოვე* (ვიდეომაგალითი 4). თავად გახლავთ მისი ყველაზე ცნობილი სიმღერის *მაგნოლია* მუსიკის ავტორი, რომელიც ანა კალანდაძის ლექსზე დაწერა. დღეს ის ისტორიას სწორედ ამ სიმღერით შემორჩა.

მისი საავტორო სიმღერაა ნიაზ დიასამიძის ტექსტზე შექმნილი *თეთრი ვარდები შენს თავს მაგონებს*. სიმღერა შექმნისთანავე აიტაცა მთელმა ქალაქმა. ორივე სიმღერა დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს შემსრულებლებში და მათი თანამედროვე ინტერპრეტაციის მრავალი ვერსია არსებობს.

„ცინუკი დადიანი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ბუნებრივი ვიბრაციის მქონე უჩვეულო ხმის ტემბრითა და რეპერტუარით – ერთდროულად, აღმოსავლური ბაიათებით, დუდუკების თანხლებით; საესტრადო სიმღერებით; რუსული და ბოშური რომანსებით“ დღემდე უნიკალურ ქალ შემსრულებლად ითვლება (ხარშილაძე 2020).

სამწუხარო ფაქტია, რომ ასეთი ლეგენდარული ქალბატონი საქართველოსთვის მეტად მძიმე პერიოდში, 1993 წელს მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა. მისი მემორიალური ბინა რევან თაბუკაშვილის #36-ში (ყოფილი ძნელაძის ქუჩა) დღეს აღდგენასა და ზრუნვას საჭიროებს. ცინუკი დადიანი ერთგვარად

აჯამებს და ასრულებს კიდევ ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის აღმოსავლური შტოს მე-20 საუკუნის აღმავლობის ეპოქას.

ზემოთ ნახსენები თითოეული ქალი შემსრულებლის ისტორია და შემოქმედებითი გზა უნიკალურია. ისინი წარმოადგენდნენ ქართველ არისტოკრატთა პლასტს, რომელთა ოჯახებს გასაბჭოების შემდეგ ადაპტაცია მოუწია მძიმე ახალ სინამდვილესთან. თითოეულს დიდი გამბედაობა დასჭირდა საკუთარ რეალობაში არსებული გენდერული სტერეოტიპების დასაძლევად. ყველა მათგანი ჟანრის ნოვატორად არის მიჩნეული. მათ ახალი მხატვრული ღირებულება შესძინეს იმ მუსიკალურ მემკვიდრეობას, რომელიც საუკეთესოდ ასახავს ქართული კულტურის ევროპულ და აზიურ კულტურებთან სინთეზს.

1990-იანებიდან დღევანდლობამდე

1990-იანი წლები საქართველოში განვითარებულმა მძიმე სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა ასახვა ჰპოვა ქართულ კულტურაზე, მათ შორის ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის პლასტზეც. საბჭოთა სისტემის რღვევის, ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის, ეთნიკური და სამოქალაქო ომების გამოცდილებით, საქართველომ გაცხადებულად ევრო-ინტეგრაციის გზა აირჩია, რაც საუკუნეების მანძილზე ქვეყნის მდგრადი ისტორიული არჩევანი გახლდათ. ამ არჩევანმა თავისებური ასახვა ჰპოვა აქ განხილულ მუსიკალურ პლასტზეც. წინა პლანზე წამოწია მისი ევროპული შტო. ბოლო 30 წელია ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის აღმოსავლურმა შტომ კი, საკონცერტო ესტრადიდან დიდ წილად სარესტორნო სივრცეში გადაინაცვლა. აღმოსავლურმა შტომ მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე რამდენჯერმე განიცადა ღირებულებითი გადაფასება. ეს ერთი მხრივ, ქვეყნის ზოგად კულტურულ-პოლიტიკურ ორიენტაციასთან, ხოლო მეორე მხრივ, წმინდა მხატვრულ პროცესებთან, ამ ჟანრში გამორჩეული ნიჭის მქონე ინდივიდების არსებობასთან გახლავთ კავშირში.

1990-იანი წლებიდან ქალ შემსრულებლებს შორის განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს **ლია ხუნწარიას, ანა ბაჯიაშვილისა და მარინა გიორგაძის ტრიო**, რომლებიც მედუდუკეთა დასტებთან *სოინარი* და *ძველი თბილისი* აქტიურად გამოდიოდნენ საკონცერტო ესტრადაზე (ვიდეომაგ. 5). ამ წლების ყველაზე

კოლორიტული მოვლენა გახლავთ სახალხო დღესასწაული თბილისობა¹², რომლის პროგრამაში მუდმივად იყვნენ წარმოდგენილი ხსენებული მუსიკოსები. ლია ხუნწარია აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში ამ ტიპის რეპერტუარისადმი ძალზედ იკლო ინტერესმა, როგორც საკონცერტო, ასევე, სატელევიზიო სივრცეში და ამ ჟანრის შემსრულებლებს, ძირითადად, სარესტორნო სივრცეში თუ მოუსმენთ. „ძველი თბილისი, დილის საარის გარეშე წარმოდგენელია. ჩემთვის სწორედ ეს სიმღერაა ქალაქის სიძველის და კულტურული მრავალფეროვნების სიმბოლო“ (ხუნწარია 2021, პირადი ინტერვიუ).

თანამედროვე ქალ შემსრულებლებს შორის თავისი თვითმყოფადობით განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საქართველოში მცხოვრები ერთადერთი აშუღი ქალი, საზზე ვირტუოზი შემსრულებელი, ბორჩალო აზერბაიჯანელი **თინათინ ნარგილე მეჰთიევა**. მეჰთიევა დაიბადა და გაიზარდა საქართველოში. მუსიკალური განათლება მიიღო ბაქოს სახელმწიფო კონსერვატორიაში. ცხოვრობს თბილისში. საზზე დაკვრის ხელოვნებას ასწავლის ახალგაზრდებს. ის აქტიურად თანამშრომლობს ქართველ მუსიკოსებთან. „საქართველოში, აზერბაიჯანსა თუ უცხოეთში ყოფნისას ყოველთვის მეუბნებიან, რომ ჩემი საშემსრულებლო სტილი განსხვავდება წმინდა აზერბაიჯანულისგან. ცხადია,



ანსამბლი მარგალიტი | Ensemble Margaliti.

ქართულმა ენამ, მრავალხმიანობამ და კულტურამ გავლენა იქონია ჩემს მუსიკალურ ესთეტიკაზე. მე ორი სახელი მაქვს. ქართული – თინათინი და ბორჩალოული ნარგილე (ბრონეულის მარცვალი). ჩემი მუსიკალური იდენტობაც ჩემი ორი ქვეყნის კულტურას აერთიანებს“ (მეჭთიევა 2021, პირადი ინტერვიუ).

მეჭთიევას წლებანდელ მუსიკალურ კოლაბორაციებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ნინო ნანეიშვილთან, მიშო ჯავახიშვილთან და ანსამბლ *იალონთან* ერთად ჩაწერილი სიმღერა *პატარა ბიჭი დამეკარგა*, რომელიც სამხრეთ კავკასიაში მეტად გავრცელებული „მოხეტიალე ჰანგია“ (ჟორდანია). ამ ჩანაწერში ქალაქურ ჰანგს ნარგილეს საავტორო მუსიკა ერწყმის აზერბაიჯანული ტექსტით (ვიდეომაგალითი 6). ეს ინტერპრეტაცია თავისი მისტიკურობით სერგო ფარაჯანოვის ფილმის *ბრონეულის ფერის*¹³ მულტიკულტურული თბილისის ესთეტიკასთან გვაბრუნებს. ნარგილე კი კიდევ ერთი განსხვავებული ფერია ამ ქალაქის მუსიკალურ პალიტრაში.

ქალთა ანსამბლ იალონის ხელმძღვანელი **ნინო ნანეიშვილი** აღნიშნავს, რომ დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ეთნოსის წარმოდგენლებთან მუსიკალური დიალოგი. ქალაქური მუსიკალური ფოლკლორი კი ამ ინტერკულტურული ურთიერთობებისთვის საუკეთესო სივრცეა.

ანსამბლ *იალონმა* წელს გამოსცა ქართული ქალაქური მუსიკის აუდიოალბომი *არ იფიქრო, დაგივიწყო*, რომელიც ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, ქართული სასიმღერო ჟანრის მეფედ წოდებული რევაზ ლალიძის 100 წლის იუბილეს ეძღვნება. ალბომი თავის თავში აერთიანებს ჟანრის როგორც ფოლკლორულ, ასევე, საავტორო ნიმუშებს. მასში დასავლური და აღმოსავლურ შტოს ფოლკლორული ნიმუშების ახალ ინტერპრეტაციებს ვხვდებით. „*იალონი* თავდაპირველად სამგალობლო ანსამბლად დაფუძნდა, ჩვენი საშემსრულებლო ესთეტიკა ქართული ტრადიციული გალობის ქორალურ ბუნებას ეფუძნება. ალბომში წარმოდგენილ ახალ არანჟირებებს უმეტესად A capella-დ ვასრულებთ. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს ჩვენი ხაზი ვეძიოთ ამ ჟანრში ლეგენდარული ქალი შემსრულებლების მიერ გაკვალულ დიდ გზაზე“ (ნანეიშვილი 2021, პირადი ინტერვიუ).

ამჟამად არსებულ ქალთა ანსამბლებს შორის იალონი ყველაზე აქტიურ და ჟანრულად მრავალფეროვან შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა. ძირითადად, ციფრულ სამყაროში გადანაცვლებულ მსმენელს ის ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის ახალ ინტერპრეტაციებს აქტიურად თავაზობს.

წელს გამოიცა კიდევ ერთი ქალთა ანსამბლ მარგალიტის ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის აუდიოალბომი სახელწოდებით „ყური დაუგდე ჩემსა სიმღერას“. ის აერთიანებს ქალაქური მუსიკის სამ მიმართულებას: პროფესიულსა და საავტოროს, დები იზხნელებისა და პირველი მსოფლიო ომის დროს ქართველი ტყვეებისგან ჩანერილ სიმღერებს. მარგალიტი 2021 წელს დაარსდა და ეს მისი პირველი ალბომია (ვიდეომავ. 7).

„თუ ბოლო წლების სასცენო, ტელე თუ სოციალური მედიის ტენდენციას დაგაკვირდებით, ქართველ მსმენელში ქალაქურ მუსიკალურ ფოლკლორზე გაცილებით დიდია მოთხოვნა, ვიდრე გლეხურ ფოლკლორულ ნიმუშებზე. მაშინ, როცა უცხოელი მსმენელი სწორედ გლეხურ მუსიკალურ ფოლკლორს ანიჭებს უპირატესობას. დასავლურ პროფესიულ მუსიკაზე აღზრდილი მსმენელისთვის ეს პლასტი უცხო და განსხვავებული ჟღერადობისაა. ახალი თაობის ქართველი მსმენელისთვის, კი ქალაქური მუსიკის ჟანრი ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდია გლეხურ მუსიკალურ ფოლკლორთან“ (ნანეიშვილი 2021, პირადი ინტერვიუ).

დასკვნა

ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის სასცენო შემსრულებლობაში ქალი მომღერლები აქტიურად 20-ე საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩნდებიან. ეს მოვლენა თანხვედრაშია ქართველი ქალის ლიბერალიზაციისა და ემანსიპაციის ქვეყანაში მიმდინარე პროცესთან. ქართული ტრადიციული მუსიკა, დღემდე უმეტესწილად წარმოდგენილი მამაკაცთა ვოკალური მრავალხმიანობით, ჯერ ისევარგამოსულა მასში მამაკაცთა დომინირებიდან. ეს მამაკაცთა რეპერტუარის კომპლექსურობითა და მრავალფეროვნებითაც არის განპირობებული. თუმცა, მამაკაცთა და ქალთა ერთად მღერის ტრადიცია საუკუნეებია არსებობს. ქართველ ქალებს რეგისტრული და ტექნიკური შესაძლებლობებით თავისუფლად შეუძლიათ პარტნიორობა გაუწიონ მამაკაცებს ან სრულიად შეითავსონ მათი რეპერტუარი. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია მარო თარხნიშვილი და მისი

მამაკაცი თანამომღერლები. მამაკაცთა რეპერტუარს დღეს ქალთა ანსამბლები აქტიურად ასრულებენ სცენაზე.

ბოლო 20 წელია ქვეყნის შიდა საშემსრულებლო სივრცეში საგრძნობლად იმატეს ქალმა შემსრულებლებმა, მაგრამ საერთაშორისო საკონცერტო ცხოვრებაში ქალთა ხმები იშვიათად ჟღერს. დღემდე არც ერთ სახელმწიფო ანსამბლს არ ჰყავს შემადგენლობაში ქალი შემსრულებლები. ქალაქური მუსიკალური ფოლკლორი, ქალთა მდიდარი რეპერტუარით დღესაც საჭიროებს მეტ დაცვა-პოპულარიზებას.

ვიმედოვნებ, 21-ე საუკუნე თანაბარი გენდერული ღირებულებებით, მეტ ქალ შემსრულებელს მისცემს შესაძლებლობას თავისი ხმა მიაწვდინოს სამყაროს.

შენიშვნები:

1. ქალაქური მუსიკა – <http://polyphony.ge/en/georgia/georgian-traditional-music/urban-folk-music/> (ნანახია 01.10.2022).
2. ქალაქური მუსიკა – <http://polyphony.ge/en/georgia/georgian-traditional-music/urban-folk-music/> (ნანახია 01.10.2022).
3. ფილიმონ ქორიძე (1835–1911) – ქართველი ფოლკლორისტი, მომღერალი, ლოტბარი, ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი. პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერალი (ბანი), ქართული სახალხო გუნდების ორგანიზატორი და ლოტბარი. ქორიძე პირველი ქართველი მუსიკოსი იყო, ვინც ქართული მრავალხმიანობა ნოტებზე გადაიტანა.
4. ჭიაურელმა შექმნა პირველი რესპუბლიკის პერიოდის გროტესკული სახე, რომლითაც თავის დროზე სტალინი დიდად მოიხიბლა. თუმცა, დღევანდელი მსაყურებლის თვალით ეს გროტესკი ორაზროვანია.
5. ელ-ჟურნალი გურიის მოამბე, #1-2021 – <http://guriismoambe.com/archives/30222>
6. მანანა მენაბდე ცნობილი ქართველი სოლო შემსრულებელი. 1990-იანი წლებიდან გერმანიაში მოღვაწეობს ფოლკის, ჯაზის, ბარდის, ელექტრო მუსიკის ჟანრებში.
7. იოსებ რატილი (1840–1912) – ჩეხი მომღერალი (ტენორი), ლოტბარი, პირველი ქართული პროფესიული გუნდის ქართული ხორო დამაარსებელი, ქართული ხალხური სიმღერების ჩამწერი.
8. ივანე (ვანო) სარაჯიშვილი (1879–1924) – ლირიკულ დრამატული ტენორი, ქართული პროფესიული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი.
9. ელენე ახვლედიანი (1901–1975) – ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და

კინოს მხატვარი.

10. დასტა – აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა მცირე ანსამბლი. შედგება ორი ზურნისა ან ორი დუდუკისა და დოლისაგან.
11. იგლისხმება აღმოსავლური ხემიანი საკრავი ქამანჩა.
12. თბილისობის დღესასწაული 1979 წლიდან ყოველწლიურად იმართება ოქტომბრის თვეში და თბილისური კულტურის ამსახველი ცენტრალური მოვლენა გახლავთ.
13. ფილმი გადაღებულია 1969 წელს. ის თბილისელი აშული საიათნოვას ამბავს მოგვითხრობს. პოეტის ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღების ტრადიციული ქრონოლოგიით თხრობის ნაცვლად, ფილმში პოეტის ცხოვრება მისი პოეზიით არის გაშუქებული.

აუდიომაგალითი:

აუდიომაგ. 1. *მოდო ჩემთან მშვენიერო* – მარო თარხნიშვილის გუნდი. კვალაშვილი, მარკა. 2021. *მარო თარხნიშვილი – 130*. თბილისი: საქველმოქმედო ფონდი ქართული გალობა.

https://drive.google.com/file/d/1q_1V8LWqEua2oInR-fqD1prhm8ivsDdT/view?usp=sharing

ვიდეომაგალითები:

ვიდეომაგ. 1. *სულიკო მიხეილ ჭიაურელის კინოფილმიდან უკანასკნელი მასკარადი*.

<https://www.youtube.com/watch?v=z44k7BqmCXY&t=1181s> (ნანახია 11.05.2021).

ვიდეომაგ. 2. *არ დაიჯერებ – დები იშხნელები*

<https://www.youtube.com/watch?v=FKX15gLxh9U> (ნანახია 11.05.2021).

ვიდეომაგ. 3. *ჩემი გმირი გინოდე* – მედუდუკეთა ანსამბლი კავკასიონი

<https://www.youtube.com/watch?v=zoOZppV35uw> (ნანახია 11.05.2021).

ვიდეომაგ. 4. *გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო* – ცინუკი დადიანი

https://www.youtube.com/watch?v=f_o1kQA0mTE&t=28s (ნანახია 11.05.2021).

ვიდეომაგ. 5. *შენ გიმღერი ჩემო თბილის ქალაქო* – ლია ხუნწარისა, ანა ბაჯიაშვილისა და მარინა გიორგაძის ტრიო

https://www.youtube.com/watch?v=GB5PGIw2JzU&list=RDGB5PGIw2JzU&start_radio=1&rv=GB5PGIw2JzU&t=0 (ნანახია 11.05.2021).

ვიდეომაგ. 6. *პატარა ბიჭი დამეკარგა* – თინა მეჭოთევა, ნინო ნანეიშვილი, მიშო ჯავახიშვილი და ანსამბლი *იალონი*

https://www.youtube.com/watch?v=K1qiT55A_Ew (ნანახია 11.05.2021).

ვიდეომაგ. 7. *რა ლამაზად გიხდება* – ანსამბლი *მარგალიტი*

<https://www.youtube.com/watch?v=2C9Wq4KL9Ws> (ნანახია 11.05.2021).

გამოყენებული ლიტერატურა:

- ასათიანი, ქეთევან. 2016. *მარო თარხნიშვილის მოგონებები*. თბილისი: საქართველოს ეროვნული არქივი.
- გაფრინდაშვილი, ლელა. 2014. „ბარბარე /ვარინკა/ მაჭავარიანი-წერეთელი“. <<https://feminism-boell.org/ka/2014/06/13/barbare-varinka-machavariani-cereteli>> (ნანახია 11.05.2021).
- კვალიაშვილი, მარიკა. 2021. *მარო თარხნიშვილი – 130*. თბილისი: საქველმოქმედო ფონდი ქართული გალობა.
- მეჭთიევა, თინათინ-ნარგილე. 2021. ბაია უჟუნაძის პირადი ინტერვიუ.
- მესხი, თამარ. 1965. „სიმღერად ქცეული სტროფები“. ჟურნალში: საბჭოთა ხელოვნება, #6.
- მესხი, თამარ. 1989. „ქართული ქალაქური მუსიკალური შემოქმედება“. ჟურნალში: საბჭოთა ხელოვნება, #5.
- მშველიძე, არჩილ. 1961. *ქართული ქალაქური ხალხური სიმღერები*. მოსკოვი: სახელმწიფო მუსიკალური გამომცემლობა.
- მშველიძე, არჩილ. 1970. *ქართული ხალხური ქალაქური სიმღერები*. თბილისი: სსრ კავშირის მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილება.
- ნანეიშვილი, ნინო. 2021. ბაია უჟუნაძის პირადი ინტერვიუ.
- ჟღენტი, კატო. 2011. „როგორ დაწერა დუდუკებზე მომღერალმა პირველმა ქალმა, ანა ვარდიაშვილმა, ცნობილი სიმღერა – ჩემი გმირი გინოდე“. <http://old.tbilisebi.ge/index.php?newsid=10275> (ნანახია 11.05.2021).
- [...]. 2021. „ყველაფერი დები იშხნელების შესახებ“.
- ელ-გაზეთი გურიის მოამბე #1. <http://guriismoambe.com/archives/30222> (ნანახია 11.05.2021).
- ციციშვილი, ნინო. 2003. „ქართული ეთნომუსიკოლოგია და გენდერის საკითხი ქართულ სიმღერაში“. კრებულში: *ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებები*. გვ. 483-494. რედაქტორები: რუსუდან წურწუმია, იოსებ ჟორდანია. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი.
- ხარშილაძე, ირმა. 2020. „როგორ შეიქმნა ცინუკი დადიანის „მაგნოლია“ და „თეთრი ვარდები“. <https://www.ambebi.ge/article/253177-parizshi-hkitxes-turme-tbilisidan-brzandebito/> (ნანახია 11.05.2021).
- ხუნწარია, ლია. 2021. ბაია უჟუნაძის პირადი ინტერვიუ (ნანახია 10.26.2021).
- Jordania, Joseph. 2006. *Who ask the first question? The origins of human choral singing, intelligence, language and speech*. Tbilisi: Logos.

გენდერის საკითხი ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკაში

ნინო რაზმაძე

3 ენდერის თემას ეთნომუსიკოლოგია განიხილავდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი „შედარებითი მუსიკოლოგიის“ სახელით მოიხსენიებოდა. როგორც ცნობილი ამერიკელი ეთნომუსიკოლოგი ბრუნო ნეტლი წერს, „მუსიკალური სტილების განსაზღვრის პროცესში გენდერული ურთიერთობების პრობლემა – მაშინ ყოველგვარი იარღიყის გარეშე – ჩვენი სფეროს ზოგიერთი პიონერის მიერ არ იყო უგულებელყოფილი“ (ნეტლი 2022: 398) და მაგალითად მოჰყავს ბრონისლავ მალინოვსკისა და მარგარეტ მიდის კლასიკური ნაშრომები, რომლებშიც განიხილებოდა, თუ როგორ აირეკლავდა მუსიკა მამაკაცებისა და ქალების სოციალურ ურთიერთობებს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ამავე პერიოდის მეორე მნიშვნელოვანი ფიგურა კურტ ზაქსი, რომელმაც, ერთი მხრივ, პირველმა დაიწყო და უდიდესი წვლილი შეიტანა მუსიკალური ინსტრუმენტების შესწავლაში და, მეორე მხრივ, ასევე, პირველმა წამოსწია გენდერის საკითხი, როგორც მუსიკალური სტილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ნაშრომში ცეკვის ისტორიაზე, ზაქსი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ჩაკეტილი საცეკვაო მოძრაობა ქალებისთვის, ხოლო დიდი ნახტომები – მამაკაცებისთვისაა დამახასიათებელი (Sachs 1937: 33). ამას იგი კიდევ უფრო განავრცობს დაახლოებით 25 წლის შემდეგ შექმნილ ნაშრომში, მისი აზრით, საცეკვაო მოძრაობაში პატარა ნაბიჯები და თანხმლებ მუსიკაში პატარა ინტერვალები, მდორე მელოდიკა, სიმეტრიული ფორმები ფემინისტური ხასიათის გამომხატველია, ხოლო დიდი ნაბიჯები და შესაბამისი ნახტომები მელოდიკაში, ექსტრავერტული ხასიათი – მამაკაცური კულტურის ნიშანია (Sachs 1962: 203). შესაძლოა, ეს მოსაზრებები საკამათოც იყოს, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა მის მიერ გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ზოგიერთ კულტურაში თავად მუსიკალური საკრავებიც კი ფუნქციონირებენ, როგორც სქესის გამომხატველი სიმბოლოები (Sachs 1962: 94–99), განსაკუთრებით, ფლეიტის ჯგუფისა და სიმებიანი საკრავები, როგორც – მდედრობითი და ლითონის ჩასაბერი და დასარტყამი – როგორც მამრობითი სქესისა. მაგალითად, ზაქსი აცხადებს, რომ საყვირს მამაკაცური ბუნება აქვს. ფლეიტა კი, როგორც ჩანს, ყველგან მიჩნეულია სასიყვარულო, მომაჯადოებელი ძალის მქონე

საკრავად. ნეტლის აღნიშვნით, ზოგიერთი სიმბოლოს მნიშვნელობა მთელ მსოფლიოში არის გავრცელებული, ხოლო დანარჩენები – მხოლოდ ზოგიერთ კულტურასა და ტომებში (Nettl 1964: 204). სხვათა შორის, კურტ ზაქსის ცნობით, ზოგიერთ კულტურაში აკრძალულია ქალის არა მარტო მონაწილეობა საკრავის დამზადების პროცესშიც, არამედ საკრავთან მიკარებაც კი დაუშვებელია. მაგალითად, ლაპონების დიდი სრულიად გამოუსადეგარია, თუ ქალი დაინახავს მას, სანამ მისი დამზადება დასრულდება.

მეოცე საუკუნის ბოლოდან ეთნომუსიკოლოგიაში აქტუალური ხდება გენდერის სხვადასხვა ასპექტების შესწავლა, მათ შორის, მუსიკალურ კულტურებში ქალების როლისა და ადგილის შესწავლის საკითხი. უფრო მეტიც, ბრუნო ნეტლის აღნიშვნით, „მუსიკალური კულტურების ინტერპეტაციისთვის მნიშვნელოვანია პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში საზოგადოების გენდერული ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტის გააზრება, რამაც XXI საუკ.-ის დასაწყისში ეთნომუსიკოლოგიის დომინანტურობაც კი განსაზღვრა“ (ნეტლი 2022: 393).

მუსიკალურ ტრადიციაში გენდერის საკითხი სრულად ასახავს შესაბამის კულტურაში ქალთა და მამაკაცთა სოციალური ურთიერთობების ასპექტებს, თუმცა უკანასკნელ დრომდე ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში ეს პრობლემა არ განიხილებოდა. ერთ-ერთი პირველი, რომელიც ამ საკითხს შეეხო, მკვლევარი ნინო ციციშვილი იყო (ციციშვილი 2015: 148–159). უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა კონტექსტში, საკუთრივ, ქალთა ფოლკლორი, არა ერთი მეცნიერის კვლევის საგანი გამხდარა (კახი როსებაშვილი, ნატო ზუმბაძე, ნინო მახარაძე და სხვ.), მაგრამ ქალთა რეპერტუარი სოციალური ურთიერთობების კონტექსტში არ შესწავლილა. შესაბამისად, არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც გამოავლენდა ქალთა როლს, მათ მნიშვნელობასა და ადგილს როგორც ქართულ საკრავიერ მუსიკალურ შემოქმედებაში, ისე საშემსრულებლო პრაქტიკაში. არც საარქივო მასალებში გვხვდება ამ კუთხით განსაკუთრებული აქცენტები.

მიუხედავად ამისა, ქართული ზეპირსიტყვიერი და მუსიკალური ფოლკლორი იძლევა საინტერესო მასალას, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ, როგორი იყო ქალების სოციალური როლი ყოფასა და, შესაბამისად, კულტურაში, მათ შორის, მუსიკალურში. ის ფაქტი, რომ ქართულ ტრადიციულ მუსიკაში

სასიმღერო რეპერტუარი მკვეთრად გამიჯნულია და მამაკაცთა რეპერტუარი არა მარტო რაოდენობრივად ჭარბობს, არამედ მრავალხმიანობის ფორმების მრავალფეროვნებითა და მუსიკალური სტრუქტურების სირთულითაც გამოირჩევა, თავისთავად მრავლისმეტყველია, და საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მამაკაცთა როლის დომინირებაზე მეტყველებს. ამ თვალსაზრისით ქართული სინამდვილე მაინცა და მაინც არ განსხვავდებოდა მსოფლიოს სხვა ტრადიციული საზოგადოებებისაგან. ქალთა ადგილის შემოფარგვლა გარკვეული ჟანრებით, ასევე, დამახასიათებელია ბევრი ტრადიციისთვის. რაც შეეხება საკრავიერ მუსიკას, მას შედარებით მოკრძალებული ადგილი უჭირავს ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში და, ძირითადად, სასიმღეროს თანხლებას წარმოადგენს. ქართული მითებისა და ლეგენდების მიხედვით, ძნელია საუბარი ქალთა და მამაკაცთა შორის სოციალურ ურთიერთობებზე, თუმცა რთული არაა ვივარაუდოთ, რომ ბალანსი აქაც მამაკაცთა სასარგებლოდ იმეტყველებდა. მართალია, ჩვენ მითოლოგიაში ვერ ვპოულობთ ცნობებს იმის შესახებ, ანიჭებდნენ თუ არა ქართველები საკრავებს სქესს და რამდენად იყო საკრავები გენდერულად დაყოფილი, მაგრამ, ის კია ცნობილი, რომ მათ საკრალური მნიშვნელობა ჰქონდათ და ადამიანების ხატებასა და სულთან იყვნენ დაკავშირებულნი.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ტრადიციაში მათ საკრალურობას ხაზს უსვამს საკრავებისათვის სქესის მინიჭება და მისი სხვადასხვა ნაწილებისთვის ადამიანების ორგანოების სახელების დარქმევა. საკრავების შექმნის შესახებ არსებული ლეგენდების დიდი ნაწილი, მათ შორის, ქართული ლეგენდები გადმოგვცემს, თუ როგორ იქმნებიან საკრავები გარდაცვლილი საყვარელი ადამიანის ან ცხოველის სხეულის ნაწილებისაგან. ამ გადმოცემების მიხედვით, პირველი საკრავები სწორედ ცოცხალი არსებების ძვლებისა და თმებისაგან მზადდება და არა მცენარეებისაგან. საქართველოში არსებობს მეტად საინტერესო თქმულებები უძველესი საკრავის, ჩანგის შესახებ. ერთ-ერთი სვანური ლეგენდის თანახმად, მგლოვიარე მამამ ჩანგი ახალგაზრდა გარდაცვლილი ვაჟის ხელისა და თმისგან დაამზადა (კარგარეთელი 1933: 155). ამავე საკრავის შექმნის ისტორიას კახური ლეგენდა ახალგაზრდა გარდაცვლილ ქალთან აკავშირებს, რომელმაც უარი თქვა იძულებით გათხოვებაზე და საკუთარი თმები ყელზე დაიხვია და თავი მოიკლა (კარგარეთელი 1933: 155-

156). სვანური, რაჭული და ფშური ლეგენდებიც, ანალოგიურად, ჭუნირის, ჩანგისა და ფანდურის დამზადებას ახალგაზრდა გარდაცვლილი ადამიანების სხეულის ნაწილებთან აკავშირებენ (შილაკაძე 1970: 64-65).

საგულისხმოა, რომ ბოლო საუკუნის განმავლობაში დაგროვილი საარქივო აუდიომასალა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ გენდერულ დისბალანზე, რომელიც ახასიათებდა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორს და საზოგადოდ, ასახავს ველზე მომუშავე ეთნომუსიკოლოგთა ტრადიციულ დამოკიდებულებას საკითხისადმი. როგორც ცნობილია, ხალხური სიმღერების აუდიოჩანერა თბილისში პირველად ლონდონურმა ხმის ჩამწერმა ფირმამ, *გრამოფონმა* 1901 წლიდან დაიწყო (ერქომაიშვილი, როდონაია, 2006). სიმღერები შესრულდა იმ პერიოდის საუკეთესო ხალხური ანსამბლების მონაწილეობით, რომლის ყველა წევრი მამაკაცი იყო. XX საუკუნის განმავლობაში ქართველმა კომპოზიტორებმა და ფოლკლორისტებმა მოიარეს მთელი საქართველო. მათ ჩანერეს დიდი რაოდენობის მასალა. არსებობს ხალხური სიმღერების დათვალიერებებისა და ოლიმპიადების უამრავი ჩანაწერი, რომელთა უდიდესი ნაწილი მამაკაცთა რეპერტუარია და მამაკაცი მომღერლების მიერაა შესრულებული.

გარდა იმისა, რომ ქალთა რეპერტუარი თავისთავად, რაოდენობრივად მნიშვნელოვნად ჩამორჩება მამაკაცებისას, თავად – ჩამწერთა მხრიდანაც ჩანს ქალი შემსრულებლების მიმართ უყურადღებობა, თუმცა, შეიძლება ითქვას, ამას გარკვეული ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა: როგორც ცნობილია, ტრადიციულ საზოგადოებაში ქალები თავს არიდებდნენ საჯაროდ შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეს დამოკიდებულება განსხვავებული იყო, ისინი, ძირითადად, შინაურულ გარემოში, ოჯახში, ახლობელთა საზოგადოებაში ან ქალთა კოლექტიური შრომის დროს მღეროდნენ. ამიტომ, როცა დედაქალაქიდან ჩასული მკვლევარი თითქმის კარდაკარ ეძებდა ხალხურ მთქმელს, იგი, ძირითადად, სიმღერის მამაკაც შემსრულებელს ხვდებოდა, რომელიც მარტო ან თავის მეგობარ მამაკაცებთან ერთად სთავაზობდა სიმღერის შესრულებას.

საბჭოთა ეპოქაში ეს კიდევ უფრო მარტივი პროცესი იყო – სოფლის ხელმძღვანელისთვის უკვე ცნობილი იყო მომღერალთა ვინაობა, არსებობდა სასოფლო და რაიონული მომღერალთა ანსამბლები. ამიტომ რეგიონებში მოგზაურობის

დროს ფოლკლორისტები, ძირითადად, ადგილობრივ კულტურის ცენტრებში ინერდენტ ფოლკლორულ ანსამბლებსა და ინდივიდუალურ შემსრულებლებს, რომელთა რიცხვშიც, რასაკვირველია, დიასახლისი ქალბატონები არ შედიოდნენ. შესაბამისად, ქალთა ჩანერა ობიექტური გარემოებიდან გამომდინარეც იშვიათად ხერხდებოდა.

ზოგადად, სამეცნიერო ექსპედიციებში მამაკაცთა რეპერტუარზე ორიენტირება გლობალური პრობლემაა, რაზეც ნეტლიც წერდა: „ჩვენ მიერ შესასწავლ საზოგადოებებში საერთო რეალობადაა მიჩნეული მამაკაცებსა და ქალებს შორის ძალთა არათანაბარი გადანაწილება, განსხვავებულად თუ სხვადასხვა მასშტაბით, მამაკაცთა დომინირება ქალებზე. ამ მიდგომის შედეგად, ჩვენ (ეთნომუსიკოლოგებმა) უფრო მეტი გავიგეთ ქალების მიერ შექმნილ მუსიკაზე, რადგან მანამდე მხოლოდ მამაკაცებს მიეწერებოდათ მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შექმნა, ან მუსიკალური მოღვაწეობა გენდერულად ნეიტრალურად იყო მიჩნეული“ (ნეტლი 2022: 393).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საკრავების დამზადება მამაკაცთა საქმიანობაა. ფაქტობრივად, არ არსებობს ინფორმაცია საკრავების დამზადების პროცესში ქალების მონაწილეობის აკრძალვის შესახებ, თუმცა ტრადიციულად, არც ოსტატი ქალების ფენომენს ვიცნობთ. საკრავების დამამზადებელი ქალების შესახებ ერთადერთი ცნობა თურქეთში (ინეგოლი, ბურსა) ექსპედიციის დროს, 2015 წელს მოვიპოვე, როცა საქართველოდან მე-19 საუკუნის ბოლოს გადასახლებული ქართველების მუსიკას ვსწავლობდი. როგორც თურქეთში იქაურმა ქართველებმა მითხრეს, სოფელ ჰაირიეში, სადაც კომპაქტურად სახლობენ ქართველი მუჰაჯირების შთამომავლები, ცხოვრობდა ორი ოჯახი, რომელიც ადგილობრივებში მეტად პოპულარულ საკრავს, ქართული ჭიბონის ანალოგ ჭიბონს ამზადებდა. ამ ოჯახებში საკრავის დამზადებასა და შემდგომში მათ შეკეთებაზე ქალები ზრუნავდნენ, თუმცა, სამწუხაროდ, მათთან შეხვედრა ვერ მოვახერხე.

ტრადიციულად, ქართული სამუსიკო საკრავების დამზადებასა და მათზე ქალების შემსრულებლობაზე შეზღუდვები რომ შესაძლებელია ყოფილიყო, ამაზე მეტყველებს ეთნოგრაფიული ყოფაში გავრცელებული არაერთი რიტუალი, რომელიც მხოლოდ მამაკაცების მიერ სრულდებოდა. მაგალითად, აღმოსავლეთ



ეთერ დარჩიძე | Eter Darchidze, 2022.

საქართველოს მთაში რელიგიურ დღესასწაულებზე, ქორბელელას ფერხულში ან სოფლის მამაკაცების თავყრილობა-დღეობაში საკრავზე (ფანდურზე, გუ-დასტვირზე) მხოლოდ კაცები უკრავდნენ. დღემდე შემორჩენილ ამდაგვარ ტრადიციულ რელიგიურ რიტუალებში არსებობს გარკვეული შეზღუდვები ქალების მონაწილეობასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებობს, ჟანრები, რომლებიც მხოლოდ ქალებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, მხოლოდ ქალები უკრავენ ინფექციური დაავადების, ბატონებისადმი მიძღვნილ წეს-ჩვეულებებში, ან ქალთა კოლექტიური შრომის პროცესში (შილაკაძე 1970: 30). თანამედროვეობაში საკრავების ოსტატი ქალებიც ჩნდებიან. მათგან განსაკუთრებულია ფატი თურმანიძე, რომელმაც ძველი საკრავის, დიპლოპიტოს დამზადების ტრადიცია აღადგინა.

ძველი საერო თუ საეკლესიო წყაროების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ საკრავებზე შემსრულებლებად თითქმის ყოველთვის მამაკაცები არიან მოხსენიებული. გამონაკლისია ე.წ. „მეჩანგე ქალები“ (მაჩაბელი 1864: 49–73). ჩემი აზრით, შესაძლებელია, ტერმინი ჩანგი ამ და სხვა წყაროებში დღევანდელ ყელ-მუცლიან, 2-, 3- ან 4-სიმიან საკრავს გულისხმობდეს, მაგალითად, ჩონგურს, რომელიც ტერმინ ჩანგი-დან არის ნაწარმოები ან ფანდურის ტიპის საკრავს, რომელიც ხშირად ტერმინ ჩონგურით მოიხსენიება. გარდა ტერმინოლოგიისა, კავშირი არსებობს ეთნოგრაფიულ მონაცემებშიც: თუ ძველ წყაროებში ქალები დაკავშირებული არიან ჩანგზე შემსრულებლობასთან, ბოლო საუკუნენახევრის მონაცემებით, ქალების ძირითადი საკრავი ყელ-მუცლიანი სიმებიანი საკრავებია და ბოლო პერიოდამდე იყო დამკვიდრებული ისეთ სოციალურ აქტივობებში, სადაც ქალთა დომინანტი როლია გამოკვეთილი. ესენია: ბატონების, ბავშვის დაძინების, შელოცვის, სულებთან ურთიერთობასთან დაკავშირებული პროცესები.

მაგალითად, საქართველოს აღმოსავლეთის მთაში გავრცელებულია ბატონებიან ავადმყოფთან ფანდურზე დაკვრა, მასზე მხოლოდ ქალები უკრავდნენ (შილაკაძე 1970: 30); დასავლეთში კი ბატონებიან ავადმყოფს ჩონგურის თანხლებით უმღეროდნენ (შილაკაძე 1970: 46). ამასთან, გურიაში მოპოვებული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ბატონებიან ავადმყოფთან 9 მე-ჩონგურე ქალი უნდა მისულიყო და მორიგეობით დაეკრათ (შილაკაძე 1971: 51).

სვანეთში გავრცელებული *სულის დაჭერის* უძველესი წესის მიხედვით, ჩვეულებრივ, რიტუალში ქუნირი და ჩანგი გვხვდება. მოსახლეობა თვლიდა, რომ თუ ადამიანი ოჯახის გარეთ, სხვა ადგილას გარდაიცვლებოდა, მისი სულიც იქვე რჩებოდა. გარდაცვლილის ოჯახის წევრები და ახლობლები მიდიოდნენ გარდაცვალების ადგილას და საკრავებზე დაკვრით მიცვალებულის სული ოჯახში მოჰყავდათ (შილაკაძე 1970: 63). ამავე რიტუალში დადასტურებულია ჩონგურის გამოყენებაც. ს. მაკალათიას აღწერის მიხედვით, როცა ადამიანი წყალში დაიხრჩობოდა, ჩონგურს წაიღებდნენ და დაუკრავდნენ. შემდეგ ციკანს ჩააგდებდნენ წყალში და დაახრჩობდნენ (მაკალათია 1941: 290). წყალში დამხრჩვალის სულის დასაჭერად ჩონგურსა და აფხიარცაზე უკრავდნენ აფხაზეთშიც. ამ პროცესიაში მონაწილეობდა მეჭიანურე, ახალგაზრდა მეჩონგურე ქალი და ხანშიშესულ და ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა გუნდი (ჯანაშია 1897: 66–68, ჩიქოვანი 1946: 231; ციტ. ჯანელიძე 2018: 238–239). ეთნოლოგ ნონა ქობალიას ცნობით, რომელიც პირადად მომანოდა, იგი შესწრებია ოჩამჩირეში შვიდი წლის ბავშვის *სულის მოყვანის* რიტუალს, როცა გარდაცვლილი ბავშვის დედა ბავშვის სულს რამდენიმე დღის განმავლობაში *ჩონგურულით* სთხოვდა შინ დაბრუნებას.

ქალთა შელოცვებში საკრავების გამოყენების უნიკალური ფაქტებია დადასტურებული. მაგალითად, ფანდურზე უკრავდნენ ცხოველის შელოცვის დროს, კერძოდ, ცხენისათვის – ციმბირის წყლულის ანუ *ბედნიერისაგან* (შილაკაძე 1970: 31); აგრეთვე, გურიაში „უნაყოფო ტანაყრილ მცენარესთან (გოგრა, კიტრი და სხვ.) ქალი ჩონგურზე დაუკრავდა და დააღლინებდა იმ რწმენით, რომ მცენარე ნაყოფს გამოიღებდა. ასევე, ულოცავდნენ ხეხილსაც“ (შილაკაძე 1949: 32; ციტ. შილაკაძე 1970: 46). ნ. მახარაძე აღნიშნავდა, რომ მუსიკალურ საკრავებს უშვილო ქალის სამკურნალოდაც მიმართავდნენ (მახარაძე 2009: 74, 128). ნინო მახარაძის სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც ქართული ნანას ჟანრის, სემანტიკისა და არტიკულაციის საკითხებს ეძღვნება, მოტანილია კ. როსებაშვილის საინტერესო ზეპირი ცნობა (1965) თუშური რიტუალის შესახებ: „საღამოს ქალები სპეციალურ კაჟის ქვებზე კაკუნით აფრთხობდნენ ავ სულებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ ბავშვს დაძინებაში. [...] ორგანოლოგიაში კაკუნი, ტყაპუნი, ბრახუნი და სხვ. საკრავიერი მუსიკის გენეზისის თვალსაზრისით ფუძემდებლურ მოვლენებადაა მიჩნეული. ასე რომ, ბავშვის დაძინების ქარ-

თულ რიტუალში საკრავის (ფანდურის, ჩონგურის, ქუნირის) არსებობას საკმაოდ ღრმა ფესვები შეიძლება ჰქონდეს და მისი ფუნქცია მხოლოდ თანხლებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს“ (ციტ. მახარაძე 2009: 74). მან აკვნის ნანების ცალკე ტიპად გამოყო ნიმუშები საკრავის თანხლებით, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული და გვხვდება თიანურ, ქართლურ, სვანურ, მეგრულ, გურულ, დიალექტებში, აგრეთვე აფხაზურ ფოლკლორში. მკვლევარი ამ ნიმუშებში საკრავიერი თანხლების არსებობას საკრავის მაგიურ ფუნქციასთან აკავშირებს (მახარაძე 2009: 128). თუ გავიხსენებთ, რომ როსებაშილის ცნობით „ხალხის წარმოდგენით დედის ნანას მაგიური მნიშვნელობა და ძალა აქვს, რომლითაც იგი შვილს ავ სულებს უფრთხობს, აწყნარებს და აძინებს მას“ (როსებაშილი 1982: 24-25; ციტ. მახარაძე 2009: 75), ამ მაგიურ რიტუალში საკრავის მონაწილეობაც არ უნდა იყოს შემთხვევითი.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ XX საუკ.-ის დასაწყისში საქართველოში ძალზედ პოპულარული გახდა სწორედ ქალ მეჩუნგურეთა მრავალრიცხოვანი ანსამბლები. საშინაო ყოფიდან სცენაზე ასული ქალი მისთვის ეთნოგრაფიულად ახლობელ სიმებიან საკრავებს – ჩონგურსა და ფანდურს დაუკავშირეს.

ყელ-მუცლიან საკრავთა ჯგუფში ერთიანდება სიმებიან-ხემიანი საკრავებიც, კერძოდ ქუნირი. სვანურ პრაქტიკაში ცნობილია ქალი მესაკრავეები, რომელთაგან ძველი თაობის ერთ-ერთ ვირტუოზ შემსრულებელთან, ფაფიკო ჩამგელიანთან შეხვედრის შესაძლებლობა მეც მომეცა. 2012 წელს სოფელ ლახუშდში ჩამგელიანების მომღერალ ოჯახს ვსტუმრობდი, სადაც მისგან ჩავინერე ქუნირზე დასაკრავები. მისი გადმოცემით ოჯახში ტრადიციულად სხვა ქალებიც ვირტუოზულად უკრავდნენ. დღეს საოჯახო ტრადიციას დები მადონა და ანა ჩამგელიანები განაგრძობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა ასპარეზი მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული, XX საუკუნემ მაინც შემოგვინახა რამდენიმე გამორჩეული ქალი შემსრულებლის სახელი. მაგალითად, ჩონგურზე გამორჩეულმა მეგრელმა შემსრულებელმა ქიონია ბარამიამ მეჩონგურეთა არა ერთი თაობა აღზარდა. მისი დაკვრის ვირტუოზული მანერა შემოგვინახა აუდიოჩანაწერებმა, რომლებიც დღემდე

აღაფროთოვანებენ პროფესიონალ და მოყვარულ ინსტრუმენტალისტებს.

როგორც საარქივო მასალა გვიჩვენებს, მეოცე საუკუნეში იზრდება ინსტრუმენტზე შემსრულებელი ქალების რიცხვი და მიუხედავად ტოტალურ სახელმწიფოში მათი უთანასწორო მდგომარეობისა, სოციალური ყოფის ცვლილებებთან და საზოგადოებაში ქალთა გააქტიურებასთან არის დაკავშირებული. თანამედროვე დემოკრატიულ საქართველოში ლიბერალიზაციის პროცესისა და ქალთა ემანსიპაციის მხარდასაჭერი ძალისხმევის მიუხედავად, დღესაც ქალთა შემსრულებლობა კვლავ მამაკაცთა შემსრულებლობასთან სწორებისკენაა მიმართული, მაგალითად, ხშირად გაიგებთ ადგილობრივთა შეფასებას: „კაცივით უკრავს“, „კაცზე ნაკლებად არ უკრავს“, „ბევრ კაცს სჯობს“.

ვოკალური მუსიკისაგან განსხვავებით, სადაც, სიმღერის მუსიკალურ- ტემბრული კანონზომიერებებიდან (ხმების დიაპაზონი, შესრულების მანერა და სხვ.) გამომდინარე, ქალთა და მამაკაცთა შესრულებაში ტოლობის ნიშანს ვერ დავსვამთ; ინსტრუმენტულ მუსიკაში გენდერული შეზღუდვა მხოლოდ სოციალურ საფუძველს ემყარება, ვინაიდან ქართული ინსტრუმენტარუმი საშემსრულებლო ტექნიკა თავისუფლად დაძლევადია როგორც მამაკაცების, ისე ქალების მიერ. მაგალითად, დღეს აჭარაში გუდასტვირზე შემსრულებელი არა ერთი ქალია და მათ მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ყველაზე რთულ საკრავზე დაკვრაც კი ქალებისთვის სირთულეს არ წარმოადგენს. ამის ნათელი მაგალითია, ასევე, ე.წ. ხალხურ საკრავთა ორკესტრები და მათი თანამედროვე მოდელები, მაგალითად, ქალი ინსტრუმენტალისტებით დაკომპლექტებული ანსამბლი *თსუ გორდელა*, რომელშიც ყველა ქართული საკრავი და მათი გათანამედროვეებული ვერსიებია გამოყენებული, გოგონათა უმეტესობა კი – ვირტუოზი შემსრულებელია.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საქართველოში ინსტრუმენტალისტი მამაკაცები რაოდენობრივად გაცილებით მეტია, ვიდრე ქალები, საზოგადოება აღიარებს მათ თანაბარ უფლებებს და მიიჩნევს, რომ ქართულ ინსტრუმენტარუმიზე შემსრულებლობა ორივესთვის ერთნაირად მისაწვდომია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ერქომაიშვილი, ანზორ, როდონაია, ვახტანგ. 2006. *ქართული ხალხური სიმღერა: პირველი ფონოგრაფიკული ჩანაწერები, 1901–1914*. თბილისი: ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი.
- კარგარეთელი, ია. 1933. *მოკლე პოპულარული მუსიკალური ენციკლოპედია*. თფილისი: სახელგამი.
- მაკალათია, სერგი. 1940. *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია*. თბილისი: საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება.
- მაჩაბელი, დავით. 1864. „ქართველთა ზნეობა“. *ჟურნალში: ცისკარი*, #5, გვ. 49–73.
- მახარაძე, ნინო. 2009. „ქართული „აკვნის ნანა“; ჟანრის, სემანტიკისა და არტიკულაციის საკითხები“. სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერის უფლებით). თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.
- ნეტლი, ბრუნო. 2022. *ეთნომუსიკოლოგიის კვლევა: ოცდაცამეტი თვალსაზრისი*. მესამე გამოცემის მიხედვით. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი.
- მილაკაძე, მანანა. 1970. *ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა*. თბილისი: მეცნიერება.
- ციციშვილი, ნინო. 2015. „სატრფიალო სიმღერა, კოლექტიური კულტურები და სქესობრივი ტაბუ“. კრებულში: *ტრადიციული მრავალხმიანობის VII საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებები*, გვ. 148–159. რედაქტორები: რუსუდან წურწუმია, იოსებ ჟორდანია. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი.
- ჯანელიძე, დიმიტრი. 2018. *ქართული თეატრის ისტორია: ხალხური საწყისები*. თბილისი: თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“.
- Tsitsishvili, Nino. 2006. ““A man can sing and play better than a woman”: singing and patriarchy at the georgian supra feast”. *Journal: Ethnomusicology*, #50:3, pp. 452–493.
- Nettl, Bruno. 1964. *Theory and method in ethnomusicology*. A Division of Macmillan Publishing Co., Inc.
- Sachs, Curt. 1937. *World History of the Dance*. New York: W. W. Norton.
- Sachs, Curt. 1962. *The Wellsprings of Music*. The Hague: Nijhoff.

თანამედროვე ქალი ავთორ-შემსრულებლები ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების კონტექსტში

თეონა ლომსაძე

შესავალი

გავშობიდან მოყოლებული, თითქმის ყოველი წლის 9 აპრილს ვუყურებდი ტელევიზიის სხვადასხვა არხზე გამეორებულ ამ შავთეთრ კადრებს – ვიდაცის სიმღერის ფონზე როგორ მიიწვევენ ტანკები ერთად შეკრებილი ადამიანებისკენ (ვიდეომაგ. 1). ასაკის მატებასთან ერთად, ამ კადრის ჩემუელი აღქმაც დაიხვეწა – მეტი შინაარსი შეიძინა, ისტორიული ფაქტებით გამდიდრდა და ემოციურადაც უფრო დაიტვირთა. 1990-იანების საქართველოში დაბადებულ ნებისმიერ ახალგაზრდას რომ კითხვით, იმავს გეტყვი, უფროსებისგან ზოგიერთს კი ეს კადრები ცოცხლად აქვს ნანახი და ჩემს თაობაზე გაცილებით უკეთ შეუძლია მოჰყვეს 1989 წლის 9 აპრილის ამბები: დამოუკიდებლობის მოთხოვნით თბილისის ცენტრში შეკრებილ მშვიდობიან დემონსტრანტებს, თანდათან როგორ უახლოვდებოდათ რუსული ტანკები და ამ დროს, მიკროფონთან მდგარი უსინათლო მომღერალი ლელა ვეფხვაძეც უფრო და უფრო ხმამაღლა როგორ მღეროდა: „დაუკარით, რომ ძველ ხანჭალს ელდა ეცეს...“. საინტერესოა, რომ ეს მეოცე საუკუნის საავტორო პატრიოტული სიმღერა *სალალობო*, თავისი მრავალხმიანი მისამღერითა და საფანდურო თანხლებით რიგითი ქართველისთვის მრავალსაუკუნოვან ფოლკლორულ სიმღერად აღიქმება, რადგან, როგორც ცნობილი ხალხური სიმღერა *შავლეგო*, ისიც თავისუფლებისთვის ბრძოლის მუსიკალურ სიმბოლოდ იქცა. „ჩემთვის 9 აპრილი ასოცირდება ლელას სიმღერასთან. [...] ლელა არის სიმბოლო იმისა, ტანკებს, დიდ ბოროტებას როგორ ამარცხებს სიმღერა და პატარა, სანთელივით მბჟუტავი სიკეთე“ (მაჭავარიანი 2014) – მთელი თაობის სათქმელს განაზოგადებს ჟურნალისტი ენძელა მაჭავარიანი.

დღევანდელი გადმოსახედიდან, 1989 წლის აპრილის დღეებში, უსინათლოთა კავშირის კაპელას სხვა წევრებთან ერთად ხალხის გასამხნეველად მომღერალი ლელა ვეფხვაძე, თავისი პიროვნული სიძლიერითა და გამბედაობით 90-იანების ქართველი ქალის კრებით სახესთანაც ასოცირდება. ზემოთ

აღწერილი მოვლენებიდან სულ მალე, უკვე ომგამოვლილ¹ ქვეყანაში არსებულ სოციო-ეკონომიკურ კრიზისს სწორედ ქართველი ქალების თავდაუღალავი შრომისა და სიძლიერის ხარჯზე გაუმკლავდა ასიათასობით ოჯახი. 90-იანების მოვლენების კვალდაკვალ, ქართველი ქალები საგრძნობლად დაწინაურდნენ პროფესიულ ასპარეზზეც, რაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში კიდევ უფრო აშკარა გახდა და ამის ღიად აღნიშვნა თავად მამაკაცებმაც დაიწყეს.

საინტერესოა, თანამედროვე ქართულ რეალობაში ქალის ემანსიპაცია რამდენად აისახა ისეთ ტრადიციულ სფეროზე, როგორც ფოლკლორული მუსიკის შემსრულებლობა?! მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღემდე უცხოეთში ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა ბევრს მხოლოდ მამაკაცთა საშემსრულებლო პრაქტიკა ჰგონია... ან რამდენად გააქტიურდა ფოლკლორულ მუსიკასა და მისგან ამოზრდილ თანამედროვე მუსიკალურ სტილებში ქალი შემსრულებლების თავისუფალი მხატვრული თვითგამოხატვის პროცესი?! ჩემი სტატია სწორედ თანამედროვე ქართველი ქალი ავტორ-შემსრულებლების ადგილისა და როლის განსაზღვრას ეძღვნება. განსაკუთრებით, ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის განახლების თანამედროვე პროცესსა და მასში გამოვლენილი მუსიკალური სტილების კონტექსტში.

ქართული ტრადიციული მუსიკის

განახლების თანამედროვე პროცესის შესახებ

სანამ განვიხილავ, რა ადგილი უკავიათ თანამედროვე ქალ შემსრულებლებს ქართული ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესში, პირველ რიგში, განვმარტავ, თუ რა მოიაზრება ტერმინში „მუსიკის განახლება“. ეს უკანასკნელი დასავლურ ეთნომუსიკოლოგიურ ლიტერატურაში “Music revival”-ის სახელწოდებითაა ცნობილი, რაც იმ მუსიკალური ტრადიციების აღდგენასა და შენახვაზე ორიენტირებული პროცესია, რომელსაც თანდათანობით დაკარგვის ან სამუდამოდ წარსულში გაქრობის საფრთხე ემუქრება (Livingston 1999: 68). “Music revival”-ის ყველაზე მისაღებ ქართულ თარგმანად „მუსიკის განახლება“ მიმაჩნია, რადგან სიტყვა „განახლება“ თავის თავშივე მოიცავს ცვლილებას. „განახლებული“ მუსიკა კი ყოველთვის გარდაქმნილია ამა თუ იმ ნიშნით, ხშირ შემთხვევაში, თანამედროვეობით ნაკარნახევი ტენდენციების შესაბამისად. როგორც აღნიშნავენ, მაშინაც კი, როცა ადამიანებს ჰგონიათ, რომ რაიმეს

უბრალოდ სიცოცხლეს უბრუნებენ, შედეგად მაინც რაღაც ახალს იღებენ (Slobin 1983: 37). აქვე უნდა ითქვას, რომ ფოლკლორული მუსიკის ცვალებადობის პროცესი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა. ძველად, ფოლკლორული ნიმუშის ყოველი ახალი შესრულება მას ახალ სიცოცხლეს ანიჭებდა და შესაბამისად, სხვაგვარი სახით წარმოადგენდა ნიმუშს, თუმცა ეს უკანასკნელი ფოლკლორული ტრადიციის ჩარჩოს არასდროს სცდებოდა. დღეს კი გარკვეული ტიპის ცვალებადობის შედეგად შეიძლება თვისებრივად სრულიად განსხვავებული მუსიკალური პროდუქტი შეიქმნას, რომელიც რიგი მიზეზების გამო, ფოლკლორულ ნიმუშად ვეღარ იწოდება. სწორედ ასეთი ტიპის ცვალებადობა უდევს საფუძვლად ფოლკლორული მუსიკის განახლების თანამედროვე კონცეფციას.

ერთი მხრივ, ფოლკლორული ნიმუშების პირველადი სოციალური ფუნქციის ჩანაცვლებამ თუ გაქრობამ, მეორე მხრივ კი, საზოგადოებაში გაჩენილმა ახალმა კულტურულმა თუ პოლიტიკურმა ორიენტირებმა ქართული მუსიკალური ფოლკლორის სფეროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარდატეხას დაუდო საფუძველი – ქართული ხალხური მუსიკის სასცენო შესრულების ტრადიციის ჩასახვას, რამაც სრულად განაპირობა ფოლკლორის განვითარების შემდგომი კურსი. მოგვიანებით, საბჭოთა ეპოქაში ფოლკლორის სფეროში მომხდარი ცვლილებები კიდევ ახალი და მანამდე უჩვეულო პრაქტიკის დასაბამად იქცა და ქართული ფოლკლორის გარდაქმნაში უდიდესი როლი ითამაშა. 1980-იანების ეროვნული მოძრაობის კვლადაკვალ, ქართული ხალხური მუსიკის განახლების მოძრაობამ კიდევ სხვა იმპულსები შეჰმატა ამ პროცესში გაჩენილი ახალი მუსიკალური ტენდენციების გააქტიურებას. ამდენად, უკანასკნელი საუკუნენახევრის განმავლობაში ქართულმა ფოლკლორმა ტრანსფორმაციის არაერთი ტალღა გამოიარა და შედეგად, ფოლკლორული მუსიკის განახლების პროცესში თანამონაწილე სამ ძირითად სტილურ ერთეულს დაუდო საფუძველი: სასცენო ფოლკლორს, ე.წ. „ფსევდო-ფოლკლორად“ ცნობილ ფოლკლორული ელფერის მქონე თანამედროვე საავტორო ნიმუშებს, რომელსაც მე „პოპ-ფოლკს“ ვუწოდებ და ქართულ ფოლკ-ფიუჟენ მუსიკას, რომელიც, ადგილობრივი ხალხური მუსიკისა და დასავლური პოპულარული მუსიკის ამა თუ იმ ჟანრის სინთეზს წარმოადგენს.

სტატიის ძირითად ნაწილში ქალ მუსიკოსთა როლს სწორედ ქართული ტრადიციული მუსიკის განახლების ზემოაღნიშნული ფორმების კონტექსტში განვიხილავ. გამომდინარე იქიდან, რომ კრებულში წარმოდგენილ რამდენიმე სტატიაში ავტორებმა უკვე ისაუბრეს ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის სასცენო შემსრულებლობაში ჩართულ ქალთა ანსამბლებსა თუ ინდივიდებზე, ჩემს სტატიაში, უშუალოდ, ქალი ავტორ-შემსრულებლების შემოქმედებითი და მხატვრული თავისუფლების გამოვლენის საკითხია აქცენტირებული. შესაბამისად, ქვემოთ განხილულია ქალი ავტორ-შემსრულებლების ადგილი და სხვადასხვაგვარი როლი სასცენო ფოლკლორის მიჯნაზე არსებულ საავტორო მუსიკაში, პოპ-ფოლკსა და ფოლკ-ფიუჟენში.

ქალი ავტორ-შემსრულებლები ქართული სასცენო ფოლკლორისა და საავტორო მუსიკის მიჯნაზე

ისტორიულად, ქალ შემსრულებლებს ქართული ტრადიციული მუსიკის როგორც გლეხურ, ისე ქალაქურ შტოში გამოკვეთილი ადგილი უკავიათ, რასაც კრებულის წინამდებარე სტატიებიც ცხადყოფს. თუ გლეხური ფოლკლორის შემსრულებლობაში ქალთა რეპერტუარს მათი ყოველდღიური საქმიანობის სპეციფიკა განსაზღვრავდა (მაგ. ბავშვის დასაძინებელი ნანები, მატყლის სართავი სიმღერები და ა.შ.), ქალაქური მუსიკის შემსრულებლობაში ქალთა ჩართულობა, ძირითადად, XVIII-XIX საუკუნეების მულტიკულტურული თბილისის (მოგვიანებით, ქუთაისის) სოციალური დინამიკით იყო განპირობებული. კერძოდ, აღმოსავლური აშუღური ტრადიციიდან ამოზრდილი ქალაქური მუსიკის ერთი შტო, აღმოსავლურივე გენდერული ნორმატივების გათვალისწინებით, XX საუკუნემდე მხოლოდ მამაკაცი შემსრულებლებით იყო წარმოდგენილი. ამდენად, სიმპტომატურია, რომ ისტორიულად, ამ მიმართულების პირველ ქალ შემსრულებლად ეთნიკურად ქართველი ანა ვარდიაშვილი გვევლინება (ჟუჟუნაძე, ამავე კრებულიდან). მეორე მხრივ, ევროპული მუსიკალური აზროვნებიდან ამოზრდილი ქართული ქალაქური მუსიკის დასავლური შტო არისტოკრატიულ წრეებსა და მათ სალონურ შეხვედრებზე მჟღერ ჰანგებს წარმოდგენდა, სადაც ევროპული ტრადიციისავე კვალდაკვალ, ქალები მამაკაცებზე არანაკლებ აქტიურად მუზიცირებდნენ. გასათვალისწინებელია, რომ XIX საუკუნის ბოლოდან დაწყებული ქართველ ქალთა სოციო-პოლიტიკური ემანსიპაციის მოძრაობა სწორედ თავადური წარმოშობის ქალი აქტივისტების,

ბარბარე ჯორჯაძის, კატო მიქელაძისა და სხვათა მიერაა ინიცირებული (დამბაშიძე 2020). ამ პირველი ქართველი ფემინისტი ქალების დამსახურებაა, რომ საქართველო 1918 წელს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად აღიარებისთანავე ევროპაში ერთ-ერთი პირველი ქვეყანა გახდა, სადაც ქალებმა არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მოიპოვეს (GHN 2019).

ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების აქტიურად ჩართვამ, მათი შემოქმედებითი თვითგამოსატვის თავისუფლებაც თანდათან გაზარდა. საკუთრივ, ფოლკლორული მუსიკის სფეროში XX საუკუნეში არაერთი ავტორიტეტული ქალი შემსრულებელი გამოიკვეთა, მათი ნაწილი ავტორ-შემსრულებლის რანგშიც მოგვევლინა და გარდამტეხი როლი შეასრულა ქართული ტრადიციული მუსიკის განახლების პროცესის ამა თუ იმ ფაზაში.

XX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველი ქალი ავტორ-შემსრულებლებიდან უდავოდ, გამორჩეულ პერსონას წარმოადგენს ინოლა გურგულია (1929–1977)². ამ მკაფიოდ ინდივიდუალური სტილის მქონე მუსიკოსის შემოქმედება გარკვეული თვალსაზრისით, დასავლური შტოს ქართული ქალაქური მუსიკის ტრადიციებიდანაა ამოზრდილი და ახალი მუსიკალური ელემენტებით გამდიდრების გზით, ამ ჟანრის შემდგომ განვითარებას ახდენს. მაგალითისთვის გამოდგება ინოლა გურგულიას, გიული დარახველიძისა და მედეა სიხარულიძის ვოკალურ ტრიო სამიას შემსრულებლობაში დამკვიდრებული ხმების განსხვავებული განლაგება, რაც მეტად დამახასიათებელ ჟღერადობას იძლეოდა (ვიდეომაგ. 2). კერძოდ, პირველსა და მეორე ხმებს შორის კიდევ ერთი ხმა იყო აჟღერებული, რომელსაც მომღერლები „ჩართულს“ ეძახდნენ და მას თავად ინოლა მღეროდა³. ხმათა განაწილების ეს მეთოდი (რომელიც, დიდი ალბათობით, ინოლა გურგულიას მიერ იყო ინიცირებული) შემდეგ სხვა ტრიოებმაც აიტაცეს და დღეს ეს უკვე ფართოდაა გავრცელებული. ბევრმა არც იცის, ეს პრაქტიკა ქალთა შემსრულებლობაში ტრიო სამიასგან რომ მომდინარეობს.

შეიძლება ითქვას, რომ კომპოზიტორ, პოეტ და მომღერალ ინოლა გურგულიას შემოქმედება ქართული ტრადიციული ქალაქური მუსიკის ფარგლებს საგრძნობლად ცდება, რადგან მას ჭარბად ერწყმის ჯაზისა და სარომანსო მუსიკის ელემენტები (ვიდეომაგ. 3) თუმცა მეორე მხრივ, ის ქართული ქალაქური

მუსიკის ლოგიკურ განვითარებადაც შეგვიძლია აღვიქვათ, რომელსაც ცხადად ატყვია ინოლასეული ორიგინალური ხელწერა. თვითმყოფად საკომპოზიტორო სტილთან ერთად, მისი მკაფიოდ ინდივიდუალური ვოკალური მანერა და თავისებური საგიტარო აკომპანემენტი, ინოლა გურგულიას დღემდე ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ქართველ ქალ შემსრულებლად აქცევს.

გულახდილი რომ ვიყო, ინოლას შემოქმედებაზე გამოზომილი სამეცნიერო ენით წერა საკმაოდ რთული აღმოჩნდა ჩემთვის, რადგან მისი სიმღერების სისადავეში ჩაქსოვილი ემოციური სიღრმით, გულახდილობით, თავისი მელოდიურობითა და ჰარმონიული ენით, ის ყველაზე მძაფრ ადამიანურ განცდებთან რეზონირებს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მისი მუსიკის ყველა მოყვარულს (მათ შორის, მეც) თავისი ინოლა ჰყავს, ვისაც ყველაზე პირადულ განცდებსაც თამამად უზიარებს. ინოლას სიმღერების ტექსტიც ყველასთვის მნიშვნელოვან ფასეულობებს ეხება – სიყვარულს, სიკეთეს, მადლიერებას, ჰუმანურობას. ამ მაღალ იდეალებზე კი ის საოცრად გულწრფელი და ყველასთვის გასაგები ენით საუბრობს, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი სიმღერების ასეთ საყოველთაო სიყვარულს. „ის იყო ერთადერთი და ამავდროულად, ძალიან სახალხო“⁴ – მომღერალ ლიზა ბაგრატიონის ეს შეფასება, ალბათ, საუკეთესოდ აღწერს ინოლას, როგორც შემოქმედს.

ინოლას, როგორც პიროვნებას კი, როგორც ამბობენ, განსაკუთრებული თავისუფლება და სილალე გამოარჩევდა, რამაც, ასევე, დიდი ასახვა ჰპოვა მის მუსიკაში, მათ შორის საბავშვო სიმღერებში. შესაძლოა, სწორედ მისი სიმღერებიდან მომდინარე ეს თავისუფლების განცდაა, რაც დღესაც ასე იზიდავს ახალგაზრდა მუსიკოსებს (და არა მხოლოდ საქართველოში), ამა თუ იმ ინტერპრეტაციით რომ აჟღერებენ ინოლას შემოქმედებას (ვიდეომავ. 4), ყველაზე ხშირად კი სიმღერას – *ადამიანი* (ვიდეომავ. 5, 6). სიმპტომატურია, რომ სწორედ სიმღერაზე, ღიმილსა და სიკეთეზე დაწერილი ეს სიმღერა უზრუნველყოფს ინოლას მიერ დატოვებული ანდერძის აღსრულებას – „იმღერეთ ჩემი სიმღერები, რომ ცოცხალი ვიყო“ (გურგულია 1999).

ქალაქური მუსიკის დასავლურ შტოსთან დაკავშირებულ ინოლა გურგულიასეულ ფაქიზ ხელწერას თავისი ძლიერი ენერგეტიკით საინტერესოდ უპირისპირდება აღმოსავლეთის მთის ფოლკლორიდან ამოზრდილი ლელა თათარაიძის შემოქ-

მედება. თუ ინოლას მუსიკა ქალაქური ფოლკლორის ფარგლებს მნიშვნელოვნად სცილდება, ლელა თათარაიძე მთლიანად ქართული გლეხური ფოლკლორის, კერძოდ აღმოსავლეთის მთის მუსიკალური დიალექტების სააზროვნო სისტემაში რჩება, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მისი შემოქმედება ფოლკლორისა და საავტორო მუსიკის მიჯნაზეა.

თუშური ჰანგის ხმით მომთავინიერებელი და გარმონზე დაკვრის დიდოსტატი ლელა თათარაიძე⁵, დღევანდელი ფოლკლორის სფეროში ყველაზე გამორჩეულ ქალ ავტორ-შემსრულებლად შეიძლება ჩაითვალოს. 1970-იანი წლებიდან დღემდე აქტიურად დესპანობს თუშურ მუსიკას საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ამ დროის განმავლობაში 50-მდე სიმღერა და ინსტრუმენტული დასაკრავი აქვს შექმნილი, რომელთა სრული უმრავლესობა აღმოსავლეთის მთის ფოლკლორისთვის დამახასიათებელ კილო-ინტონაციურ და ჰარმონიულ ფარგლებშია მოქცეული (ვიდეომავ. 7), რაც პირველ რიგში, მისი შემოქმედებითი მრწამსითაა განპირობებული: „სხვა კუთხის სიმღერებს თავისი შემსრულებლები ჰყავს, მე თუშეთს და აღმოსავლეთის მთას ვემსახურები. ფოლკლორიც აქედან არის ჩემი შემოქმედების წყარო და პოეზიაც“⁶.

სიმღერების ტექსტს თავად არ წერს, მაგრამ ძირითადად, სწორედ მთასა და სამშობლოს თემატიკაზე დაწერილ ლექსებს ირჩევს. ლექსი მისთვის შთაგონების მთავარი წყაროა, რაც თავისდაუნებურად უბიძგებს მოგვიანებით სიმღერის დასაწერად: „ჩემთვის ძირითადი არის ლექსი. ლექსმა უნდა მაგრძობინოს, რა შეიძლება გაკეთდეს. რომელი ლექსიდანაც ჩემში ერთი ფრაზა მაინც დარჩება, როგორც კი წავიკითხავ, მერე ის ფრაზა თვითონ ინვალებს ჩემში და როცა მოვა, თვითონ მოვა მუსიკად“⁷. საინტერესოა, რომ ლელა თათარაიძისეული სიმღერის ქმნის პროცესიც უშუალოდ, აღმოსავლეთის მთაში გავრცელებული „ლექსების დამღერების“ ტრადიციიდან მომდინარეობს. ლელას მსგავსად, თუში ხალხი, როგორც წესი, ფანდურზე ან ქართულ გარმონზე⁸ დაამღერებდა-ხოლომე ლექსად გადმოცემულ სათქმელს⁹.

ლელას სიმღერების ნაწილი იმდენად ორგანულადაა ამოზრდილი თუშური მუსიკალური დიალექტიდან, რომ თითქოს, ადგილობრივი მუსიკალური ჰანგების ერთგვარ ვარირებას წარმოადგენს (ვიდეომავ. 8). ამის გამო, ხშირად ლელა თათარაიძის ესა თუ ის საავტორო სიმღერა თუშური ფოლკლორული ნიმუშის

სახელითაა გავრცელებული. აღსანიშნავია, რომ ამ ნიმუშებში მკაფიოდ შეიგრძნობა ჩრდილო-კავკასიური ფოლკლორის (ჩეჩნური, დაღესტნური) კილო-ინტონაციურ და ჰარმონიულ ენასთან კავშირი, რასაც თუშურ მუსიკასთან მიმართებაშიც აღნიშნავს არაერთი ქართველი ეთნომუსიკოლოგი (Zumbadze, Matiashvili 2018; Valishvili 2010). ამასთან, ლელა თათარაიდის სიმღერების ნაწილი თუშურ მუსიკალურ ენას სცდება და აღმოსავლეთის მთის ამა თუ იმ ფოლკლორული დიალექტისთვის დამახასიათებელი ელემენტებითაა გამდიდრებული (ვიდეომავ. 9).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლელა თათარაიდის შემოქმედება, როგორც წმინდა მუსიკალური ელემენტებით, ისე მუსიკალური ნიმუშების შექმნის სპეციფიკით აღმოსავლეთის მთის ქართული ფოლკლორული ტრადიციის პირდაპირ გავრძელებას წარმოადგენს. ბუნებრივია, შეიძლება გაჩნდეს კითხვა, მაშინ რატომ არ ვუწოდებთ მის ნიმუშებს ფოლკლორს? ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოს მიერ 1950-იან წლებში შემუშავებული და, ჯერჯერობით, ქართულ მეცნიერებაში ერთადერთი ფართოდ გაზიარებული დეფინიციის გათვალისწინებით, ფოლკლორული ნიმუში, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, ანონიმურობის კრიტერიუმსაც უნდა აკმაყოფილებდეს (Karpeles 1955: 6-7). დღევანდელ ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში და საავტორო უფლებების მზარდი აქტუალობის პირობებში, ბუნებრივია, ახლად შექმნილი ნიმუშების ავტორის ანონიმურობა თითქმის შეუძლებელია (თავისთავად, ლელა თათარაიდის შემთხვევაშიც ასეა). თუმცა რადგან ჯერჯერობით, სამეცნიერო წრეებში ფოლკლორის თანამედროვე გამონვევების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული რომელიმე ახალი დეფინიცია არაა ფართოდ გაზიარებული, ფოლკლორულ ნიმუშად სახელდებისთვის ანონიმურობა კვლავ მნიშვნელოვან კრიტერიუმად გვევლინება. ეს კიდევ ერთი მიზეზია საიმისოდ, რომ ლელა თათარაიდეს ფოლკლორის მიჯნაზე მყოფი ავტორ-შემსრულებელი ვუწოდოთ.

ფოლკლორის სფეროში საავტორო მუსიკის ფენომენზე აქტიურად მუშაობს ახალგაზრდა ქართველი ეთნომუსიკოლოგი, სოფიკო კოტრიკაძე, რომელიც საავტორო მუსიკას მისი განვითარების ქრონოლოგიური ეტაპის მიხედვით „ძველ“, „ახალ“ და „თანამედროვე“ კატეგორიებად ჰყოფს. ერთ-ერთ სტატიაში იგი აღნიშნავს: „ძველი“ საავტორო სიმღერები მოიცავს XIX საუკუნის ბოლოდან

XX საუკუნის 60-იან წლებამდე შექმნილ ნიმუშებს. ამ პერიოდის ლოტბართა უმეტესობას სპეციალური მუსიკალური განათლება არ ჰქონდათ მიღებული და მათი ქმნილებებიც, ძირითადად, ხალხური ფესვებიდან იყო ამოზრდილი. „ახალი“ საავტორო ნიმუშები შექმნილია XX საუკუნის 60-იანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე. ამ პერიოდის ლოტბართა უმეტესობას სპეციალური მუსიკალური განათლება ჰქონდა მიღებული, შესაბამისად, მათ ნაწარმოებებშიც, ხალხური კანონზომიერებებიდან მეტი გადახვევაა... „თანამედროვე“ საავტორო სიმღერებად მივიჩნევ ფოლკლორულ მოტივებზე შექმნილ პოსტსაბჭოური ეპოქის შემსრულებელთა საესტრადო ტიპის სიმღერებს. ასეთებია *ტრიო მანდილის*, *ჯგუფ ბანის*, დავით კენჭიაშვილის, მარიამ ელიაშვილისა და სხვათა შემოქმედება“ (კოტრიკაძე 2019: 286).

ამ სისტემატიზაციის მიხედვით, სპეციალური მუსიკალური განათლების მქონე ლელა თათარაიძის შემოქმედება „ახალი“ საავტორო სიმღერების კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდეს. საიტერესოა, რომ ეს კატეგორია, მნიშვნელოვანწილად, ნიადაგს უმზადებს და ერთგვარ, გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს „თანამედროვე“ საავტორო სიმღერებისკენ, რომლებიც ლელა თათარაიძის შემოქმედების მსგავსად, სწორედ აღმოსავლეთის მთის ფოლკლორის მუსიკალური ენიდან მომდინარეობს, თუმცა მათში ჩრდილო კავკასიური მუსიკალური ელემენტები გაცილებით ჭარბადაა წარმოდგენილი.

სტატიის შემდეგი ნაწილი სწორედ ფოლკლორული ელფერის მქონე თანამედროვე საავტორო მუსიკის ქალ შემსრულებლებს განიხილავს. გარკვეული დროის მანძილზე ამ მუსიკას „ფსევდო-ფოლკლორადაც“ მოიხსენიებდნენ, პირადად მე, რიგი მახასიათებლების (დემოკრატიულობა, ფართო გავრცელება და სტანდარტიზებული ტექსტი, რაც მას ფოლკლორული და პოპ-მუსიკის თავისებურებების ერთგვარ სიმბიოზად წარმოგვისახავს) გათვალისწინებით მას „პოპ-ფოლკს“ ვუწოდებ.

ქალი შემსრულებლების როლი ქართული პოპ-ფოლკის განვითარება-პოპულარიზაციაში

2014 წლის სექტემბერი იყო, როდესაც მაღალმთიან სოფელში დასასვენებლად მყოფმა სამმა თეინეიჯერმა გოგონამ გადაიღო სელფი ვიდეო, სადაც სოფლის გზაზე მომავალნი ცნობილ პოპ-ფოლკ სიმღერა აპარეკას მღერიან. მოგ-

ვიანებით, ვიდეო YouTube-ზე ატვირთეს და მეგობრებს გაუზიარეს, თუმცა, თავად გოგოებისდა გასაკვირად, მომდევნო კვირების განმავლობაში ვიდეო მილიონობით ადამიანმა ნახა, არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც (ამჟამად ამ ვიდეოს ნახვების რაოდენობა 7.5 მილიონს აღემატება) (ვიდეომავ. 10). ამ ვიდეოს პოპულარობამ რადიკალურად შეცვალა მათი მომავალი – გოგოები უკრაინელმა მენეჯერმა აღმოაჩინა, რომელმაც ჯგუფი მარკეტინგულად შეფუთა, როგორც *ტრიო მანდილი* და მათი აქტიური საგასტროლო მოღვაწეობაც დაიწყო. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჯგუფს არაერთი ტური ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში, გამოსცეს სამი CD ალბომი, ჩაწერეს კომპოზიციები პოლონელ, იტალიელ და რუს მუსიკოსებთან ერთად. მთელი ეს კამპანია კი სწორედ სელფი ვიდეოს ფორმატზე იყო აგებული, რასაც დროდადრო ისევ მიმართავენ ახალი სიმღერების პოპულარიზებისთვის, როგორც მათი ბრენდის მთავარ ნიშანს.

სწორედ პირველი სელფი ვიდეოთი გაიცნეს გოგოები ესტონური ფოლკ-ფესტივალის ორგანიზატორებმა და *სეტო-ფოლკ 2017*-ზე მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს. როგორც ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელისგან შევითქვე, ქართული მრავალხმიანი სიმღერების მომღერალი ახალგაზრდა მხიარული გოგოების ეს ტრიო უკვე ნაცნობი იყო ესტონელებისათვის და გაცილებით მიზიდველ საკონცერტო შემოთავაზებას წარმოადგენდა, ვიდრე თუნდაც გამოცდილი მამაკაცთა გუნდი საქართველოდან, თავისი სერიოზული გამომეტყველებითა და ფორმალური სასცენო შესრულებით.

როგორც ესტონელი მუსიკოსის მოსაზრება ცხადყოფს, *ტრიო მანდილის* სელფი ვიდეოს საზღვარგარეთ პოპულარობის მთავარი განმაპირობებელი ის იყო, რომ მასში ქართული მრავალხმიანი სიმღერები ლაღი თინეიჯერი გოგონების მიერ არაფორმალურ გარემოში იყო შესრულებული. ამასთან, იგი არღვევდა სტერეოტიპს, რომ ქართული ტრადიციული მუსიკა სრულდება მხოლოდ მამაკაცთა გუნდის მიერ, რომელიც სცენაზე ტრადიციულ ჩოხებში გამოწყობილი, წარბებშეკრული და გაჭიმული დგას და მხოლოდ ტაშით თუ შემოიფარგლება სიმღერის დროს¹⁰.

საინტერესო ისაა, რომ სელფი-ვიდეოში შესრულებული პოპ-ფოლკ სიმღერა აპარეკა, მისი მრავალხმიანი მუსიკალური ქსოვილის, ფოლკლორული ელფერისა

და სათანხლებოდ გამოყენებული ფანდურის გამო, საზღვარგარეთ ქართული ტრადიციულ მრავალხმიან ნიმუშად იქნა აღქმული და ესტონურ მუსიკალურ ფესტივალზეც *ტრიო მანდილი* სწორედ ქართული ფოლკლორის შემსრულებლის რანგში მიიწვიეს. ყოველივე ამან კიდევ უფრო გაამძაფრა *ტრიო მანდილისა* და ზოგადად, პოპ-ფოლკის შემსრულებლების მიმართ ქართული ტრადიციული მუსიკის ქომაგების პროტესტი, რომელთაც სჯერათ, რომ ასეთი მუსიკოსები აზიანებენ ქართული ფოლკლორის რეპუტაციას. რეალურად, ხალხური მუსიკის შემსრულებელთა უმრავლესობამ პირად საუბრებში აღნიშნა, რომ თავად პოპ-ფოლკ მუსიკა ნაკლებ გამაღიზიანებელია მათთვის, ვიდრე ის ფაქტი, რომ ეს მუსიკოსები საკუთარი შემოქმედების ფოლკლორად პრეზენტაციით, ქართული ფოლკლორის ავტორიტეტს „საკუთარი სარგებლისთვის იყენებენ“.

ყოველივე ამას კი არესებული პრობლემის საფუძვლამდე მივყავართ – მრავალწლიანი არსებობის მიუხედავად, ქართული ფოლკლორის ელფერის მქონე ამ მუსიკას დღემდე არ აქვს რაიმე ერთი და ყველასთვის მეტნაკლებად მისაღები სახელი, რაც მას ქართული ტრადიციული მუსიკისგან გამიჯნავდა, მისი განსხვავებული მუსიკალური სახის შესაბამისად.

შედეგად, ბოლო წლებში გამოჩენილ სამეცნიერო ნაშრომებამდე¹¹, ტრადიციული მუსიკის სფეროს წარმომადგენლები ამ მუსიკას დიდი ხნის განმავლობაში „ფსევდო-ფოლკლორად“ მოიხსენიებდნენ, თუმცა ცხადია, თავად ამ მუსიკის შემსრულებლებისთვის უარყოფითი კონოტაციის მქონე ეს ტერმინი თვითიდენტიფიკაციისთვის მიუღებელია. ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულებაზე ღიად ისაუბრა *ტრიო მანდილის* წევრმა თათული მგელაძემ 2019 წელს მოცემულ ინტერვიუში: „მე ვფიქრობ, ფოლკლორისტები არ გვთვლიან ფოლკლორულ ჯგუფად, რადგან „ქავერებსაც“ ვმღერით, ჩვენს საკუთარ სიმღერებსაც და ფოლკლორულ სიმღერებს ჩვენს სტილში ვაკეთებთ, ალბათ ბოლომდე არც ფოლკლორული ჯგუფი ვართ... „ფსევდო ფოლკლორს“ რაც ეხება, ეს რაღაც უარყოფითს ნიშნავს და მიანიშნებს, რომ ამ მუსიკის მიმართ დამოკიდებულებაც უარყოფითია. მე არ ვფიქრობ, რა ტერმინია ჩემთვის მისაღები და რა არა, იმიტომ რომ ხალხი მაინც იმას დაგვიძახებს რაც უნდა, მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა ჩვენ ეს. რა თქმა უნდა, ტერმინი „ფსევდო-ფოლკლორი“ უარყოფითს ნიშნავს, მაგრამ არ აქვს ამას მნიშვნელობა. მე მაინც გავაგრძელებ ჩემს საქმეს და გავაგრძელებ ისე, როგორც სწორი მგონია,

იმითომ რომ მე ჩემი სიმღერით და კონცერტებით არავის ვაყენებ შეურაცხყოფას“ (მგელაძე 2019, პირადი ინტერვიუ).

უნდა ითქვას, რომ ტრადიციული მუსიკის მიმდევართა კრიტიკის მიუხედავად, მედიისა და ინტერნეტის საშუალებით უკვე ფართოდ გავრცელებული მუსიკის ეს მიმართულება თანამედროვე საქართველოში ძალიან პოპულარულია, განსაკუთრებით, ისეთ სოციალურ ჯგუფებში, როგორცაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლები, გარე მოვაჭრეები და უბრალოდ, ფანდურზე შემსრულებელი ახალგაზრდები, რომელთა უმრავლესობა ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან დიდ ქალაქებში არიან გადმოსახლებული. ხშირად შეხვდებით მათ შესრულებას საზოგადოებრივ ადგილებში: ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ან პარკებში, თუმცა მათი მოტივი ყოველთვის შემოსავლის გამომუშავების ფაქტორი არაა, არამედ, მსგავსი შესრულება ხშირად გართობათავშეცევისა და თანატოლებთან სოციალური ინტერაქციის მიზანს ემსახურება.

უნდა ითქვას, რომ ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობისგან განსხვავებით, პოპ-ფოლკის მიმართულებაში ქალი შემსრულებლები ჭარბობენ, რაც არა მხოლოდ ქართველი ქალის ემანსიპაციის ნიშანია, არამედ, მნიშვნელოვანწილად, თავად ამ მუსიკის სპეციფიკითაა განპირობებული. კერძოდ, პოპ-ფოლკ ნიმუშები ტრადიციული მუსიკალური ელემენტების მოდერნიზაციით იქმნება. ძირითადად, აღმოსავლეთის მთის კუთხეებისთვის (როგორც საქართველოს, ისე ჩრდილო-კავკასიის) დამახასიათებელი კილო-პარმონიისა და მელოდიური ინტონაციების გამოყენებით, რადგან ავტორთა უმრავლესობა სწორედ მთიანი რეგიონებიდანაა ქალაქში მიგრირებული. სიმღერების ტექსტების მთავარი მოტივი სასიყვარულო თემატიკაა, სამშობლოს დიდება, ძლიერი ქართველი ვაჟკაცის იდეალიზებული ასახვაა. აღმოსავლეთის მთის ფოლკლორული ტრადიციების მიხედვით ქალები ფანდურის თუ სხვა ინსტრუმენტების თანხლებით სხვადასხვა ჟანრის სიმღერებს, ბალადებსა და შაირებს მუდამ მღეროდნენ, მსგავსად, ზემოთ განხილული ლელა თათარაიძისა, რომლის შემოქმედება სწორედ ქართულ ფოლკლორსა და პოპ-ფოლკს შორის გარდამავალ საფეხურად შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეების ფოლკლორული ტრადიციიდან ამოზრდილი პოპ-ფოლკის შემსრულებლობაში ქალთა დომინირებული როლი გასაკვირი არაა. ამასთან, ქართველ ქალთა შემსრულებლობას ჯერ ისევ მოკ-

ლებული უცხოური აუდიტორია განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს სწორედ ტრიო მანდილისა და მსგავსი პოპ-ფოლკ ჯგუფების მიმართ, რაც თავისთავად, განამტკიცებს ამ მიმართულებაში ქალ შემსრულებელთა დომინირებულ როლს.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო ფაქტი, რომ თანამედროვე პოპ-ფოლკ ჯგუფებში ბოლო წლებში ერთგვარ ტრადიციად დამკვიდრდა დების ანსამბლები: მაგ. დები გოგოჭურები, დები ნაყურები, დები ზვიადაურები, დები წიკლაურები და ა.შ. (ვიდეო მაგ. 11) ამ მოვლენის საინტერესო ახსნას გვთავაზობს ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგი მალხაზ რაზმაძე: „საოჯახო ანსამბლების ფენომენი ძალიან გავრცელებული იყო ქართულ მუსიკაში. რადგანაც ეს მუსიკა, რატომღაც, ძირითადად, ქალების მიერ სრულდება, საოჯახო ანსამბლების პრაქტიკა დების ფენომენმა ჩაანაცვლა“ (რაზმაძე 2014). როგორც ვხედავთ, პოპ-ფოლკში ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობიდან მომდინარე კიდევ ერთმა ელემენტმა – საოჯახო ანსამბლების ფენომენმა გადმოინაცვლა, თუმცა ზემოაღნიშნული მიზეზების გამო პოპ-ფოლკის შემთხვევაში ის დების ანსამბლების სპეციფიკაში გარდაისახა. ამ ტიპის ანსამბლების უმრავლესობა, ქართულ ტრადიციულ მუსიკასაც ასრულებს, დები ნაყურების ტრიოდან ლელა და ნინო ნაყურები კი ქართული ფოლკლორის თანამედროვე მუსიკასთან სინთეზის ექსპერიმენტული პროექტებითაც არიან დაინტერესებული. სწორედ მსგავს ფოლკ-ფიუჟენ პროექტებსა და ექსპერიმენტებში თანამედროვე ქალ შემსრულებელთა ჩართულობის საკითხს განვიხილავ სტატიის შემდეგ ნაწილში.

ქალ შემსრულებელთა ჩართულობა

თანამედროვე ფოლკ-ფიუჟენ პროექტებში

დღეს ქართული ფოლკლორი ტრადიციული სახით წარმოდგენის გარდა, აქტიურად სრულდება პოპულარული მუსიკის ამა თუ იმ ჟანრთან სინთეზში. მსგავსი მუსიკალური ჰიბრიდები ქართული ხალხური მუსიკის განახლების პროცესში გამოვლენილ ყველაზე თანამედროვე ფორმას წარმოადგენენ, რასაც მე ფოლკ-ფიუჟენის სტილში ვაერთიანებ¹².

ქართული ფოლკ-ფიუჟენ პროექტები არა მხოლოდ საინტერესო მუსიკალური ექსპერიმენტის განხორციელების მოტივაციით იქმნება, არამედ მას მუსიკოსთა გააზრებული თუ ქვეცნობიერ დონეზე არსებული სოციო-კულტურული მოტივებიც



დები ნაყურები. საოჯახო არქივიდან | Nakeuri sisters. From family archive.

განაპირობებს. ამ მუსიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ერთი მხრივ, თანამედროვე ქართველების მუსიკალური გემოვნებისა და გამოცდილების, მეორე მხრივ კი, ჯერაც ცოცხალი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეების წყალობით, ფოლკ-ფიუჟენ მუსიკა თანამედროვე ქართველის მუსიკალურ-კულტურული მრავალშრიანი იდენტობის საუკეთესო გამოსატულებად შეიძლება ჩაითვალოს (ლომსაძე 2021: 193).

ქართულ ფოლკ-ფიუჟენ ჯგუფებსა და პროექტებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მასში მამაკაცი შემსრულებლები აშკარად დომინირებენ. თანამედროვე

საზოგადოებაში ქალთა როლის ლიბერალიზაციის გათვალისწინებით, ეს სურათი უჩვეულოდ გამოიყურება, მით უფრო, XX საუკუნის დასაწყისიდან ქალაქური მუსიკის შემსრულებლობაში ქალთა გამოკვეთილ როლს თუ გავიხსენებთ. საინტერესოა, რა შეიძლება იყოს ამ მოცემულობის გამომწვევი, ან თავად ფოლკ-ფიუჟენის ქალი შემსრულებლები რას მიიჩნევენ ამ სურათის განმაპირობებლად?!

თანამედროვე ფოლკ-ფიუჟენ პროექტებში ქალი შემსრულებლები, რიგ შემთხვევაში, ტრადიციული ქალის სახეს ქმნიან, როგორც კლუბურ მუსიკაში გარდატეხილ ფოლკ-ფიუჟენ პროექტში *კახაბერი* და *ხანუმები* მონაწილე გოგონების ტრიოა (ვიდეომაგ. 12). ძველი თბილისის ესთეტიკა, რომელიც *ხანუმების*¹³ პერსონაჟებსა და მათ სამოსშია ასახული, შერწყმულია გლესური ფოლკლორის ტრადიციაში დამკვიდრებულ მრავალხმიან ტრიო შემსრულებლობასა და ფოლკლორულ რეპერტუართან. წამყვანი მუსიკოსი კი დრამერი და ელექტრონული მუსიკოსი კახაბერია, რომლის ფონზეც ხანუმები ტრადიციული ელემენტებით აფორმებენ პროექტს.

ცნობილ ქართულ ფოლკ-ფიუჟენ პროექტებში ქალი შემსრულებლები ყველაზე ხშირად, ინდივიდუალურად არიან წარმოდგენილი, როგორც მოწვეული სოლისტი მომღერლები მამაკაცთა ჯგუფში (*შინ* და *მაია ბარათაშვილი*, *ბარაკა* და *თინა მეჭთიევა*, *ირიანო* და *სოფო გელოვანი*) და იშვიათად თუ არიან მსგავსი ფოლკ-ფიუჟენ ჯგუფის მუდმივი წევრები. ერთ-ერთ გამონაკლისად გვევლინება ავსტრიაში მოღვაწე ქართველი ჯაზ-ვოკალისტი თეონა მოსია, რომელსაც 2014 წლიდან ვენაში თავისი ეთნო-ჯაზ ბენდი ჰყავს და აქტიურად ასრულებს ქართულ ფოლკლორულ მოტივებზე შექმნილ საკუთარ ჯაზ-კომპოზიციებს. იგი სამეგრელოდანაა¹⁴ და მის შემოქმედებაში ქარბობს მეგრული ხალხური სიმღერებიდან მომდინარე კილო-ინტონაციური ელემენტები (ვიდეომაგ. 13), რის გამოც, ბევრი მას „მეგრული ჯაზის“ შემსრულებელს უწოდებს. თეონა წლებია, რაც აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა ევროპის ამა თუ იმ ქვეყანაში, 2019 წელს საქართველოში გამართული სოლო-კონცერტით კი ის ქართულმა ფართო საზოგადოებამაც გაიცნო. საინტერესოა, რომ ქართული ტრადიციული ელემენტებით მუსიკის შექმნა მას საკუთარმა ლექტორმა მათილდა ლეკომ ურჩია, სავარაუდოდ, როგორც ყველასგან გამორჩეული მუსიკალური იდენტობის გამოვლენის გზა. მართლაც, როგორც მომღერალი აღნიშნავს, ტრადიციუ-

ლი ინსტრუმენტული ჯაბ ტრიოს თანხლებით შესრულებული ქართული ეთნო-ჯაბ კომპოზიციები მისი რეპერტუარიდან ყველაზე მოთხოვნადია ევროპულ კონცერტებზე¹⁵.

საქართველოში მოღვაწე თანამედროვე ქალი შემსრულებლებიდან ფოლკ-ფიუჟენ პროექტებში აქტიური ჩართულობის თვალსაზრისით, აღსანიშნავია ლელა ნაყური და თინათინ მეჭთიევა. ორივე შემსრულებელი არაერთხელ ყოფილა მინვეული ამ მიმართულებით განხორციელებულ ექსპერიმენტულ პროექტებში.

საქართველოში აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი თინათინ ნარგილე მეჭთიევა¹⁶ საქართველოში ერთადერთი ქალი აშუღია, რომელიც ისტორიულად, მამაკაცთა მიერ დომინირებულ აშუღურ ტრადიციას აქტიურად აცოცხლებს¹⁷. საზის¹⁸ თანხლებით მომღერალი თინათინი თავისი შესრულებით ქართული ქალაქური მუსიკის აღმოსავლური შტოს, ე.წ. თბილისური ფოლკლორის ატმოსფეროს ჰბადებს. შესაბამისად, დღეს ფოლკ-ფიუჟენის მიმართულების ექსპერიმენტულ პროექტებში თბილისური ფოლკლორის ესთეტიკის შექმნის მსურველი მუსიკოსები, როგორც წესი, სწორედ თინათინ მეჭთიევასთან თანამშრომლობენ (გოგი ძოძუაშვილი (ვიდეომავ. 14); ბეთხო და სანდრო ნიკოლაძე (ვიდეომავ. 15) და ა.შ.).

ლელა ნაყური ფშაველია და აღმოსავლეთის მთის ფოლკლორის ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა შემსრულებელია. ფანდურისა და გარმონის თანხლებით სოლო ფოლკლორულ მომღერლადაც გვევლინება და ზემოთ ნახსენებები დები ნაყურების ტრიოს წევრადაც. 2019 წლიდან უკვე მრავალწლიანი ისტორიის მქონე ჯგუფ ჩვენებურებს შეუერთდა, რომლის ძირითადი პროფილი ფოლკლორული მუსიკის შესრულებაა, თუმცა ჯგუფი დაინტერესებულია ქართული ფოლკლორის არანჟირებისა და თანამედროვე მუსიკასთან თუ ინსტრუმენტებთან სინთეზითაც. ამდენად, ლელა ნაყურის სამშემსრულებლო არეალი ფოლკლორის განახლების პროცესში გამოვლენილ და ჩემ მიერ ზემოთ განხილულ სამივე ფორმას მოიცავს. როგორც თავად ამბობს, „განვითარების რაღაც კონკრეტულ ეტაპს როცა მიაღწევ მუსიკაში, მერე გიჩნდება სურვილი, ფეხი შედგა ახალ სივრცეში. საკუთარი თავის იმედი თუ არ გაქვს მუსიკალურად, ვერ შედგება კოლაბორაცია. ან შედგება და არ იქნება ღირებული“ (ნაყური 2022,

პირადი ინტერვიუ). როგორც ჩანს, მუსიკოსისათვის ყველაზე ბუნებრივი „ახალი მუსიკალური სივრცე“ ფოლკ-ფიუჟენ პროექტებია, სადაც ის მონაწილეობს, როგორც აღმოსავლეთის მთის ფოლკლორის შემსრულებელი და კომპოზიციებში მთასთან დაკავშირებული ესთეტიკის შემქმნელი. სწორედ მსგავს პროექტებს შორისაა ლელას კოლაბორაციული კომპოზიციები ჯგუფთან *Ellarge*; შოთა საგანელიძესა და საკუთარ დასთან, ნინო ნაყურთან ერთად (ვიდეომავ. 16).

როგორც ვხედავთ, ქართულ ფოლკ-ფიუჟენში ქალი შემსრულებლები საკმაოდ იშვიათად გვხვდებიან, თუმცა საკმაოდ გამოკვეთილი როლის მატარებლები არიან. მათ მსგავს ექსპერიმენტულ პროექტებში, ძირითადად, მაინც ქალთა ფოლკლორული შემსრულებლობიდან მომდინარე მუსიკალური ელემენტები შემოაქვთ და კომპოზიციებაში ტრადიციული ესთეტიკის შექმნას უწყობენ ხელს. თავად ამ მუსიკის შემსრულებლის, ლელა ნაყურის აზრით, მამაკაცების სიჭარბე ფოლკ-ფიუჟენის მიმართულებაში ბუნებრივიცაა, რადგან მათ გაცილებით დიდი გამოცდილება აქვთ ხალხურ თუ თანამედროვე ინსტრუმენტებზე დაკვრის, ვოკალური მრავალხმიანობის ურთულესი ნიმუშების შესრულებაზე რომ არაფერი ვთქვათ. მართლაც, ქართულ მუსიკალურ კონტექსტს თუ გავითვალისწინებთ, თანამედროვე ინსტრუმენტული ბენდებისა და ელექტრონული მუსიკის შემსრულებელი მამაკაცების რაოდენობა ბევრად აღემატება ქალი შემსრულებლებისას, რაც ბუნებრივია, ტრადიციულ მუსიკასთან დაკავშირებულ ფოლკ-ფიუჟენშიც იჩენს თავს.

დასკვნა

